

მარტი 2025 წ.

ანგარიში შესაბამისობის გამოძიების შესახებ

**CAO-ის მიერ IFC/MIGA-ს ეკოლოგიური და
სოციალური შესრულების შესაბამისობის
გამოძიება: აჭარისწყლის
ჰიდროენერგეტიკული კაშხლის პროექტი
საქართველოში**



სარჩევი

სარჩევი.....	2
აკრონიმები	4
CAO-ს შესაბამისობის გამოძიების პროცესი	5
შემაჯამებელი ანგარიში.....	7
I. აღწერილობითი ნაწილი.....	21
A. IFC-ის და MIGA-ს პროექტი	21
B. რეგიონალური საფრთხეები და შესაბამისი საპროექტო შეთანხმებები.....	26
C. საჩივარი და CAO-ის შეფასება.....	28
D. გამოძიების მეთოდოლოგია	34
E. ძირითადი მოვლენების ვადები.....	35
II. CAO-ს ანალიზი და დასკვნები	36
A. IFC-ის წესდების ჩარჩო და ზოგადი მოთხოვნები	36
B. IFC-სა და MIGA-ს კომპლექსური შემოწმებისა და ზედამხედველობის განხილვა	37
C. შესაბამისობის ანალიზი და დასკვნები: მიწისქვეშა წყლები	40
a. მომჩივნების თვალსაზრისი	40
b. მომხმარებლის თვალსაზრისი	41
c. შესაბამისი მოთხოვნები	Error! Bookmark not defined.
d. წინასაინვესტიციო განხილვა, ანალიზი და დასკვნები	42
i. წყაროს წყლების საბაზისო დონე	42
ii. მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების შეფასება	45
iii. მიწისქვეშა წყლებზე სავარაუდო ზემოქმედების შემამსუბუქებელი ზომები..	50
e. ზედამხედველობის ანალიზი და დასკვნები	54
i. მონიტორინგი წყაროს წყლებზე.....	Error! Bookmark not defined.
ii. გვირაბის ჩაყრა და მოპირკეთება	59
iii. წყლის მომარაგება და მოსახლეობა.....	60
iv. მოსახლეობის ჩივილები შემამსუბუქებელ ზომებთან დაკავშირებით.....	62
D. შესაბამისობის ანალიზი და დასკვნები: ბიომრავალფეროვნება.....	64
a. მომჩივნების თვალსაზრისი	64
b. მომხმარებლის თვალსაზრისი	Error! Bookmark not defined.
c. შესაბამისი მოთხოვნები	Error! Bookmark not defined.
d. წინასაინვესტიციო განხილვის ანალიზი და დასკვნები	67
i. ინფორმაცია საბაზისო დონის შესახებ.....	67
ii. ზემოქმედების შეფასება	72
iii. ბიომრავალფეროვნებაზე სავარაუდო ზემოქმედების შემამსუბუქებელი ზომები	84
d. ზედამხედველობა	90

i. ბიომრავალფეროვნების რესურსები	90
ii. ეკოლოგიური დინება.....	97
III. ზიანის შეფასება.....	104
A. შეუსაბამოების დასკვნების მოთხოვნები და შესაბამისი ზიანი.....	104
B. მიწისქვეშა წყლებთან და წყაროს წყლებთან დაკავშირებული ზიანი Error! Bookmark not defined.	
C. წყლის ჰაბიტატთან და რეკრეაციულ თევზაობასთან დაკავშირებული ზიანი	108
IV. რეკომენდაციები IFC/MIGA-ს მართვის სამოქმედო გეგმისთვის	111
V. დასკვნა	113
დანართი A: პროექტის ვადები.....	114
დანართი B: CAO-ს გამოძიების პროცესის მიმოხილვა.....	117
დანართი C: CAO-ს დასკვნები შეუსაბამოებებთან დაკავშირებით, შესაბამისი ზიანი და რეკომენდაციები.....	119
ცხრილი B.1. CAO-ს დასკვნები შეუსაბამოებებთან დაკავშირებით და შესაბამისი ზიანი.....	120
ცხრილი B.2. CAO-რეკომენდაციები პროექტის დონეზე.....	127

აკრონიმები

ADB	აზიის განვითარების ბანკი
AGL	შპს აჭარისწყალი საქართველო
BAP	ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა
CAO	შესაბამისობის მრჩეველის ომბუდსმენის სამსახური (IFC და MIGA)
CAP	მაკორექტირებელი მოქმედების გეგმა
CEMP	მშენებლობის ეკოლოგიური მართვის გეგმა
CHA	არსებითი მნიშვნელობის ჰაბიტატის შეფასება
EBRD	რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი
EPC	დაპროექტების, შესყიდვებისა და მშენებლობის კონტრაქტორი
E&S	ეკოლოგიური და სოციალური
ESAP	ეკოლოგიური და სოციალური სამოქმედო გეგმა
ESDD	ეკოლოგიური და სოციალური კომპლექსური შემოწმება
ESIA	ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების შეფასება
ESRAM	ეკოლოგიური და სოციალური რისკის განაწილების მემორანდუმი
ESRP	ეკოლოგიური და სოციალური განხილვის პროცედურები
ESRS	ეკოლოგიური და სოციალური განხილვის შეჯამება
FN	სქოლიო
GHG	სათბურის აირები
GIIP	კარგი საერთაშორისო ინდუსტრიული პრაქტიკა
GN	სახელმძღვანელო შენიშვნები (რომელიც შეესატყვისება შესრულების სტანდარტებს)
HPP	ჰიდროელექტროსადგური
IAM	დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების მექანიზმი
IESC	დამოუკიდებელი ეკოლოგიური და სოციალური მრჩეველი
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
IPAM	დამოუკიდებელი პროექტის ანგარიშვალდებულების მექანიზმი (EBRD-ის)
MAP	მართვის მოქმედების გეგმა
MIGA	მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო
MOU	ურთიერთგაგების მემორანდუმი
OSPF	სპეციალური პროექტის კოორდინატორის სამსახური (ADB-ის)
PS	შესრულების სტანდარტი (IFC)
PS1	შესრულების სტანდარტი 1: ეკოლოგიური სოციალური რისკების ზემოქმედების შეფასება და მართვა
PS6	შესრულების სტანდარტი 6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა
SEP	დაინტერესებული მხარის ჩართულობის გეგმა
SPV	სპეციალური დანიშნულების ავტომანქანა

CAO-ს შესახებ


შესაბამისობის მრჩეველის ომბუდსმენის სამსახური (CAO) არის მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრების, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა (IFC) და მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტოს (MIGA) ანგარიშვალდებულებათა დამოუკიდებელი მექანიზმი. ჩვენს საქმიანობაში შედის IFC-სა და MIGA-ს პროექტების შედეგად დაზარალებული ხალხის საჩივრების სამართლიანი, ობიექტური და კონსტრუქციული წესით განხილვის კოორდინაცია, ეკოლოგიური და სოციალური პროექტების შედეგების განმტკიცება და IFC-სა და MIGA-ს საჯარო ანგარიშვალდებულებებში გარკვევის დანერგვა.

CAO არის დამოუკიდებელი ოფისი, რომელიც უშუალოდ ანგარიშვალდებულია IFC-სა და MIGA-ს აღმასრულებელი დირექტორების საბჭოს წინაშე. ამის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის, იხილეთ www.cao-ombudsman.org.

შესაბამისობის ფუნქციის შესახებ

CAO-ს შესაბამისობის ფუნქცია განიხილავს IFC-სა და MIGA-ს შესაბამისობას ეკოლოგიურ და სოციალურ წესდებებთან, ახდენს შესაბამისი ზიანის შეფასებას და საჭიროებისამებრ იძლევა აღდგენითი სამუშაოების ჩატარების რეკომენდაციას.

CAO-ს შესაბამისობის ფუნქცია აწყობილია სამი საფეხურისაგან შემდგარ მიდგომაზე:



შეფასება	გამოძიება	მონიტორინგი
წინასწარი განხილვა იმის დასადგენად, საჭიროებს თუ არა საჩივარი ან შიდა მოთხოვნა შესაბამისობის გამოძიებას.	სისტემატური და ობიექტური განსაზღვრება იმასთან დაკავშირებით, შესაბამისობაში არიან თუ არა IFC/MIGA თავიანთ ეკოლოგიურ და სოციალურ წესდებებთან და არსებობს თუ არა ამგვარი შეუსაბამობის გამო გამოწვეული ზიანი.	შესაბამისობის გამოძიების დასკვნებისა და რეკომენდაციების შედეგად მმართველების მიერ შემუშავებული ქმედებების ეფექტური შემუშავების შემოწმება.

CAO-ს შესაბამისობის გამოძიების პროცესი

CAO თავის საქმიანობას ახორციელებს IFC/MIGA-ს დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების

მექანიზმის წესდების შესაბამისად (“CAO-ს წესდება”).¹

ბიზნესებთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად, თავისი მანდატის შესრულებისას, CAO კოორდინაციას უწევს პროექტით დაზარალებული ხალხისთვის სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობას, რომელიც შეტანილია IFC/MIGA-ის მდგრადობის ჩარჩოში.

საჩივრის შესაბამისობის გამოძიება ადგენს შესრულა თუ არა IFC/MIGA-მ თავისი E&S წესდებები და მიყენებულ იქნა თუ არა რაიმე ზიანი IFC/MIGA-ს ნებისმიერ შუსრულებლობასთან დაკავშირებით. ამ საქმიანობის განხორციელებისას, იგი იცავს მტკიცებულების მიღებისა და შეფასების სისტემატურ და ობიექტურ პროცესს. თუ CAO აღმოაჩენს შეუსაბამობას და მასთან დაკავშირებულ ზიანს, იგი რეკომენდაციას გასცემს, რომ მაკორექტირებელი სამუშაო გეგმის (MAP) შემუშავებისას IFC/MIGA-მა გაითვალისწინოს ეს საბჭოს მიერ დასამტკიცებლად.

შემდგომში, CAO მიმართავს საბჭოს მიერ დამტკიცებული MAP-ის შესაბამისობის მონიტორინგის პროცესს და ამზადებს ანგარიშს მასში მოცემული ნებისმიერი მაკორექტირებელი საქმიანობის წარმატებით განხორციელებასთან დაკავშირებით.

CAO-თან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ვებგვერდს: www.cao-ombudsman.org.

¹ CAO წესდება, რომელიც სრულიად აუქმებს და ჩაანაცვლებს CAO-ს ოპერატიულ სახელმძღვანელო მითითებებს და CAO-ს ვალდებულების პირობებს, ძალაში შევიდა 2021 წლის 1 ივლისს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ამუშავდა ოპერატიული სახელმძღვანელო მითითებების ქვეშ, ეს CAO შესაბამისობის გამოძიება შესრულდა CAO-ს წესდების შესაბამისად. CAO წესდება ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/CAO_Policy.

შემაჯამებელი მოხსენება

შესაბამისობის გამოძიების მოცემული ანგარიში წარმოადგენს CAO-ს დასკვნებს შპს აჭარისწყალი საქართველო (AGL)-ში IFC-ის მიერ განხორციელებული ინვესტიციების შესახებ. AGL-ი წარმოადგენს სპეციალური დანიშნულების კომპანიას, რომელიც ახორციელებს აჭარისწყლის ჰიდროელექტრო კაშხლის პროექტის განვითარებას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. MIGA ასევე ჩართულია ამ პროექტში, როგორც AGL-ის ერთ-ერთი მესაკუთრის, *Tata Power International Pte Limited*-ის დამზღვევი, მაგრამ ამ ერთობლივი პროექტის განხორციელებაში იგი დამოკიდებულია IFC-ის E&S-ის კანონის შესაბამისობის მონიტორინგზე. ეს პროექტი მიმდინარეობს საქართველოს კავკასიის რეგიონში, რომელიც წარმოადგენს გეოგრაფიულად მრავალფეროვანი ლანდშაფტის მქონე რეგიონს, სადაც ბინადრობს უნიკალური ფლორა, რომელსაც ადამიანების ზემოქმედების შედეგად, ემუქრება პროპორციულად მზარდი საშიშროება.

CAO-ს გამოძიება ძირითად ყურადღებას ამახვილებს ადგილობრივი მოსახლეობის ბრალდებებზე იმასთან დაკავშირებით, რომ შუახევის ჰიდროელექტროენერგიის სქემამ, რომელიც წარმოადგენს აჭარისწყლის ელექტროსადგურის კაშხალთან დაკავშირებით შეთავაზებული სამი პროექტიდან ერთ-ერთს, გამოიწვია წყლის მიწოდების შემცირება, წყლის ხარისხის გაუარესება და გავლენა იქონია ბიომრავალფეროვნებაზე. ქვემოთ წარმოდგენილ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, CAO ასკვნის, IFC-ის შეუსაბამოებების არსებობას საჩივარში წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით და IFC-სა და MIGA-ს სთავაზობს მიყენებული ზიანის შემამსუბუქებელ რეკომენდაციებს ამ ინვესტიციების პროექტში.

IFC-ისა და MIGA-ს ჩართულობა

IFC-ი 2013 წლიდან ჩართულია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის, 187 მეგავატის სიმძლევრის, \$427 მილიონი დოლარის ღირებულების მქონე შუახევის ჰიდროელექტროსადგურის პროექტში ("პროექტი"), რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 2020 წლის მარტში.

2011 წელს, IFC InfraVentures (IFC-ის პროექტი #30428)-მა და Clean Energy Invest of Norway (CEI)-მ² თავდაპირველად დააარსეს AGL-ი და ხელი მოაწერეს ერთობლივი განვითარების ხელშეკრულებას, სამი ჰიდროელექტრო კაშხლის პროექტის გასავითარებლად. 2013 წელს, IFC InfraVentures-მა მოიწვია Tata Power International Pte. Limited-ი სტრატეგიული პარტნიორისა და პროექტის სპონსორის როლში. ამ პროექტის მიზანი იყო რეგიონის წყალუხვი რესურსების გამოყენება განახლებადი ენერგიის მისაწოდებლად როგორც თურქეთის, ასევე ადგილობრივი ბაზრისთვის. გრძელვადიანი დაფინანსების მისაღებად და საბოლოოდ ჰიდროენერგეტიკული სქემის ასაგებად და საექსპლუატაციოდ შეიქმნა საგანგებო დანიშნულების კომპანია შპს აჭარისწყალი საქართველო (AGL, მომხმარებელი). 2014 წელს, IFC-ი შეუერთდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) და აზიის განვითარების ბანკს (ADB), სამშენებლო და საოპერაციო კრედიტების უზრუნველსაყოფად. IFC-მ AGL-ი დააკმაყოფილა აშშ \$70 მილიონ დოლარამდე კრედიტით (IFC-ის პროექტი #33435) და აგრეთვე უზრუნველყო აშშ \$34 მილიონ დოლარამდე დამატებითი კაპიტალი (IFC-ის პროექტი #37781). შემდგომში, IFC-ი ეხმარებოდა AGL-ს სამშენებლო სამუშაო ძალის დემობილიზებაში საკონსულტაციო

² Norsk Mineral AS of Norway-ი წარმოადგენს CEI-ის აქციონერს.

მომსახურების პროექტის (#601449) საშუალებით. 2015 წელს, MIGA-მ უზრუნველყო \$63 მილიონი დოლარის გარანტია Tata Power International Pte. Limited-თვის, მის მიერ AGL-ში დაბანდებული კაპიტალის დასაზღვევად (MIGA-ს პროექტი #12315).

შუახვევის სქემა მოიცავს 39-მეტრის დიდაქარის ჯებირს მდინარე აჭარისწყალზე 623,000 მ3, წყალსაცავის სიმძლავრით, 22-მეტრის შხალთა ჯებირს მდინარე შხალთაზე 493,000 მ3 წყალსაცავის სიმძლავრით და 5-მეტრის კაშხალს მდინარე ჩირუხისწყალზე, მათ შორის მთელ რიგ გადასასვლელ გვირაბებს, რომლებიც მოიცავენ 33.8 კილომეტრს (კმ)³ და რომლებიც აკავშირებენ წყალსაცავებს შუახვევის ელექტროსადგურთან. 2017 წელს, მშენებლობის დაწყებიდან სამი წლის შემდეგ, ჩამოინგრა შვიდი გვირაბის ცალკეული ნაწილები, რომელთა საერთო სიგრძე შეადგენდა 300 მეტრს. 2019 წელს, IFC-ის საბჭომ დაამტკიცა კრედიტის რესტრუქტურირება იმისათვის, რომ თავისი მომხმარებლისთვის მიეცა სარემონტო სამუშაოების დასრულების შესაძლებლობა.

2020 წლის აპრილში, IFC-მ AGL-ში თავისი კაპიტალის აქციები თანაბარი რაოდენობით მიჰყიდა Clean Energy Invest-სა და Tata Power International-ს და აქცია ისინი შუახვევის პროექტის ერთადერთ მესაკუთრეებად. IFC-ის სესხი A და MIGA-ს დაზღვევა ჯერ კიდევ აქტიურად მოქმედებენ. აჭარისწყლის ჰიდროენერგო კაშხლის პროექტის ორი სხვა დაგეგმილი პროექტიდან, ერთი მიტოვებულ იქნა სიძვირის გამო, ხოლო მეორე, კორომხეთში, ამჟამად უმოქმედოთაა მიტოვებული.

საჩივარი

2018 წლის თებერვალს, CAO-მ შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფელ მახალაკიძეების რაბათის დასახლებიდან მიიღო 22 კომლის მიერ შეტანილი საჩივარი, რომელთა სახლებიც განლაგებულია პროექტის გვირაბიდან 500 მეტრში. ისინი ამტკიცებენ, რომ შუახვევის სქემის შედეგად იკლო მიწისქვეშა წყლების დინება და რომ მდინარე შირაქისწყლისა და მდინარე შხალთას შორის გვირაბის მშენებლობამ გამოიწვია ადგილობრივი წყაროს წყლების გაქრობა, რამაც შეამცირა მათ მიერ სასმელ, საყოფაცხოვრებო და სარწყავ წყალზე წვდომა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. მომჩივნები ასევე ამტკიცებენ, რომ სქემის ოპერაციებმა გავლენა იქონიეს მდინარე აჭარისწყალსა და მისი შენაკადების ბიომრავალფეროვნებაზე, რის შედეგადაც იკლო მდინარისპირა ხეებმა და გაუჩინარდა ადგილობრივი თევზის რამდენიმე სახეობა, მოწყვლადი ჯიშის, კალმახის ჩათვლით. მდინარე აჭარისწყლის დიდი აუზი⁴ აღიარებულია საქართველოს ხელისუფლების მიერ, როგორც მდიდარი ბიომრავალფეროვნების მქონე რაიონი, რომელიც შეიცავს რამდენიმე მოწყვლად და კრიტიკულად გადაშენების პირას არსებულ სახეობებს, რომლებიც შეყვანილია IUCN-ისა და საქართველოს ეროვნულ წითელ სიებში.

³ გვირაბები მოიცავდა: 5.8 კმ გვირაბს მდინარე ჩირუხისწყლიდან მდინარე შხალთამდე და შხალთას ჰიდროელექტროსადგურის (HPP) გავლით; 9.1 კმ გვირაბს მდინარეების შხალთასა და ჩირუხისწყლიდან დიდაქარის წყალსაცავამდე მდინარე აჭარისწყალზე; და 16.8 კმ. გვირაბს დიდაქარის წყალსაცავიდან 178 MW შუახვევის HPP-მდე. ESIA, გვ. 24. ხელმისაწვდომია აქ: <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://agl.com.ge/storage/media/other/2024-01-10/051fcc30-afa9-11ee-a75e-ed09f187ca8f.pdf>.

⁴ მდინარე აჭარისწყლის აუზის სიგრძე არის დაახლოებით 1565 კმ2 და გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე პროექტის გავლენის ზონა.

საჩივარში ასევე აღმრულია შემფოთებო მოსახლეობის უსაფრთხოებოს დოკოვშორებოთ, გოხოორებოლი მეწყერის ჩომოწოლის დო ქვოთოცვენის როსკების გომო, რაც გომოწვეული იქნო აფეთქებოებით დო ბურღვოთო სომუშოებოთ AGL-ის მოერ გვორბოს გოყვონის სომუშოებოს პეროოდში.

IFC/MIGA-ს დო მომხმარებლის პოსუხო

არც IFC-ის დო არც MIGA-ს არ მოუწოდებოო CAO-თვოს მმართველო რგოლის პოსუხო, როდგონ ეს არ იყო მოჩნეული სოვოდებოლოდ 2013 წელს, ძოლში არსებოლი სოპეროცოო სოხელმძღვონელო რეკომენდოცოებოთ, როდესოც 2020 წლის ნოემბერში ეს სოქმე გოდოცემულ იქნო შესობომოსოის შესოფოსებოლად.

2018 წლის ივლისში, როდესოც CAO ახოოცოელებოო სოჩოვრის შეფოსებოს, AGL-მო გონოცხოდო, რომ 2014 წლიდონ 2017 წლამდე იგო ახოოცოელებოო წყოროს წყლის დონების მონოტოოონგს სოფელ მოხოლოკოძოებში, გვორბოს სომუშოებოს დოსრულებოს შემდეგ დო მოს არ აღმოუჩენოო როიმე პოოოოპოოო კოვშოოოო სოდგუროს მშენებლობოს დო მოწოსქვეშო წყლების დონოს დოკლებოს შოოოს. თუმცო, კომპონომ აღოოოო სოფლოს წყლოს ნოკლებოოს პოოოლემო დო ამ პოოოლემოს გომოსწოოების მოხონოთ შეომუშოვო წყლოს მოწოდების ოოო სორეობოლოოცოოო პოოექოო. რაც შეეხებო სოვოოოოო ზემოქმედებოს ბოომროვოლფეროვნებოზე, AGL-მო გონოცხოდო, რომ მონოცემებს, რომლებსოც ის აგოოვებს სომოვე დოგოლობოოოოო მოდინოოს რეგულოოოოოო მონოტოოონგის სოფუძველზე, არ გომოუვლენოო როიმე ცვლოლებო ან პოოოლემო ბოომროვოლფეროვნების სოკოთხოთონ დოკოვშორებოთ. AGL-ო აგოძელებს შემოვოლო წყლოს მონოტოოონგს გვოოოებოს აუდოოების დოოს.

რაც შეეხებო ქვოთოცვენოს, AGL-მო მოუოოოო 2014 დო 2016 წლებში ხელოსუფლების წოოომოდგენელოოო სობჭოს, დოგოლობოოოოოო სოხოოოდოებოს დო გეოლოგოოოოოო ექსპეროტების მოერ ჩოოოოებულ შემოწმებებზე, რომლებმაც დოოსკვენს, რომ გვოოოოს გოოს გოსწვოოო არსებულ სოხლებზე მოყენებოლი ზოონო გომოწვეული იყო ბუნებოოოოო ცვეოოოთ დო მოს არ ჰქონდო როიმე პოოოოპოოო კოვშოოოო მშენებლობოსთონ.

CAO-ს პოოოესო, ანოლოზო დო დოსკვენბო

2018 წელს CAO-თვოს გოგოოონოოო სოჩოვოოო ასევე გოჟდერებოლი იყო იმ სოჩოვრებში, რომლებოც გოგოოონოოო იქნო EBRD-ოს დო ADB-ის დომოუკოძებოლი ანგოოოშოვოდებოლების მექონოზმებისოთოს. 2018 წლის ივნოსდონ 2020 წლის აგვოსოომდე ჩოოოოებოლი ერთოოოოოოო გოდოწვეოოოების პოოოესო დოსრულდო AGL-სო დო მომოოონეებს შოოოს მოოოოების გორეშე დო 2020 წელს, სოჩოვოოო გოდოეცო CAO-ს შესობომოსოის ფუნქოოს. CAO-ის მოერ ჩოოოოებოლი გომოძოების შედეგოდ, გონხოლულ იქნო თუ როგოოო ახოოცოელებდნენ IFC დო MIGA AGL-ის ინვესოოოოების შეფოსებოს, სოოოქოოოოოო დოხოოსხოებოს დო ზედომხედველობოს, როოო შეეფოსებონოთ იყო თუ არო მომოოონეების მოერ აღმრული მოწოსქვეშო წყლებსო დო ბოომროვოლფეროვნებოზე ზემოქმედებო შესობომოსოდ გოთვოლისწონებოლი დო შემსუბუქებოლი. CAO-ის მოერ გოკოეებოლი ანოლოზო დო დოსკვენბო IFC'-ის ინვესოოოოომდე ჩოოოოებოლი ექსპეროოოოსო დო პოოექოოს შემდგომო ზედომხედველობოს ხორვეზებოთონ დოკოვშორებოთ მოკლედოოო შეჯომებოლი ქვემოთ.

მიწისქვეშა წყლები

ინფორმაცია მიწისქვეშა წყლების საბაზისო დონის შესახებ: მიუხედავად მაცხოვრებლების დამოკიდებულებისა მიწისქვეშა წყლებით ნასაზრდოებ წყაროს წყლებზე, მათი სასმელად გამოყენების მიზნით, IFC-ის მომხმარებლის მიერ წამოწყებული გარემოს დაცვისა და სოციალური ზემოქმედების შეფასება (ESIA) მიუთითებს პროექტის ზემოქმედების მიდამოებში არასაკმარისი ისტორიული ინფორმაციის არსებობაზე მიწისქვეშა წყლებზე დეტალური საბაზისო დონის განსაზღვრის უზრუნველსაყოფად. CAO ასკვნის, რომ უპრიანი იქნებოდა პროექტის ზემოქმედებით დაზარალებული ოჯახების ახლოს არსებულ წყაროს წყლებზე კვლევის ჩატარება მათი საბაზისო დონის დასადგენად, მითუმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმის მყარ მტკიცებულებას, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად დამოკიდებულია ამ წყაროს წყლებზე პირადი და საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის. აქედან გამომდინარე, CAO ასკვნის, რომ IFC-ის მიერ დაშვებული შეცდომა იმასთან დაკავშირებით, რომ მან არ მოითხოვა ამგვარი კვლევის ჩატარება ინვესტიციის განხორციელებამდე, წამოადგენს კომპლექსური შემოწმების IFC-ის შესრულების მოთხოვნების 1 და 6 სტანდარტებთან (PS) შეუსაბამობას. ამგვარმა უმოქმედობამ შედეგად გამოიღო საბაზისო ინფორმაციის არ ქონა ამ უზარმაზარი ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მასშტაბთან და ხასიათთან თანაზომიერებაში და თან ისეთ რეგიონში, რომელიც ცნობილია უამრავი წყაროს წყლების არსებობით. ეს კი არღვევს IFC-ის მდგრადობის წესდებისადმი პასუხისმგებლობას. CAO ასევე აღნიშნავს, რომ შესაბამისი საბაზისო მონაცემების შეგროვება მნიშვნელოვანია პროექტის მიერ პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების განსაზღვრავად და ამასთან დაკავშირებით საზოგადოების მიერ აღძრული პრობლემების მოსაგვარებლად.

პროექტის ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა წყლებზე და ამასთან დაკავშირებული ექსპერტის მომსახურებებზე: ინვესტიციის განხორციელებამდე IFC-ისა და მისი მომხმარებლის მიერ კომპლექსურ შემოწმებაზე ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა ანალიზებმა ცხადყვეს, რომ გვირაბების გაყვანამ მშენებლობის პროცესში შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მოსახლეობის მიერ მოხმარებულ მიწისქვეშა წყლებზე. თუმცა, IFC-მ და AGL-მა დაასკვნეს, რომ გვირაბის ტრასა შემამსუბუქებელ ზომებთან ერთად (გვირაბის მოპირკეთება და ამოვსება და ალტერნატიული წყლით მომარაგება), ამგვარი შედეგის დადგომას ნაკლებად სავარაუდოს გახდიდა და აქედან გამომდინარე, პოტენციური ზემოქმედება მათ შეაფასეს როგორც უმნიშვნელო. CAO ასკვნის, რომ ამ პროცესის გამოყენებით და IFC-ის ძალისხმევით მისმა მომხმარებელმა გამოავლინა და შეაფასა მიწისქვეშა რესურსებზე პოტენციური ზემოქმედება, პროექტის მასშტაბსა და ხასიათთან თანაზომიერებაში მდგრადობის წესდებისა და PS1-ის შესაბამისად.

შემამსუბუქებელი ზომები ადგილობრივ წყაროს წყლებზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად: IFC-მ და AGL-მა გამოავლინეს შემამსუბუქებელი ზომები გვირაბის ზემოქმედებასთან დაკავშირებით, რომელშიც შედიოდა გვირაბის მოპირკეთება იმ ადგილებში, სადაც არსებობდა მიწისქვეშა რესურსებისთვის ხელშემშლელი რისკი და წყლის თავისებურებების გამოკვლევა გვირაბის მოპირკეთების მოთხოვნების დასადგენად. IFC-ის პროექტის E&S განხილვის მოკლე შინაარსში მოცემული იყო, რომ თუ დაიკარგებოდა სასმელი წყალი, AGL-ი დაზარალებულ მოსახლეობას უზრუნველყოფდა დროებითი წყლის მიწოდებით, ხოლო შემდეგ კი დააკმაყოფილებდა მათ მუდმივი მოხმარების ალტერნატიული წყლის

მომარაგებით.

სადგურის მშენებელ კონტრაქტორს და AGL-ს ევალებოდათ ამ შემამსუბუქებელი ზომების განსაზღვრა და შემუშავება, რომლებიც ხაზგასმული იყო პროექტის E&S ზემოქმედების შეფასებასა (ESIA) და E&S მმართველობის გეგმაში (ESMP) – წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების გეგმის მეშვეობით. თუმცა, ბოლო გეგმაში მოცემული არ იყო მითითებები გატარებული ზომების ინფორმირებასთან დაკავშირებით გვირაბის წინასწარ ჩაყრის, ჩაყრისა და მოპირკეთების, ან წყლის გამოკვლევისას. იგი ასევე აღწერდა ალტერნატიული წყლით მომარაგების უზრუნველყოფის შესაძლო საჭიროებს, როგორც “იშვიათს” და არ წარმოუდგენია რაიმე სახელმძღვანელო ინსტრუქციები მის პროაქტიულ განხორციელებასთან დაკავშირებით. ამგვარი განაცდურების გამო და IFC-ის მიერ თავის მომხმარებელთან ერთად მათ განუხილველობამ გამოიწვია ის, რომ ჰიდროელექტროსადგურისათვის შემუშავებული გარემოსდაცვისა და სოციალური მოქმედების გეგმაში (ESAP) გაწერილი არ ყოფილა მოთხოვნა AGL-გან ESIA-სა და ESMP-ში გამოვლენილი შემამსუბუქებელი ზომების საჭიროებისამებრ შემუშავების შესახებ. ამის ნაცვლად, მიწისქვეშა წყლებთან დაკავშირებული რისკისათვის ESAP-ის ერთადერთი ზომა იყო მისი პირობა, რომ განეხილა მოსახლეობის საჩივრები პროექტის ზემოქმედებასა და წყალზე წვდომასთან დაკავშირებით.

იქიდან გამომდინარე, რომ შუახვევის ჰიდროელექტროსადგური იყო დიდი მასშტაბის მქონე კომპლექსური წამოწყება არასტაბილურ გეოლოგიურ რეგიონში, გვირაბის გაყვანას თან ახლდა მაღალი დონის რისკი ადგილობრივ მიწისქვეშა წყლებთან და წყაროს წყლებთან დაკავშირებით. ამიტომ CAO ასკვნის, რომ წყლის რესურსების მართვის გეგმას და ESAP-ს უნდა მოეთხოვათ წყაროს წყლების მონიტორინგი გვირაბის მშენებლობის დაწყებამდე და ასევე წყლის ნაკლებობით დაზარალებული მოსახლეობის ალტერნატიული წყლით მომარაგება. გარდა ამისა, წყლის რესურსების მართვის გეგმაში ან გაწერილი უნდა ყოფილიყო კონკრეტული მოთხოვნები გვირაბის ჩაყრასთან და მოპირკეთებასთან დაკავშირებით, როდესაც მშენებლობის პერიოდში დაფიქსირებულ იქნა მოჭარბებული შემავალი წყალი, ან მშენებელი კონტრაქტორისთვის მითითებული უნდა ყოფილიყო სამშენებლო მოთხოვნები. CAO ასკვნის, რომ რადგან IFC-ს არ მოუთხოვია AGL-თვის რომ ამ უკანასკნელს დაეფიქსირებინა ეს ურთიერთშეთანხმებული შემამსუბუქებელი ზომები ESAP-სა და სხვა E&S-ის რისკის მართვის საპროექტო დოკუმენტებში, ამით მან ხელი შეუშალა IFC-ს მისი ზედამხედველობის პერიოდში შეემოწმებინა მისი მომხმარებლის შესაბამისობა PS1-სა და PS6-ის მოთხოვნებთან.

წყაროს წყლების მონიტორინგზე IFC-ის მიერ გაწეული ზედამხედველობა: პროექტი დაიწყო გვირაბის მშენებლობით, რომელიც რამდენიმე წელს გაგრძელდა. CAO-ს დასკვნით, ამ პერიოდში IFC-ის არ გაუწევია ჯეროვანი ზედამხედველობა თავის მომხმარებელზე წყაროს წყლების მონიტორინგთან დაკავშირებით, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ადგილობრივ მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედება. არამედ, IFC-ი წყლის რესურსებზე ზედამხედველობის გაწევისას ყურადღებას ამახვილებდა ადგილობრივ ნებართვებსა და ლიცენზიებთან შესაბამისობაზე. პროექტის დოკუმენტების განხილვის შედეგად დგინდება, რომ არც IFC-ს და არც პროექტის დამფინანსებლების (IESC) E&S მრჩეველს არ გაუკეთებიათ მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი იმ მიზნით, რომ შეეფასებინათ ახდენდა თუ არა გვირაბის გაყვანა ზემოქმედებას წყაროს წყლებზე, რომლებითაც საზრდოობდნენ ადგილობრივი

სოფლები და IFC-ს არ მოუთხოვია, რომ AGL-ს გამოეყენებინა წყაროს წყლების მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები პროექტის განხორციელებაზე ინფორმაციის მისაწოდებლად. უფრო მეტიც, წყაროს წყლის მონიტორინგი დასრულდა 2016 წელს, როდესაც დამთავრდა გვირაბის მშენებლობა, მიუხედავად იმისა, რომ გვირაბის ჩამონგრევის ინციდენტი 2017 წელს მიუთითებდა იმაზე, რომ გვირაბის სარემონტო სამუშაოები და მოპირკეთება გრძელდებოდა 2020 წლამდე. მიუხედავად იმისა, რომ კრედიტორების კონსულტანტებმა გასცეს წყაროს წყლების მონიტორინგის განახლების რეკომენდაცია, არც კონსულტანტი და არც IFC-ი ამის შესახებ არ დაკავშირებია მომხმარებელს. ზედამხედველობის ამგვარი დარღვევის გამო, CAO ასკვნის, რომ IFC-ის არ განუხორციელებია მომხმარებლის მიერ PS1-ის დებულებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

IFC-ის ზედამხედველობა გვირაბის წინასწარ ჩაყრაზე, ჩაყრასა და მოპირკეთებაზე: ინფორმაციას გვირაბის მშენებლობის პროგრესის, გვირაბის ჩაყრის, მოპირკეთებისა და შემავალი წყლის შესახებ ზედამხედველობას უწევდა კრედიტორების დამოუკიდებელი ინჟინერი (IE) და ანგარიშებს აწევდიდა ამასთან დაკავშირებით. მშენებლობის პროცესში IE-მა გამოსცა ანგარიში, სადაც იგი აღწერდა მოპირკეთების გარეშე დარჩენილ გვირაბებს და რამდენიმე წლის მანძილზე მასში შემავალი ჭარბი წყლის პრობლემებს, რაც ეწინააღმდეგებოდა საინჟინრო, შესყიდვის და მშენებლობის (EPC) კონტრაქტის მოთხოვნებს. IE-მ ასევე განაცხადა, რომ მშენებლობა გრძელდებოდა მაშინაც, როდესაც გვირაბში შედიოდა ჭარბი წყალი. ამ პერიოდში გაცემული ზედამხედველობის ანგარიშები არ შეიცავენ არავითარ მითითებებს იმის შესახებ, რომ IFC-მ გაითვალისწინა ადგილობრივ წყაროს წყლებზე არსებული ვითარების უარყოფითი ზემოქმედება. CAO ასკვნის, რომ გვირაბის ჩაყრისა და მოპირკეთების მოთხოვნების შემუშავებასთან დაკავშირებით IFC-ის უმოქმედობის გამო მას არ შეუძლებია მისი ვალდებულებები მდგრადობის წესდებასთან დაკავშირებით, AGL-ის მიერ დათქმული შემამსუბუქებელი ზომების შემუშავების ზედამხედველობაზე, როგორც ამას მოითხოვდა PS1-ის შესაბამისობა.

წყლის ალტერნატიულ მიწოდებაზე IFC-ის მიერ გაწეული ზედამხედველობა: AGL-ისა და კრედიტორების E&S კონსულტანტების მიერ გაცემული პროექტის ანგარიშები აღწერენ ხელშეკრულებებს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან და მომხმარებლის CSR ინიციატივებს, რომლებიც შეიცავდნენ ალტერნატიული წყლის მიწოდების გაუმჯობესების გეგმას. თუმცა, ამ ანგარიშებში მოცემული არაა დეტალები წყლის მიწოდების თითოეულ პროექტთან დაკავშირებით, მათ შორის, წყლის მოცულობისა და ხარისხის, ან მათ მიერ გაწეული ზედამხედველობის შესახებ. AGL-მა უზრუნველყო რამდენიმე ადგილობრივი მოსახლე ალტერნატიული წყლის მიწოდებით, მახალაკიძეების ჩათვლით, კორპორაციის მიერ სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ინიციატივის საფუძველზე. თუმცა, 2022 წელს CAO-ს ადგილზე ვიზიტისას, სოფლის მოსახლეობამ განაცხადა ახალ მიწოდებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები, მათ შორის, წყლის დაბინძურებისა და არასაკმარისი ნაკადის შესახებ.

CAO ასკვნის, რომ ზედამხედველობის გაწევისას, IFC-ს არ შეუფასებია აკმაყოფილებდა თუ არა მისი მომხმარებლის ინიციატივა ESMP-ის მიერ დასახულ მიზნებს სუფთა და საკმარისი რაოდენობის წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, IFC-ს არ უთანამშრომლია AGL-თან, როგორც ამას მოითხოვს მდგრადობის წესდება, პროექტის მუშაობის გასაუმჯობესებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ მიღებულ იქნა ყველა საჭირო ზომა E&S-თვის ცნობილი რისკების მოსაგვარებლად და წყლის ხელმისაწვდომობაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით.

ბიომრავალფეროვნება

CAO-ს შესაბამისობის გამოძიება მოიცავდა შუახევის ჰიდროელექტრო სადგურის პროექტის მიერ მდინარეების: ჩირუხისწყლის, აჭარისწყლისა და შხალთას ეკოლოგიურ ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების დეტალურ ანალიზს, რომელშიც მთავარი ყურადღება ეთმობოდა IFC-ის კომპლექსურ შემოწმებასა და ზედამხედველობას და ასევე ურთიერთშეთანხმებული შემამსუბუქებელი ზომების ეფექტურობას. CAO-ს დასკვნები IFC-ის შეუსაბამობასთან დაკავშირებით მოკლედაა აღწერილი ქვემოთ.

ინფორმაცია ბიომრავალფეროვნების საბაზისო დონის შესახებ: კაშხლის თავდაპირველად დაპროექტების დროს და 2011 წელს AGL-ის კონსულტანტმა მშენებლობის დაწყებამდე ჩაატარა კვლევები პროექტის მიერ დაზარალებულ რეგიონში თევზების ბიომრავალფეროვნების საბაზისო დონის დასადგენად. ამ პროცესის ჩატარებისას აღირიცხა IUCN-ის და საქართველოს წითელ სიაში შეტანილი მოწყვლადი და გადაშენების პირას არსებული სახეობები მდინარე აჭარისწყალსა და მის შენაკადებში, მათ შორის შავი ზღვის ორაგული, შავი ზღვის კალმახი და ევროპული გველთევზა და გამოვლენილ იქნა რეკრეაციული თევზაობა, როგორც ადგილობრივი ექოსისტემის მომსახურება. თუმცა, CAO-ის მიერ ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა ხარვეზები, რომლებიც უკავშირდებოდა საბაზისო დონის ნიმუშის ზომას, სიხშირეს და მოწყვლადი და კრიტიკული გადაშენების პირას არსებული სახეობების მიმართ ყურადღების მოდუნებას. CAO ასკვნის, რომ წინასწარი ინვესტიციის კომპლექსური შემოწმების განხორციელებისას IFC-მ არ უზრუნველყო, რომ მის მომხმარებელს ჩატარებინა თევზების მკაცრი საბაზისო დონის დადგენა, რომელიც შეესაბამებოდა ამხელა მასშტაბის ჰიდროელექტროსადგურის პროექტს ისეთ რეგიონში, რომელიც ცნობილია მდიდარი ბიომრავალფეროვნებით, მათ შორის ენდემური და კრიტიკულად გადაშენების პირას არსებული სახეობებით, რითაც მან დაარღვია შესრულების სტანდარტი 1 (პარაგ. 7). გარდა ამისა, IFC-მ არ უზრუნველყო, რომ საბაზისო დონე შესწორებულიყო ახალი პროექტის დიზაინის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც მხოლოდ სამიდან ერთი სადგური ამუშავდა მდგრადობის წესდების ვალდებულების შესაბამისად.

პროექტის მიერ ბიომრავალფეროვნებასა და მასთან დაკავშირებული ექოსისტემის მომსახურებებზე ზემოქმედების შეფასება: ჯებირის პროექტებს შეუძლიათ მდინარის დინებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა და ამის გამო AGL-ის კონსულტანტმა შეაფასა სამ ადგილობრივ მდინარეზე პოტენციური ზემოქმედებების რისკი ESIA-ის ფარგლებში, რომელიც მან IFC-ის ინვესტიციამდე განახორციელა. ზემოქმედების შეფასებაში გაკეთებულია დაკვნა, რომ მდინარის საშუალო წლიურმა დინებამ შესაძლებელია დაიწიოს დაახლოებით 90%-ით, რაც ადგილობრივი ეკოლოგიის მკვებავ წყლის დინებას შეამცირებდა 10%-ით განხორციელებულ სექმამდე საშუალო წლიურ მონაცემებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ ESIA-მა აღნიშნა, რომ დინების ამგვარი ცვლილება დამახასიათებელი იყო საქართველოს სხვა ჰიდროელექტრო ჯებირებისათვისაც, მან აღიარა, რომ პროექტის ინფრასტრუქტურას შეიძლება გამოეწვია ფართო მასშტაბის პოტენციური ზემოქმედებები თევზების პოპულაციებზე, თევზებისა და წავეზების მოძრაობაზე, მდინარის წყლის ხარისხსა და ჰაბიტატის სამუდამოდ დაკარგვაზე. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი ითვალისწინებდა ეკოლოგიური დინების შეფასების ორი ფაზისაგან შემდგარ მიდგომას, რაც უნდა დაწყებულიყო ESIA-თ და გაგრძელებულიყო

მონიტორინგით, ESIA-ს არ ჩაუტარებია ეკოლოგიური დინების განსხვავებული სცენარების დეტალური შეფასება ფლორასა და ფაუნაზე მათ ზემოქმედებასთან დაკავშირებით, როგორც ეს რეკომენდებული იყო საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებით, ან წყლის დინების საშუალო 10% წლიური საბაზისო დონის განსაზღვრისას არ გაუთვალისწინებია დაზარალებული მცენარეების უნიკალური ეკოლოგია და თითოეული მდინარის აუცილებელი საჭიროებები. აქედან გამომდინარე, ჩატარებული ანალიზი არასაკმარისი აღმოჩნდა იმის დასადგენად, რომ პროექტი არ გამოიწვევდა ბიომრავალფეროვნების არანაირი წმინდა სახის დანაკარგს⁵, რასაც მოითხოვდა შესრულების სტანდარტი 6. რაც შეეხება რეკრეაციულ თევზაობას, ESIA-მ ცნო რომ ადგილობრივი მოსახლეობის თევზაობა წარმოადგენდა ექოსისტემის მომსახურებას და ასევე კულტურულ ადათ-წესებს. მან შეაფასა პოტენციური ზემოქმედება თევზაობაზე, როგორც უმნიშვნელოდან საშუალო, იმის გათვალისწინებით, რომ მის მიერ შეთავაზებული შემამსუბუქებელი და საკომპენსაციო ზომების გატარების შედეგად შემცირდებოდა მშენებლობის პერიოდში არსებული ზემოქმედება, როგორცაა ჰიდროლოგიური პირობების ძირფესვიანი ცვლილებები.

CAO ასკვნის, რომ IFC-მ ვერ დააკმაყოფილა თავისი ვალდებულება E&S-ის კომპლექსური შემოწმების შესრულებასთან დაკავშირებით, რისკების ხასიათსა და მასშტაბთან თანაზომიერებაში და იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროექტს შეესრულებინა PS6-ის მოთხოვნები, განსაკუთრებით თუ გათვალისწინებთ ამ ბიომრავალფეროვნებით მდიდარ რეგიონს. კერძოდ, ზემოქმედების შეფასებაში არ იყო საკმარისად გათვალისწინებული ზემოქმედებები მდინარის ჰაბიტატებზე და ბიომრავალფეროვნებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს რეგიონი ცნობილია მოწყვლადი სახეობების არსებობით, რის შედეგადაც ჩატარებული ანალიზი არასაკმარისი აღმოჩნდა წმინდა დანაკარგის შედეგის მისაღებად. (PS6, პარაგ. 15). ამისაგან განსხვავებით, CAO ასკვნის, რომ ზეგავლენის შეფასების შედეგად გამოიკვეთა რეკრეაციული თევზაობა, როგორც ექოსისტემის მომსახურება, ხოლო შეთავაზებული შემამსუბუქებელი და საკომპენსაციო ზომები შეესაბამება PS6-ს (პარაგ. 7 და 25).

შესამსუბუქებელი ზომები ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად: AGL კონსულტანტების მიერ შემუშავებული პროექტის ESIA-ს და შემდგომ ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმას (BAP) აკლდა ჯერონად შესრულებული ანალიზი პროექტის რეგიონში შეთავაზებული შემამსუბუქებელი ზომების ადეკვატურობასა და ეფექტურობაზე გადაშენების პირას არსებულ და მოწყვლად ისეთ სახეობებთან დაკავშირებით, როგორიცაა: ევროპული გველთევზა (*Anguilla anguilla*), შავი ზღვის ორაგული (*Salmo labrax pallas*), ევრაზიული წავი (*Lutra lutra*) და სხვები. კერძოდ, მათ არ შეუფასებიათ საკმარისი იქნებოდა თუ არა საშუალო წლიური დინების დონესთან შედარებით 10%-ით შემცირებული მდინარის დონე ამ სახეობების შესანარჩუნებლად და მიუთითეს აკვატიკური ჰაბიტატის დაკარგვასა და პროექტის ორ ჯგერის შორის არსებულ კავშირზე, რაიმე შემამსუბუქებელი და საკომპენსაციო ზომების მიღების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ კაშხალში

⁵ წმინდა დანაკარგის არ არსებობა განსაზღვრულია IFC-ის #6 შესრულების სტანდარტით შემდეგნაირად: “მომენტი, როდესაც პროექტის მიერ ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზემოქმედებები დაბალანსებულია მიღებული ზომებით, პროექტის ზემოქმედების შესამცირებლად და თავიდან ასაცილებლად, სამშენებლო ობიექტის სარესტავრაციოდ და ბოლოს მნიშვნელოვანი ზემოქმედების შედეგების საკომპენსაციოდ, ამგვარის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი გეოგრაფიული მასშტაბით.”

გათვალისწინებულია თევზების გამავალი ხაზი, ორ წყალსაცავს არ გააჩნია საკმარისი უნარი მიგრაციული თევზებისათვის ამგვარი ბარიერების გადასალახად. ამისაგან განსხვავებით, ESIA-მ გაითვალისწინა ბიომრავალფეროვნების შემამსუბუქებელი და საკომპენსაციო ზომები რეკრეაციული თევზაობისათვის, მათ შორის, წყალსაცავის გარშემო ახალი რეკრეაციული სათევზაო ადგილების შექმნა და ამ წყალსაცავებისა და მდინარეების მომარაგება ადგილობრივი თევზების სახეობებით. საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ IFC-ის მომხმარებელმა თავის თავზე აიღო ტყის ხელახალი განაშენიანება პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შედეგად გამოწვეული დაკარგული ხეების საკომპენსაციოდ, CAO აღნიშნავს, რომ AGL-ს რეაგირება არ მოუხდენია მდინარეების გასწვრივ ხეების პოტენციურ დაკარგვაზე, წყლის ეკოლოგიური დინების შემცირების გათვალისწინებით.

CAO აღნიშნავს, რომ პროექტით დაგეგმილი მდინარის დინების 10%-ით შემცირებას საშუალო წლიურ დინებასთან შეფარდებით, უეჭველად მოჰყვებოდა მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგი ბიომრავალფეროვნებაზე, მათ შორის, ქვირითის დაყრის ჰაბიტატის, მდინარეთა ურთიერთკავშირისა და მდინარისპირა ჰაბიტატების დაკარგვა. ამრიგად, კომპლექსური შემოწმების პერიოდში IFC-ის უნდა უზრუნველყო, რომ მომხმარებელს შეეთავაზებინა ისეთი ზომების მიღება, რაც თვალნათლივ უჩვენებდა, რომ შეუძლებელი იქნებოდა აკვატიკური სახეობების წმინდა დანაკარგის გონივრული მიღწევა, იერარქიული შემამსუბუქებელი ზომების შემუშავების გამო. რადგან პროექტის გეგმები არ შეიცავდნენ ამგვარ შემამსუბუქებელ ზომებს ისეთ რეგიონში, რომელიც გამოირჩევა ბიომრავალფეროვნების სიმდიდრით, CAO ასკვნის, რომ IFC-ის კომპლექსური შემოწმება არ ყოფილა E&S-ს რისკების დონესთან და ზემოქმედებებთან თანაზომიერი და რომ იგი შესაბამისობაში არ იყო თავისი მდგრადობის წესდების ვალდებულებებთან, მომხმარებლის მიერ PS6-ის (პარაგ. 7 და 15) შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

IFC-ის ზედამხედველობა ბიომრავალფეროვნების რესურსებზე: მშენებლობის პერიოდში მომხმარებლის ანალიზმა თევზების მონიტორინგის მონაცემებთან დაკავშირებით (2014 და 2020 წლებს შორის) უჩვენა სახეობების მრავალფეროვნების მნიშვნელოვანი კლება და მდინარის ქვემო დინების სიუხვე პროექტის ორი ჯგუხრისა და კაშხლის მიმართულებით, რაც ასევე ზემოქმედებას ახდენდა ამ რეგიონში რეკრეაციულ თევზაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტენდენცია მოსალოდნელი იყო თუ გავითვალისწინებთ აკვატიკური ჰაბიტატების დაკარგვას, იგი არ ყოფილა დროულად გამოვლენილი და გარდა შავი ზღვის კალმახისა/ყავისფერი კალმახი⁶ თევზებით მომარაგების ძალისხმევა არ განხორციელებულა 2021 წლამდე, AGL-ს არ გამოუყენებია ადაპტაციური მართვის პროგრამა სახეობების დანაკარგის საკომპენსაციოდ და შესამცირებლად.

CAO ასკვნის, რომ პროექტის ათწლიანი მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში, IFC-ს არ განუხორციელებია ზედამხედველობა AGL-ის მიერ ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის მოთხოვნების დანერგვასთან დაკავშირებით, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული

⁶ პროექტის დოკუმენტებში დასახელებულია თევზი, რომელიც გამოყენებულ იქნა როგორც კალმახის ან ყავისფერი კალმახის გასამრავლებლად. მცირე სხვაობა შეესაბამება ყავისფერ კალმახს (*Salmo trutta*), რომელიც არ არის საქართველოს მკვიდრი. CAO ვარაუდობს, რომ დოკუმენტებში არსებული მითითებები კალმახზე ან ყავისფერ კალმახზე გამოყენებულია როგორც ადგილობრივი შავი ზღვის კალმახის (*S.l. fario*) მტკნარი წყლის ექოტიპის სინონიმად.

ზემოქმედება და არ მომხდარიყო ბიომრავალფეროვნების წმინდა დანაკარგი, განსაკუთრებით ენდემურ, გადაშენების პირას არსებულ და მოწყვლად სახეობებთან დაკავშირებით. მდინარის კვლევის შეზღუდული ფარგლები და მეთოდოლოგია თევზების საბაზისო დონის დასადგენად და თევზების მონიტორინგის სადგურებზე მომხმარებლის მიერ შეტანილი ცვლილებები, არ გვაიმედებს, რომ არსებობდეს რაიმე შესატყვისობა პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების პერიოდში შეგროვებულ თევზების საბაზისო დონის მონაცემებსა და თევზების კვლევის მონაცემებს შორის. აქედან გამომდინარე, CAO ასკვნის, რომ IFC-მ ვერ დააკმაყოფილა თავისი ვალდებულება მდგრადობის წესდების ქვეშ (პარაგ. 7 და 45), რომ ზედამხედველობა გაეწია თავის მომხმარებელზე, რათა ამ უკანასკნელს შეემუშავებინა შესაბამისი შემამსუბუქებელი და საკომპენსაციო ზომები წმინდა დანაკარგის გაღების გარეშე, PS6-ის (პარაგ. 15) შესაბამისად.

IFC-ის ზედამხედველობა ეკოლოგიურ დინებაზე პროექტით დაზარალებულ მდინარეებში: CAO აცნობიერებს, რომ IFC-ის მომხმარებელი მონიტორინგს უწევდა მდინარეების: აჭარისწყლის, შხალთასა და ჩირუხისწყლის ეკოლოგიურ დინებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი ინარჩუნებდნენ საშუალო წლიური დინების სულ მცირე 10%-ს, როგორც ამას მოითხოვდა პროექტის დაბალი დინების შემსუბუქების სტრატეგია. თუმცა, როგორც ეს ზემოთ იყო აღწერილი, CAO-მ ვერ მოიძია რაიმე მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ შეფასების პერიოდში გაკეთებული ეკოლოგიური დინების ანალიზი აგვარებდა ბუნებრივი ჰაბიტატის მოთხოვნებს, რომ მიმდინარე საშუალო წლიური 10% ეკოლოგიური დინება საკმარისია ბიომრავალფეროვნებაზე პროექტის ზემოქმედების შესამსუბუქებლად, მათ შორის, ისეთი სახეობების კონსერვაციისათვის, როგორიცაა შავი ზღვის ორაგული, შავი ზღვის კალმახი, ევროპული გველთევზა და ევრაზიული წავი, რაც შეესაბამება PS6-ს. ამიტომ, CAO ასკვნის, რომ IFC-მ ვერ განახორციელა AGL-ის ზედამხედველობა, რომ ამ უკანასკნელს გაეკეთებინა მდორე დინების ზემოქმედების ანალიზი გადაშენების პირას არსებულ და მოწყვლად ფაუნასთან დაკავშირებით, რაც სცდება მისი საქმიანობის ფარგლებს, ანუ სამივე მდინარეზე საშუალო წლიური დინების 10% შესრულების აღრიცხვას. თავისი უმოქმედობის გამო, IFC-იმ ვერ შეასრულა მდგრადობის წესდებით (პარაგ. 7 და 45) დაკისრებული მოვალეობები, რათა უზრუნველყო AGL-ის მიერ შემამსუბუქებელი ზომების შემუშავება, რაც შეესაბამებოდა PS1-სა და PS6-ის მოთხოვნებს.

მომჩივნების მიერ მიღებული შესაბამისი ზიანი

მომჩივნების მიერ სავარაუდოდ მიღებული ძირითადი ზიანი ეხება საყოფაცხოვრებო და საარსებო სასოფლო-სამეურნეო მიწებისათვის გამოყენებულ წყაროს წყლებზე ზემოქმედებას და ასევე ზემოქმედებას ბიომრავალფეროვნებაზე, მათ შორის ზემოქმედებას რეკრეაციულ თევზაობაზეც. იმისათვის, რომ შეეფასებინა არსებობს თუ არა IFC-ის მიერ გამოვლენილ შეუსაბამობასთან დაკავშირებული ზიანი, CAO ითვალისწინებს იმ ფაქტს, მიუძღვის თუ არა წვლილი მოცემულ შეუსაბამობას მონაცემების ან ინფორმაციის არ არსებობაში, რომელიც აუცილებელია ზიანის შესახებ ბრალდებების დასამოწმებლად.

მიწისქვეშა და წყაროს წყლებთან დაკავშირებით, CAO ასკვნის:

- 1) რომ შემამსუბუქებელი ზომების შემუშავებასა და ზედამხედველობაში დაშვებულმა ხარვეზებმა გამოიწვია სუფთა წყალზე არასანდო წვდომა რაც გამოვლენილი და ურთიერთშეთანხმებული იყო მიწისქვეშა წყლების გამოყენებასთან დაკავშირებით, მათ

შორის ალტერნატიული წყლით მომარაგების პოტენციური ზემოქმედების მოსაგვარებლად, და ეს წარმოადგენს მომჩივნების მიმართ მიყენებულ ზიანს.

- 2) რომ ადგილობრივი რთული გეოლოგია და ინფორმაციის ვაკუუმი ართულებს იმის დადგენის შესაძლებლობას, რომ გვირაბის მშენებლობამ ზემოქმედება მოახდინა მომჩივნების მიერ საყოფაცხოვრებოდ, საარსებოდ და სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენებულ წყაროს წყლებზე. ამავე დროს, ESIA-ის მიერ დაშვებული იქნა შეცდომა, რადგან მას არ დაუდგენია არსებული წყაროს წყლების საბაზისო დონე პროექტის მიერ დაზარალებული მოსახლეობის მახლობლად, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა მოსახლეობის მიერ წყაროს წყლებზე დამოკიდებულების მყარი მტკიცებულება, რომელსაც ისინი მოიხმარდნენ პირადი და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის. ეს ყველაფერი ართულებს იმის დადგენის შესაძლებლობას, რომ გვირაბის მშენებლობას გავლენა არ ჰქონია ამ წყაროს წყლებზე. ამიტომ, **CAO ასკვნის, რომ შეუძლებელია ამ სავარაუდო ზიანის გამორიცხვა.**

ბიომრავალფეროვნებასთან და რეკრეაციულ თევზაობასთან დაკავშირებით CAO ასკვნის:

- 1) რომ დანარჩენი სახის ზემოქმედებები აკვატიკურ და მდინარის ექოსისტემებზე რჩება შემსუბუქების გარეშე. მდინარის მუდმივი საშუალო წლიური დინების 10%-ის დადგენა, ქვირითის დაყრის ჰაბიტატზე ზემოქმედება პროექტის მშენებლობის გამო და მდინარეებს შორის ურთიერთკავშირის დაკარგვა, დიდაჭარისა და შხალთას ჯებირებზე თევზების გამავლობის შემცირების შედეგად წარმოადგენს აჭარისწყლის, შხალთასა და ჩირუხისწყლის მდინარეებში აკვატიკურ ჰაბიტატზე ზიანის მიყენების მნიშვნელოვან შესაძლებლობას.
- 2) რომ ბიომრავალფეროვნებაზე პროექტის მიერ გამოწვეული ზემოქმედები და განსაკუთრებით თევზების სახეობების კლება მშენებლობის პერიოდში, ხარვეზები შემამსუბუქებელი ზომების დანერგვასა და ზედამხედველობაში შეუძლებელს ხდის რეკრეაციულ თევზაობაზე მიყენებული სავარაუდო ზიანის გამორიცხვას.

ამ დაკვნების გასაკეთებლად, CAO-მ გაითვალისწინა ზემოთ მოცემული შემოკლებული მტკიცებულება (და მთავარ ანგარიშში მოცემული უფრო მეტი დეტალები) და ასევე მის მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი ექსპერტების დასკვნები.

CAO-ს რეკომენდაციები IFC-სა და MIGA-თვის

CAO-ს რეკომენდაციები IFC-სა და MIGA-მიერ მხედველობაში მისაღებად მათ მიერ მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას და ამ ანგარიშში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად მოცემულია ქვემოთ. მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მომხმარებელთან თანამშრომლობის საფუძველზე მოგვარებულ იქნეს პროექტის დონეზე დაშვებული შეუსაბამოებები და მათ მიერ მიყენებული ზიანი, რომლებიც დაკავშირებულია ესოდენ დიდი მასშტაბის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მიმდინარე ინვესტიციებთან გეოლოგიურად არამყარ და ეკოლოგიურად მოწყვლად რეგიონში.

CAO აღნიშნავს, რომ მისი რეკომენდაციები შემოიფარგლება დასკვნებით მიყენებული ზიანის შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია შეუსაბამოებებთან, მაგრამ იგი ხაზს უსვამს IFC-ის

შესაძლებლობას, რომ ამ უკანასკნელმა მხარი დაუჭიროს აქტიური ინვესტიციის აღდგენით სამუშაოებს და აღმოფხვრას მიმდინარე ხარვეზები. ასევე ზედამხედველობა გაუწიოს AGL-ს PS6-თან თანხვედრობის უზრუნველსაყოფად. მომჩივნების მთავარ პრობლემად რჩება მიწისქვეშა რესურსებზე წვდომის არ ქონა და არასტაბილური საცხოვრებელი პირობები. რეკომენდაციები ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ IFC-ს აქვს შესაძლებლობა დახმარება გაუწიოს შეთავაზებული ზომების გატარებას.

რეკომენდაციები პროექტის დონეზე

1. **წყლით მომარაგება:** ალტერნატიული წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით, პროექტის ESIA-სა და ESMP-ში მოყვანილი შემამსუბუქებელი ზომების შესაბამისად, IFC-მ უნდა ითანამშრომლოს თავის მომხმარებელთან, რათა გააგრძელოს მუნიციპალიტეტის ძალისხმევის მხარდაჭერა, გრძელ-ვადიანი, საკმარისი რაოდენობისა და ხარისხიანი სასმელი წყლის მომარაგების უზრუნველსაყოფად სოფელ მახალაკიძეებსა და რაბათის დასახლებებში, რათა მოსახლეობამ შეძლოს საჭირო საარსებო და საყოფაცხოვრებო მოხმარების დაკმაყოფილება. ეს დამატებითი ძალისხმევები უნდა განხორციელდეს გონივრული დროის ვადაში. მანამ, სანამ მიმდინარეობს სისტემის გასაუმჯობესებელი სამუშაოები. CAO რეკომენდაციას იძლევა, რომ IFC-მა ითანამშრომლოს თავის მომხმარებელთან, მომჩივნებისათვის ამჟამად მიწოდებული ალტერნატიული წყლის მომარაგების გასაუმჯობესებლად და დააკმაყოფილოს მოსახლეობა სამყოფი და ხარისხიანი წყლით. ეს სამუშაო უნდა დაიყოს კატეგორიებად, როგორც PS1⁷ პროექტის შემამსუბუქებელი ან საკომპენსაციო ზომა, რომელიც ჩატარდება IFC-ის ზედამხედველობის ქვეშ.⁸ ამ მიზნის განსახორციელებლად, CAO რეკომენდაციას იძლევა, რომ IFC-მ თავის ზედამხედველობის ფარგლებში შეამოწმოს მომხმარებელთათვის წყლის მიწოდება და დარწმუნდეს, რომ წყლის ხარისხის სტანდარტები დამაკმაყოფილებელია და რომ მოსახლეობას მიეწოდება საკმარისი რაოდენობის წყალი მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. თუ პროექტის ადგილ-მდებარეობის რეალობიდან გამომდინარე, გართულება იმაში დარწმუნება, რომ მომჩივნებს მიეწოდებათ საკმარისი რაოდენობის სუფთა წყალი, IFC-მ უნდა ითანამშრომლოს თავის მომხმარებელთან სხვა ალტერნატიული ზომების მისაღებად, როგორიცაა დახმარების გაწევა მათ ახალ ადგილას განსასახლებლად.

2. **ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე:** ბიომრავალფეროვნების საბაზისო დონის მონიტორინგის დროს აღმოჩენილი ხარვეზების გამო, CAO რეკომენდაციას იძლევა, რომ მსოფლიო ბანკის კარგი პრაქტიკის ცნობარის⁹ შესაბამისად, IFC-მა ითანამშრომლოს თავის მომხმარებელთან იმისათვის, რომ:

⁷ PS1 ადგენს, რომ შემამსუბუქებელი ზომების იერარქია გამოვლენილი რისკებისა და ზემოქმედებების აღმოსაფხვრელად, უპირატესობას ანიჭებს ზემოქმედებების თავიდან აცილებას და არა მათ მინიმუმამდე დაყვანას და დარჩენილი ზემოქმედებების შემთხვევაში, საკომპენსაციო ზომებს, ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე. PS1-ის ერთ-ერთი მიზანია შემამსუბუქებელი ზომების იერარქიის შემუშავება, როგორიცაა წინასწარი განჭვრეტა და თავიდან აცილება, ან თუ თავიდან აცილება ვერ ხერხდება, მისი მინიმუმამდე დაყვანა, ხოლო დარჩენილი ზემოქმედების შემთხვევაში, პროექტის ზემოქმედებით გამოწვეული კომპენსაცია.

⁸ როგორც ეს დადგენილია ESIA-სა და ESMP-ში.

⁹ “როდესაც მასპინძელი ქვეყანა გასცემს ეკოლოგიურ ლიცენზიას E-Flows შეფასებამდე ან E-flow-ს ერთობლივი მართვის გეგმის (EFMP) შეფასებამდე, უნდა გადაიხედოს პროექტის დაპროექტება და E-Flows-ს გადაწყვეტილებები.” კარგი პრაქტიკის ცნობარი, ეკოლოგიური დინებები, ჰიდროენერგო პროექტების გზამკვლევი ახალ აღმოცენებული ბაზრების კერძო სექტორისათვის (გვ.45 WBG, 2018).

- განაახლოს თევზის საბაზისო დონე, რათა გამოავლინოს თევზის სახეობების მრავალფეროვნება შუახევის სქემის შესწორებული კვლევის სფეროში, წლის ყველა სეზონზე და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ენდემურ, გადაშენების პირას არსებულ და მოწყვლად სახეობებს, რომლებიც დამოკიდებულნი არიან აკვატიკურ ექოსისტემებზე, მათ შორის თევზის სახეობებს.
- განახლებული საბაზისო დონის შედეგებზე დაყრდნობით, გამოავლინოს ინდივიდუალური სახეობების ჰაბიტატის საჭიროებები და ხელახლა განიხილოს პროექტის ეკოლოგიური დინების შეფასება. ამაში უნდა შევიდეს განახლებული ეკოლოგიური დინების ანალიზი, მაღალი რეზოლუციის მქონე მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც ახდენს სხვადასხვა ეკოლოგიური დინების სცენარების შეფასებას, რათა გამოვლენილი თევზის სახეობაზე და სხვა სახეობებზეც არსებული ზემოქმედება, რომლებიც დამოკიდებულნი არიან მტკნარი წყლის ჰაბიტატზე. ამ ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული ზომების შესახებ გავრცელებულ უნდა იქნეს ინფორმაცია, რათა ჯეროვნად იქნეს შემსუბუქებული ან აღმოფხვრილი ბიომრავალფეროვნებაზე არსებული დანარჩენი არასასურველი ზემოქმედებები და მოხდეს წმინდა დანაკარგის არ არსებობის დემონსტრირება.¹⁰
- IFC-მა და მომხმარებელმა უნდა ჩართონ საერთაშორისოდ ცნობილი ექსპერტები, მათ მიერ ეკოლოგიური დინების ანალიზის განხილვის და BAP-ის განახლების მიზნით, რათა დარწმუნდეს, რომ მიღებული შემამსუბუქებელი ან/და აღმოსაფხვრელი ზომები ჯეროვანია ბიომრავალფეროვნების დანაკარგის თავიდან ასაცილებლად.
- საბოლოოდ, იმისათვის, რომ დაზარალებულ მდინარეებსა და წყალსაცავებში აკვატიკურ ბიომრავალფეროვნებაზე პროექტის ზემოქმედებები ჯეროვნად იქნეს შეფასებული, CAO რეკომენდაციას იძლევა, რომ IFC-მ ითანამშრომლოს თავის მომხმარებელთან თევზის პოპულაციისა და მოწყვლადი სახეობების მონიტორინგის გასაგრძელებლად პროექტის მიმდინარეობის მთელ პერიოდში. საერთაშორისო ექსპერტებმა ასევე უნდა განიხილონ მონიტორინგის პროგრამა რათა დარწმუნდნენ, რომ იგი ჯეროვნად ავლენს და მონიშნავს ნებისმიერ მნიშვნელოვან ცვლილებას სახეობათა მრავალფეროვნებასა და პოპულაციებში. ამან უნდა უზრუნველყოს ინფორმირება შემამსუბუქებელი ზომების პერიოდული განახლების ან/და კომპენსაციის ზომებთან დაკავშირებით.

მორიგი ნაბიჯები

CAO-ს წესდების შესაბამისად, ამ შესაბამისობის გამოძიების პასუხად IFC-ი მოამზადებს მართვის სამოქმედო გეგმას საბჭოს მიერ დასამტკიცებლად, რის შემდეგაც იგი ჩაატარებს კონსულტაციას AGL-თან და მომჩივნეებთან. CAO მონიტორინგს გაუწევს მართვის სამოქმედო გეგმის

¹⁰ პოტენციური კომპენსაციის მაგალითებში შედის: კავშირის აღდგენა ბარიერების მოცილებით (ჯებირები, კაშხლები) რეგიონის იმ მდინარეებიდან, სადაც ისინი აღარაა საჭირო; თევზის გამავალი ხაზების აღდგენა ბარიერებთან პროექტის გარეთ, სადაც ისინი არ არსებობენ; ან/და ახლომახლო წყალგამყოფზე დაცული ადგილების დაარსება ჯებირების გარეშე და ფონდის მართვის გეგმის მომზადება და შემუშავება.

წარმატებით შემუშავებას.

CAO გამოაქვეყნებს გამოძიების ანგარიშს თავის ვებგვერდზე: www.cao-ombudsman.org/cases.

I. ადგილობრივი ნაწილი

A. IFC-ის და MIGA-ს პროექტი

- 1.1 აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის კაშხლის პროექტი მდებარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონში, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში, თურქეთის საზღვართან ახლოს. შედარებით ფართო მდინარე აჭარისწყლის აუზი¹¹ წარმოადგენს მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ზონას მისი ბიომრავალფეროვნებიდან და ენდემურობიდან გამომდინარე, კერძოდ ქვეწარმავლებთან, ჩიტებთან და მცენარეულ სახეობებთან დაკავშირებით.¹² საქართველოს მთავრობის მიერ კავკასია გამოვლენილია, როგორც გლობალური მასშტაბით 34 ბიომრავალფეროვნების მქონე ცხელი წერტილიდან ერთ-ერთი და აღიარებს, რომ მის ჰაბიტატებზე გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის, ენერგიის გამომუშავებისა და სხვა მოქმედებების შედეგად გამოწვეული მზარდი ზეწოლა.¹³
- 1.2 კაშხლის პროექტი, რომელიც დაპროექტებულ იქნა ადგილობრივი წყლის რესურსების გამოყენების მიზნით, როგორც თურქეთის, ასევე ადგილობრივ ბაზარზე დენის მისაწოდებლად, თავდაპირველად განიხილებოდა, როგორც სამი ენერგო სადგური –187-მეგავატის (MW) შუახევის სქემა, 150MW კორომხეთის სქემა და 65MW ხერთვისის სქემა (გამოსახულება 1). მას შემდეგ, რაც AGL-მა გადაწყვიტა, რომ აღარ განეხილა ხერთვისის სქემა, მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ეკოლოგიური რისკების გამო, შემუშავებული იქნა მხოლოდ შუახევის სქემა. კორომხეთის სქემა დღემდე გაჩერებულია და არ ამუშავებულა.¹⁴
- 1.3 2018 წელს CAO-ს მიერ ადგილობრივი მოსახლეობისგან მიღებული საჩივარი ეხება შუახევის სქემას (რომელიც ასევე ცნობილია, როგორც “შუახევის ჰიდრო ენერგო პროექტი (HPP)” ან “პროექტი”). IFC-ი და სხვა კრედიტორები ამ აქტიურ პროექტში ჩართულები არიან 2013 წლიდან.


¹¹ მდინარე აჭარისწყლის აუზი დაახლოებით 1565 კმ² -ია და გაცილებით დიდია ვიდრე პროექტის ზემოქმედების ზონა.

¹² IFC, ESRS. ხელმისაწვდომია აქ: <https://disclosures.ifc.org/project-detail/ESRS/33435/adjaristsqali-georgia-llc>

¹³ საქართველოს მიერ გაერთიანებული ერების საბჭოსათვის ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ გაგზავნილ მეოთხე ეროვნულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ საქართველოს კავკასიური ეკოლოგიური რეგიონი წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების 34 “ცხელი წერტილიდან” ერთ-ერთს და გამოირჩევა მისი “ენდემურობის მაღალი დონით და ამასთანავე ჰაბიტატის დაკარგვის სერიოზული საფრთხის ქვეშ დგას”. <https://www.cbd.int/doc/world/ge/ge-nr-04-en.pdf>.

¹⁴ IFC, ESRS.

გამოსახულება 1. აჭარისწყლის ჰიდროელექტრო სადგურის კაშხლის პროექტი



წყარო: IBRD-ის კარგოგრაფიის განყოფილება, მაისი, 2024 წ.

- 1.4 შპს აჭარისწყალი საქართველო (AGL) არის საგანგებო დანიშნულების კომპანია, რომელიც დაარსდა, შეიქმნა და ამჟამად ამუშავებს შუახევის ჰიდროელექტრო სადგურს. AGL-ის 100%-იანი წილი ეკუთვნის კომპანიას Adjarsqtali Netherlands B.V., რომელიც თავდაპირველად ეკუთვნოდა კომპანიას Clean Energy Invest of Norway-ს (40%), Tata Power International Pte. Limited of Singapore-ს (40%), და IFC-ს (20%). 2020 წლის აპრილიდან, კომპანიას Adjarsqtali Netherlands B.V. თანაბარწილად ფლობდა კომპანია Clean Energy Invest-ი და კომპანია Tata Power International Pte. Limited-ი.
- 1.5 IFC-ის შესაბამისად, ინვესტორების მიზანი \$427 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროექტთან დაკავშირებით იყო: a) გაეზარდა საქართველოს განახლებადი ენერგიის

გამომუშავება; b) შეემცირებინა სათბურის აირის (GHG) გამონაბოლქვები; c) გაეზარდა საქართველოს უნარი მოეზიდა საერთაშორისო ინვესტიციები ჰიდროენერგეტიკის სფეროში; და d) წვლილი შეეტანა საქართველოში კერძო სექტორის ინვესტიციებში, მათ შორის, სამხრეთ-სამხრეთის ინვესტიციებში.¹⁵ 2011 წელს, IFC InfraVentures-ი¹⁶ შეუდგა დახმარებას პროექტის გასავითარებლად (IFC პროექტი #30428) AGL-ის მიერ მშენებლობის დაფინანსების მიზნით ინვესტიციის უზრუნველყოფაში დახმარების გაწევით. 2014 წელს, სამმა კრედიტორმა: IFC-მ, რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპულმა ბანკმა (EBRD) და აზიის განვითარების ბანკმა (ADB) შესაბამისად უზრუნველყვეს \$70 მილიონი დოლარის, \$90 მილიონი დოლარის და \$90 მილიონი დოლარის სესხები ჰიდროელექტრო სადგურის ასაშენებლად (IFC-ის პროექტი #33435).¹⁷ IFC-მ ასევე განახორციელა \$34 აშშ დოლარამდე კაპიტალდაბანდება AGL-ში (IFC-ის პროექტი #37781). 2015 წელს, MIGA-მ უზრუნველყო \$63 მილიონი დოლარის გარანტია Tata Power International Pte. Limited-თვის, მის მიერ პროექტში (MIGA-ს პროექტი #12315) განხორციელებული კაპიტალდაბანდების დასაზღვევად.^{18,19} სადგურის აშენების შემდეგ, IFC-ის საკონსულტაციო მომსახურებამ უზრუნველყო სახელმძღვანელო მითითებები AGL-ის სამშენებლო მუშახელის დემობილიზებასა და ამასთან დაკავშირებული სარეალიზაციო გეგმების სტრატეგიისათვის, მათ შორის, ამ მუშახელისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის მდგრადი საარსებო შესაძლებლობების შექმნა (IFC-ის პროექტი #601449).²⁰

გამოსახულება 2. შუახვევის სქემა

¹⁵ IFC, SII. მოსალოდნელი ზემოქმედების გაზომვა და მონიტორინგის შეფასება. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3xRLHmS>.


¹⁶ IFC InfraVenture-ი არის “გლობალური ინფრასტრუქტურის პროექტის განვითარების ფონდი, რომელიც შეიქმნა მსოფლიო ბანკის ჯგუფის ძალისხმევით, განვითარებად ქვეყნებში საბანკო პროექტების ზაზის გასაზრდელად. მისი უნიკალური შეთავაზება, რაც გულისხმობს ადრეული სტადიის რისკის აქტივისა და გამოცდილი პროექტის განვითარების მხარდაჭერის გაერთიანებას, გათვალისწინებულია მოსაზღვრე ბაზრებზე ინფრასტრუქტურის პროექტებში კერძო აქტივის საკვანძო პრობლემების გადასაჭრელად.”

¹⁷ IFC-იმ ერთობლივად დაამუშავა ვალისა და აქტივის ინვესტიცია პროექტის #33435 ქვეშ, მათ შორის, პროექტის ინფორმაციას გამჟღავნება. IFC, SII. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3xRLHmS>.

¹⁸ მრავალმხრივი ინვესტიციების საგარანტიო სააგენტო, აჭარისწყლის ჰიდრო პროექტი, პროექტის აღწერა: <https://bit.ly/3lhR3wg>

¹⁹ ეკოლოგიური და სოციალური მდგრადობის (para. 6) შესახებ MIGA-ს წესდების შესაბამისად და IFC-სა და MIGA-ს შორის გაფორმებული შიდა ხელშეკრულების ბაზაზე, ამ ერთობლივ პროექტში, MIGA ეყრდნობა IFC-ის E&S-ის კომპლექსურ შემოწმებასა და მონიტორინგს.

²⁰ IFC, საკონსულტაციო მომსახურების მოკლე შინაარსი და ინფორმაცია პროექტის შესახებ: <https://bit.ly/3oq0kuB>. CAO არ ითვალისწინებს ამ საკონსულტაციო მომსახურების პროექტს, რადგან მას მნიშვნელობა არა აქვს საჩივარში აღძრულ საკითხებთან დაკავშირებით.



წყარო: IBRD-ის კარტოგრაფიული განყოფილება, ივნისი 2024წ.

- 1.6 187 MW-ის შუახევის ჰიდროელექტრო პროექტი შეიქმნა წლიურად 464,000 მეგავატი საათის (MWh) ენერგიის გამოსამუშავებლად იმისათვის, რომ წელიწადში ცხრა თვე განხორციელდეს მისი ექსპორტი თურქეთში და გაყიდულიყო შიდა ბაზარზე დეკემბრიდან თებერვლამდე, როდესაც საქართველო განიცდის ენერგიის დეფიციტს. სქემა შედგება მდინარე აჭარისწყალზე 39-მეტრის 623,000 მ³ წყალსატევის სიმძლავრის დიდაჭარის კაშხლისაგან, მდინარე შხალთაზე 22-მეტრის 493,000 მ³ წყალსატევის სიმძლავრის შხალთას კაშხლისაგან და მდინარე ჩირუხისწყალზე 5-მეტრის კაშხლისაგან, მთელ რიგ გადასასვლელ გვირაბებთან ერთად, რომლებიც გადაჭიმულია 33.8 კილომეტრზე (კმ)²¹ და რომელიც ერთნამეთთან აკავშირებს წყალსატევებს შუახევის ელექტრო სადგურთან. (იხილეთ აგრეთვე გამოსახულება 2 და ქვემოთ მოცემული ლექსიკონი). ეს მშენებლობა ასევე მოიცავდა 5.9 კმ სიგრძის გზებს, ოთხ ცალ ახალ ხიდს და სამშენებლო ბანაკებს.²² თავისი ეკოლოგიური და

²¹ გვირაბები მოიცავენ: 5.8 კმ-ის გვირაბს მდინარე ჩირუხისწყლიდან მდინარე შხალთამდე და შხალთას ჰიდროელექტროსადგურამდე (HPP); 9.1 კმ-ის გვირაბს მდინარე შხალთაგან და მდინარე ჩირუხისწყლიდან მდინარე აჭარისწყლის დიდაჭარის წყალსატევამდე და 16.8 კმ-ის გვირაბს დიდაჭარის წყალსატევიდან 178 MW-ის შუახევის HPP-მდე. ESIA, გვ. 24. ხელმისაწვდომია აქ: <chrome-extension://efaidnbmnnnnbpccajpcgiclfndmkaj/https://agl.com.ge/storage/media/other/2024-01-10/051fcc30-afa9-11ee-a75e-ed09f187ca8f.pdf>.

²² ESRS.

სოციალური მდგრადობის წესდებაში, IFC-მა ეს სქემა განსაზღვრა A კატეგორიის პროექტად მრავალ ობიექტზე სავარაუდოდ მნიშვნელოვანი უარყოფითი რისკებიდან გამომდინარე, მათ შორის, ჰიდროლოგიურ/ეკოლოგიურ დინებასთან, მიწის გამოყენება/საკუთრებასთან, ბიომრავალფეროვნებასთან, კაშხლის უსაფრთხოებასთან და მოსახლეობისა და მუშახელის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

1.7 პროექტის მშენებლობა დაიწყო 2014 წლის ივნისში და სავარაუდოდ უნდა დასრულებულიყო სამ წელიწადში.²³ 2017 წლის აგვისტოდან ოქტომბრამდე, დასრულებული სადგურის გამოსაცდელად ექსპლუატაციაში გაშვებისას, მნიშვნელოვნად ჩამოინგრა გვირაბის შვიდი სხვადასხვა მონაკვეთი. პროექტი გაჩერებულ იქნა, ხოლო გვირაბები კი ამოტუმბული იმისათვის, რომ ჩატარებულიყო 12-თვიანი ფართო გამოძიება, რის შედეგადაც გამოვლინდა დაახლოებით 300 მეტრის დაზიანებული გვირაბი. კერძოდ, გამოძიების შედეგად აღმოჩნდა, რომ: (a) მიმწოდებელი არხის გვირაბის და რამოდენიმე სხვა ადგილების ჩამონგრევები დაკავშირებული იყო მშენებლობის პერიოდში კლდის არასაკმარისი გამაგრებით; და (b) დანარჩენი ნგრევები კი დაკავშირებული იყო არსებული კლდის გაფართოებით²⁴ და არაერთგვაროვანი კლდის სახეობებით, რამაც გამოიწვია მიწის დეფორმაციები და დააწვა გვირაბის მოპირკეთებებს, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია მათი ნგრევა. 2019 წელს, IFC-ის საბჭომ დაამტკიცა სესხის რესტრუქტურირაცია, AGL-ის დასახმარებლად რემონტის დასამთავრებელი საჭირო ფონდების უზრუნველსაყოფად. გამოძიებას და რეაბილიტაციის სამუშაოებს, მათ შორის 80% -მდე პროექტით გათვალისწინებული გვირაბების მოპირკეთებას დასჭირდა დაახლოებით ორი წელი და დაიხარჯა დაახლოებით \$120 მილიონი დოლარი. შუახვევის HPP ექსპლუატაციაში ხელახლა იქნა გაშვებული 2020 წლის თებერვალში, ხოლო ერთი თვის შემდეგ კი დაიწყო ოპერაციები.²⁵

1.8 2016 წლის დეკემბერში, IFC-მ დაასრულა თავისი საკონსულტაციო მომსახურებები AGL-თვის. 2020 წლის აპრილში, IFC-მა თავისი AGL-ის აქციები თანაბარი რაოდენობით მიჰყიდა Clean Energy Invest-ს და Tata Power International Pte. Limited-ს, რითაც იგი გავიდა აქტივის ინვესტიიდან. მიუხედავად იმისა, რომ IFC-ის სააქტივო და საკონსულტაციო პროექტები დახურულია, IFC-ის A სესხი და MIGA-ს გარანტია ამ ანგარიშის შექმნის დროისათვის ჯერ კიდევ აქტიურია.

პროექტის ლექსიკონი	
-----------------------	--

²³ ESRS.

²⁴ გაფართოებული კლდის მასალა არის კლდის ის მასალა, რომელსაც წყლის შეწოვის და გაფართოების უნარი აქვს. კავკასიაში გვირაბების გაყვანა დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე კლდის გაფართოების გამო, რაც აწვევს გვირაბს და ასუსტებს მის სტაბილურობას. ტექტონიკურ ძვრებს და მთის ფორმირების პროცესებს შეუძლია დამატებით გაართულოს სტაბილურობა იქ, სადაც წყლის არსებობა, განსაკუთრებით წყალსატევების ახლოს, ზრდის გაფართოების ზეწოლას, რაც საჭიროებს ეფექტურ დრენაჟს და ჰიდროიზოლაციის სტრატეგიას. მიწისქვეშა გათხრებმა შეიძლება ასევე გამოიწვიოს გაფართოება.

უ. სტაინერი, "კლდის გაფართოება გვირაბებში: კლდის მახასიათებლები, ჰორიზონტალური სტრესის შედეგი და მშენებლობის პროცედურები," კლდის მექანიკისა და სამთო მეცნიერებების და გეომექანიკების რეფერატების საერთაშორისო ჟურნალი, ტომი. 30, no. 4, გვ. 361-380, აგვ. 1993.

²⁵ დამატებითი ინფორმაცია გვირაბის ჩამონგრევასა და განხორციელებულ გამოსასწორებელ სამუშაოებზე იხილეთ აქ: <https://agl.com.ge/storage/media/other/2024-01-10/b651e550-af90-11ee-8894-4b3f5b5493c1.pdf>

ჯებირი	დინების კალაპოტის გასწვრივ აშენებული წყლის შემაკავებელი კედელი. წყალი მიედინება წყალსაგდებებსა და კარიბჭეებში კაშხლის ზემოთა ნაწილის ნაცვლად.
თევზის გასასვლელები	კონსტრუქცია, რომელიც შესაძლებელს ხდის, რომ თევზებმა იმოძრაონ ისეთი ბარიერების გვერდის ავლით, როგორიცაა ჯებირები და კაშხლები. თევზის გასასვლელები აგრეთვე ცნობილია, როგორც: თევზის კიბეები, თევზის გამავალი კონსტრუქცია, ან თევზის ნაბიჯები.
მიწისქვეშა წყლების მონიტორინგი	წყალსატევში მიწისქვეშა წყლების დონეების მონიტორინგი
მიწისქვეშა წყლების გამოყენება	მოსახლეობის მიერ მიწისქვეშა წყალსატევებიდან ამოსული წყაროს წყლების გამოყენება
კარიბჭე	არხი წყლის ბორბალზე ან ტურბინაზე წყლის გადასატანად
ელექტროსადგური	კონსტრუქცია, სადაც მოთავსებულია გენერატორები და ტურბინები ჰიდროელექტროსადგურის ობიექტზე
წყალსაცავი	ჯებირის მიერ დაგროვილი და შეკავებული წყალი
წყალსაგდები	ჯებირიდან მოქარბებული წყლის გასასვლელი
წყაროს წყლის მონიტორინგი	პროექტის ზონაში მიწის ზედაპირზე ამოსული წყაროს წყლების მონიტორინგი
გადასასვლელი გვირაბი	წყალსაცავებსა და ჰიდროელექტროსადგურს შორის მდინარეების დამაკავშირებელი მიწისქვეშა გვირაბები
კაშხალი	კალაპოტის მიმართულების შესაცვლელად და წყალდიდობისას დაგროვილი წყლის კონსტრუქციის თავზე გადინების მიზნით მდინარის გასწვრივ აგებული მცირე ბარიერი

B. რეგიონალური საფრთხეები და შესაბამისი საპროექტო შეთანხმებები

- 1.9 აჭარის რეგიონი მიდრეკელია ბუნებრივი საფრთხეებისკენ, მათ შორის ამ რეგიონისთვის დამახასიათებელია ღვარცოფები, ეროზია და მეწყერები. 1989 წელს, მეწყერმა იმსხვერპლა 19 ოჯახი მდინარე შხალთას ხეობაში, მდინარე ჩირუხისწყლის ხეობის მახლობლად, იქ, სადაც ცხოვრობენ მომჩივნები.²⁶ პროექტის E&S-ის ზემოქმედების შეფასებაში (ESIA) ნათქვამია, რომ 763 ოჯახი²⁷ აჭარის ტერიტორიაზე კლასიფიცირებული იყო, როგორც 'ეკოლოგიური

²⁶ ESRS და ESIA, გვ. 7.

²⁷ ეს ოჯახები დასახლებულია ეკო-მიგრანტებად. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ახორციელებენ გრძელ-ვადიანი და დროებითი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროგრამების შემუშავებას იმ მიგრანტებისთვის, რომლებიც ეკოლოგიის გამო გახდნენ ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულნი. 2017 წლის ოქტომბრის თარიღით, OHCHR-მა განაცხადა, რომ საქართველოში დარეგისტრირებულია 18,804 ეკო-მიგრანტი (4,433 ოჯახი). [chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpglcfeindmkaj/https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/Issues/Housing/Housing Strategies/States/Georgia_1.pdf](chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpglcfeindmkaj/https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/Issues/Housing/Housing%20Strategies/States/Georgia_1.pdf)

მიგრანტები' და ბუნებრივი სტიქიების გამო განსახლებულნი იქნენ 2004-დან 2010 წლებში, მათ შორის, პროექტის ახლოს განლაგებული ხულოსა და შუახევის სოფლები. 250-ზე მეტი დასახლება და 20,000-მდე ოჯახი აგრძელებს ამ მაღალი რისკების მქონე საშიშ ზონაში ცხოვრებას. ბოლო 30 წლის განმავლობაში, მეწყერმა გაანადრურა 1,900 სახლი. პროექტის ინფრასტრუქტურის ახლოს არსებული რამდენიმე დასახლება მეწყერისადმი განსაკუთრებული მოწყვლადობით გამოირჩევა, მათ შორის სოფელ მახალაკიძეები, სადაც ცხოვრობენ მომჩივნები.²⁸

1.10 ამ ფონზე, 2014 წლის 1 მაისს, აჭარის ხელისუფლებამ, AGL-მა და სოფელ მახალაკიძეების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, სადაც ხაზგასმით იყო მითითებული ხელისუფლებისა და კომპანიის ვალდებულებები, პროექტის შემადგენელი ნაწილის სახით.²⁹ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ განსაზღვრული სამოსახლო ინვესტიციები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) პროგრამები³⁰ და რომ აჭარის ხელისუფლებას ევალება დაეხმაროს დაზარალებულ ოჯახებს განსახლებაში, თუ მათი სახლი ბუნებრივი სტიქიების გამო დაზიანდა ან საცხოვრებლად უვარგისი გახდა.³¹ AGL-ის ვალდებულებებში შედიოდა შეემოწმებინა გადასასვლელი გვირაბის ცენტრალური ხაზიდან 500 მეტრის რადიუსში არსებული სახლების მდგომარეობა, მიწის ბიძგების მონიტორინგის პროგრამა, პროექტის მასალების გამჟღავნება, მოსახლეობის ინფრასტრუქტურის პროექტის შემუშავება, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ძალისხმევა და ადგილობრივი სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში სწავლისათვის სტიპენდიების გამოყოფა.³² კომპანია ასევე დათანხმდა შეემოწმებინა წყლით მომარაგების ხელმისაწვდომობა და წყლის მიწოდების მოცულობა, რაც უფრო დეტალურადაა განხილული ამ ანგარიშის მე-2 ნაწილში. ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ ამის სანაცვლოდ, სოფელ მახალაკიძეების მაცხოვრებლები არ შეაფერხებდნენ, არ დაბლოკავდნენ და არ მოაწყობდნენ რაიმე სახის დივერსიას ან სხვაგვარად არ ჩაეროდნენ პროექტის მშენებლობაში, შესაბამის სამუშაოებში, ან ობიექტზე მიმოსვლაში.³³

1.11 2019 წელს, AGL-მა განუცხადა კრედიტორების E&S-ის კონსულტანტს, რომ მას შეეძლო განეხილა სოფლის მოსახლეობის დახმარება, ვისაც სურვილი ექნებოდა მონაწილეობა მიეღო განსახლებაში კორპორაციული CSR ძალისხმევის საფუძველზე და IFC-ის ზედამხედველობის მასალებში აღნიშნულია ამ ზომასთან დაკავშირებით მომჩივნების მიერ გამოხატული მხარდაჭერის შესახებ. 2022 წელს ადგილზე ვიზიტისას, CAO-ს გასვლითმა ჯგუფმა შენიშნა საფრთხის შემცველი ბუნება და რამდენიმე მომჩივანმა გამოთქვა მახალაკიძეების სოფლიდან

²⁸ ESIA, გვ. 135 და 136.

²⁹ ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ ის პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მახალაკიძეებში ან რომლებსაც გააჩნიათ ამ ტერიტორიაზე უძრავი ქონების ფლობის პრეტენზია, დათანხმდნენ ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერი პირებისათვის უფლებამოსილების მინიჭებაზე ან მათ წარმომადგენლობაზე და რომ ისინი კანონიერად დაემორჩილებოდნენ ამ ხელშეკრულებას. აჭარის მთავრობის A.R., შპს აჭარისწყალი საქართველოს და სოფელ მახალაკიძეების მოსახლეობას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, დათარიღებული 2014 წლის 1 მაისით, გვ. 2. IFC და MIGA არ ყოფილან ამ ხელშეკრულების მხარეები.

³⁰ Ibid., გვ. 2 და 3.

³¹ აჭარის მთავრობის A.R., შპს აჭარისწყალი საქართველოს და სოფელ მახალაკიძეების მოსახლეობას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, დათარიღებული 2014 წლის 1 მაისით, გვ. 3, ნაწილი 1.

³² Ibid., გვ. 4 – 7, მუხლი 2.

³³ Ibid., მუხლი 4.

განსახლების სურვილი მიწის არასტაბილურობის საფრთხის გამო, მაგრამ ეს არ განუხორციელებიათ, რადგან განსახლების პროგრამით, მთავრობის მიერ მათთვის შეთავაზებული კომპენსაცია არასაკმარისი იყო თავიანთი საარსებო წყაროს სხვაგან აღსადგენად. გარდა ამისა, AGL-მა CAO-ს მოახსენა, რომ მახალაკიძეების რაბათის დასახლებაში მცხოვრებ მოსახლეობას, რომლებიც ყველაზე ახლოს ცხოვრობენ პროექტის ფარგლებში აგებულ გვირაბებთან, განზრახული ჰქონდა სტიქიური უბედურებების გამო მთავრობის განსახლების პროგრამაში დარეგისტრირება. თუმცა, ყველა ოჯახი არ აკმაყოფილებდა მთავრობის განსახლების პროგრამების პირობებს. AGL-მა განაცხადა, რომ ადგილობრივი და რაიონული მთავრობა მხარს უჭერდა ამ არჩევანს. გარდა ამისა 2022 წელს, IFC-ის ზედამხედველობის ანგარიშში აღწერილი იყო რაბათში ვიზიტი, რომლის დროსაც, გეოლოგებმა აღნიშნეს, რომ ეს ზონა საფრთხის შემცველი იყო და რომ მოსახლეობას უნდა გაეთვალისწინებინა აქედან განსახლების ვარიანტი.³⁴ CAO შენიშნავს, რომ რვა წლით ადრე, 2014 წლის მაისში სოფელ მახალაკიძეებმა და AGL-მა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს (MOU), რომელიც შეიცავდა მოსახლეობის განსახლების მხარდაჭერას, პროექტის მიერ წყლის რესურსებზე ზეგავლენის შემთხვევაში.³⁵

C. საჩივარი და CAO-ს შეფასება

a. საჩივრის მოკლე შინაარსი

- 1.12 აჭარის რაიონი შედგება ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედას, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებისგან. სოფელ მახალაკიძეები წარმოადგენს შუახევის მუნიციპალიტეტის ნაწილს, რომელიც მოიცავს მდინარე ჩირუხისწყლის ხეობის ორივე მხარეს და ასევე მდინარის ხეობის ფერდობებს. პროექტის სოფელზე ზემოქმედების ძირითად მიზეზს წარმოადგენს ჩირუხისწყლის კაშხალი და ჩირუხისწყალი-შხალთას გვირაბი. კაშხალი მდებარეობს სოფლის ცენტრიდან დაახლოებით 2 კმ-ში და რაბათის დასახლებაში არსებული სახლების ბოლო მწკრივიდან დაახლოებით 0.8 კმ-ში. რაბათიც ასევე განლაგებულია მიმწოდებელი არხის გვირაბიდან 500 მეტრზე ახლოს. ეს გვირაბი ერთმანეთთან აკავშირებს მდინარეებს ჩირუხისწყალსა და შხალთას.
- 1.13 2018 წლის თებერვალში, პროექტის ობიექტზე მრავალი გვირაბის ჩამონგრევიდან რამდენიმე თვის შემდეგ, CAO-მ მიიღო მოსახლეობის წევრებისგან შეტანილი საჩივარი,³⁶ რომლებიც წარმოადგენდნენ 22 ოჯახს რაბათის დასახლებაში. მომჩივნებს აღელვებდათ ჰიდროელექტროსადგურის სქემის აქტუალური და მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებები როგორც მახალაკიძეების მოსახლეობაზე, ასევე ადგილობრივ გარემოზე.
- 1.14 ადგილობრივი მოსახლეობის აღელვების ძირითადი მიზეზები არის შემდეგი:

- **მიწისქვეშა წყლები:** საჩივარში გამოთქმულია ვარაუდი, რომ გვირაბის მშენებლობამ გამოიწვია

³⁴ კრედიტორების კომენტარებზე თვალ-ყურის დევნება 220209 Arup-ის ანგარიში 2022 წ.

³⁵ აჭარის ხელისუფლებას A.R., შპს აჭარისწყალი საქართველოსა და სოფელ მახალაკიძეების მოსახლეობას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, 2014 წლის 1 მაისი, გვ. 5 და 6, ნაწილი 2.6.

³⁶ CAO-თვის გაგზავნილი საჩივარი, 2018 წლის თებერვალი. ხელმისაწვდომია აქ: <https://www.cao-ombudsman.org/cases/georgia-agl-01makhalakidzeebi>

მიწისქვეშა წყლების შემცირებული დინება და წყაროს წყლების გაქრობა, რამაც, თავის მხრივ, შეამცირა სოფლის მოსახლეობის წყალზე წვდომა, რომელსაც ისინი იყენებდნენ სასმელად, საყოფაცხოვრებო და სარწყავი მიზნებით. მომჩივნების თანახმად, გაუჩინარდა შვიდი ადგილობრივი წყაროს წყლის მკვებავი წყარო, 2014 წელს მშენებლობის დაწყების შემდეგ, რის შედეგადაც, რაბათის მოსახლეობა დარჩა მათი ძირითადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებელი სამყოფი წყლის გარეშე. ისინი ასევე ამტკიცებენ, რომ სარწყავ წყალზე შეზღუდული წვდომის გამო, შემცირდა მოყვანილი მოსავლის/ბოსტნეულის რაოდენობა და ხარისხი, რამაც სერიოზული გავლენა იქონია მათ საარსებო პირობებზე. გარდა ამისა, საჩივარი ამტკიცებს, რომ AGL-ი და აჭარის ხელისუფლება მოსახლეობას აწვდის არასაკმარისი მოცულობის უხარისხო წყალს იმისათვის, რომ მოახდინოს წყაროს წყლის გაუჩინარების კომპენსირება. ისინი შენიშნავენ, რომ AGL-ს, აჭარის ხელისუფლებასა და სოფელ მახალაკიძეების მოსახლეობას შორის 2014 წელს გაფორმებული ხელშეკრულება IFC-ის მომხმარებელს ავალდებულებდა სოფლისთვის მიწოდებული წყლის შემოწმებას და პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედების გამოსწორებას, მათ შორის, დაზარალებული ოჯახების განსახლებას, თუ წყლის მიწოდება ვერ მოხერხდებოდა.³⁷

- **ბიომრავალფეროვნება:** მომჩივნები ამტკიცებენ, რომ მდინარის დონეებმა დაიწია ორი მესამედით მას შემდეგ, რაც დაიწყო ჰიდროელექტროსადგურის სქემის მშენებლობა, რამაც უარყოფითად იმოქმედა მდინარე აჭარისწყალსა და მისი შენაკადების ბიომრავალფეროვნებაზე. ისინი ირწმუნებიან, რომ მდინარე აჭარისწყლიდან და მდინარე ჩირუხისწყლიდან გაუჩინარდა თევზის რამდენიმე სახეობა, მათ შორის, საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი კალმახი.³⁸ ისინი ასევე ამტკიცებენ, რომ მდინარე ჩირუხისწყლის სანაპიროზე ხეები გახმა, ჩირუხისწყლის კაშხლის მშენებლობით გამოწვეული ჩამდინარე ნარჩნების შედეგად და პროექტით გამოწვეული წყლის შემცირებული დინების გამო.
- **მეწყერები და ქვათაცვენები:** საჩივარში გამოთქმულია აზრი, რომ მეწყერები და ქვათაცვენები აიხსნება გვირაბის გაყვანისას განხორციელებული აფეთქებებით და ბურღვითი სამუშაოებით, რაც საფრთხეს უქმნის მოსახლეობის უსაფრთხოებას და რამაც დააზიანა სახლები რაბათში. მასში ასევე ნათქვამია, რომ პროექტს არ ჩაუტარებია სათანადო გეოლოგიური კვლევები იმისათვის, რომ სათანადოდ შეეფასებინა რისკები. თუმცა, 2021 წელს დასრულებულ CAO-ს შესაბამისობის შეფასებაში გაკეთებულია დასკვნა, რომ საჩივრის ეს ასპექტი არ აკმაყოფილებს შესაბამისობის გამოძიების კრიტერიუმს.³⁹

³⁷ აჭარის ხელისუფლებას A.R., შპს აჭარისწყალი საქართველოსა და სოფელ მახალაკიძეების მოსახლეობას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, 2014 წლის 1 მაისი, მუხლი 2.

³⁸ ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი (IUCN) გადაშენების პირას არსებული სახეობების წითელი სია ხშირად მოიხსენიება როგორც IUCN-ის წითელი სია ან წითელი მონაცემების წიგნი, რომელიც დაარსებულ იქნა 1964 წ. იგი ასრულებს ყოვლისმომცველი ინვენტორის მოვალეობას, რომელიც აფასებს ბიოლოგიური სახეობების გლობალური დაცვის სტატუსს და მათი გადაშენების რისკს. იხილეთ: <https://www.iucnredlist.org/about/background-history>. საქართველოს კანონმდებლობის მიერ მიღებულია გადაშენების პირას არსებული გარეული ფაუნისა და ფლორის წითელი სია.

³⁹ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ შესაბამისობის შეფასება აქ: <https://www.cao-ombudsman.org/cases/georgia-agl-01makhalakidzeebi>

გამოსახულება 3. რაბათის დასახლება პროექტის სამუშაოებთან მიმართებაში



წყარო: IBRD-ის კარტოგრაფიული განყოფილება, ივნისი 2024წ.

b. IFC-ის და მისი მომხმარებლის პასუხის მოკლე შინაარსი

1.15 არც IFC-ის და არც MIGA-ს არ გამოუგზავნიათ მათი მმართველი რგოლის პასუხი CAO-თვის, რადგან 2013 წლის საოპერაციო ინსტრუქციებით, შესაბამისობის შეფასების დასაწყისში, 2020 წლის ნოემბერში მათ ეს არ მოეთხოვებოდათ. თუმცა, CAO-ს მიერ განხორციელებული შეფასებისა და ატესტაციის დროს AGL-მა საჩივრის პასუხად განაცხადა შემდეგი:

- **მიწისქვეშა წყლები:** AGL-მა განმარტა, რომ 2014 წლიდან იგი ატარებდა წყაროს წყლის დინების რეგულარულ მონიტორინგს სოფელ მახალაკიძეებში და ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშებს უზიარებდა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს. კომპანიამ განაცხადა, რომ ექსპერტებს, რომლებიც ახორციელებდნენ ამ მონიტორინგს არ აღმოუჩენიათ რაიმე მიზეზ-შედეგობრივი კავშირი AGL-ის საქმიანობებსა და მიწისქვეშა წყლის დონის დაწევას შორის. თუმცა, AGL-მა დაადასტურა, რომ წყლის ნაკლებობა ზემოქმედებას ახდენდა სოფელზე და განმარტა, რომ მან შეიმუშავა წყლის მიწოდების ორი სარეაბილიტაციო პროექტი მერიასთან ერთობლივი პარტნიორობის ფარგლებში.⁴⁰
- **ბიომრავალფეროვნება:** AGL-ი ამტკიცებდა, რომ ბრალდება მდინარე აჭარისწყლის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესახებ უსაფუძვლო იყო, რადგან მომჩივანი მოსახლეობა ცხოვრობდა მდინარე ჩირუხისწყალთან ახლოს. კომპანიამ განაცხადა, რომ იგი ატარებდა ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების რეგულარულ მონიტორინგს სამივე ადგილობრივ მდინარესთან დაკავშირებით და რომ მონაცემებს არ გამოუვლენიათ რაიმე ცვლილებები ან ადრეუბის საფუძველი. სავარაუდო მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება გამოიწვია სადგურის ექსპლუატაციის მიზნით, წყლის კალაპოტის შეცვლამ, AGL-მა უკუაგდო როგორც შეუსაბამო და უსაფუძვლო.⁴¹
- **მეწყერები და ქვათაცვენები:** AGL-მა ჩაატარა გეოლოგიური და ტოპოგრაფიული კვლევები, რათა უზრუნველყო, რომ პროექტის დაგეგმვისას მინიმუმამდე შემცირებულიყო მეწყერების რისკი და შემდგომში ასევე შეიმუშავა მეწყერებთან დაკავშირებული რისკის ზომები, მათ შორის, დაბალი ენერგიის ასაფეთქებლებისა და მყარი კლდის გათხრების გამოყენება. კომპანიამ დაამონტაჟა მიწისა და მეწყერის მონიტორინგის სისტემები და სამშენებლო ობიექტზე ატარებდა პერიოდულ მონიტორინგს. გარდა ამისა, გვირაბის მშენებლობის დაწყებამდე და მისი დასრულების შემდეგ, იგი ამოწმებდა გვირაბის მარშრუტის გასწვრივ განლაგებულ სახლებს. მას შემდეგ, რაც დასრულდა გვირაბის სამუშაოები, კომპანიამ დაუკვეთა ექსპერტის შეფასება, რამაც დაადგინა, რომ სოფლის სახლების დაზიანებები გამოწვეული იყო ბუნებრივი მოვლენებით და უშუალო კავშირში არ იყო AGL-ის ოპერაციებთან. კომპანიის პოზიცია იმაში გამოიხატება, რომ რადგან შეუძლებელია მეწყერებისა და ქვათაცვენების რისკების დაკავშირება მის საქმიანობასთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირით, თითქოს კომპანიას არ ევალუბოდა მომჩივანი ოჯახების

⁴⁰ CAO-ს შეფასების ანგარიში, შპს აჭარისწყალი საქართველოს (AGL) წინააღმდეგ აღძრულ ჩივილთან დაკავშირებით (IFC #33435, #37781, #601449 და MIGA #12315), ივლისი 2018წ., გვ. 8.

⁴¹ CAO-ს შეფასების ანგარიში შპს აჭარისწყალი საქართველოს (AGL) წინააღმდეგ აღძრულ ჩივილთან დაკავშირებით (IFC #33435, #37781, #601449 და MIGA #12315), ივლისი 2018წ., გვ. 8.

განსახლებაში დახმარება. თუმცა, AGL-მა დაადასტურა, რომ 2014-2016 წლებში მიმდინარე მშენებლობისას, დამოუკიდებელი და სახელმწიფო გეოლოგებისგან შემდგარმა ერთობლივმა კომისიამ წამოიწყო გვირაბიდან 500 მეტრის დაშორებით განლაგებული სახლების შეფასება. ეს სახლები დაიყო სამ კატეგორიად: სახლები, რომლებიც დაზიანდა ბუნებრივი სტიქიების შედეგად, სახლები, რომლებიც საჭიროებდნენ რემონტს და სახლები, რომლებსაც ჰქონდათ მცირე დეფორმაციები. რაბათის დასახლებაში 22 მომჩივნის სახლი მოხვდა პირველ კატეგორიაში და შუახევის მუნიციპალიტეტიდან მათ ეკუთვნოდათ კომპენსაცია 5,000 ლარის ოდენობით (დაახლ. \$1500 აშშ დოლარი). AGL-მა შესთავაზა კომპენსაციის ნაწილობრივი დაფინანსება, სახელმწიფოს ეკო-მიგრაციის პროგრამით, მისი კორპორაციულ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის საქმიანობიდან (CSR) გამომდინარე. თუმცა, მომჩივნებმა უარი თქვეს ამ კომპენსაციაზე, რადგან იგი არ იყო საკმარისი მათთვის. შუახევის მუნიციპალიტეტმა კომპენსაცია გადაუხადა რაბათის დასახლების მოპირდაპირე მხარეს, მდინარის მარცხენა სანაპიროზე დასახლებულ ოჯახებს.⁴²

c. CAO-ს დავის მოგვარების და სხვა საჩივრების პროცესები

- 1.16 2018 წლის თებერვალში, CAO-მ მიიღო საჩივარი რაბათის მოსახლეობისგან ჰიდროელექტროსადგურთან დაკავშირებით, მას შემდეგ, რაც 2017 წლის აგვისტო-ოქტომბრის თვეებში მოხდა გვირაბის მნიშვნელოვანი ჩამონგრევა. მომჩივნებმა პარალელურად შეიტანეს საჩივარი პროექტის დამფინანსებელ სხვა განვითარების ბანკების დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების მექანიზმებში (IAMS), სახელდობრ: EBRD-ის პროექტის საჩივრების მექანიზმში (PCM; ამჟამად, პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი, ანუ IPAM)⁴³; და ADB-ის პროექტის სპეციალური კოორდინატორის ოფისში (OSPF). 2018 წლის ივნისიდან 2020 წლის აგვისტომდე, CAO და PCM კოორდინაციას უწევდნენ დავის მოგვარების პროცესს, რომელშიც OSPF-ი გამოდიოდა დამკვირვებლის როლში. მას შემდეგ, რაც ეს პროცესი დასრულდა და AGL-სა და მომჩივნებს შორის საბოლოო შეთანხმება მიღწეული არ იქნა, ორივემ, PCM-მა და OSPF-მა დახურეს თავიანთი საქმე.⁴⁴ CAO-ს დავის მოგვარების დასრულების ანგარიში გამოქვეყნდა 2020 წლის ოქტომბერში⁴⁵ და მომდევნო თვეში CAO-მ საჩივარი შესაფასებლად გადაუგზავნა თავის შესაბამისობის ფუნქციას.
- 1.17 2018 წლის ივლისში, PCM-მა მიიღო დამატებითი საჩივარი შუახევის პროექტთან დაკავშირებით, რომლებიც შეტანილ იქნა ორი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის მიერ. ამ საჩივარშიც აღძრული იყო მსგავსი ეკოლოგიური და სოციალური შეფასება და მართვის საკითხები, რომლებიც უკავშირდებოდა მეწყერების რისკს, მიწისქვეშა წყლების ხელმისაწვდომობას და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებას. PCM-მა (და მოგვიანებით IPAM-მა) ჩაატარა შესაბამისობის განხილვა, რომელიც დასრულებულ იქნა 2022 წლის მაისში.

⁴² Ibid., გვ. 7 და 8.

⁴³ 2020 წლის ივლისში, PCM-ი შეცვალა დამოუკიდებელი პროექტის ანგარიშვალდებულების მექანიზმმა (IPAM).

⁴⁴ 2018 წლის მაისში EBRD-ის პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულ იქნა უფლება-მოსილება პრობლემის გადასაჭრელი ინიციატივის დასაწყებად. აქედან გამომდინარე, დავის მოგვარების დასრულების შემდეგ, IPAM-მა (აღრე ცნობილი იყო სახელით PCM) დახურა საქმე. IPAM-ის პროცესის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მათი საქმის რეესტრში: <https://www.ebrd.com/work-with-us/projects/ipam/2018/03.html>.

⁴⁵ CAO, დავის მოგვარების შემაჯამებელი ანგარიში, 2020 წლის ოქტომბერი. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3W8hMm7>.

განხილვის ანგარიში და მისი საპასუხო EBRD-ის მართვის სამოქმედო გეგმა გამოქვეყნდა IPAM-ის საქმის რეესტრში 2022 წლის ოქტომბერს.⁴⁶ შესაბამისი დასკვნები და EBRD-ის მმართველთა ქმედებები ციტირებულია ამ ანგარიშის მორიგ ნაწილებში.

d. შესაბამისობის შეფასება და გამოძიების ფარგლები

- 1.18 2021 წლის დეკემბერში, CAO-მ გამოაქვეყნა შესაბამისობის შეფასების ანგარიში, სადაც იგი ასკვნიდა, რომ გამოძიება გამართლებული იყო. CAO-მ დაადგინა, რომ წამოჭრილი საკითხები პროექტის მიერ მიწისქვეშა წყლებსა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით სავარაუდოდ მნიშვნელოვანი იყო იმის გათვალისწინებით, რომ: (a) მომჩივნები დამოკიდებულნი იყვნენ მიწისქვეშა წყალზე მათი საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო გამოყენების მიზნით; და (b) პროექტი მდებარეობდა ისეთ ზონაში, რომელსაც მაღალი კონსერვაციული ღირებულება აქვს.⁴⁷
- 1.19 CAO-ის შესაბამისობის ფუნქციის მიზანია, განიხილოს IFC/MIGA-ს მიერ მათ E&S-ის წესდებებთან შესაბამისობა, შეაფასოს მასთან დაკავშირებული ზიანი⁴⁸ და საჭიროებისამებრ გასცეს მაკორექტირებელი ზომების რეკომენდაცია. IFC/MIGA-ს დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების მექანიზმის წესდების შესაბამისად (CAO-ს წესდება), რომელიც ძალაში შევიდა 2021 წლის 1 ივლისიდან, ეს ანგარიში წარადგენს გამოძიების დასკვნებს შესაბამისობა - არ შესაბამისობასთან დაკავშირებით და განიხილავს აქედან გამომდინარე ზიანს. იგი მოიცავს კონტექსტს, მტკიცებულებას და ლოგიკურ განსჯას CAO-ს მიერ გამოვლენილი შედეგებისა და დასკვნების განსამტკიცებლად. ეს ანგარიში ასევე შეიცავს IFC-სა და MIGA-ს მიერ მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას გასათვალისწინებელ მაკორექტირებელ რეკომენდაციებს, პროექტის დონეზე დაშვებულ შეუსაბამობასთან დაკავშირებით და აქედან გამომდინარე ზიანს და ასევე, მომავალში შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად საჭირო ნაბიჯებს.⁴⁹
- 1.20 როგორც ეს გამოიკვეთა ვალდებულებების პირობებში, CAO-ს შესაბამისობის გამოძიება ძირითად აქცენტს აკეთებს IFC/MIGA-ის მიერ AGL-ის კომპლექსურ შემოწმებასა და ზედამხედველობაზე პროექტის მიერ მიწისქვეშა წყალსა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასებასთან, პრევენციასთან და შემამსუბუქებელ ზომებთან დაკავშირებით.⁵⁰ CAO-ს შესაბამისობის შეფასების ანგარიშში გაკეთებულია დასკვნა, რომ ისეთი საკითხები, როგორიცაა მეწყერები და ქვათაცვენები არ საჭიროებდნენ შესაბამისობის გამოძიებას. ამ გადაწყვეტილების მიღებას, CAO-მ გაითვალისწინა კომპანიის მიერ მიღებულ რისკის მართვის ზომები, მომჩივნებისგან შემოსული ინფორმაცია და ის ფაქტი,

⁴⁶ IPAM, შუახვევის HPP-ის საქმის ვებგვერდი. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3TFd5P3>

⁴⁷ CAO, შესაბამისობის შეფასების ანგარიში, დეკემბერი 2021 წ. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3yBQKsk>. The Adjarietsqali river basin is a high concentration area due to the presence of reptile, bird, and plant species.

⁴⁸ ზიანი CAO წესდებაში განისაზღვრება, როგორც “[ნებისმიერი] მატერიალური უარყოფითი ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედება საზოგადოებაზე ან გარემოზე, რომელიც უშუალოდ ან არა უშუალოდ გამომდინარეობს პროექტიდან ან ქვეპროექტიდან. ზიანი შეიძლება იყოს აქტუალური ან გონივრული დაშვებით მომავალში მოსალოდნელი” (გვ. iv).

⁴⁹ CAO წესდება, პარაგ. 120c. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/CAO-Policy>.

⁵⁰ CAO, ვალდებულების პირობები IFC-სა და MIGA-ს შესაბამისობის გამოძიებისთვის, დეკემბერი 2021 წ. შეფასების ანგარიშის დანართი. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3yBQKsk>

რომ სამშენებლო ფაზა დასრულდა სოფელ მახალაკიძეებში რაიმე მეწყერების დაფიქსირების გარეშე. თუმცა, ამ ანგარიშში მოცემული ზოგადი ინფორმაცია მეწყერებსა და ქვათაცვენებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი იყო პროექტის კონტექსტისა და მომჩივნების ჩივილების გასაგებად მიწისქვეშა წყლების ზემოქმედების შესახებ.

1.21 შუახევის პროექტთან დაკავშირებული CAO-ს შესაბამისობის გამოძიების შედეგად განხილულ იქნა მოიპოვეს თუ არა IFC-მ და MIGA-მ საჭირო ინფორმაცია კერძოდ, მომხმარებლის მიერ IFC-ის მდგრადობის წესდებისა და შესრულების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისობის შესაფასებლად:

- შესრულების სტანდარტი 1 (ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების შეფასება და მართვა)
- შესრულების სტანდარტი 6 (ბიომრავალფეროვნების დაცვა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა) რამდენადაც ეს შეესაბამება პროექტის სავარაუდო ზემოქმედებას მიწისქვეშა წყლებსა და ბიომრავალფეროვნებაზე და კარგ საერთაშორისო ინდუსტრიის პრაქტიკას (GIIP).

1.22 შესაბამისობის ან შეუსაბამოების შესახებ დასკვნების გამოტანისას, CAO-მ გაითვალისწინა არსებობს თუ არა იმის მტკიცებულება, რომ IFC-მ და MIGA-მ გამოიყენეს შესაბამისი E&S-ის მოთხოვნები, რომ მხედველობაში მიეღოთ ის საინფორმაციო წყაროები, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს. CAO-ს არ გამოაქვს დასკვნები რეტროსპექტული შეხედულების გათვალისწინებით.⁵¹

D. გამოძიების მეთოდოლოგია

1.23 ამ შესაბამისობის პროცესში აღძრულ საკითხებთან დაკავშირებით ტექნიკური რჩევის მისაღებად, CAO-მ ჩართო მიწისქვეშა წყლებსა და ბიომრავალფეროვნების დარგში გამოცდილების მქონე სამი დამოუკიდებელი ექსპერტ-კონსულტანტი (იხ. დანართი C მათი ბიოგრაფიების გასაცნობად).

1.24 ამ გამოძიების ჩატარებისას, CAO-ს თანამშრომლებმა და ექსპერტებმა განახორციელეს შემდეგი ქმედებები:

- წინა-საინვესტიციო E&S-ის კომპლექსური შემოწმებისა და ზედამხედველობის პერიოდში განიხილეს IFC-ის პროექტის მასალები და IFC-ის, MIGA-სა და AGL-ის მიერ გაზიარებული პროექტთან დაკავშირებული სხვა მასალები
- ჩაატარეს ცოცხალი და ვირტუალური ინტერვიუები IFC-ისა და MIGA-ს პროექტის თანამშრომლებთან და კონსულტანტებთან
- განახორციელეს საქართველოში ადგილზე ვიზიტი ობიექტის დასათვალიერებლად, ინტერვიუ ჩამოართვეს მომჩივნებსა და AGL-ს
- ჩართეს საქართველოს სამთავრობო დაწესებულებები და პროექტის ხელმძღვანელების მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი ეკოლოგიური და სოციალური კონსულტანტები (IESC).

⁵¹ CAO წესდება, პარაგ. 116.

E. ძირითადი მოვლენების ვადები

ქვემოთ მოცემული ვადები მოიცავს ძირითად ქმედებებს და მოვლენებს IFC/MIGA-ს პროექტთან და CAO საჩივართან დაკავშირებით.

თარიღი	ქმედებები და მოვლენები
2013 წ.	IFC-ის, EBRD-ის და ADB-ის (მაისში) მიერ ჩატარებული შეფასების მისია
2014 წ.	IFC-ის საბჭო ამტკიცებს აქტივებს და სესხს (მაისი)
	იწყება პროექტის მშენებლობა (ივნისი)
	MOU-ს ხელს აწერენ ადგილობრივი მოსახლეობა მუნიციპალიტეტი, შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციები (NGOs) და AGL-ი (აგვისტო)
	IFC-ის ხელმოწერა პირველ და მეორე აქტივზე (ნოემბერი)
	მახალაკიძეების ზონაში იწყება გვირაბის მშენებლობა (დეკემბერი)
2015 წ.	პირველი სესხის გაცემა (მარტი)
	MIGA გასცემს თავის გარანტიას აქტივის სპონსორისათვის (აპრილი)
	IFC-ის ხელმოწერა მესამე აქტივზე (მაისი)
2016 წ.	IFC-ი ამთავრებს თავის საკონსულტაციო მომსახურებების ჩართულობას AGL-თან (დეკემბერი)
2017 წ.	გვირაბის რამდენიმე მონაკვეთის ჩამონგრევა (აგვისტო-ოქტომბერი)
2018 წ.	IFC-ის IAM-ები, EBRD-ი და ADB იღებენ საჩივრებს სოფელ მახალაკიძეების მოსახლეობისგან (თებერვალი)
	CAO იწყებს დავის მოგვარების პროცესს (ივნისი)
	EBRD-ის IAM-ი იღებს მეორე საჩივარს NGO-ებისგან: Green Alternative და CEE Bankwatch Network (ივლისი)
2019 წ.	IFC-ის საბჭო ამტკიცებს სესხის რესტრუქტურირებას ჩამონგრეული გვირაბების გასარემონტებლად (თებერვალი)
2020 წ.	შუახვევის HPP-ის მშენებლობა დასრულებულია (თებერვალი)
	იწყება შუახვევის HPP-ის ექსპლუატაცია (მარტი)
	IFC-ი თავის წილებს ყიდის AGL-ზე და გადის კაპიტალდაბანდებიდან (აპრილი)
	დასრულებულია CAO-ს დავის მოგვარება მორიგების მიღწევის გარეშე (აგვისტო)
2021 წ.	CAO აქვეყნებს შესაბამისობის შეფასების ანგარიშს და იწყებს შესაბამისობის გამოძიებას (დეკემბერი)
2022 წ.	CAO ახორციელებს ადგილზე ვიზიტს (მაისი)
	დასრულებულია EBRD IPAM-ის შესაბამისობის განხილვა (მაისი)

II. CAO-ს ანალიზი და დასკვნები

A. IFC-ის წესდების ჩარჩო და ზოგადი მოთხოვნები

- 2.1 IFC-მა განახორციელა ინვესტიციები AGL-ში თავისი 2012 წლის ეკოლოგიური და სოციალური მდგრადობის (მდგრადობის წესდება) წესდების და შესრულების სტანდარტების (PS) კონტექსტში, მდგრადობის ჩარჩოსთან ერთად. მდგრადობის წესდების შესაბამისად, *“თავისი კომპლექსური შემოწმების, მონიტორინგისა და ზედამხედველობის ძალისხმევის საფუძველზე, IFC-ი ცდილობს უზრუნველყოს, რომ მის მიერ დაფინანსებული ბიზნეს საქმიანობები შემუშავებულ იქნეს შესრულების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად”*.⁵² მდგრადობის წესდებაში ასევე გაკეთებულია შენიშვნა, რომ *“IFC-ის განვითარების მისიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს მის ძალისხმევას, რომ განახორციელოს ინვესტიცია და საკონსულტაციო საქმიანობები იმ პრინციპით, რომ ‘არ იქნეს მიყენებული არანაირი ზიანი’ ადამიანებზე და გარემოზე”*.⁵³ IFC ინვესტიციას ახორციელებს პროექტში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იმის მოლოდინი, რომ მის მიერ დაფინანსებული საქმიანობები *“დააკმაყოფილებენ შესრულების სტანდარტების მოთხოვნებს გონივრული დროის ვადებში”*.⁵⁴ IFC-ის დამოკიდებულება პროექტთან დაკავშირებული E&S-ის რისკების მართვასთან, მოცემულია მის E&S-ის განხილვის პროცედურებში (ESRP).
- 2.2 IFC-ს მოთხოვნა წინასაინტეგრაციო E&S-ის კომპლექსური შემოწმების (ESDD) ჩატარება თითოეულ პროექტთან დაკავშირებით *“ეკოლოგიურ და სოციალურ რისკებთან ან/და ზემოქმედებასთან თანაზომიერებაში”*.⁵⁵ ამ განხილვის პროცესში IFC-მა უნდა გამოავლინოს მომხმარებლის პრაქტიკაში დაშვებული ნებისმიერი ხარვეზები და შესთავაზოს შესრულების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი გამასწორებელი ზომები და ქმედებები. მომხმარებლის ამ დამატებით ქმედებებს IFC-ი ასახავს E&S-ის სამოქმედო გეგმაში (ESAP) და ნერგავს მათ სავალდებულო პირობის სახით IFC-ის ინვესტიციის მისაღებად.⁵⁶
- 2.3 დამტკიცებისა და ინვესტიციის განხორციელების შემდეგ, IFC-ი ახორციელებს პროექტის მონიტორინგს, საინვესტიციო ხელშეკრულებების და IFC-ის სათანადო წესდებებისა და სტანდარტების პირობებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.⁵⁷ როგორც ეს მითითებულია ESRP-ში, *“ზედამხედველობის მიზანია ინფორმაციის მოპოვება პროექტის PS-თან და E&S-ის სხვა კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისობის სტატუსის შესაფასებლად, რომლებიც შეთანხმებული იყო ვალდებულების აღებისას; E&S-ის ახლანდელი რისკის დონის შესაფასებლად; მომხმარებლებისთვის რჩევის მისაცემად თუ როგორ უნდა იქნეს გადაჭრილი-ის E&S-ის კრიტიკული საკითხები; და გაუმჯობესების და კარგი პრაქტიკების შესაძლებლობების გამოსავლენად, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მსგავსი*

⁵² მდგრადობის წესდება, პარაგ. 7.

⁵³ Ibid, პარაგ. 9.

⁵⁴ Ibid, პარაგ. 22.

⁵⁵ Ibid, პარაგ. 26.

⁵⁶ Ibid, პარაგ. 28.

⁵⁷ მდგრადობის წესდება პარაგ. 7.

პროექტებისათვის.”⁵⁸ მდგრადობის წესდებაში დამატებით ნათქვამია, რომ “თუ მომხმარებელი არ შეასრულებს თავის ეკოლოგიურ და სოციალურ ვალდებულებას ისე, როგორც ეს ასახულია იურიდიულ ხელშეკრულებებსა და მათთან ასოცირებულ დოკუმენტებში, IFC-ი მუშაობას გასწევს მომხმარებელთან, რომ დააბრუნოს იგი შესაბამისობის ფარგლებში და თუ მომხმარებელი არ აღადგენს შესაბამისობას, IFC-ი საჭიროებისამებრ გამოიყენებს თავის უფლებებს და მიიღებს სათანადო ზომებს.”⁵⁹

- 2.4 ზემოხსენებულის შესაბამისად, შესრულების სტანდარტები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პროექტის წინასაინვესტიციო კომპლექსური შემოწმებისა და ზედამხედველობისთვის და საჩივარში გადმოცემული საკითხები წარმოადგენენ PS1-ს (ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების შეფასება და მართვა) და PS6-ს (ბიომრავალფეროვნების დაცვა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა).⁶⁰ შესაბამისი PS-ის მოთხოვნების დეტალური ანალიზი შეტანილია ქვემოთ საჩივარში წარმოდგენილი თითოეული საკითხის განხილვაში.

B. IFC-სა და MIGA-ს კომპლექსური შემოწმებისა და ზედამხედველობის განხილვა

a. IFC-სა და MIGA-ს როლები პროექტში

- 2.5 MIGA-ს ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის წესდების შესაბამისად, IFC-ი და MIGA შეთანხმდნენ, რომ MIGA დაეყრდნობოდა IFC-ს ამ ერთობლივი პროექტის E&S-ის კომპლექსური შემოწმებისა და მონიტორინგისათვის.⁶¹ ამიტომ, ეს ანგარიში ძირითად აქცენტს აკეთებს IFC-ის როლზე და საჭიროებისამებრ მოიხსენიებს MIGA-ს. ამ პროექტისათვის, CAO აცნობიერებს, რომ MIGA-ს ჩართულობის დონე გამოიხატებოდა: 1) პროექტის კომპლექსური შემოწმების ინფორმაციის მიღებაში, მათ შორის, პრობლემებთან და რისკებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებაში; 2) IFC-სა და IFC-ის მომხმარებლის ეკოლოგიური და

⁵⁸ ESRP 6, პარაგ. 1, ვერსია 7, 15 აპრილი, 2013 წ.

⁵⁹ მდგრადობის წესდება, პარაგ. 24.

⁶⁰ იხილით დამატებით შენიშვნა შესაბამის შესრულების სტანდარტებთან დაკავშირებით 2.3.3 და 2.4.3 ნაწილებში.

⁶¹ MIGA-ს წესდება ეკოლოგიური და სოციალური მდგრადობის შესახებ, პარაგ. 6. განსაზღვრავს, რომ “მიუხედავად იმისა, რომ ეკოლოგიური და სოციალური რისკების მართვა და ზემოქმედებები იმგვარი მეთოდით, რაც აკმაყოფილებს შესრულების სტანდარტებს, არის მომხმარებლის პასუხისმგებლობა, თავისი კომპლექსური შემოწმებისა და მონიტორინგის ძალისხმევით გამოყენებით, MIGA ცდილობს უზრუნველყოს, რომ მის მიერ გარანტიის სახით მხარდაჭერილი ბიზნეს საქმიანობები სრულდება შესრულების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.” დამატებით, “როდესაც საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) ან/და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD), ან ნებისმიერი სხვა რომელიმე მსოფლიო ბანკის ჯგუფის (WBG) ობიექტი ჩართულია პროექტში, MIGA შეიძლება დაეყრდნოს ამგვარ ობიექტს და გამოიყენოს მისი ეკოლოგიური სტანდარტები, ეკოლოგიური და სოციალური კომპლექსური შემოწმება ან/და მონიტორინგი, WBG-ის საერთო ან ერთობლივი სახელმძღვანელოს შესაბამისად.” E&S-ის ზოგიერთი პასუხისმგებლობები რჩება MIGA-ს. MIGA აწონ-დაწონის შეთავაზებული ბიზნესის საქმიანობების ღირებულებას და სარგებელს, გამოთქვამს შეთავაზებული გარანტიის შესახებ თავის დასაბუთებას და კონკრეტულ პირობებს და მიაწვდის თავის საბჭოს დირექტორებს იმ გარანტიებს, რომლებიც საჭიროებენ დამტკიცებას (პარაგ. 18). გარდა ამისა, MIGA-ს კონტრაქტები მოიცავს E&S-ის დებულებებს, რაც მომხმარებლისგან მოითხოვს სათანადო შესრულების სტანდარტებთან, მოქმედების გეგმებში ასახულ პირობებთან და აგრეთვე ანგარიშვალდებულისა და მონიტორინგის მოთხოვნებთან შესაბამისობას, შეძლებისდაგვარად (პარაგ. 22). MIGA-ს წესდება ეკოლოგიურ და სოციალურ მდგრადობასთან დაკავშირებით, ოქტომბერი 2013 წ., პარაგრაფები 6, 18, და 22. ხელმისაწვდომია აქ: <https://goo.gl/APDPo2>.

სოციალური მონიტორინგის ანგარიშების მიღებაში; და 3) IFC-თან ერთად, რამდენიმე პროექტის ზედამხედველობის მისიებსა და შეხვედრებში მონაწილეობის მიღებაში. CAO ასევე აღნიშნავს, რომ MIGA-ს პასუხისმგებლობაში კვლავ შედის, რომ დაავალოს თავის მომხმარებელს E&S-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა მისი მოქმედი გარანტიის ფარგლებში. თუ გავითვალისწინებთ MIGA-ს დამოკიდებულებას IFC-ზე, MIGA გააგრძელებს IFC-თან კავშირს CAO-ს დასკვნების შესამაბისად შემდგომი ნაბიჯების განხორციელების შესახებ.

ინვესტიციამდე განხორციელებული კომპლექსური შემოწმება

- 2.6 პროექტის კრედიტორების მიერ ინვესტიციამდე განხორციელებული E&S-ის კომპლექსური შემოწმება (ESDD) შეთავაზებულ დიდი მოცულობის მქონე აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის კაშხლის პროექტთან დაკავშირებით, მოიცავდა მესამე მხარის კონსულტანტების მიერ განხორციელებულ ფართო მასშტაბიან კვლევებსა და ანალიზს. დანართში A მოცემულია IFC-ის მიერ წარმოდგენილი პროექტთან დაკავშირებული საქმიანობების ვადა და მასალები, საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელი პირები და დამოუკიდებელი მესამე-მხარის კონსულტანტები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ AGL-თან და IFC-თან.
- 2.7 AGL-მა ჩართო გლობალური მასშტაბის საინჟინრო და განვითარების კომპანია Mott MacDonald-ი, პროექტის E&S-ის ზემოქმედების შეფასებასა (ESIA) და E&S-ის მართვის გეგმაზე (ESMP) ვალდებულების ასაღებად. ადგილობრივმა ფირმამ, Gamma Scientific-მა, იკისრა ვალდებულება მხარი დაეჭირა საბაზისო კვლევებისთვის და ადგილობრივი საკონსულტაციო საქმიანობებისთვის და წარმოადგინა პროექტის დოკუმენტაცია ეროვნული ნებართვების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. Mott MacDonald-ი ასევე იყო წამყვანი საერთაშორისო კონსულტანტი, რომელსაც უნდა განეხორციელებინა პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა.⁶² კრედიტორებმა, მათ შორის IFC-მა დაიქირავეს პროექტის დიზაინის და მართვის საკონსულტაციო ფირმა Arup-ი, საერთაშორისო E&S-ის კონსულტანტის (IESC) როლში, კომპლექსური შემოწმებისა და ზედამხედველობის პერიოდში დახმარების გასაწევად.
- 2.8 საერთაშორისო კრედიტორებისთვის ESIA-ს პარალელურად, საქართველოს ხელისუფლებამ მოამზადა ეროვნული EIA-ი საქართველოს დებულებებთან შესაბამისობის დასაცავად. ეს შეფასება ითვალისწინებდა მხოლოდ E&S-ის ზემოქმედებებს შუახევის HPP-ზე და დამტკიცებული იყო გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ.⁶³
- 2.9 IFC-ის მიერ პროექტის ეკოლოგიური და სოციალური განხილვის მოკლე შინაარსი (ESRS) ეფუძნებოდა EBRD-სა და ADB-თან ერთობლივად შესრულებულ შეფასების მისიას 2013 წლის მაისში და E&S-ის კომპლექსური შემოწმების ანგარიშს, რომელიც მომზადდა Arup-ის მიერ და დათარიღებული იყო 2013 წლის 5 სექტემბრით. 2013 წლის ოქტომბერში გამოცემული ESRS-ის შესაბამისად, IFC-ი და სხვა კრედიტორები ეწვივნენ პროექტის ძირითად ობიექტებს და შეხვდნენ დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის, ადგილობრივ და ეროვნულ არასამთავრობო

⁶² ESIA, სექტემბერი 2013წ., გვ. 2.

⁶³ IFC, ESRS.

ორგანიზაციებს, ხელმძღვანელებს და დაზარალებული მუნიციპალიტეტებისა და სოფლების უხუცესებს.⁶⁴

2.10 კრედიტორები და AGL-ი შეთანხმდნენ ეკოლოგიურ და სოციალურ სამოქმედო გეგმაზე (ESAP), რომელშიც გაწერილი იყო კომპანიის მიერ შესასრულებელი საქმიანობები ინვესტიციის პირობის სახით.⁶⁵ AGL-ს ევალუატირებდა მოთხოვნილი სამუშაოების შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენა, ხოლო კრედიტორებს უნდა ჩაეტარებინათ აუდიტი ან სხვაგვარად შეეფასებინათ პროგრესი პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში. ESAP-მა განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო მის პირობებში შესწორებების შეტანა პროექტის შესრულების მსვლელობაში, მაგრამ არანაირი ცვლილებების შეტანა არ დაიშვებოდა, თუ ისინი არღვევდნენ საქართველოს კანონმდებლობას ან კრედიტორების E&S-ის შესრულების მოთხოვნებს, მათ შორის IFC-ის შესრულების სტანდარტებს, ADB-ის გარანტიის წესდების განცხადებას (2009) და EBRD-ის შესრულების მოთხოვნებს (2008). ESAP-ის კონკრეტული ქმედებები განხილულია ქვემოთ სხვა ნაწილებში.

2.11 2014 წლის მაისში, IFC-ის საბჭომ დაამტკიცა კაპიტალი და სესხის ინვესტიციები და IFC-მა ხელი მოაწერა ინვესტიციის ხელშეკრულებას AGL-თან. IFC-მა განახორციელა პირველ და მეორე აქტივებზე თავისი ხელმოწერა 2014 წლის ნოემბერში და პირველი სესხი გასცა 2014 წლის ნოემბერში. 2015 წლის აპრილში MIGA-მ გასცა გარანტია Tata Power International Pte. Limited-თვის მის მიერ პროექტში განხორციელებული აქტივის ინვესტიციისთვის.

ზედამხედველობა

2.12 პროექტის მშენებლობა დაიწყო 2014 წლის ივნისში. IFC-ის ზედამხედველობა მოიცავდა წლიურ ვიზიტებს COVID-19-ის პანდემიამდე 2020 წლის დასაწყისში, ხოლო COVID-19-ის შეზღუდვების მოხსნის შემდეგ 2022 წელს აღდგა ეს ვიზიტები. კრედიტორები ასევე მოითხოვდნენ, რომ მშენებლობის პერიოდში AGL-ს მათთვის წარედგინა ანგარიშები ყოველ ექვს თვეში ერთხელ, ხოლო მისი ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, ყოველწლიურად.⁶⁶ Arup-ი, IESC-ი ახორციელებდნენ ეკოლოგიის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების (EHS) და ასევე სოციალური შესრულების მონიტორინგს და ESAP-ის შემუშავებას, გამოსცემდნენ განახლებულ ინფორმაციას ყოველ ექვს თვეში ერთხელ და შიგადაშიგ დამატებით ანგარიშებს, ახორციელებდნენ პროექტის ობიექტზე რეგულარულ ვიზიტებს და განიხილავდნენ AGL-ის ანგარიშს E&S-ის შესრულებასთან მიმართებაში. დანართი A შეიცავს ზედამხედველობის საქმიანობების ვადებს.

⁶⁴ IFC, ESRS.

⁶⁵ IFC, ESRS.

⁶⁶ AGL-ის ეკოლოგიური და სოციალური მონიტორინგის ანგარიშები და პროექტთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები საჯაროდ ხელმისაწვდომია აქ: <https://www.adb.org/projects/47919-014/main>.

C. CAO-ს შესაბამისობის ანალიზი და დასკვნები: ზემოქმედებები წყაროს წყლებზე

- 2.13 ამ ნაწილში შეფასებულია შეასრულა თუ არა IFC-მა თავისი წინასაინვესტიციო კომპლექსური შემოწმებისა და ზედამხედველობის ვალდებულებები, ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედებასთან და შესაბამის შემამსუბუქებელ ზომებთან დაკავშირებით. ქვემოთ მოცემული ანალიზის საფუძველზე, CAO ასკვნის, რომ IFC შეუსაბამოა მის ვალდებულებებთან მდგრადობის წესდებასთან დაკავშირებით.

a. მომჩივნების თვალსაზრისი

- 2.14 მომჩივნები ამტკიცებენ, რომ შუახევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობამ გამოიწვია წყაროს წყლის დეფიციტი მათ რაიონში. ისინი აცხადებენ, რომ რაბათის დასახლებაში მცხოვრები დაახლოებით 100 ადამიანისა და 22 ოჯახის მიერ მოხმარებული შვიდი წყარო უკვალოდ გაუჩინარდა და ეს ოჯახები დარჩნენ არასაკმარისი სასმელი და სანიტარული წყლის გარეშე. გარდა ამისა, ისინი აცხადებენ, რომ მიწისქვეშა წყლის მომარაგების დაკარგვამ გავლენა იქონია სარწყავებზე და სოფლის მეურნეობაზე და შემცირდა მათი მოსავლისა და საქონლის მოცულობა და ხარისხი. იმის გამო, რომ მათი ძირითადი შემოსავლის წყარო არის კარტოფილი და რძის პროდუქტები, მათი გადმოცემით, ამ მდგომარეობამ გამოიწვია სერიოზული საკვების და ეკონომიკური შედეგები. სოფელ მახალაკიძეებს მდინარე ჩირუხისწყალი ორ ნაწილად ჰყოფს და რაბათი განლაგებულია მარჯვენა სანაპიროზე. მომჩივნებმა განმარტეს, რომ წყაროს წყალმა ზემოქმედება განიცადა მთის მხოლოდ მათ მხარეს, სადაც ასევე გაყვანილია გვირაბი მდინარე ჩირუხისწყალსა და მდინარე შხალთას შორის (იხ. გამოსახულება 4). ამიტომ ისინი დარწმუნებულები არიან, რომ გვირაბის მშენებლობამ ბიძგი მისცა წყლის დაკარგვას, რამაც გავლენა იქონია მათ ძირითად მოთხოვნებსა და საარსებო საშუალებებზე.
- 2.15 მომჩივნები ამტკიცებენ, რომ 2014 წლის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა აჭარის ხელისუფლებას, AGL-სა და სოფელ მახალაკიძეებს შორის, კომპანიისგან მოითხოვს ალტერნატიული წყლის მიწოდების დაპროექტებას და რეალიზაციას, გვირაბის გაყვანის შედეგად დაკარგული წყლის საკომპენსაციოდ. ისინი ასევე აცხადებენ, რომ თუ ამგვარი კომპენსაცია შეუძლებელი გახდება, AGL-ს ხელშეკრულებით ევალება დაზარალებული ოჯახების ექვსი თვის განმავლობაში განსახლება, როგორც საბოლოო გამოსავალი. საჩივარში ნათქვამია, რომ 22 ოჯახს არ ჰქონია წვდომა წყაროს წყალზე მშენებლობის პერიოდში 2016-2017 წლებში მანამ, სანამ მათ არ გაუყვანეს წყლის მიწოდების სისტემა, რომელიც ქაჩავდა მდინარის წყალს და მიაწოდებდა მათ სახლებში. თუმცა, მათ განაცხადეს, რომ ეს შემცვლელი წყლის სისტემა არასაკმარისი იყო, რადგან წყალი არ მოდიოდა კვირაში ორ-სამჯერ, ყველა ოჯახს არ უხერხდებოდა წყლის ერთდროულად ამოქაჩვა და რომ ისინი ისევ ისე განიცდიდნენ წყლის დეფიციტს სარწყავი მიზნით. გარდა ამისა, ისინი ამტკიცებენ, რომ ამოქაჩული მდინარის წყალი ცუდი ხარისხის იყო და წვიმების ან თოვლის დნობის პერიოდში ბინძურდებოდა და იმღვრებოდა.
- 2.16 მოსარჩლეები ვარაუდობენ, რომ წყაროს წყლის დინება, რომელზეც ისინი ესოდენ

დამოკიდებულნი იყვნენ აღარ აღმდგარა ცხრა წლის მანძილზე 2016 წელს მშენებლობის დაწყების შემდეგ. გარდა ამისა, CAO-ს ობიექტზე ვიზიტისას, სოფლის მოსახლეობამ გამოთქვა მღელვარება იმასთან დაკავშირებით, რომ წყალი რამოდენიმე ადგილას ქრებოდა და ისევ ჩნდებოდა, რაც, მათი ვარაუდით, ასევე უკავშირდება გვირაბის მშენებლობას. ისინი ერთ-ერთ სახლზე გაჩენილ ბზარებს უკავშირებენ პროექტის შედეგად გამოწვეულ აფეთქებებს და შიშობენ, რომ წყაროს წყლის კალაპოტის შეცვლის შედეგად, დაირღვევა მთისა და მათი სახლების სტაბილურობა.

b. მომხმარებლის თვალსაზრისი

2.17 CAO-ის მიერ საჩივრის განხილვისას, AGL-მა CAO-ს შეატყობინა, რომ იგი ახორციელებდა სოფელ მახალაკიძეებში წყაროს წყალზე რეგულარულ მონიტორინგს მშენებლობის დაწყებიდან და ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშებს უზიარებდა საქართველოს ბუნების დაცვის სამინისტროს. კომპანია აცხადებს, რომ ექსპერტებს, რომლებიც ახორციელებენ წყლის მონიტორინგს, არ დაუდგენიათ რაიმე მიზეზ-შედეგობრივი კავშირი პროექტსა და სოფელში მიწისქვეშა წყლის დონის კლებას შორის. თუმცა, AGL-მა CAO-ს დაუდასტურა, რომ წყლის დეფიციტი გავლენას ახდენს სოფელზე და რომ ამის საპასუხოდ მან მერიასთან პარტნიორობით შეიმუშავა წყლის ორი სარეაბილიტაციო პროექტი.⁶⁷

c. შესაბამისი მოთხოვნები

IFC-ის შესრულების სტანდარტების მოთხოვნები წყაროს წყლების პრობლემებთან შესაბამისობაში

PS1: ეკოლოგიური და სოციალური რისკები და მათი ზემოქმედებების შეფასება და მართვა

- “მომხმარებელი დანერგავს და მომსახურებას გაუწევს პროექტის E&S-ის რისკების და ზემოქმედების გამოვლენის პროცესს” (პარაგრაფები. 5, 7).
- “პროექტის სახეობა, მასშტაბი და მდებარეობა განსაზღვრავს ძალისხმევის მასშტაბს და დონეს რომელიც ხმარდება რისკებისა და ზემოქმედებების გამოვლენის პროცესს. რისკების მასშტაბისა და ზემოქმედების გამოვლენის პროცესი იქნება GIIP-ის თანამიმდევრული” (პარაგ. 7).
- “რისკებისა და ზემოქმედების გამოვლენის პროცესი დაფუძნებული იქნება E&S-ის ბოლო საბაზისო მონაცემებზე შესატყვისი დონის დეტალებით” (პარაგ. 7).
- “იქ, სადაც შეუძლებელი იქნება რისკებისა და ზემოქმედებების თავიდან აცილება, მომხმარებელი გამოავლენს შემამსუბუქებელ ზომებს და შეიმუშავებს სათანადო ქმედებებს. (...) დეტალების დონე და გამოვლენილი ზომების სირთულე და პრიორიტეტი თანაზომიერი იქნება პროექტის რისკებთან და ზემოქმედებებთან და გაითვალისწინებს დაზარალებული მოსახლეობის ჩართულობის პროცესის შედეგს” (პარაგ. 15).
- “E&S-ის სამოქმედო გეგმები...განსაზღვრავენ სასურველ შედეგებსა და ქმედებებს იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც წამოჭრილ იქნა რისკებისა და

⁶⁷ CAO-ს მიერ საჩივრის შეფასების ანგარიში შპს აჭარისწყალი საქართველოსთან დაკავშირებით (AGL) (IFC #33435, #37781, #601449 and MIGA #12315), ივლისი 2018 წ., გვ. 8.

ზემოქმედებების გამოვლენის პროცესში, როგორც გაზომვად მოვლენებს, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, ისეთი ელემენტებითურთ, როგორიცაა შესრულების ინდიკატორები, სამიზნეები, ამ მისაღები კრიტერიუმები, რომლებზეც შესაძლებელი იქნება დაკვირვება განსაზღვრული დროის განმავლობაში განხორციელებისთვის საჭირო რესურსებისა და პასუხისმგებლობების შეფასებით” (პარაგ. 16).

- “მომხმარებელი შეიმუშავებს პროცედურებს, რათა მონიტორინგი გაუწიოს და გაზომოს მართვის პროგრამის ეფექტურობა (...) მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე პროექტებისათვის, მომხმარებელი დაიქირავებს გარე ექსპერტებს მისი მონიტორინგის ინფორმაციის შესამოწმებლად. მონიტორინგის მასშტაბი უნდა შეესაბამებოდეს პროექტის ეკოლოგიურ და სოციალურ რისკებს და ზემოქმედებებს და აკმაყოფილებდეს შესაბამისობის მოთხოვნებს” (პარაგ. 22).
- “მონიტორინგი ჩვეულებრივ მოიცავს ინფორმაციის ჩაწერას შესრულებაზე დაკვირვების მიზნით და მის შედარებას ადრე დამკვიდრებულ საკონტროლო მაჩვენებლებთან ან მართვის პროგრამის მოთხოვნებთან. მონიტორინგი კორექტირებულ უნდა იქნეს შესაბამისი მარეგულირებელი ხელისუფლების მიერ მოთხოვნილი შესრულების გამოცდილების და ქმედებების შესაბამისად. მომხმარებელმა შესწორებული მართვის პროგრამაში ან გეგმებში დოკუმენტურად უნდა ასახოს მონიტორინგის შედეგები და გამოავლინოს აუცილებელი მაკორექტირებელი და პრევენციული ქმედებები” (პარაგ. 23).

PS6: ბიომრავალფეროვნების დაცვა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა

- “იქ, სადაც შესაძლებელია, რომ პროექტს ჰქონდეს უარყოფითი ზემოქმედება ეკოსისტემის მომსახურებებზე (...) მომხმარებელი ჩაატარებს სისტემატურ განხილვას პრიორიტეტული ეკოსისტემის მომსახურებების გამოსავლენად. (...) თუ არსებობს დაზარალებული მოსახლეობაზე ზემოქმედების ალბათობა, მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ პრიორიტეტული ეკოსისტემის მომსახურებების დადგენაში, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროცესის შესაბამისად, როგორც ეს განსაზღვრულია შესრულების სტანდარტში 1” (პარაგ.25).
- მოთხოვნები ეკოსისტემის მომსახურებებზე ზემოქმედებების თავიდან ასაცილებლად, შესამცირებლად და შესამსუბუქებლად, რომელსაც სარგებლობა მოაქვს დაზარალებული მოსახლეობისთვის (პარაგ. 25).
- იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს “ხალხის მიერ ეკოსისტემიდან მიღებულ პროდუქტებზე” წვდომის ან მათი გამოყენების დაკარგვას (პარაგ. 2) საჭიროა კონკრეტული ზომების მიღება საარსებო წყაროს აღდგენის უზრუნველსაყოფად. იხ. ასევე PS4 (მოსახლეობის ჯანდაცვა, უსაფრთხოება და უშიშროება) (პარაგ. 8) და PS5 (მიწის შეძენა და იძულებითი განსახლება) (პარაგ. 25).

d. IFC-ის ინვესტიციამდე განხორციელებული კომპლექსური შემოწმება: ანალიზი და დასკვნები

i. მიწისქვეშა წყლების საბაზისო დონე

- 2.18 ESIA ჰიდროენერგეტიკული კომპლექსისათვის აღნიშნავს, რომ *“პროექტის ტერიტორია მდიდარია სასმელად ვარგისი ადგილობრივი წყაროს წყლებით და ჭებით”*⁶⁸ და რომ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოყენებული წყაროს წყლები მდებარეობენ მეწყერის რაიონებში.⁶⁹ CAO-თვის გასაგებია, რომ ასობით მიწისზედა წყაროები სათავეს იღებენ ამ მიდამოებში არსებული მიწისქვეშა წყალსატევებიდან, რაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ამინდის პირობებზე.
- 2.19 მიუხედავად ადგილობრივი მოსახლეობის წყაროს წყლებზე დამოკიდებულებისა, AGL-ის მიერ Mott MacDonald-თვის დაკვეთილი ESIA შეიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას მიწისქვეშა წყლებზე და არ იძლევა დეტალებს მდებარეობის, დინების მოცულობის, ან კონკრეტულ წყაროებში წყლის ხარისხის შესახებ. შეფასებაში მოყვანილია ციტატა *“არასაკმარისი წარსული ინფორმაცია დეტალური საბაზისო დონის აღსაწერად”*⁷⁰ მიწისქვეშა წყლებთან დაკავშირებით და არანაირად არ ასხვავებს ერთმანეთისაგან ზოგად საბაზისო დონეს და მიწისქვეშა წყლების გამოყენების საბაზისო დონეს და წყლის ამოღებას. პროექტის დოკუმენტების განხილვის საფუძველზე და IFC-თან, AGL-თან და კრედიტორების დამოუკიდებელ ეკოლოგიურ და სოციალურ კონსულტანტთან, Arup-თან საუბრების შედეგად, CAO-მ დაადგინა, რომ არავითარი მიწისქვეშა წყლების საბაზისო დონე არ ყოფილა განსაზღვრული და არ განხორციელებულა წყაროს წყლების რუქის შედგენა IFC-ის ინვესტიციამდე განხორციელებული კომპლექსური შემოწმების დაწყებამდე ან მშენებლობის დაწყებამდე 2013 წლის ივლისში.
- 2.20 პროექტის E&S-ის მართვის გეგმით (ESMP) დადგენილია, რომ AGL-ის და მისი მშენებელი კონტრაქტორის პასუხისმგებლობაში შედიოდა გვირაბის გაყვანამდე წყლის გამოყენების საბაზისო დონის დაფიქსირება.⁷¹ იგი ასევე ითხოვდა წყაროს წყლების დინების წლიურ მონიტორინგს.⁷² ESMP შენიშნავს, რომ *“მიზანი ისაა, რომ მკაფიოდ იქნეს განსაზღვრული შენარჩუნებულია თუ არა წყლის რესურსების რაოდენობა (ორივე, მიწისზედა და მიწისქვეშა წყლების).”*⁷³ IFC-ის ინვესტიციამდე განხორციელებული კომპლექსური შემოწმების პერიოდში (ESDD), IESC-მა პროექტის კრედიტორებს შეატყობინა, რომ ჰიდროლოგიური მონაცემების საბაზისო დონის ნაკლებობამ, არსებითად მნიშვნელოვანი გახადა დამატებითი მონიტორინგის ჩატარება, რასაც შედეგად მოჰყვა ზემოქმედებების შესაბამისი შეფასებები და შემამსუბუქებელი ზომების გამოვლენა. AGL-სა და კრედიტორებს შორის შეთანხმებული პროექტის ESIA-ის მოთხოვნებით, ასევე დაგეგმილი იყო ჰიდროლოგიური კვლევის მეორე ფაზა 2012 წელს, შემამსუბუქებელი ზომების დასახვეწად, დამატებითი კონსულტაცია არასამთავრობო ორგანიზაციებთან და წყლის რესურსებისა და წყლის ხარისხის კონტროლის პროცედურების განხილვა მანამ, სანამ დაიწყებოდა პროექტის მშენებლობა. ESDD-ის

⁶⁸ ESIA, გვ. 51.

⁶⁹ ESIA, გვ. 339.

⁷⁰ ESIA, გვ. 339.

⁷¹ ESMP, გვ. 7.

⁷² ESMP, გვ. 14.

⁷³ ESMP, გვ. 31.

ანგარიშში რეკომენდებული იყო ყველა დამატებითი კვლევების და განხილვების დასრულება, რომლებიც გამოვლენილ იქნა ESIA-ში და პროექტის ნებართვის დამტკიცების პირობები და დასკვნების შეტანა E&S-ის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის მართვის პროცესებში. თუმცა, IFC-სა და AGL-ს შორის შეთანხმებული პროექტის მორიგ E&S სამოქმედო გეგმაში არ ყოფილა გამოვლენილი რაიმე ხარვეზები ან მომხმარებლის ვალდებულება მიწისქვეშა წყლების გამოყენების საბაზისო დონის ინფორმაციის დადგენასთან დაკავშირებით, მათ შორის, მოსახლეობის მიერ გამოყენებული წყაროს წყლების რაოდენობა და მათი ხარისხი.

2.21 PS1 (პარაგ. 7) მოითხოვს, რომ პროექტის რისკებისა და ზემოქმედებების გამოვლენა დაფუძნებულ იქნეს ბოლო E&S-ის საბაზისო დონის მონაცემებზე, შესაბამისი დონის დეტალებით. CAO შენიშნავს, რომ IFC-მ თავის ESDD-დოკუმენტაციაში ცნო, რომ პროექტის ტერიტორიაზე არსებობდა სასმელი წყლის ხარისხის მქონე მრავალი წყარო წყალი და რომ ადგილობრივი მოსახლეობა მეტნაკლებად დამოკიდებული იყო ამ წყალზე, როგორც სასმელად, ასევე საყოფაცხოვრებო მომსახურებისთვის და სარწყავად. მომხმარებლის ESIA-მ ასევე გამოავლინა გვირაბის გაყვანის შესაძლო ზემოქმედება მიწისქვეშა რესურსებზე (დამატებით ახსნილია ქვემოთ). გარდა ამისა, პროექტის ESMP აშკარად ითხოვდა AGL-სა და მისი კონტრაქტორისაგან, რომ გვირაბის გაყვანამდე წერილობით დაეფიქსირებინათ წყლის გამოყენების საბაზისო დონე.⁷⁴ თუმცა, არანაირი საბაზისო დონის მიწისქვეშა წყლის რესურსის გამოყენება ან კონკრეტულად ობიექტზე წყლის გამოყენების ინფორმაცია არც ჩატარებულა და არც შეგროვებულა.

2.22 CAO ცნობს, რომ აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის კაშხლის პროექტის თავდაპირველი მასშტაბი და ზემოქმედების ზონა მოიცავდა სამ ობიექტს⁷⁵ და ზემოქმედების ფართო ტერიტორიას, რის გამოც, ყველა მიწისქვეშა რესურსების დეტალური რუქის შექმნა დაკავშირებული იქნებოდა უზარმაზარ, დროში გაწელილ და ძვირად ღირებულ სამუშაოებთან. თუმცა, მიწისქვეშა წყლების საბაზისო დონის გამოყენებისა და მათი ამოღების შესახებ კვლევის ჩატარება იმგვარი ფორმით, რომ გამოკვლეული ყოფილიყო პროექტის ზემოქმედების ტერიტორიაზე მოსახლეობასთან ახლოს არსებული წყაროს წყლები, საკმარისი იქნებოდა, თუ მხედველობაში მივიღებთ მოსახლეობის მიერ მათზე დამოკიდებულების მყარ მტკიცებულებას პირადი და საყოფაცხოვრებო გამოყენების მიზნით.⁷⁶ ამგვარი საბაზისო დონის არ არსებობას შეეძლო წვლილი შეეტანა მოსახლეობაზე პროექტის რისკების არასაკმარის შეფასებაში და გამოეწვია ის, რომ დაუდგენელი დარჩენილიყო ეკოსისტემის მომსახურებების შემამსუბუქებელი ზომები.

⁷⁴ 2014 წლის ხელშეკრულება ადგილობრივ მთავრობას, AGL-სა და მახალაკიძეებს შორის, AGL-გან მოითხოვდა აგრეთვე წყაროს წყლებზე კვლევების ჩატარებას მშენებლობის დაწყებამდე.

⁷⁵ იმ დროისათვის, როცა IFC-მა ჩაატარა ინვესტიციამდე განხორციელებული კომპლექსური შემოწმება, უკვე ნათელი იყო, რომ პროექტის მასშტაბი შემცირებული იყო და მომხმარებელს შეეძლო მხოლოდ ორი ან სამი დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურის ობიექტების განვითარება, რაც ამცირებდა ზემოქმედების ტერიტორიას.

⁷⁶ ESIA-ის შესაბამისად, დაახლოებით 17 უშუალოდ დაზარალებული სოფლები გამოვლენილ იქნენ შუახევის მუნიციპალიტეტში, მათ შორის, მახალაკიძეებში. ESIA, დანართი C, გვ. 61.

- 2.23 ეკოსისტემის მომსახურებებთან დაკავშირებით, PS6-ი (პარაგ. 24) IFC-ის მომხმარებლისგან მოითხოვს იმ პრიორიტეტული ეკოსისტემის მომსახურებების განხილვას და გამოვლენას, რომელზეც პროექტის ოპერაციებს ყველაზე მეტი ალბათობით შეუძლია ზემოქმედების მოხდენა და რომ სავარაუდოდ დაზარალებულმა მოსახლეობამ მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ პროცესში. ამ შემთხვევაში, ESIA-სა და პროექტის სხვა დოკუმენტებს არაერთხელ გამოუვლენიათ, რომ წყაროს წყლის მიწოდება პროექტის ტერიტორიის წყალსატევებიდან ადგილობრივი მოსახლეობისათვის წარმოადგენდა ეკოსისტემის მნიშვნელოვან მომსახურებას.
- 2.24 აქედან გამომდინარე, CAO-ს აზრით, PS6-ი (პარაგ. 24), PS1 (პარაგ. 7), და კარგი ინდუსტრიული საერთაშორისო პრაქტიკა (GIIP) მოითხოვდნენ მიწისქვეშა წყლების გამოყენების საბაზისო დონის ყოვლისმომცველი მონაცემების შეგროვებას ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოყენებულ წყაროს წყლებზე, რომლებიც განლაგებულნი არიან გვირაბთან ყველაზე ახლოს, რათა სათანადოდ ყოფილიყო შეფასებული პროექტის ზემოქმედებები ეკოსისტემების მომსახურებებზე.

ii. CAO-ს დასკვნები: ინფორმაცია მიწისქვეშა წყლების საბაზისო დონის შესახებ


- 2.25 CAO ასკვნის, რომ IFC-ის ESDD-ს არ გამოუვლენია ან არ მიუღია ზომები იმასთან დაკავშირებით, რომ მომხმარებელი შესაბამისობაში არ იყო ზემოთ ციტირებულ PS1-ის (პარაგ. 7) და PS6-ის (პარაგ. 24) მოთხოვნებთან. ამ განაცდურმა შედეგად გამოიღო მიწისქვეშა წყლების გამოყენებებზე საბაზისო დონის ინფორმაციის არქონა და ასევე ინფორმაციის ნაკლებობა იმ მიწისქვეშა წყლების რაოდენობასა და ხარისხზე, რომლებიც მოსახლეობას მიეწოდებოდა კონკრეტული წყაროს წყლების საშუალებით და რომლებიც დამოკიდებულნი იყვნენ მათზე, რაც ეწინააღმდეგება IFC-ის მდგრადობის წესდების ვალდებულებებს (პარაგ. 7, 26, და 28).
- 2.26 შესაბამისი საბაზისო დონის მონაცემების შეგროვება მნიშვნელოვანია პროექტის მიერ გამოწვეული შესაძლო უარყოფითი ეფექტების დასადგენად და წარმოადგენს მნიშვნელოვან ინფორმაციას პროექტის უარყოფითი ზემოქმედების შესახებ საჩივრების შესაფასებლად. ამ შემთხვევაში, ამგვარი მონაცემების არ არსებობა შეუძლებელს ხდის დადგენილ იქნეს, თუნდაც ნაწილობრივ, მიეწერება თუ არა პროექტს წყაროს წყლების დინების შემცირება, როგორც ამას ამტკიცებენ მომჩივნები და სხვა მოსახლეები, თუ იგი გამოწვეულ იქნა სხვა ფაქტორებით, როგორცაა, მაგალითად, ამინდის პირობების ცვლილება. ეს დამატებით იქნება განხილული ამ ანგარიშის დასკვნაში ზიანის შესახებ (ნაწილი 3).

iii. მიწისქვეშა წყლების რესურსებზე ზემოქმედების შეფასება

- 2.27 პროექტის ESIA-ი მოკლედ აღწერს წყლის მიწოდების და სანიტარულ ზომებს, პროექტის ტერიტორიაზე რამდენიმე ურბანულ ცენტრში. იგი შენიშნავს, რომ შუახევის

მუნიციპალიტეტი წყლით მარაგდება მდინარე აჭარისწყლიდან, ხოლო მეზობელი ხულოსა და ქედას მუნიციპალიტეტები წყალს იღებენ მიწისქვეშა რესურსებიდან. წყალდიდობისას, მიწოდებული მდინარის წყალი სასმელად უვარგისია და შუახევის მოსახლეობა მოიხმარს წყაროს წყლებს.⁷⁷ თუმცა, “უფრო პატარა სოფლები და ფერმერი ოჯახები ჩვეულებრივ, წყალს წყაროებიდან და მცირე სათავის შენაკადებიდან იღებენ. ნალექების რაოდენობა უფრო დიდ შენაკადებში და მთავარ მდინარეში ზოგადად ძალიან დიდია და წყალი სასმელად გამოუყენებელი ხდება და გამოიყენება მხოლოდ მეცხოველეობისთვის”.⁷⁸ ESIA-ის არ გამოუვლენია ეს სოფლები და ოჯახები.

გამოსახულება 4. წყაროს წყლების ზოგადი დიაგრამა და მათი კავშირები მიწისქვეშა წყლების წყალსატევებთან



წყარო: SMET & WIJK (2002 წ.)

- 2.28 მომჩივნები რაბათის დასახლებიდან არიან მათ შორის, ვინც იყენებს წყაროს წყლებს – რადგან მდინარე, მთის ფერდობებზე განლაგებული მათი სახლებიდან შორსაა და მდინარის წყალს ამ ტერიტორიაზე ახასიათებს მაღალი სიმღვრივე, რაც მას სასმელად გამოუსადეგარს ქმნის. სხვა ადგილობრივი ოჯახები წყალს იღებენ ბუნებრივი წყაროებიდან, ხოლო რაბათის მოსახლეობას სჭირდება ტუმბოები მდინარიდან მათ სახლებამდე წყლის შესაყვანად.
- 2.29 პროექტის უშუალო გავლენის სფერო მოიცავს დაახლოებით 100 დაზარალებულ სოფელს,⁷⁹ რომელთა შორის 17 განლაგებულია შუახევის მუნიციპალიტეტში, მათ შორის მახალაკიძეები.⁸⁰ ESIA არ იძლევა კონკრეტული ობიექტის ინფორმაციას სხვადასხვა სოფლებში მიწისქვეშა წყაროების შესაძლო ზემოქმედებასთან დაკავშირებით.

⁷⁷ AGL-გან მიღებული კომენტარების შესაბამისად, CAO-ს მიერ ამ პროექტის ფაქტიური განხილვისა და კომენტარების გაკეთების პერიოდში, მდინარე აჭარისწყალი არ არის გამოყენებული სასმელად.

⁷⁸ ESIA, გვ. 319.

⁷⁹ ESIA, გვ. 117.

⁸⁰ ESIA, დანართი C, გვ. 61.

2.30 თუმცა, იგი ჩამოთვლის პროექტის კონკრეტულ შესაძლო ზემოქმედებებს მიწისქვეშა წყლების გამოყენებასთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ, “სასმელად, სარწყავად და საყოფაცხოვრებო მიზნებით წყლის რესურსების გამოყენება შეიძლება დაიკარგოს იმ ადგილებში, სადაც გვირაბების გათხრა განხორციელდება მიწისქვეშა წყლების ქვეშ.”⁸¹ დამატებითი შესაძლო ზემოქმედებები მოიცავდნენ გვირაბის მშენებლობისას წყლის დაბინძურებას, დაღვრას ან გაჟონვას, სამუშაო ბანაკის ჩამდინარე წყალს და ადგილობრივ მომხმარებლებს შორის წყლის რესურსებზე კონკურენციას.⁸² ზემოქმედების შეფასებაში ასევე ხაზგასმულია სამშენებლო ტრანსპორტის შედეგად, ლოკალიზებული დანაგვიანების მომატებული რისკი, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ წყლის ნაკადებსა და წყაროს წყლებზე.⁸³

გამოსახულება 5. წყაროს წყლის მაგალითი რაბათის დასახლებასთან ახლოს, სოფელ მახალაკიძეები



წყარო: CAO-ს შესაბამისობის მისია, მაისი 2022 წ.

2.31 პროექტით განხორციელებული გვირაბის გაყვანის რისკის შეფასებისას, ESIA აფრთხილებს “მიწისქვეშა წყლებზე შესაძლო უშუალო ზემოქმედების შესახებ, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც მიწისქვეშა წყლები (ან წყაროს წყლები) წარმოადგენს მნიშვნელოვან ადგილობრივ რესურსს” და დასძენს, რომ ამ სამუშაოებმა შეიძლება დაარღვიოს წყლის დინების რეჟიმი ან დაანაგვიანოს მიწისქვეშა წყალსატენი.⁸⁴ AGL-ის კონსულტანტმა დაასახელა მშენებლობა, როგორც პროექტის პერიოდი, რასაც თან ახლავს მიწისქვეშა წყლების რესურსების დაკარგვის მზარდი შესაძლებლობა და ESIA-ში განაცხადა, რომ “ყველაზე მაღალი რისკების ზონა შეიძლება გახდეს ის ადგილები, სადაც გვირაბი ყველაზე ახლოსაა ზედაპირთან

⁸¹ ESIA, გვ. 148 და 307.

⁸² ESIA, გვ. 307.

⁸³ ESIA, გვ. 340.

⁸⁴ ESIA, გვ. 345.

და გვირავის შესასვლელების ახლოს, ტოპოგრაფიისა და გვირავის დაპროექტებული სიღრმის გამო.⁸⁵ თავის სოციალური ზემოქმედების შეფასების თავში, ESIA შენიშნავს, რომ გვირავის სამუშაოებმა შეიძლება დროებით ან სამუდამოდ ამოაშროს წყლის ჭები, ხოლო რისკის დონე და ამის მოხდენის ალბათობა იმ დროისთვის უცნობი იყო.⁸⁶ თუმცა, ESIA-ის სხვა ნაწილები ამცირებენ ამ რისკს და აცხადებენ, რომ მაგალითად, “მოსახლეობის მიერ გამოყენებულ წყაროს წყლებზე შესაძლო ზემოქმედება შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება, მაგრამ უმეტესი წყაროები და მათი მომხმარებლები მეწყერის ადგილებში გვირავის გასწორებისას აცილებულნი იქნენ და აქედან გამომდინარე, რისკი შედარებით დაბალია.”⁸⁷

2.32 2013 წელს, ინვესტიციამდე განხორციელებული კომპლექსური შემოწმების დროს, IFC-თვის მიწოდებული ESIA-ი ასკვნიდა, რომ გვირავის გაყვანის პროგნოზირებული სამშენებლო ეფექტები იყო ‘საშუალოდან უმნიშვნელოდ უარყოფითი’⁸⁸ და შესაძლებელია მისი შემსუბუქება საუკეთესო სამშენებლო პრაქტიკისა და ეროზიის მინიმიზების მეთოდების გამოყენებით. ამგვარი საუკეთესო პრაქტიკები და მეთოდები კონკრეტულად უნდა ყოფილიყო მითითებული AGL-ის კონტრაქტორების მართვის გეგმებში და დაწესებულიყო მასზე მონიტორინგი ყოვლისმომცველი პროექტის E&S-ის მართვის გეგმით (ESMP).⁸⁹ ESIA-მა ასევე განაცხადა, რომ გვირავის მშენებლობას შეიძლება მოჰყვეს უმნიშვნელო ნარჩენი ზემოქმედებები, ხოლო მათი შემამსუბუქებელი ზომები იქნება “გვირავის მონაკვეთების საჭიროებისამებრ მოპირკეთება/ამოვსება მიწისქვეშა წყლების გადინების დასაღუჭად”.⁹⁰ გვირავის მოპირკეთება აძლიერებს მის სტაბილურობას და ლუქავს გვირავს წყლის შეღწევისაგან ან დაკარგვისაგან. საერთო ჯამში ESIA-მა დაადგინა, რომ პროექტს ექნებოდა უარყოფითი სამშენებლო ზემოქმედებები წყლის თვისებებზე გარკვეული შესაძლო ლოკალიზებული უმნიშვნელო ზემოქმედებებით მდინარესა და წყაროს წყლებზე, მაგრამ თუ ვიგულისხმებდით შესაბამის შემამსუბუქებელ ზომებს, ეს სამშენებლო ზემოქმედებები არ იყო მიჩნეული მნიშვნელოვნად.⁹¹

2.33 2013 წლის ნოემბერს, AGL-მა ცალკე განხორციელა მიწისქვეშა წყლების კაბინეტის დონეზე განხილვა საქართველოს ბუნების დაცვის სამინისტროს მიერ წყაროს წყლებსა და მიწისქვეშა წყლებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ გამოთქმული მღელვარების შესაბამისად. მიწისქვეშა წყლების საწყისი დონის შესახებ დეტალური ინფორმაციის არ არსებობა იმას ნიშნავდა, რომ ეს განხილვა ეფუძნებოდა მოდელირების მეთოდს, რომელიც ითვალისწინებდა გვირავების, კლდის სახეობების და წყაროს წყლების მდებარეობებისა და მათი თვისებების სხვადასხვა ვარიანტს. ამ კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოდელის უმეტეს სცენარებში, გვირავის მშენებლობას შეეძლო გამოეწვია მოჭარბებული შემავალი წყალი, რაც გავლენას

⁸⁵ ESIA, გვ. 148.

⁸⁶ ESIA, გვ. 148.

⁸⁷ ESIA, გვ. 163 და 347, და ESRS.

⁸⁸ ESIA, გვ. 345.

⁸⁹ ESIA, გვ. 345.

⁹⁰ ESIA, გვ. 374.

⁹¹ ESIA, გვ. 366, 381 და 382.

ახდენდა მიწისქვეშა წყლების და წყაროს წყლების დონეებზე – და აქედან გამომდინარე, მოსახლეობისათვის წყლის ხელმისაწვდომობაზე. თუმცა, ამ კვლევამ დაასკვნა, რომ ეს ზემოქმედებები არ განხორციელდებოდა, რადგან ყველა გათამაშებულ ვარიანტში AGL-ი ითხოვდა გვირაბებში ცემენტის ხსნარის წინასწარ გაფილტვრას, რაც არ იძლეოდა მიწისქვეშა წყლების გაჟონვის და სხვა თანმხლები ზემოქმედებების საშუალებას ადგილობრივ წყაროს წყლებზე.

2.34 მიუხედავად იმისა, რომ ESIA გასაგებად შენიშნავს კლდის წარმონაქმნებში მიწისქვეშა წყლების არსებობას იმ ადგილებში, სადაც გვირაბები იყო დაგეგმილი, პროექტის დოკუმენტებში მოცემულია მიწისქვეშა წყლების შესაძლო ზემოქმედებების არაერთგვაროვანი შეფასება, როგორც წყალსატევების მიერ უზრუნველყოფილი ეკოსისტემის მომსახურება. E&S-ის შესაბამისი წესდების დებულებები შეიცავს PS1-ის მოთხოვნებს ეკოლოგიური ზემოქმედების შეფასებაზე და PS6-ის მოთხოვნებს იმასთან დაკავშირებით, რომ IFC-ის მომხმარებელმა გამოავლინოს და შეაფასოს ეკოსისტემის მომსახურებების ზემოქმედებები. მიუხედავად იმისა, რომ მას გათვითცნობიერებული აქვს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა წყალს საარსებო, სასოფლო-სამეურნეო, სარწყავი და საოჯახო სანიტარული მიზნებისთვის იყენებს, მოსახლეობის უზრუნველყოფის მომსახურებაში, პროექტის მნიშვნელოვან შესაძლო ზემოქმედებასთან დაკავშირებით ESIA-ი მხოლოდ მდინარის წყალს შეიცავს. მასში ნახსენები არ არის მიწისქვეშა და წყაროს წყლების ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოყენება.⁹² IFC-ის ESDD დოკუმენტაცია ასევე გამოხატავს ამ გაგებას. CAO-ი მიიჩნევს, რომ წყაროებიდან წყლის უზრუნველყოფა, ისევე როგორც მდინარეებიდან წყლის უზრუნველყოფა, წარმოადგენს ეკოსისტემის მომსახურებას, რომელსაც უზრუნველყოფს ამ ტერიტორიაზე არსებული წყალსატევები და წყლით მდიდარი მთის ეკოსისტემა.

2.35 პროექტის ESIA-მა ნამდვილად გააკეთა ზოგადი შეფასება ეკოსისტემის მომსახურებების ზემოქმედებებზე, განმარტა ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის (BAP) მომზადების საჭიროება PS6-ის მოთხოვნების შესაბამისად, რათა უზრუნველყო, რომ ეკოსისტემის მომსახურებებს არ განეცადათ არანაირი გრძელვადიანი ზემოქმედებები. AGL-მა საბოლოო ჯამში მოამზადა BAP-ი, მაგრამ არც ამ მოქმედების გეგმას და არც ESIA-ის თავს ეკოსისტემის მომსახურებებზე არ განუხილავს წყალსატევების მიერ უზრუნველყოფილ ეკოსისტემის მომსახურებებზე შესაძლო ზემოქმედებები, მათ შორის წყაროს წყლების მკვებავ მიწისქვეშა წყლებზე.

2.36 ამავე დროს, Arup-ის მიერ ცალკე ჩატარებულმა IFC-ის წინასაინვესტიციო კომპლექსურმა შემოწმებამ გამოავლინა, რომ გვირაბის გაყვანა “შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება” მოსახლეობის მიერ გამოყენებულ წყაროს წყლებზე. თუმცა, 2013 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებულ პროექტის ESRS-ში გაკეთებულია დასკვნა, რომ ეს იყო შედარებით მცირე რისკი, რადგან ამ წყაროების უმეტესობა მდებარეობდა ძველი მეწყერის ადგილებში, რასაც პროექტის გვირაბის ტრასა თავს არიდებდა. IFC-ი ასევე ამტკიცებდა, რომ

⁹² ESIA, გვ. 268-269.

შესაძლებელი იყო ნებისმიერი სხვა განჭვრეტადი ზემოქმედებების შემცირება, გვირაბის შესაბამისი ადგილების შეცემენტებით ან მოპირკეთებით, ხოლო სასმელი წყლის დაკარგვის შემთხვევაში, დროებითი წყლის მიწოდების უზრუნველყოფით.⁹³

- 2.37 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის საოპერაციო ფაზასთან დაკავშირებით, AGL-ის ESIA-მა გაიმეორა არგუმენტი, რომ ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ ექსპლუატაციაში გაშვებულ გვირაბებს ზემოქმედება მოეხდინა ადგილობრივი წყლის მომარაგებისთვის გამოყენებულ წყაროებზე, რადგან კონტრაქტორი შეაცემენტებდა ან მოაპირკეთებდა გვირაბის იმ მონაკვეთებს, რომლებიც მშენებლობის პერიოდში გამოავლენდნენ მნიშვნელოვანი რაოდენობის შემავალ წყალს.⁹⁴ ამის შედეგად, ESIA-მა საექსპლუატაციო ზემოქმედების მნიშვნელობა დაახასიათა როგორც “უმნიშვნელოდ უარყოფითი”. AGL-სა და IFC-ს შორის შეთანხმებული პროექტის E&S-ის მართვის გეგმა (ESMP) საბოლოო ჯამში შეიცავდა მხოლოდ ფართო დებულებას წყაროს წყლებთან დაკავშირებით მოსახლეობის საჩივრების მონიტორინგის შესახებ.⁹⁵

iv. CAO-ს დასკვნები: მიწისქვეშა წყლების რესურსებზე ზემოქმედების შეფასება

- 2.38 ESIA-ის შესახებ CAO-ს ანალიზი და ESDD-ის პერიოდში IFC-თვის ხელმისაწვდომი პროექტის სხვა დოკუმენტები ასახვენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოყენებულ წყაროს და მიწისქვეშა წყლებზე პროექტის შესაძლო ზემოქმედებები ინვესტიციის განხორციელებამდე ფართოდ იქნა გამოვლენილი და შეფასებული. კერძოდ, 2013 წლის ნოემბერში AGL-ის მიერ ჩატარებული საკაბინეტო განხილვისას, შეფასებულ იქნა გვირაბის სამუშაოებიდან გამომდინარე, პროექტის მიერ მიწისქვეშა წყლებზე შესაძლო ზემოქმედებების სხვადასხვა ვარიანტები, საბაზისო დონის ინფორმაციის ხარვეზების გათვალისწინებით. ამ განხილვამ, AGL-ის ESIA-მა და IFC-ის ESRS-მა, ყველამ ერთად ცნო, რომ მშენებლობის დროს გვირაბის სამუშაოებს შეეძლო გამოეწვია მიწისქვეშა რესურსებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, თუმცა საბოლოო ჯამში ასკვნდნენ, რომ შემამსუბუქებელი ზომები ამ შედეგს ნაკლებ სავარაუდოს გახდიდა და ამრიგად, შესაძლო ზემოქმედება შეაფასეს, როგორც “მცირე”.
- 2.39 თუ გავითვალისწინებთ ამ შეფასების მოქმედების მასშტაბს, CAO ასკვნის, რომ IFC-ის წინასაინვესტიციო E&S-ის კომპლექსური შემოწმება სწორად შენიშნავდა, რომ მომხმარებელმა გამოავლინა და შეაფასა მიწისქვეშა რესურსებზე შესაძლო ზემოქმედებები, როგორც ამას მოითხოვს შესრულების სტანდარტი 1, შეთავაზებული პროექტის ხასიათისა და მასშტაბიდან გამომდინარე და მდგრადობის წესდების შესაბამისობაში (პარაგ. 26).

v. მიწისქვეშა წყლებზე სავარაუდო ზემოქმედებების შემამსუბუქებელი ზომები

- 2.40 AGL-მა დანერგა პროექტის შემამსუბუქებელი ზომები, მათ შორის, ზემოთ აღწერილ

⁹³ ESRS, გვ. 11.

⁹⁴ ESIA, გვ. 365.

⁹⁵ ESIA, გვ. 365.

მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების რისკებისათვის, ESMP-ში და ასევე ESIA-ის ცხრილში. ეს E&S-ის შემამსუბუქებელი ზომები მოიცავდნენ რამდენიმე ზომას, რომელიც უნდა გაეტარებინა AGL-ის მშენებელ კონტრაქტორს, რომელიც ESMP-ის განცხადებით, დეტალურად უნდა ყოფილიყო გადმოცემული პროექტის სამშენებლო ეკოლოგიური მართვის გეგმებში (CEMP-ები).⁹⁶

2.41 ESIA-მა აღწერა სამი ტიპის შემამსუბუქებელი ზომა, წყლის თვისებებზე გვირაბის ზემოქმედებების დასაძლევად. ისინი მოიცავდნენ შემდეგს: 1) დანერგილ შემამსუბუქებელ ზომას, რომელიც ჩაშენებულია პროექტში EPC-ის შესყიდვისა და დაპროექტების პროცესში; 2) მნიშვნელოვანი ეფექტების შემამსუბუქებელ ზომას; და 3) არა-მნიშვნელოვანი ეფექტების შემამსუბუქებელ ზომას. მითითებული დანერგილი შემამსუბუქებელი ზომები მოიცავდნენ გვირაბის მოპირკეთებას იმ ადგილებში, სადაც არსებობს მიწისქვეშა წყლების რესურსების დარღვევის რისკი, სამშენებლო შენაერთების განთავსება მოწყვლადი წყლის თვისებებიდან მოშორებით და დაბინძურების რისკის მინიმუმის საუკეთესო პრაქტიკას მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში. მნიშვნელოვანი ეფექტების შესამსუბუქებლად, ESIA-მა გასცა წყლის თვისების გამოკვლევის რეკომენდაცია გვირაბის მოპირკეთების მოთხოვნების დასადაგენად.⁹⁷ არა-მნიშვნელოვანი ეფექტებისათვის გათვალისწინებულ შემამსუბუქებელ ზომებს შორის, ESIA-მა ხელახლა მიუთითა ობიექტის მშენებლობის მოწყვლადი წყლის თვისებებიდან მოშორებით დაწყებაზე და დაბინძურების რისკის შესამცირებლად, საუკეთესო პრაქტიკების მიღებაზე.

2.42 ESIA-მა ასევე გასცა რეკომენდაცია, პროექტის დეტალური დაპროექტების სტადიაზე “ანაზღაურებისა და გაუმჯობესების ზომების” შემუშავებაზე, როდესაც ხდება საკვანძო ადგილობრივი მახასიათებლების გათვალისწინება. მან შენიშნა, რომ ამ ზომებში უპრიანია შევიდეს “სავარაუდოდ დაზარალებული, რიცხოვნობად მცირე და პატარა მასშტაბის სარწყავებისთვის ან თევზის ფერმერებისთვის ალტერნატიული მიწოდების სისტემის უზრუნველყოფა, მათი აბსტრაქციის პუნქტის გადატანით და ახალი გადაცემის არხის/მილსადენის ან სხვა ალტერნატიული წყლის მიწოდების უზრუნველყოფით.”⁹⁸ სხვა პროექტის დოკუმენტებში განხილული იყო დამატებითი წყლის მომხმარებლების მხარდაჭერა, რომლებიც დაზარალდნენ მშენებლობის გამო მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების შედეგად. IFC-ის ESRS-ი, მაგალითად აცხადებდა, რომ “იქ, სადაც ადგილი ექნება სასმელი წყლის დაკარგვას, დაყენდება დროებითი წყლის მიწოდების საშუალება, ისე, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში ოჯახები არ დარჩნენ სასმელი წყლის გარეშე. იმისათვის, რომ გრძელ-ვადიან პერიოდში გამოსწორებულ იქნეს სასმელი წყლის დანაკარგი, პროექტის მიერ გაყვანილი იქნება მუდმივი ალტერნატიული წყლის მიწოდება.”⁹⁹

⁹⁶ IFC, ESRS.

⁹⁷ ESIA, გვ. 367-368.

⁹⁸ ESIA, გვ. 368.

⁹⁹ IFC, ESRS.

2.43 IFC-სა და AGL-ს შორის შეთანხმებული პროექტის E&S-ის მართვის გეგმა (ESMP)¹⁰⁰ მოიცავდა ორ კონკრეტულ შემამსუბუქებელ ზომას მიწისქვეშა წყლების გვირაბის გათხრითი სამუშაოებისაგან დასაცავად და დაზარალებული მხარეების საჭიროებისამებრ კომპენსირებისთვის: 1) წყლის თვისების კვლევას, გვირაბის მოპირკეთების საჭიროებების დასადგენად; და 2) ალტერნატიული სასმელი წყლის მომარაგებით კომპენსირებას. ორივე ზომა წამოადგენდა კონტრაქტორის მოვალეობას, რომელიც უნდა შემუშავებულიყო წყლის ხარისხის და წყლის რესურსების მართვის გეგმის გამოყენებით, როგორც პროექტის CEMP-ები.¹⁰¹ ESMP-ი ასევე მოითხოვდა კონტრაქტორისა და AGL-გან წყლის გამოყენების საბაზისო დონის დადგენას გვირაბის გაყვანამდე¹⁰² და გვირაბის გათხრისას მიწისქვეშა წყლების დაცვა გახდა კონტრაქტორის პასუხისმგებლობებში შემავალ მიზნად წყლის თვისების კვლევის უზრუნველყოფის მიზნით. მართვის გეგმა ასევე მოითხოვდა წყაროს წყლების დინების წლიურ მონიტორინგს,¹⁰³ მაგრამ მას არ დაუკონკრეტებია არსებული წყაროს წყლების მოცულობა, მონიტორინგის პერიოდები ან წლის სეზონები და არ გაუწევია არანაირი მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა. წყაროს წყლის მონიტორინგი ასევე იყო პროექტის ეკოლოგიური ლიცენზიის პირობა, რომელიც მშენებლობის პერიოდში წარმოადგენდა მონაწილეობითი მონიტორინგის საფუძველს, რაც უფრო ვრცელადაა განხილული ქვემოთ.

2.44 AGL-მა შეიმუშავა წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების მართვის CEMP-ი, რომელმაც IFC-ის მომხმარებლისა და მისი კონტრაქტორებისთვის განსაზღვრა შემუშავების მინიმალური მოთხოვნები, მშენებლობის პერიოდში ჩამდინარე წყლების მიწისქვეშა წყლებზე სავარაუდო უარყოფითი ეფექტების შესამსუბუქებლად და თავიდან ასაცილებლად.¹⁰⁴ CEMP-ის დებულებები მოიცავდნენ მიწისქვეშა და წყაროს წყლების ხელმისაწვდომობაზე სავარაუდო ზემოქმედებებს გვირაბის სამუშაოების გამო,¹⁰⁵ მაგრამ მის მიერ ასახული წესები, სტანდარტები, ქმედებები და ზომები ეხებოდა მხოლოდ წყლის ხარისხს და დაბინძურების სტანდარტებს. წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების მართვის შემსუბუქების გეგმა, ასევე არ შეიცავდა არანაირ ინფორმაციას მიწისქვეშა წყლების მიწოდებაზე ზემოქმედების შესაბამის სტანდარტებისა და სახელმძღვანელოებს და არ ადგენდა ქმედებებსა და ზომებს ამ ზემოქმედებების შესამსუბუქებლად ერთის გამოკლებით.¹⁰⁶

2.45 მიწისქვეშა წყლების ხელმისაწვდომობაზე ზემოქმედების ერთადერთი ზომა ავალდებულებს

¹⁰⁰ ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმა წარმოადგენს შემამსუბუქებელ, სამონიტორინგო და ინსტიტუციურ ზომებს, რომლებიც მიღებულ უნდა იქნეს პროექტის დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის სტადიებზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედებები, მოხდეს მათი კომპენსირება, ან მისაღებ დონემდე შემცირება. ESMP პასუხობს ESIA-ში გამოვლენილ საკვანძო ზემოქმედებებსა და რისკებს. ESMP-ი ზოგადად ინტეგრირებულია ტენდერებში და პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის საკონტრაქტო დოკუმენტებში.

¹⁰¹ ESMP, გვ. 14.

¹⁰² ESMP, გვ. 7.

¹⁰³ ESMP, გვ. 14.

¹⁰⁴ წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების მართვა CEMP, გვ. 1.

¹⁰⁵ წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების მართვა CEMP, გვ. 2.

¹⁰⁶ წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების მართვა CEMP, გვ. 4-5.

მოსახლეობის საჩივრების განხილვას იმასთან დაკავშირებით, თუ რა ზემოქმედება იქონია პროექტმა წყლის რესურსებზე მათ წვდომასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევებში, როდესაც სამშენებლო სამუშაოებს სავარაუდოდ შეეძლოთ მოეხდინათ ამგვარი ზემოქმედება, CEMP-ი ავალდებულებს კონტრაქტორს, რომ ჩაატაროს აღდგენითი სამუშაოები, მათ შორის, გააღრმავოს ჭაბურღილები ზემოქმედების ადგილებში, ან, იშვიათ შემთხვევებში, უზრუნველყოს ალტერნატიული წყლის მიწოდება. AGL-ის კონტრაქტორს და პროექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამშრომელს ევალებოდათ ადგილობრივი საჩივრების და პრობლემების მონიტორინგი, რომლებიც დაკავშირებული იყო ადგილობრივი წყაროებიდან და ჭაბურღილებიდან წყლის დაკარგვასთან.¹⁰⁷

vi. CAO-ს დასკვნები: შემამსუბუქებელი ზომები

- 2.46 PS1 (პარაგ. 13) IFC-ი მომხმარებლებისგან მოითხოვს მართვის პროგრამების შემუშავებას შემამსუბუქებელი ზომებით, რომლებიც გადაწყვიტავენ ყველა გამოვლენილი პროექტის E&S-ის რისკებს და ზემოქმედებებს იმგვარი დეტალებითა და სირთულით, რაც შეეფარდება ამ რისკებსა და ზემოქმედებებს (პარაგ. 15). ამ მართვის პროგრამებში, მომხმარებლებმა უნდა განსაზღვრონ სასურველი შედეგები და ქმედებები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შესრულების ინდიკატორების, სამიზნეების, ან მისაღებლობის კრიტერიუმების გამოყენებით, რომლებზეც შესაძლებელი იქნება დაკვირვება განსაზღვრული დროის განმავლობაში, რესურსების შეფასებების დეტალური აღწერით და შემუშავების პასუხისმგებლობით (პარაგ. 16). ამგვარი პროექტები, რომლებიც მოითხოვენ სრულმასშტაბიან ESIA-ს, უნდა შეიცავდნენ მართვის გეგმებს, პროცედურებს, პრაქტიკებს და იურიდიულ ხელშეკრულებებს შემამსუბუქებელი ზომების სისტემატური მართვით (PS1 GN63).
- 2.47 CAO ასკვნის, რომ ის შემამსუბუქებელი ზომები, რომლებიც IFC-ის მომხმარებელმა შეიტანა ESIA-სა და ESMP-ში წყაროს წყლების დინების მონიტორინგისათვის, რაც აკმაყოფილებს გვირაბის მოპირკეთების და მოცემენტების მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ალტერნატიული წყლის მომარაგებას ადეკვატური იყო. თუმცა, მიწისქვეშა წყლების შემამსუბუქებელი ზომები, რომლებიც საბოლოოდ შეტანილ იქნა წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების მართვის CEMP-ში, AGL-ისა და მისი მშენებელი კონტრაქტორის მიერ შესამუშავებლად, შეუსაბამოა იყო იმ ზომებთან, რომლებიც გათვალისწინებულია ESIA-სა და ESMP-ის მიერ. CEMP-ს არ შეუმუშავებია არანაირი შემამსუბუქებელი ზომები გვირაბის ცემენტით წინასწარი ამოვსების, ამოვსების და მოპირკეთებისათვის ან წყლის კვლევის მიზნით, გვირაბის მოპირკეთებისა და ცემენტით ამოვსების მოთხოვნების ინფორმირების მიზნით. რაც შეეხება წყლის დაკარგვით დაზარალებული მოსახლეობისათვის ალტერნატიული წყლის მიწოდების უზრუნველყოფას, CEMP-მა გააკეთა იმგვარი პროგნოზირება, რომ ალტერნატიული წყლის მიწოდება “იშვიათ” შემთხვევაში თუ გახდებოდა საჭირო და არ წარმოუდგენია სახელმძღვანელოები მისი შემამსუბუქებელი ზომის სახით შემუშავების ან შეტანათვის. IFC-მა ვერ შეძლო ამ ხარვეზების გამოვლენა წინა-საინვესტიციო კომპლექსური შემოწმების დროს და ამის შედეგად, პროექტის

¹⁰⁷ წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების მართვა CEMP, გვ. 15.

E&S-ის სამოქმედო გეგმა არ შეიცავდა არანაირ მოთხოვნებს მომხმარებლის მიერ მიწისქვეშა წყლების შემამსუბუქებელი ზომების საჭიროებისამებრ შემუშავებისათვის.

2.48 გარდა ამისა, CAO აღნიშნავს, რომ CEMP-ის ზომები მიწისქვეშა წყლების ხელმისაწვდომობაზე იყო უფრო რეაქციული და ადგილობრივი მოსახლეობის საჩივრებზე დამოკიდებული, ვიდრე ისეთი პროაქტიული საპროექტო ქმედებები, რაც აღწერილია ESIA-სა და ESMP-ში. გეგმა ერთმანეთთან აკავშირებდა ნებისმიერ სავარაუდო აღდგენით ზომებს და მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს დაზარალებულ მოსახლეობაზე ზემოქმედების ანგარიშებსა და პროექტის საქმიანობებს შორის. თუმცა, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, AGL-ს არ დაუდგენია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოყენებული მიწისქვეშა წყლების და წყაროს წყლების რესურსების მკაფიო საბაზისო დონე, რის გამოც მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოვლენა ძნელდება.

2.49 IFC-ის კომპლექსური შემოწმება აღწერდა სპეციფიკური სამშენებლო გეგმების მნიშვნელობას წყალთან დაკავშირებული ზემოქმედებების შესამსუბუქებლად ან სამართავად, მაგრამ მან ვერ უზრუნველყო განმარტა მიწისქვეშა წყლების შემსუბუქების ზომები ESAP-ში ან სხვა შესაბამის E&S-ის მართვის გეგმებში.

2.50 CAO-ს დასკვნით, მიუხედავად იმისა, რომ IFC-ის წინა-საინვესტიციო განხილვა შეესატყვისებოდა ამ რისკებს, IFC-მა ვერ დააკმაყოფილა მდგრადობის წესდების მოთხოვნა “რათა მისი კომპლექსური შემოწმების ბაზაზე უზრუნველყო მონიტორინგი და ზედამხედველობა, რომ მის მიერ დაფინანსებული ბიზნესის საქმიანობა შემუშავებულიყო შესრულების სტანდარტების შესაბამისად,” როდესაც საქმე შეეხო პროექტის ზემოქმედებების და რისკების მართვას მიწისქვეშა წყლების რესურსებზე.¹⁰⁸ პირიქით, ძირითადი შემამსუბუქებელი ზომები, რომლებიც გამოვლენილ იქნა ESIA-ის მიერ და შეეხებოდა მიწისქვეშა წყლების ზემოქმედებებისა და რისკების მართვას, არ იყო შეტანილი პროექტის ESAP-ში, CEMP-ში ან სხვა E&S-ის რისკის შემამსუბუქებელ საპროექტო დოკუმენტებში, რაც არღვევს PS1-ს (პარაგ. 15). ამის შედეგად, დარღვეული იქნა IFC-ის მიერ AGL-ში განხორციელებულ ინვესტიციაზე ზედამხედველობა მომხმარებლის მიერ გვირაბის ამოვსების ზომების შემუშავებასთან და დაზარალებული მოსახლეობისთვის ალტერნატიული წყლის მომარაგებასთან დაკავშირებით. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავდა, რომ IFC-ის მდგრადობის წესდების ვალდებულება, რომ შეემოწმებინა მომხმარებლის შესაბამისობა PS1-ის და PS6-ის მოთხოვნებთან დარღვეულ იქნა.

e. IFC-ის ზედამხედველობა: ანალიზი და დასკვნები

2.52 ეს ნაწილი განიხილავს IFC-ის მიერ მისი მომხმარებლის მოქმედებებზე ზედამხედველობას, პროექტის მიწისქვეშა და წყაროს წყლებზე შესაძლო ზემოქმედების შესამსუბუქებლად ინვესტიციის დამტკიცების შემდეგ და CAO-ის მიერ ამასთან დაკავშირებული შესაბამისობის დასკვნებს. იგი მოიცავს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციას 2014

¹⁰⁸ მდგრადობის წესდება, პარაგ. 7.

წლიდან დღემდე. როგორც IFC-ის მიერ AGL-თვის გაცემული A სესხი, ასევე MIGA-ს გარანტია აქტიურ მოქმედებაშია ამჟამად მიმდინარე მეთვალყურეობის ქვეშ.

განსაზღვრებები

წყაროს წყლების მონიტორინგი მიუთითებს ESIA -სა და ESMP-ში შემამსუბუქებელი ზომების სახით აღწერილ მონიტორინგზე, გვირაბის მშენებლობის გამო პროექტის მიერ შესაძლო ზემოქმედებასთან დაკავშირებით. ეს მონიტორინგი ასევე დახასიათებულია, როგორც **მონაწილეობითი წყაროს წყლების მონიტორინგი** და ჩატარებულ იქნა მომხმარებლის მიერ 2014 წლის შუა პერიდიდან 2016 წლის ბოლომდე. 2017 წელს, გვირაბის ჩამონგრევის შემდეგ, ამ მონიტორინგის ძალისხმევა აღარ განახლებულა სარემონტო სამუშაოების პერიოდში.

ჰიდროლოგიური მონიტორინგი დაიწყო მომხმარებლის მიერ 2017 წელს, სადგურის ექსპლუატაციაში გაშვების პერიოდში, იმ მიზნით, რომ განხორციელებულიყო წყალსატევში მიწისქვეშა წყლების დონის გაზომვა. ეს მონიტორინგი მოიცავდა წყაროს წყლების გარეგნულ დათვალიერებას და განახლებულ იქნა 2019-2020 წლებში, ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ.

- 2.53 CAO შენიშნავს, რომ IFC-ის წარუმატებლობა წინასაინვესტიციო კომპლექსური შემოწმებისას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მის მომხმარებელს მზად ჰქონოდა აუცილებელი შემამსუბუქებელი ზომები ჯებირის მიერ წყლის რესურსებთან დაკავშირებული რისკებისა და ზემოქმედებების გამოსასწორებლად, გრძელდებოდა პროექტის შემუშავების პერიოდში. პროექტის დოკუმენტები აღწერენ შემდეგი მართვის ზომებს, მიწისქვეშა და ადგილობრივ წყაროს წყლებზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედებების მინიმიზების და თავიდან აცილების მიზნით: 1) წყლის მახასიათებლების გამოკვლევა, გვირაბის მოპირკეთების მოთხოვნების დასადაგენად; 2) წყლის დაკარგვის გამო დაზარალებული მომხმარებლების კომპენსაცია, ალტერნატიული სასმელი წყლის უზრუნველყოფით; 3) გვირაბის გაყვანამდე წყლის გამოყენების საბაზისო დონის დაფიქსირება; 4) იმ ადგილებში, სადაც დაიკარგებოდა სასმელი წყალი, დაზარალებული მოსახლეობისათვის დროებითი წყლის მიწოდების უზრუნველყოფა; 5) წყაროს წყლების დინების წლიური მონიტორინგი; და 6) მოსახლეობის საჩივრების განხილვა მათ მიერ წყლის რესურსების წვდომაზე პროექტის ზემოქმედების შესახებ. როგორც ეს ზემოთ იყო აღწერილი, AGL-ის E&S-ის მართვის გეგმაში (ESMP) წყლის რესურსის შემსუბუქების ერთადერთი ზომა, რომელიც საბოლოო ჯამში შეტანილ იქნა წყლის რესურსების CEMP-ში, რაც აკონტროლებდა მშენებლობის პერიოდში მომხმარებლის ქმედებებს იყო მოსახლეობის საჩივრების განხილვა მათ მიერ წყლის რესურსების წვდომაზე პროექტის ზემოქმედების შესახებ. შესაბამისად, AGL-სა და IFC-ს შორის შეთანხმებული და ESIA-სა და ESMP-ში არსებული ყველა შემამსუბუქებელი ზომა არ გამოყენებულა და საბოლოო ჯამში არ განხორციელებულა ზედამხედველობის ქვეშ. ამ ნაწილში განხილულია მხოლოდ პროექტის ის საკმიაწილები, რომლებიც IFC-ის ზედამხედველობის ქვეშ AGL-სა და მისი მომხმარებლის მიერ იყო შემუშავებული.

i. წყაროს წყლების მონიტორინგი

- 2.54 საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (MoE) მიერ გაცემული პროექტის ეკოლოგიური ლიცენზია მოითხოვდა მიწისქვეშა წყლების დონის ყოველთვიურ მონიტორინგს გვირაბის მშენებლობის პერიოდში. AGL-ის მიერ IFC-თვის წარდგენილი პროგრესის ამსახველი წლიური ანგარიშები მიანიშნებენ, რომ მომხმარებელი მონიტორინგს უწევდა პროექტის მიერ დაზარალებულ წყაროს წყლებს ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობის პერიოდში 2014 წლის შუა პერიოდიდან 2016 წლის ბოლომდე. თუ ეს მონიტორინგი გამოავლენდა წყაროს წყლების დონის ცვლილებებს, AGL-ი ვალდებული იყო მხარი დაეჭირა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოსაყენებელი ალტერნატიული წყაროს წყლის მიწოდებისთვის. IFC-ი ახორციელებდა AGL-ის მიერ წყაროს წყლების მონიტორინგზე ზედამხედველობას, რაც მას ევალებოდა პროექტთან დაკავშირებით მისი მომხმარებლის ეროვნული ნებართვებისა და ლიცენზიების შესაბამისობის შეფასების ფარგლებში. მას არ ევალებოდა პროექტის შემამსუბუქებელ ზომებზე უშუალო ზედამხედველობა, წყაროს წყლებსა და მათ ექოსისტემის მომსახურებებზე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით. ეს იმას ნიშნავდა, რომ IFC-ის ზედამხედველობის აქცენტი კონცენტრირებული იყო AGL-ის E&S-თან შესაბამისობის განხილვაზე, ანუ ნებისმერი შეუსაბამოების განხილვის მიზნით ეროვნული ხელისუფლების მიერ დადგენილ პირობებზე.
- 2.55 მშენებლობის პირველ წელს, MoE-მა დაადგინა, რომ პროექტი შესაბამისობაში არ იყო მშენებლობის ნებართვის გარემოს დაცვის პირობებთან, რადგან მიწისქვეშა წყლების მონიტორინგი არ განხორციელებულა სათანადო დროის პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ IFC-მა იცოდა ამ შეუსაბამოების შესახებ, CAO-ს არ გამოუვლენია არანაირი მასალა იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი შეეცადნენ მომხმარებელთან ერთად სიტუაციის გამოსწორებას.
- 2.56 2015 წლის ოქტომბერში, IFC-მა დააფიქსირა, რომ AGL-ს დაქირავებული ჰყავდა ქართველი ჰიდროლოგი, ყოველთვიური ჰიდროლოგიური მონიტორინგის შესაფასებლად და რომ MoE-ს რეგულარულად მიეწოდებოდა ინფორმაცია შედეგების შესახებ და ჰიდროლოგის მიერ გაკეთებული შეფასებები. ზედამხედველობის მორიგ მასალებში წარმოდგენილი არ ყოფილა დამატებითი ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით და არ მომხდარა რაიმე დამატებითი შეუსაბამოებების დაფიქსირება.
- 2.57 პროექტის კრედიტორების დამოუკიდებელმა კონსულტატმა აღწერა, რომ წყაროს წყლების მონიტორინგის პროგრამა, რომელიც მიმდინარეობდა 2015 და 2016 წლებში, მოიცავდა 20 სოფელს და აგროვებდა ყოველთვიურ მონაცემებს 650-დან to 686-ადგილამდე. 2016 წლის შუა პერიოდში, IFC-ის ზედამხედველობამ განაცხადა, რომ ზოგადად მომხმარებელს კარგად ესმოდა ამ მონიტორინგის პროგრამის მოთხოვნები, რომელიც დასრულდა მას შემდეგ, რაც 2016 წლის ბოლოს დამთავრებულ იქნა გვირაბის თავდაპირველი მშენებლობა.
- 2.58 მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველი პროექტის მშენებლობა დასრულებული იყო, 2017 წელს, მოსახლეობის მღელვარება დაკარგულ წყაროს წყლებზე არ წყდებოდა და ამის შესახებ გადაიცემოდა რეპორტაჟები ადგილობრივი მედია-საშუალებებით. იმავე წლის აგვისტოდან

ოქტომბრამდე ჩამოინგრა გვირაბის მონაკვეთების დიდი ნაწილი და სამუშაო დროებით იქნა შეჩერებული ჯებირებზე.¹⁰⁹ 2018 წლის ნოემბერში ობიექტზე განხორციელებული ვიზიტის შემდეგ, IFC-მა AGL-ს სთხოვა მიეცა მისთვის გარანტია, რომ წყაროს წყლების მონიტორინგს არ დასჭირდებოდა განახლება, რადგან იწყებოდა გვირაბის სარემონტო სამუშაოები. 2019 წელს, კრედიტორის კონსულტანტმა (IESC) IFC-ს შეატყობინა, რომ არასაკმარისი მონიტორინგი თითქოს არ წარმოადგენდა შესაბამისობის საკითხს, მაგრამ თავის 2019 წლის ანგარიშში მიუთითა, რომ წყაროს წყლის მონიტორინგის ხელახლა წამოწყება იყო “გაუმჯობესებისთვის საჭირო რეკომენდაცია”. CAO აღნიშნავს, რომ IESC-ის ანგარიშში მოცემული შესაბამისობის ქმედებების ცხრილი არ შეიცავდა ამ რეკომენდაციას და IFC-ის მორიგ ზედამხედველობის დოკუმენტებში არ ყოფილა ამ საკითხზე გაკეთებული მოხსენება.

- 2.59 მიუხედავად იმისა, რომ წყაროს წყლების მონიტორინგი, როგორც მშენებლობის შემამსუბუქებელი ზომა, ხელახლა არ დაწყებულა, AGL-მა შეიმუშავა ჰიდროლოგიური მონიტორინგის პროგრამა პროექტის ხელახალი ექსპლუატაციის ფაზისთვის 2019-2020 წლებში, რომელიც ასევე შეიცავდა ინფორმაციას წყაროს წყლების მონიტორინგის შესახებ.¹¹⁰ ეს ჰიდროლოგიური მონიტორინგის პროგრამა მოიცავდა AGL-ის პერსონალის მიერ გარეგნულ შემოწმებებს მთავარი საოპერაციო თანამშრომლის ზედამხედველობის ქვეშ. IFC-ის ზედამხედველობის მასალების შესაბამისად, ამ მიდგომამ, მიუხედავად მისი ელემენტარულობისა, AGL-ს შესაძლებლობა მისცა განხორციელებინა დაკვირვებები მშრალ და სველ სეზონებზე და გადაეწყვიტა ახდენდნენ თუ არა ზემოქმედებას ჰიდროელექტრო სადგურის სქემების გვირაბები ადგილობრივ მიწისქვეშა სისტემებზე. კერძოდ, მშრალ სეზონზე, როცა წყაროს წყლებისა და მდინარეების დინება კლებულობს, ფიქსირდებოდა გვირაბიდან გამომავალი ნებისმიერი რაოდენობის მოჭარბებული წყალი.
- 2.60 CAO-ს არ აღმოუჩენია არავითარი მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ AGL-ი ანალიზს უკეთებდა პროექტის მშენებლობისას შეგროვებული წყაროს წყლების მონიტორინგის მონაცემებს და ასევე, არ არსებობს IFC-ის მიერ მონიტორინგის შედეგების ზედამხედველობის შეფასებასთან დაკავშირებული მასალები, რომლებიც აღწერენ განიცადეს თუ არა წყაროს წყლებმა რაიმე ზემოქმედება. გარდა CAO-ს მიერ განხილული პროექტის

¹⁰⁹ 2017 წელს, გვირაბების ამოვსებისას, ზოგიერთ ადგილებში შეინიშნებოდა დაზიანებები გვირაბის ზედაპირზე. გამოძიების ჩასატარებლად გაჩერებულ იქნა საპროექტო სამუშაოები, ხოლო გვირაბები კი ამომშრალი. გვირაბებში ამ დაზიანების მიზეზად დადგინდა წყლის რეაქცია გარემომცველ გეოლოგიაზე, რასაც შედეგად მოჰყვა დამცავი სტრუქტურების ზედმეტი გადატვირთვა. სათავე გვირაბის სხვადასხვა მონაკვეთებში გამოვლენილ იქნა მნიშვნელოვანი ქვათაცვენა და რამდენიმე მცირე ქვათაცვენა; ხოლო შხალთა დიდაჭარის გადასასვლელ გვირაბზე ორი მთლიანი ჩამონგრევა. კლდის გეოლოგიური თვისების დასამოწმებლად ჩატარებულ იქნა დეტალური შემოწმებები, გამოძიებები და კლდის ცდები. იხ. დამატებითი ინფორმაცია გვირაბის ჩამონგრევებზე და განხორციელებულ მავორექტირებელ სამუშაოებზე, აქ: <https://agl.com.ge/storage/media/other/2024-01-10/b651e550-af90-11ee-8894-4b3f5b5493c1.pdf> და აქ: documents/47919/47919-014-esmr-en_7.pdf.

¹¹⁰ მომხმარებელმა შეიმუშავა ჰიდროლოგიური მონიტორინგის პროგრამა, რომელიც უნდა განხორციელებულიყო მთელი ექსპლუატაციის ფაზაში, გვირაბის ამოვსების პერიოდში მოსახლეობის საჩივრებზე ჰიდროგეოლოგიისა და ქვათაცვენების პასუხად (წყაროს წყლების გამოჩენა/გაუჩინარება).

დოკუმენტებისა,¹¹¹ არ ყოფილა წარმოდგენილი არავითარი სახელმძღვანელო მითითებები ან დეტალური მეთოდოლოგია წყაროს წყლის მონიტორინგთან დაკავშირებით. CAO-ს მიერ ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გასაგები ხდება, რომ მიწისქვეშა წყაროების შერჩევა წყაროს წყლების მონიტორინგის პროგრამაში ეფუძნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. ამ მიდგომამ წარმოშვა ხარვეზები მიღებული მონაცემების სახეობასთან დაკავშირებით, რაც არ იძლეოდა მესამე მხარეების მიერ მისი ინტერპრეტირების საშუალებას.

- 2.61 CAO-მა ექსელის ფორმატში მიიღო მონიტორინგის მონაცემები, რომლებიც შეგროვებულ იქნა სოფელ მახალაკიძეებისათვის 2014 წლის ნოემბრიდან 2016 წლის დეკემბრამდე მონაწილეობის მონიტორინგის პროგრამის ბაზაზე. თუმცა, გამოყენებული საზომი მოწყობილობები და დინების ერთეულები სხვადასხვა წყაროს წყლებისთვის არათანმიმდევრული იყო, რამაც CAO-ს ექსპერტ კონსულტანტს საშუალება არ მისცა გაეანალიზებინა ეს ინფორმაცია. გარდა ამისა, IFC-ის ზედამხედველობის დოკუმენტებში, CAO-მ ვერ მოიძია ამ მონაცემების ინტერპრეტაცია ან ანალიზი. CAO-ს მოსაზრებით, ამ მონაცემების ანალიზი უნდა გაკეთებულიყო მაშინ, როდესაც მიმდინარეობდა გვირაბის მშენებლობა, მათი მომხმარებლებისათვის მიწოდების მიზნით, რათა დაერწმუნებია IFC-ი, რომ გვირაბის მშენებლობას არ მოუხდენია რაიმე ზემოქმედება ადგილობრივ წყაროს წყლებზე და რომ სრულდებოდა PS1-ის მოთხოვნები შემამსუბუქებელ ზომებთან დაკავშირებით.

ii. CAO-ის დასკვნები: ზედამხედველობა წყაროს წყლების მონიტორინგიზე

- 2.62 ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, CAO ასკვნის, რომ IFC-მა ვერ მოახერხა წყაროს წყლების მონიტორინგის შემუშავებაზე ადეკვატური ზედამხედველობის გაწევა დადგენილი შემამსუბუქებელი ზომის სახით, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული მოსახლეობისათვის მიწისქვეშა წყლების და ექოსისტემის მომსახურებაზე ზემოქმედება გვირაბის მშენებლობისას. პირიქით, IFC-ი ყურადღებას ამახვილებდა ადგილობრივი ნებართვებისა და ლიცენზიების შესაბამისობის ზედამხედველობაზე. პროექტის დოკუმენტების განხილვით დგინდება, რომ IFC-ს არ განუხორციელებია და არ გაუანალიზებია წყაროს წყლების მონიტორინგის მონაცემები იმის შესაფასებლად, ახდენდა თუ არა გვირაბის სამუშაოები ზემოქმედებას ადგილობრივ წყაროებზე, ან მას არ მოუთხოვია AGL-გან მონაცემების გამოყენება, რათა მიეწოდებინა ინფორმაცია პროექტის შემუშავების შესახებ.
- 2.63 მონიტორინგი დასრულდა 2016 წელს, მიუხედავად იმისა, რომ გვირაბი ჩამოინგრა 2017 წელს, რაც იმას ნიშნავდა, რომ გვირაბის სარემონტო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები გრძელდებოდა 2020 წლამდე. მიუხედავად იმისა, რომ IFC-ს ურჩიეს, რომ მოეთხოვა AGL-თვის დროის ამ პერიოდში წყაროს წყლების მონიტორინგის განახლება, IFC-ს ეს არ შეუსრულებია. თუმცა, 2022 წელს განხორციელდა წყაროს წყლების უფრო დეტალური

¹¹¹ ESIA, ESMP ან წყლის რესურსები CEMP.

შეფასება, ეს მოხდა გვირაბის მშენებლობის დასრულებიდან დიდი ხნის შემდეგ.

2.64 შესრულების სტანდარტი 1 მომხმარებლისაგან მოითხოვს შემამსუბუქებელი ზომების მიღებას და შემუშავებას მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ზემოქმედებების სამართავად, როგორცაა მიწისქვეშა წყლებსა და მასთან დაკავშირებულ წყაროებზე ზემოქმედება და მდგრადობის წესდება, რომელიც (პარაგ. 7, 45) მოითხოვს, რომ IFC-მა ზედამხედველობა გაუწიოს თავის მომხმარებელს PS-თან შესაბამისობაში. ამ შემთხვევაში, CAO ასკვნის, რომ IFC-ს ზედამხედველობა არ გაუწევია წყაროს წყლების მონიტორინგის შემუშავებაზე, რათა დაედგინა, რომ AGL-ის მიერ გამოყენებული შემამსუბუქებელი ზომები ეფექტურად აღკვეთდა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოყენებულ მიწისქვეშა წყლებსა და წყაროებზე ზემოქმედებას გვირაბის მშენებლობის პერიოდში. ამის შედეგად, IFC-მა ვერ უზრუნველყო თავისი მომხმარებლის შესაბამისობა PS1-ის სათანადო დებულებებთან.

iii. გვირაბის ჩაყრა და მოპირკეთება

2.65 როგორც ეს ზემოთ იყო აღწერილი, IFC-ის წინა-საინვესტიციო კომპლექსური შემოწმება, ასევე AGL-ის E&S-ის ზემოქმედების შეფასება აღწერდნენ გვირაბის ჩაყრისა და მოპირკეთების მოთხოვნებს მთავარი შემამსუბუქებელი ზომების სახით, მშენებლობის პერიოდში წყლის დინებების შემავლობის აღსაკვეთად, რომელიც ზემოქმედებას ახდენდა მიწისქვეშა წყლებისა და წყაროების დინებაზე.

2.66 კრედიტორების დამოუკიდებელი ინჟინერი (IE) ახორციელებდა ზედამხედველობას გვირაბის მშენებლობაზე, მათ შორის, ამოწმებდა ინფორმაციას ჩაყრის, მოპირკეთებისა და შემავალი წყლის შესახებ. ამ გამოძიებისთვის, CAO-მ განიხილა IE-ის შვიდი წლის (2014-2020წწ) ანგარიშები. ამ ანგარიშებში მეტ-ნაკლებად იყო აღწერილი გვირაბების სხვადასხვა მონაკვეთებში, რამდენიმე წლის მანძილზე განხორციელებული: ამოვსების სამუშაოები პროექტის ზოგიერთ გვირაბებში; ამოვსების გარეშე დატოვებული ზოგიერთი გვირაბი და გვირაბის მშენებლობისას შემავალი მოჭარბებული წყალი. IE-ის ანგარიშები ასევე ადასტურებენ, რომ გვირაბის სამუშაოები გრძელდებოდა მოჭარბებული შემავალი წყლის პირობებშიც, რადგან მშენებლობის კრიტერიუმების დაკმაყოფილებას უფრო მეტი უპირატესობა ენიჭებოდა, ვიდრე მოჭარბებული წყლის კონტროლს და ამოვსებისა და მოპირკეთების ხარისხს. ზედამხედველობის დოკუმენტები არ მიუთითებენ იმაზე, გაითვალისწინა თუ არა IFC-მა E&S-ის ამ უარყოფითი მოვლენების შედეგები. თუმცა, ამ პერიოდში, სოფლის მოსახლეობისგან შემოსული ანგარიშების საფუძველზე, IFC-თვის ცნობილი იყო წყაროს წყლების დინების ცვლილებებისა და მათ სახლებში წყლის ინფილტრაციის შესახებ.¹¹² მას შემდეგ, რაც 2017 წელს მოხდა გვირაბის ჩამონგრევა, IFC-ის ზედამხედველობის ანგარიშები შეიცავენ AGL-ის დამადასტურებელ ინფორმაციას, რომ გვირაბების 80-90 პროცენტი მოპირკეთებული იყო.

¹¹² IFC-ის ზედამხედველობის ანგარიშები 2014-დან 2021 წლამდე და CAO-ს საჩივარი ამ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც შეტანილ იქნა 2018 წლის თებერვალში.

2.67 2023 წლის აპრილში, CAO-ს შესაბამისობის გამოძიების დაწყების შემდეგ, IFC-ი შეუდგა პროექტის შეფასების შიდა განხილვას მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, მიწისქვეშა წყლების შესაძლო ზემოქმედებების და შემამსუბუქებელი ზომების შემუშავებაზე. ამ განხილვამ დაადასტურა ზემოთ აღწერილი ხარვეზები, გვირაბის მშენებლობის ჩაყრისა და მოპირკეთების შემამსუბუქებელ ზომებთან დაკავშირებით და ჭარბი შემავალი წყლის არსებობის შესახებ. ეს შეფასება არ შეიცავდა წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსასწორებელ რეკომენდაციებს და CAO-ს დღემდე არ გააჩნია არავითარი ინფორმაცია IFC-ის მიერ დაგეგმილ პასუხთან დაკავშირებით.

iv. CAO-ს დასკვნები: გვირაბის მიერ მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების ზედამხედველობა

2.68 CAO ასკვნის, რომ IFC-მა არ გაამართლა მოლოდინი თავის მდგრადობის წესდების ვალდებულებებთან დაკავშირებით (პარაგ. 7, 45), რათა ზედამხედველობა გაეწია AGL-ის მიერ ჰიდროენერგო კომპლექსის მშენებლობის შესაბამისი შემამსუბუქებელი ზომების შემუშავებაზე PS1-ის შესაბამისად, შემდეგი მიზეზების გამო:

- IFC-ის ESDD-ი ასკვნიდა, რომ პროექტი შეასრულებდა PS1-ის მოთხოვნებს, რადგან ამოვსება და მოპირკეთება აღკვეთავდა ჭარბი რაოდენობით შემავალ წყალს გვირაბის მშენებლობისას. ეს შეხედულება ეფუძნებოდა ESIA-სა და ESMP-ს და 2013 წლის საკაბინეტო ჰიდროგეოლოგიურ განხილვას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა AGL-მა. ყველა მათგანი კიდევ უფრო მეტად აძლიერებდა გვირაბის ამოვსებისა და მოპირკეთების მნიშვნელობას, მშენებლობის მიერ ადგილობრივ მიწისქვეშა წყლებსა და წყაროებზე უარყოფითი ზემოქმედებების აღსაკვეთად. თუმცა, პროექტის ESAP-ს არ განუხილავს გვირაბის ამოვსება და მოპირკეთება და IFC-ს არანაირი ზომები არ მიუღია თავის მომხმარებელთან ერთად ამ განაცდურის გამოსასწორებლად, როგორც ეს მას ევალებოდა E&S-ის ზედამხედველობის ფარგლებში.
- IFC-ის უმოქმედობა გრძელდებოდა მიუხედავად მშენებლობის შესახებ დამოუკიდებელი ინჟინრისგან მიღებული ანგარიშებისა, სადაც აღწერილი იყო გვირაბში შემავალი ჭარბი წყალი მისი მშენებლობის პერიოდში; არასათანადო ამოვსება და მოპირკეთება და გვირაბის შეუჩერებლად მშენებლობა შემავალი წყლის მაღალი დონის მიუხედავად.

v. წყლის მიწოდება მოსახლეობისთვის

2.69 IFC-ის პროექტის ESRS-ში ნათქვამი იყო, რომ, “თუ დაიკარგება სასმელი წყალი, განხორციელდება დროებითი წყლის მიწოდება, რომ მოკლევადიან პერიოდში ოჯახები არ დარჩნენ სასმელი წყლის გარეშე. იმისათვის, რომ გრძელ-ვადიან პერიოდში გამოსწორებულ იქნეს სასმელი წყლის დანაკარგი, პროექტის მიერ დაინერგება მუდმივი ალტერნატიული წყლის მიწოდება”.¹¹³ თუმცა, ამგვარი ზომები არ ყოფილა შეტანილი პროექტის ESAP-ში ან წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების მართვის გეგმაში CEMP-ში, მიწისქვეშა წყლებზე ან

¹¹³ IFC, ESRS.

ადგილობრივ წყაროებზე ზემოქმედებების შემსუბუქების ან კომპენსაციის მიზნით.

- 2.70 პროექტის ზედამხედველობის პერიოდში, IFC-გან მიღებული ანგარიშები აღწერდნენ ხელშეკრულებებს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან და მომხმარებლის CSR ინიციატივებს, რომლებიც მოიცავდნენ ალტერნატიული წყლით მომარაგების გაუმჯობესების პროექტებს. AGL-მა უზრუნველყო წყლის მიწოდება ამ ტერიტორიაზე რამდენიმე დასახლებისათვის, მათ შორის, ორი პროექტი მახალაკიძეებში შემუშავებულ იქნა 2015 წელს და 2017 წელს AGL-ის მიერ შუახევის მერიასთან და აჭარის რეგიონალურ მთავრობასთან პარტნიორობის საფუძველზე.
- 2.71 2022 წელს ადგილზე ვიზიტისას, CAO-მ შეიტყო, რომ წყლის მომარაგების პირველი პროექტი მახალაკიძეებისთვის თავდაპირველად არ მოიცავდა რაბათის დასახლებას, სადაც ცხოვრობენ მომჩივნები, მაგრამ შემდგომში მოხდა მისი გაფართოება, რომ მოეცვა მდინარის ორივე ნაპირი. მოსახლეებმა CAO-ს მოახსენეს, რომ წყლის მიწოდების ახალი სისტემა კარგად არ მუშაობდა, არ იყო საიმედო, ჰქონდა პრობლემები წყლის მიღებისას და არ აწვდიდა საკმარისი მოცულობის წყალს, ხოლო მიწოდებული წყალი არ აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნებს. CAO-მ საკუთარი თვალთა ნახა გამოყენებული უხარისხო, დაბალი სორტის სამშენებლო მასალები და ასევე უხარისხო და მაღალი სიმღვრივის (ტალახიანობის) მქონე მომარაგებული წყალი თოვლისა და წვიმის შემდეგ, რაც მოსახლების დასახიათებით, გამოსაყვლად უვარგისი იყო. AGL-ის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილია ახალი პროექტი არსებული ქსელის გასაფართოებლად, მიწოდებული წყლის მოცულობის გასაზრდელად, წყლის გაწმენდის გასაუმჯობესებლად და სასმელი და სარწყავი წყლების მოსახლეობისათვის უზრუნველსაყოფად. CAO-ს მიერ ობიექტზე ვიზიტისას, მუნიციპალიტეტი ამზადებდა დოკუმენტაციასა და ადგენდა ტენდერის დეტალებს სამშენებლო სამუშაოებისათვის.
- 2.72 CAO აღნიშნავს, რომ AGL-ის მიერ IFC-თვის მიწოდებული პროექტის შესრულების ანგარიშები და IFC-ის ზედამხედველობის ანგარიშები არ იძლეოდნენ ინფორმაციას ინდივიდუალური წყლის მიწოდების პროექტების მახასიათებლების შესახებ, მათ შორის, წყლის მოცულობის და ხარისხის, ან განახლეული ინფორმაციის შემუშავების შესახებ. IFC-მა და მისმა მომხმარებელმა განმარტეს, რომ ალტერნატიული წყლის მიწოდების ზომები უზრუნველყოფილი იყო AGL-ის CSR-ის ფარგლებში. თუმცა, CAO ხაზს უსვამს, რომ ალტერნატიული წყლით მომარაგების უზრუნველყოფა შეტანილი იყო ურთიერთშეთანხმებულ შემამსუბუქებელ ზომებში, რომლებიც განხილულია ჰიდროელექტროსადგურის ESIA-ში. CAO ასევე აღნიშნავს, რომ IFC-ის 2023 წლის მიწისქვეშა წყლების ზემოქმედებების დამოუკიდებელი შეფასება ითვალისწინებდა ალტერნატიული წყლით უზრუნველყოფას, როგორც შემამსუბუქებელ ზომას. ეს IFC-ის განხილვა ასკვნის, რომ ამ შემამსუბუქებელი ზომის შემუშავება გამოასწორებდა მშენებლობის პერიოდში პროექტის მიერ მიწისქვეშა რესურსებზე ზემოქმედებას, მიუხედავად იმისა, შესაძლებელი იყო თუ არა ამგვარი ზემოქმედების დადგენა.

vi. CAO-ს დასკვნები: წყლის მიწოდება მოსახლეობისათვის

- 2.73 CAO ასკვნის, რომ ზედამხედველობის პერიოდში, IFC-მა ვერ შეასრულა მისი ვალდებულება

მდგრადობის წესდების ქვეშ (პარაგ. 7, 9, და 45) შემდეგი მიზეზების გამო:

- IFC-მა ვერ უზრუნველყო, რომ პროექტის წყლით მომარაგების ინიციატივები ასრულებდნენ პროექტის E&S-ის მართვის გეგმაში დასახულ მიზნებს, სუფთა და საკმარისი წყლის საიმედო მიწოდების შესახებ.
- IFC-თვის ცნობილი იყო, რომ წყლის მომარაგების პროექტი სუბ-ოპტიმალური იყო და ამავე დროს არ მოითხოვდა მომხმარებლისგან პროექტით დაზარალებული მოსახლეობისთვის საიმედო და სათანადო ხარისხის სუფთა წყლის მიწოდების უზრუნველყოფას.
- IFC-ს არ გაუწევია მუშაობა თავის მომხმარებელთან, რათა გაეუმჯობესებინა პროექტის შესრულება ამ საკითხთან დაკავშირებით.

2.74 შესაბამისად, CAO ასკვნის, რომ IFC-მა ვერ უზრუნველყო მომხმარებლის მიერ წყლის ხელმისაწვდომობისათვის აუცილებელი ზომების შემუშავება, როგორც ეს შეთავაზებული იყო ESIA-ის მიერ, რათა გამოესწორებინა გამოვლენილი E&S-ის რისკები და ზემოქმედებები, ხოლო ამან კი გამოიწვია მომხმარებლის მიერ PS1-თან (პარაგ. 13, 15, და 16) შესაბამისობის უზრუნველყოფის წარუმატებლობა.

vii. მოსახლეობის საჩივრები წყლის შემამსუბუქებელ ზომებთან დაკავშირებით

2.75 CAO აღნიშნავს, რომ მიუხედავად შემამსუბუქებელ ზომებთან დაკავშირებით IFC-ის მიერ ზედამხედველობაში დაშვებული ხარვეზებისა, მიწისქვეშა წყლებსა და წყაროს წყლებზე ზემოქმედებების მართვასთან დაკავშირებით, მას განუხილველად არ დაუტოვებია მოსახლეობისგან მიღებული საჩივრები მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედებებთან დაკავშირებით, პროექტის მიერ მოსახლეობის საჩივრების მექანიზმზე მისი ზედამხედველობის ფარგლებში.

2.76 ზედამხედველობისა და მონიტორინგის ანგარიშები აღწერენ პროექტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სოფლების მოსახლეობისგან საჩივრების უწყვეტ რეჟიმში მიღებას, რაც შეეხებოდა პროექტის განხორციელების პერიოდში წყაროს წყლების გაუჩინარებისა და ხელახლა გამოჩენას. წყაროს და მიწისქვეშა წყლების დაკარგვასთან დაკავშირებული უმეტესი საჩივრები მიუთითებენ ჰიდროელექტროსადგურის ობიექტზე განხორციელებული მშენებლობის პერიოდზე. ფართო გაგებით, IFC-ის დოკუმენტებში ნათქვამია, რომ AGL-მა გამოიძია საჩივრები და წყლის უზრუნველყო ის ინდივიდუალური ოჯახები, რომლებმაც მას შეატყობინეს წყლის ნაკლებობის შესახებ, CSR-ის ზომის შესაბამისად. საჩივრებზე პასუხის სახით, მომხმარებელმა განმარტა, რომ დაზარალებული წყაროს წყლები მდებარეობდნენ გვირაბის ტრასის მიღმა და ამიტომ გვირაბის სამუშაოები მათზე ზემოქმედებას ვერ მოახდენა. IFC-ის ზედამხედველობის მასალები მიუთითებენ, რომ მომხმარებლის მიერ საჩივრებზე გაცემული პასუხები ძნელად გასაგები იყო მოსახლეობისათვის და იძლეოდა რჩევას, რომ პროექტის საქმიანობების და ზემოქმედებების შესახებ მიწოდებული ინფორმაცია უფრო მკაფიოდ ყოფილიყო განმარტებული.

- 2.77 2014 წელს, პროექტის ტერიტორიაზე მცხოვრებმა მოსახლეობამ IFC-საც გაუგზავნა ჩვეულებრივი საჩივრები წყაროს წყლების გაუჩინარებისა და ხელახლა გამოჩენასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით გვირაბის მშენებლობის პერიოდში. თუმცა, არ არსებობს არანაირი საბუთი იმისა, რომ IFC-მა მოითხოვა დამოუკიდებელი შეფასება, რათა გამოერკვია იყო თუ არა ეს მოხსნებული ზემოქმედებები დაკავშირებული პროექტთან.
- 2.78 2017 წლის დეკემბერში პროექტის კრედიტორების კონსულტანტმა (IESC) IFC-ს ურჩია, რომ მის მომხმარებელს პრიორიტეტის სახით ჩაეტარებინა სასწრაფო დამოუკიდებელი ჰიდრო-გეოლოგიური განხილვა ყველა იმ საჩივართან დაკავშირებით, სადაც საუბარი იყო მშენებლობის დაწყების შემდეგ წყაროს წყლების გაქრობასა და ხელახლა აღმოცენებაზე,¹¹⁴ რათა თავიდან აეცილებინა შესაბამისობიდან ამოვარდნა.¹¹⁵ მეორე კრედიტორმა მოგვიანებით შეუკვეთა ამ შეფასების კვლევა, რომელიც დახასიათებული იყო, როგორც ინფორმაციის საკაბინეტო გარჩევა, რაც უზრუნველყოფილ იქნა AGL-სა და IESC-ის მიერ. მოცემული შეფასება იზღუდებოდა საბაზისო მონაცემების არ არსებობით და ლოგიკური ახსნისა და დასკვნების გაკეთების უუნარობით, არასრული ინფორმაციის გამო.¹¹⁶ IFC-ს არ გააჩნდა სრული წვდომა ამ შეფასებაზე.

¹¹⁴ კრედიტორების ჯგუფი (EBRD, IFC, ADB), შუახევის ჰიდროელექტრო სადგურის პროექტი, საქართველო, ბუნების დაცვისა და სოციალური მონიტორინგის ანგარიში ოპერაციებისთვის #1, შუახევის HPP ES Opps-1, ბოლო | 1 დეკემბერი 2017წ., გვ. 19-20 და 23.

¹¹⁵ კრედიტორების ჯგუფი (EBRD, IFC, ADB), შუახევის ჰიდროელექტრო სადგურის პროექტი, საქართველო, ბუნების დაცვისა და სოციალური მონიტორინგის ანგარიში ოპერაციებისთვის #1, შუახევის HPP ES Opps-1, ბოლო | 1 დეკემბერი 2017წ., გვ. 35. IFC-ის მორიგი ზედამხედველობის დოკუმენტი არ მიუთითებს ამ დამოუკიდებელ განხილვაზე.

¹¹⁶ IPAM, შესაბამისობის განხილვის ანგარიში, შუახევის HPP, საქმე 2019/01, მაისი 2022წ., გვ. 37.

D. CAO-ს შესაბამისობის ანალიზი და დასკვნები: ბიომრავალფეროვნება

2.79 ეს ნაწილი განიხილავს IFC-ის კომპლექსურ შემოწმებასა და ზედამხედველობას ფართომასშტაბიანი ჰიდროელექტროსადგურის მიერ ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესახებ და მასთან დაკავშირებულ რისკებს, ასევე, მომხმარებლის მიერ მიღებულ მათთან დაკავშირებულ შემამსუბუქებელ ზომებს. თავის ანალიზში, CAO-მ მიიღო ზომები მომჩივნების მღელვარებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა მდინარის დინების შემცირებას, თევზების სახეობების გაქრობას და მდინარე ჩირუხისწყლის გასწვრივ ხეების დაკარგვას. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტი მდებარეობს ბუნების დაცვის მაღალი ღირებულების მქონე რეგიონში, CAO-მ ასევე ყურადღება გაამახვილა რეგიონის მდინარეებში ბიომრავალფეროვნების სისტემებს შორის ურთიერთკავშირის უფრო ფართო მასშტაბიან ზემოქმედებებზე და მათთან დაკავშირებულ ექოსისტემის მომსახურებებზე, რომლებსაც უზრუნველყოფენ მდინარეები ჩირუხისწყალი, შხალთა და აჭარისწყალი, განსაკუთრებით როცა სამივე მდინარის ქვემო მიმართულებით თანამიმდევრული დინება კაშხლისა და ჯებირისაკენ შემცირდა 10%-ით საშუალო წლიურ დინებასთან შედარებით.

2.80 IFC-ის ქმედებები და CAO-ს ანალიზი და დასკვნები მოცემულია ქრონოლოგიურად და მოიცავს პირველ რიგში, წინა-საინვესტიციო კომპლექსური შემოწმების პერიოდს 2012-2014 წლებში და შემდეგ IFC-ის ზედამხედველობის ძალისხმევას 2014 წლიდან დღემდე. CAO აღიარებს IFC-ის მოვალეობების შეუსაბამობას მდგრადობის წესდებისა და შესრულების 1 და 6 სტანდარტების შესაბამისად, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების პროექტთან დაკავშირებული კომპლექსური შემოწმებისა და ზედამხედველობის განხორციელებაში.

a. მომჩივნების თვალსაზრისი

2.81 მომჩივნები ბინადრობენ რაბათის დასახლებაში, მდინარე ჩირუხისწყლის ხეობის ფერდობებზე და პროექტის ჩირუხისწყლის კაშხალი მდებარეობს მათ სახლებს შორის ყველაზე ახლომდებარე სახლიდან დაახლოებით 0.8 კილომეტრში. ეს ოჯახები ამტკიცებენ, რომ მას შემდეგ, რაც დაიწყო შუახევის ჰიდროელექტროსადგურის სქემის მშენებლობა, მდინარეების დონემ იკლო ორი მესამედით. ისინი თვზის რამოდენიმე სახეობის გაქრობას აბრალებენ სადგურს, მათ შორის ისეთი სახეობების გაქრობას, როგორიცაა საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი ადგილობრივი კალმახის მოწყვლადი სახეობები. ისინი ამ ზემოქმედებებს ხსნიან ჩირუხისწყლის კაშხლის მშენებლობის პერიოდში ნალექის ჩადინებით და წყლის კალაპოტის შეცვლით ჩირუხისწყალი-შხალთას გვირაბში, რამაც დასწია მდინარის დონე ქვემო დინების მიმართულებით. მომჩივნები აცხადებენ, რომ პროექტის მშენებლობამდე, ისინი თევზს ადგილობრივად იჭერდნენ კვირაში ორ-სამჯერ ქვირითობის სეზონზე საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის და ხანდახან გასაყიდად, მაგრამ თევზის პოპულაციების კლება უარყოფითად აისახა ამ საქმიანობაზე.¹¹⁷

¹¹⁷ ამ სახის თევზაობა შესაბამისობის ანგარიშში მოხსენებულია, როგორც *რეკრეაციული თევზაობა*, რადგან იგი არ წარმოადგენს საკვების მოხმარების ან ეკონომიური შემოსავლის მთავარ წყაროს, არამედ დახასიათებულია, როგორც მიღებული/ტრადიციული გართობა. ეს არის *მეთევზეობისაგან* განსხვავებით იმ ტერიტორიაზე, რომლებიც მიჩნეულია, როგორც მცირე ან საშუალო დონის ბიზნესები.

2.82 საჩივარში ასევე გამოთქმულია მოსაზრება ხეების დაკარგვის შესახებ მდინარე ჩირუხისწყლის გასწვრივ, რაც მათი მტკიცებით, გამოწვეულია წყლის მნიშვნელოვანი კლებით. მომჩივნების თვალსაზრისით, ხეები არის დაახლოებით 20 წლის და ზაფხულის სეზონზე საჭიროებენ გაცილებით უხვი რაოდენობის წყალს.

1.1.1.1 მომხმარებლის თვალსაზრისი

2.83 2018 წელს, CAO-ს მიერ საჩივრის შეფასების პერიოდში, AGL-მა განმარტა, რომ იგი რეგულარულ მონიტორინგს უწევს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებებს სამივე ადგილობრივ მდინარესთან დაკავშირებით და არ შეუნიშნავს რაიმე ცვლილებები ან აღელვების მიზეზი. AGL-მა ასევე აღნიშნა, რომ პროექტის მშენებლობა წინ უძღვოდა წყლის კალაპოტის შეცვლას ჩირუხისწყალი-შხალთა გვირაბის მეშვეობით და ამიტომ, იგი ვერ მოახდენდა უარყოფით ზემოქმედებას მდინარის ბიომრავალფეროვნებაზე.

2.84 2022 წელს, CAO-ს შესაბამისობის გამოძიების მიზნით, ობიექტზე განხორციელებულ ვიზიტამდე, AGL-მა მიუთითა, რომ იგი ყოველწლიურად ატარებდა მდინარის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს 2012 და 2013 წლებში და 2014 წლიდან მას ეს გაკეთებული აქვს წელიწადში ოთხჯერ, 14 სხვადასხვა ნიმუშის აღების სადგურიდან, რამდენიმე სააგენტოს დახმარებით. AGL-მა დაამატა, რომ ბიომრავალფეროვნების პრობლემების მოსაგვარებლად, მან აღადგინა 10,000 შავის ზღვის კალმახი/ყავისფერი კალმახის მარაგი¹¹⁸ მდინარეებში: ჩირუხისწყალი, შხალთა და დიდაჭარა. რაც შეეხება ხეების დაზიანებას, AGL-მა დაადასტურა, რომ გამოავლინა 27 ჰექტარი, რომელიც პროექტის მიერ იყო დაზარალებული და განაცხადა, რომ მას უნდა დაერგა 10,000-ზე მეტი ნერგი 31 ჰექტარის ფართობზე.

b. შესაბამისი მოთხოვნები

IFC-ის შესრულების სტანდარტების მოთხოვნები ბიომრავალფეროვნების პრობლემებთან დაკავშირებით
PS1: ბუნების დაცვისა და სოციალური რისკების და ზემოქმედებების შეფასება და მართვა - “მომხმარებელი დაადგენს და მმართველობას გაუწევს პროექტით გამოწვეულ E&S-ის რისკებისა და ზემოქმედებების გამოვლენის პროცესს” (პარაგ. 5, 7). - “პროექტის სახეობა, მასშტაბი და მდებარეობა ხელმძღვანელობას გაუწევს ძალისხმევის მოცულობას და დონეს, რომელიც მოხმარდება გამოვლენის პროცესის რისკებისა და ზემოქმედებებს. რისკებისა და ზემოქმედების გამოვლენის პროცესის ფარგლები თანაზომიერი იქნება GIIP-თან” (პარაგ. 7). - “რისკებისა და ზემოქმედებების გამოვლენის პროცესი დაეფუძნება ბოლო E&S-ის

¹¹⁸ პროექტის დოკუმენტებში დასახელებულია თევზი, რომელიც გამოყენებულ იქნა კალმახისა და ყავისფერი კალმახის მარაგის აღსადგენად. აქტუალურია განსხვავების ნაკლებობა, რადგან ყავისფერი კალმახი (*Salmo trutta*) არ არის საქართველოს მკვიდრი. CAO გულისხმობს, რომ დოკუმენტებში გაკეთებული მითითებები კალმახზე ან ყავისფერ კალმახზე გამოყენებულია, როგორც ადგილობრივი შავი ზღვის კალმახის (*S.l. fario*) მტკნარი წყლის ექოტიპის სინონიმად.

საბაზისო დონეს შესაბამისი დონის დეტალებით” (პარაგ. 7).

- “იქ, სადაც შეუძლებელი გახდება გამოვლენილი რისკებისა და ზემოქმედებების თავიდან აცილება, მომხმარებელი გამოავლენს შემამსუბუქებელ ზომებს და დააწესებს შესაბამის ქმედებებს...გამოვლენილი ზომებისა და ქმედებების დეტალების დონე, მათი სირთულე და პრიორიტეტი თანაზომიერი იქნება პროექტის რისკებსა და ზემოქმედებებზე და მხედველობაში მიიღებს დაზარალებული მოსახლეობის ჩართულობის პროცესის შედეგს” (პარაგ 15).
- “მომხმარებელი დაადგენს მართვის პროგრამის მონიტორინგისა და ეფექტურობის საზომ პროცედურებს...მნიშვნელოვანი ზემოქმედებების მქონე პროექტებისათვის, მომხმარებელი დაიქირავებს გარე ექსპერტებს მისი მონიტორინგის ინფორმაციის შესამოწმებლად. მონიტორინგის მასშტაბი თანაზომიერი უნდა იყოს პროექტის ბუნების დაცვასა და სოციალური რისკებსა და ზემოქმედებებთან და ასევე შესაბამისობის მოთხოვნებთან” (პარაგ. 22).

PS6: ბიომრავალფეროვნების დაცვა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა

- შესაბამისობის სტანდარტში 1 მითითებული რისკებისა და ზემოქმედებების განსაზღვრის პროცესი უნდა ითვალისწინებდეს პროექტთან დაკავშირებულ პირდაპირ და არაპირდაპირ ზემოქმედებებს ბიომრავალფეროვნებისა და ექოსისტემის მომსახურებებზე და განსაზღვრავდეს ნებისმიერ მნიშვნელოვან ნარჩნ ზემოქმედებებს (პარაგ. 6).
- “ექოსისტემის მომსახურებებზე” თავიდან აცილების, შემცირების და შემსუბუქების ზემოქმედებების მოთხოვნები, რომლებიც სასარგებლოა დაზარალებული მოსახლეობისათვის (პარაგ. 25).
- ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების მიზნით, IFC-ის შემამსუბუქებელი ზომების იერარქია მოიცავს ბიომრავალფეროვნების კომპენსაციას, რომელიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ შესაბამისი თავიდან აცილების, მინიმიზების და აღდგენითი ზომების გამოყენების შედეგად (პარაგ. 10). ბუნებრივი ჰაბიტატის ადგილებში, მომხმარებელი მნიშვნელოვნად არ შეცვლის ბუნებრივ ჰაბიტატებს ან არ მოახდენს მათ დეგრადირებას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაცული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობები: (i) თუ რეგიონში არ არსებობს სხვა სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივები პროექტის გასავითარებლად მოდიფიცირებულ ჰაბიტატზე; (ii) ჩატარებული კონსულტაციის შედეგად დადგენილი იქნება დაინტერესებული მხარეების თვალსაზრისი, მათ შორის დაზარალებული მოსახლეობისა, გადაკეთებისა და დეგრადირების მასშტაბთან დაკავშირებით; და (iii) ნებისმიერი გადაკეთება ან დეგრადაცია შემსუბუქდება შემამსუბუქებელი იერარქიის შესაბამისად (პარაგ. 14).
- ბუნებრივი ჰაბიტატის ადგილებში, შემუშავებული იქნება შემამსუბუქებელი ზომები, ბიომრავალფეროვნების სუფთა დანაკარგის გამორიცხვის მისაღწევად იქ, სადაც ეს განხორციელებადია. შესაბამისი ზომები მოიცავს: (i) ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებების თავიდან აცილება და გაუცხოების განსაზღვრა და მისგან დაცვა; (ii) ზომების შემუშავება ჰაბიტატის დანაწევრების შესამცირებლად, როგორცაა ბიოლოგიური კორიდორები; (iii) ჰაბიტატების აღდგენა ოპერაციების განხორციელებისას და მათ შემდეგ; და (iv) ბიომრავალფეროვნების კომპენსაციის შემუშავება (პარაგ. 15).

c. IFC-ის წინა-საინვესტიციო კომპლექსური შემოწმება: IFC-ის მოქმედებები და CAO-ს ანალიზი

i. რეგიონალური ბიომრავალფეროვნების კონტექსტი

2.85 საქართველო მდებარეობს კავკასიის ექორეგიონში, რომელიც WWF-ის მიერ განისაზღვრა როგორც მსოფლიოში 35-დან ერთ-ერთ ყველაზე ბიომრავალფეროვან მხარედ და გადაშენების პირას არსებული სახეობების 25-დან ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილად.¹¹⁹ ამიტომ, საერთაშორისო დონეზე დაფინანსებული შუახევის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი მდებარეობს მაღალი ბიომრავალფეროვნების ღირებულების მქონე ზონაში. კავკასია გამოირჩევა დიდი ენდემურობით, სადაც ხარობს 10,000-ზე მეტი მცენარე, გვხვდება 700 ხერხემლოვანი ცხოველი და 20,000 უხერხემლოები, რომლებიც კატალოგირებული არიან აქაურ შერეულ ტყეებში. რეგიონის მესამედზე მეტი ზღვისა და მტკნარი წყლების სახეობები მსოფლიოში სხვაგან არსად არ გვხვდება.¹²⁰ ეს სახეობები სულ უფრო მზარდი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან ადამიანის საქმიანობების გამო, მათ შორის, ისეთის, რომლებიც ჰაბიტატის ნგრევას იწვევს. საქართველოში ჰიდროენერგეტიკა წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას მტკნარი წყლების ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად, სადაც იგი შეადგენს ელექტროენერგიის გამომუშავების 90%-ზე მეტს.¹²¹

აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის კაშხლის პროექტი თავდაპირველად შედგებოდა მდინარე აჭარისწყლისა და მისი შენაკადებისგან – მდინარეებისგან: ჩირუხისწყალი, შხალთა, ჭვანისწყალი, აკავერთა და მაჭახისწყალი. პროექტის E&S-ის ზემოქმედების შეფასებაში (ESIA) გაკეთებულია შენიშვნა, რომ მდინარე აჭარისწყლის სისტემა მოიცავს მოწყვლადი, გადაშენების პირას მყოფი და ენდემური სახეობების ჰაბიტატს. წყლის სახეობები მოიცავდა შავი ზღვის ორაგულს (*Salmo labrax pallas*), შავი ზღვის კალმახს/ყავისფერი კალმახს (*Salmo trutta*, *Salmo labrax fario*)¹²² და კოლხურ ხრამულს (*Capoeta sieboldii*), რომელთაგანაც

¹¹⁹ WWF კავკასია, ჩვენი ამბავი. ხელმისაწვდომია აქ:

https://www.wwfcaucasus.org/about_us/our_story/#:~:text=It%20is%20part%20of%20the,of%20WWF's%2035%20Priority%20Places.&text=The%20Caucasus%20is%20one%20of,and%20animal%20life%20on%20Earth.

¹²⁰ BAP, გვ. 26-27. ხელმისაწვდომია აქ: <https://disclosures.ifc.org/project-detail/ESRS/33435/adjaristsqali-georgia-llc>

¹²¹ ჯაპოშვილი, ბ, კოუტო, ტ, მუმლაძე, ლ, ეპოტაშვილი, გ. მაკკლეინი, მ, ჯენკინს, ს, ანდერსონ, ე. "ჰიდროენერგეტიკის განვითარება საქართველოს რესპუბლიკაში და მისი ზემოქმედება მტკნარი წყლის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზე", ბიოლოგიური შენარჩუნება, ტომი 263, 2021, 109359.

¹²² პროექტის დოკუმენტი მდინარეში არსებულ კალმახს არათანმიმდევრული სახელებით მოიხსენიებს. იგი სხვადასხვაგვარად იყო აღწერილი, როგორც ყავისფერი კალმახი, კალმახი, მტკნარი წყლის კალმახი, *Salmo trutta*, შავი ზღვის კალმახი და ა.შ. ამგვარ განსხვავებებს არ არსებობა აქტუალურია, რადგან ყავისფერი კალმახი (*Salmo trutta*) არ არის საქართველოს მკვიდრი. CAO ვარაუდობს, რომ კომპლექსური შემოწმების დოკუმენტში არსებული მითითებები ყავისფერ კალმახზე/*Salmo trutta* გამოყენებულია, როგორც შავი ზღვის კალმახის (*S.l. fario*) სინონიმი. ეს არათანმიმდევრული ნომენკლატურა, რომელიც გამოყენებულია DD-ში წამოჭრის კითხვებს იმასთან დაკავშირებით, თუ რეალურად რომელ სახეობებზე იყო საუბარი მონიტორინგსა და შეფასებაში. CAO დარბუნებული არაა, რადგან მეცნიერული სახელწოდებები შეუსაბამოდ იყო გამოყენებული, მაგრამ ვარაუდობს, რომ ეს იყო *Salmo labrax fario*-ს მტკნარი წყლის ექოტიპი. ამგვარი შეუსაბამობა მეტყველებს ამ კვლევის ჩატარებისას აკვატიკური სახეობების გამოკვლევის და მონიტორინგის სიმკაცრის დაუცველობაზე.

თითოეული მათგანი საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია როგორც 'მოწყვლადი' და ასევე ევროპული გველთევზა (*Anguilla anguilla*), რომელიც IUCN-ის წითელ წიგნში დახასიათებულია, როგორც 'კრიტიკულად მოწყვლადი/გადაშენებადი'.

- 2.86 თავდაპირველი კაშხლის პროექტის ტერიტორიაზე ESIA-მა ასევე განსაზღვრა კონსერვაციის მაღალი ღირებულების მქონე ფაუნა, მათ შორის:
- ევრაზიული წავი (*Lutra lutra*): რომელიც IUCN-ის და საქართველოს წითელ სიებში შეტანილია, როგორც 'მოწყვლადი'. პოპულაციები მცირდება და შეფასებულია 400 ინდივიდით.¹²³
 - ყავისფერი დათვი (*Ursus arctos*): საქართველოს წითელ სიაში შეტანილია, როგორც გადაშენების პირას მყოფი სახეობა.
 - ევრაზიული ფოცხვერი (*Lynx lynx*): საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია, როგორც 'გადაშენების პირას მყოფი'.
 - მრავალრიცხოვანი ღამურის სახეობები, განსაკუთრებით მეპელის ცხვირნალა (*Rhinolophus mehelyi*): IUCN-ის და საქართველოს წითელ სიებში შეტანილია, როგორც 'მოწყვლადი'.¹²⁴
- 2.87 გარდა ამისა, ჩიტების მრავალფეროვნება აჭარისწყლის ხეობაში შედარებით მაღალია, რომელიც ასახავს ხეობის გასწვრივ არსებულ მოდიფიცირებულ და ბუნებრივ ჰაბიტატებს და მის ადგილს საერთაშორისოდ მნიშვნელოვან ბათუმის სამიგრაციო ვიწრო გასასვლელს.¹²⁵

ii. საბაზისო ინფორმაცია ბიომრავალფეროვნების რესურსებსა და ექოსისტემების მომსახურებებზე

- 2.88 IFC-ის ჩათვლით, პროექტის კრედიტორების მიერ განხორციელებულ ინვესტიციამდე, 2011 წელს AGL-მა შეუკვეთა ეკოლოგიური კვლევები შეთავაზებული ჰიდროენერგო სქემებისთვის E&S-ის ზემოქმედების შეფასების ფარგლებში.¹²⁶ შეფასება მოიცავდა თევზების კვლევებს, რომლებიც ფარავდნენ პროექტის გავლენის ტერიტორიას (Aol), 90კმ სიგრძის მდინარე აჭარისწყალს, მდინარე ღოჭომის აღმოსავლეთ შესართავიდან მდინარე ჩოროხის დასავლეთ შესართავამდე, მათ შორის ხუთ შენაკად მდინარეს (იხ. ქვემოთ გამოსახულება 6). თევზების საბაზისო დონე შემდგომ დაემატა საკაბინეტო განხილვას, სადაც გამოყენებული იყო ინფორმაცია პირველადი და მეორადი წყაროებიდან, ისეთი საერთაშორისო საბაზისო მონაცემებიდან, როგორიცაა Fishbase-ი და IUCN-ი და საქართველოს მთავრობის ინფორმაცია, მათ შორის, საქართველოს წითელი წიგნი და წითელი სია.¹²⁷ მის მიერ გაკეთებული ანალიზის საფუძველზე, ESIA-მა აჭარის რეგიონში ასახა 17 სხვადასხვა ოჯახის წარმომადგენელი 47 მტკნარი წყლის და ანადრომული სახეობების არსებობა.¹²⁸

¹²³ ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის საქართველოს მეხუთე ნაციონალურ ანგარიშში ნათქვამია, რომ პოპულაციების შემცირება აიხსნება მდინარეებში თევზის მარაგის შემცირებით და ჰაბიტატის გაუარესებით.

¹²⁴ ESIA, გვ. 282-283 და BAP, გვ. 84. ევროპაში დაცულია ღამურების ყველა სახეობა, ევროპული ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების შენარჩუნების კონვენციის (ბერნი, 1982წ.) და ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფლორასა და ფაუნის შენარჩუნების შესახებ EC-ის დირექტივის საფუძველზე (1992 წ.).

¹²⁵ ESIA, გვ. 207.


¹²⁶ ეკოლოგიური კვლევები მოიცავდა: ბოსტნეულის სახეობების აღწერას, ფლორის კვლევებს, ჩიტების კვლევებს, ძუძუმწოვრების კვლევებს, ქვეწარმავალთა და ამფიბიების კვლევებს და თევზის კვლევებს. ESIA, გვ. 188.

¹²⁷ ESIA, გვ. 187.

¹²⁸ ESIA, ტომი III დანართები, გვ. 151. მოტ მაკდონალდი, 2012წ.; გორაძე და სხვები., 2012 წ.

2.89 2011 წლის აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში, საბაზისო დონის დასადგენად ჩატარებულ იქნა თევზების მრავალრიცხოვანი კვლევები და ინტერვიუ ჩამოერთვა 20 მეთევზეს 11 სხვადასხვა ობიექტზე, რომლებიც გამოირჩეოდნენ სხვადასხვა მორფოლოგიური მდგომარეობით (იხ. გამოსახულება 6). ამ კვლევის შედეგად, აჭარისწყლის შენაკადებში გამოვლინდა 18 თევზის სახეობა¹²⁹ და რამდენიმე ახალგაზრდა თევზის სახეობები, მათ შორის ნაფოტა (*Rutilus rutilus*), ევროპული ტაფელა (*Rhodeus amarus*), ფრიტა (*Alburnoides fasciatus*), კავკასიური ქაშაპი (*Squalius cephalus orientalis*) და კოლხური კვირჩხლა (*Phoxinus colchicus*). მათი არსებობა მიუთითებდა იმაზე, რომ არსებობდა სასურველი ჰაბიტატი ახალგაზრდა თევზების გასამრავლებლად.¹³⁰

გამოსახულება 6. პროექტის გავლენის ზონა და 2011 წელს საბაზისო დონის დასადგენად ობიექტზე თევზების ადგილების კვლევა



¹²⁹ ESIA, ტომი III დანართები, გვ. 151-152.

¹³⁰ ESIA, გვ. 214.

- 2.90 რადგან რეგიონის თევზები გაფანტულები არიან სხვადასხვა სიმაღლეებზე, ნიმუშები აღებული იქნა თევზების ფარფლებით დასაჭერი ბადეების, მოსაზმელი ბადეების, სასროლი ბადეების, ანკესების და თითზე წამოსაცმელი სათრევი ბადეების გამოყენებით.¹³¹ გამოკითხულმა 20-მა მეთევზემ მოგვანოა დამატებითი ინფორმაცია თევზების არსებობაზე, მათთვის სასურველ და მოწყვლად ადგილებზე და თევზაობის მნიშვნელობაზე ადგილობრივი მოსახლეობისათვის.¹³² AGL-ის კონსულტანტმა ჩათვალა, რომ მოპოვებული ინფორმაცია სანდოდ ჩაითვლებოდა თუ მას დაადასტურებდა სამზე მეტი მეთევზე.¹³³ ამ გამოკითხვების შედეგად დადგინდა, რომ დაჭერილ თევზებს შორის დომინირებდა კოლხური წვერა (*Luciobarbus escherichii*) და კავკასიური ქაშაპი (*Squalius cephalus*) წყალშემკრების მთელ ტერიტორიაზე. დაბალი დინების ადგილებში, ციმორი (*Alburnoides fasciatus* და *Phoxinus colchicus*) და კოლხური ხრამული (*Capoeta sieboldii*) დომინირებდა. მეთევზეებმა განაცხადეს, რომ თევზის მარაგი შემცირდა ბოლო ხუთი-ათი წლის მანძილზე.¹³⁴ მათ რეკრეაციული თევზაობა დაასახელეს, როგორც ადგილობრივი ტრადიციებისა და ეკონომიკის სფერო, პროექტის გავლენის ტერიტორიაზე ხუთივე მდინარესთან დაკავშირებით. დაჭერილ თევზებს მეთევზეები იყენებდნენ როგორც საკუთარი მოხმარების მიზნით, ასევე გზის პირზე ან/და ადგილობრივ რესტორნებში გასაყიდად.¹³⁵
- 2.91 რაც შეეხება დაცული თევზების არსებობას Aol-ში, 2011 წლის საბაზისო დონემ გამოავლინა შემდეგი:
- **შავი ზღვის ორაგული (*Salmo labrax pallas*):** ეს სახეობები აღმოჩენილ იქნა მდინარე აჭარისწყალში მდინარე ჭოროხის შესართავთან. ზოგიერთმა გამოკითხულმა ასევე თქვა, რომ იგი ასევე მდინარე მაჭახლისწყალშიც იქნა ნაპოვნი.
 - **შავის ზღვის კალმახი/ყავისფერი კალმახი¹³⁶ (*Salmo trutta*, *Salmo labrax fario*):** ეს ნომენკლატურა გამოიყენება მტკნარი წყლის ექოტიპისგან- *Salmo labrax* განსასხვავებლად. ეს ექოტიპი ნაპოვნი იყო შხალთასა და ჩირუხისწყლისა და ჭვანისწყლისა და აჭარისწყლის

¹³¹ ჰაბიტატები და მოწყვლადი მონაკვეთები მოიცავდნენ: მეწყერ, ქვიან ჩქერებს, ჩქარ ჭორომებს, მარგინალურ მცენარეულობას გადახურვით მცირე სახეობებისთვის, უფრო ღრმა არხებს დიდი თევზებისთვის, ღრმა აუზს სუსტი წყლის კიდეებით და ქვირითის დაყრის ადგილებს.

¹³² ESIA დანართები, გვ. 151.

¹³³ ESIA, გვ. 191.

¹³⁴ ESIA, გვ. 219.

¹³⁵ ESIA, გვ. 172.

¹³⁶ პროექტის დოკუმენტები არათანმიმდევრულნი არიან მდინარეში აღმოჩენილ კალმახის სახელთან დაკავშირებით. იგი აღწერილია სხვადასხვაგვარად, როგორც *ყავისფერი კალმახი*, *კალმახი*, *მტკნარი წყლის კალმახი*, *Salmo trutta*, *შავის ზღვის კალმახი* და ა.შ. ამგვარი განსხვავების არ არსებობა მნიშვნელოვანია, რადგან ყავისფერი კალმახი (*Salmo trutta*) საქართველოს მკვიდრი არ არის. CAO ვარაუდობს, რომ ყავისფერ კალმახზე /*Salmo trutta* მითითებები კომპლექსური შემოწმების დოკუმენტში გამოიყენება როგორც შავი ზღვის კალმახის (*S.l. fario*) სინონიმი. DD-ში გამოყენებული არათანმიმდევრული ნომენკლატურა აღძრავს კითხვებს იმასთან დაკავშირებით, თუ რეალურად რომელ სახეობებზე იყო საუბარი მონიტორინგსა და შეფასებაში. CAO დარწმუნებული არაა, რადგან სამეცნიერო სახელწოდებები თანმიმდევრულად არაა გამოყენებული, მაგრამ ვარაუდობს, რომ ეს იყო *Salmo labrax fario*-ის მტკნარი წყლის ექოტიპი. ამგვარი არათანმიმდევრულობა მეტყველებს ამ კვლევის ჩატარებისას წყლის სახეობების გამოკვლევის და მონიტორინგის სიმკაცრის დაუცველობაზე.

შენაკადების ზედა დინებაში, მაჭახლისწყალში და აკავრეთაში.¹³⁷

- **კოლხური ხრამული (*Capoeta sieboldii*):** ეს სახეობები ბინადრობდნენ ჩირუხისწყალში, აჭარისწყალსა და ჩოროხის შესართავში და მდინარე მაჭახლისწყალში.
- **ევროპული გველთევზა (*Anguilla anguilla*):** ეს სახეობები დროგამოშვებით იქნა ნაპოვნი აჭარისწყლისა და ჩოროხის შესართავში.¹³⁸ თევზების კვლევის პერიოდში ეს სახეობები არ ყოფილა დაჭერილი, მაგრამ სულ მცირე სამმა ადგილობრივმა მეთევზემ დაადასტურა აჭარისწყალსა და ჩოროხის შესართავთან მათი არსებობა.¹³⁹

2.92 გამოკითხულებმა ასევე დაადასტურეს ისეთი დაცული სახეობების არსებობა მდინარე ჩოროხსა და მაჭახლისწყალში, როგორიცაა ევროპული გველთევზა და შავი ზღვის ორაგული.¹⁴⁰ თუმცა ეს სახეობები მიგრატორები არიან, ადგილობრივ მეთევზეებს მიაჩნიათ, რომ მიგრაციამ იკლო ჩოროხის მაღლივი დინებების რეგულირების შედეგად.¹⁴¹ IUCN-ის წითელ სიაში განსაზღვრულია ჯებირები და წყლის მართვა/გამოყენება ერთ-ერთ საფრთხედ როგორც ევროპული გველთევზებისთვის, ასევე შავი ზღვის ორაგულისთვის ფართო რეგიონში.¹⁴²

2.93 2011 წელს ESIA-თვის ჩატარებულ თევზის საბაზისო დონეში შეყვანილი იყო თავდაპირველი კაშხლის პროექტის დაგეგმარება, რომელიც მოიცავდა სამივე დაგეგმილ ჰიდროელექტროსადგურის პროექტს. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი მოგვიანებით შესწორებულ იქნა, მასში შუახვევის პროექტის სქემის შეტანის მიზნით, რაც წარმოადგენს CAO-ს საჩივრის თემას, თევზის საბაზისო დონე არ გადახედულა. CAO-ს თვალსაზრისით, ის საბაზისო დონე, რომელიც AGL-ის კონსულტანტმა ჩაატარა, არ შეესაბამებოდა დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის მასშტაბს, რისკებსა და ხასიათს იმ ტერიტორიაზე, რომელიც გამოირჩევა თავისი ბიომრავალფეროვნების ღირებულებით. მხოლოდ 11 სადგური იქნა შერჩეული 2011 წელს თევზების კვლევისთვის, მიუხედავად იმისა, რომ შეფასების ტერიტორია მოიცავდა 90 კმ-ს მთავარი მდინარის და მისი ხუთი შესართავის ჩათვლით, ხოლო კვლევა ჩატარებულ იქნა მხოლოდ ერთხელ 2011 წლის აგვისტოს ბოლოს. საუკეთესო პრაქტიკა ადგენს, რომ თევზების კვლევის საბაზისო დონე უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად რამდენიმე თვის მანძილზე და სხვადასხვა სეზონზე სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში იმისათვის, რომ ზუსტად იქნეს აღრიცხული ყველა შესაძლო სახეობა და განსაკუთრებით დაცული მიგრაციული სახეობები, როგორიცაა ევროპული გველთევზა და შავი ზღვის ორაგული.¹⁴³

2.94 2012 წლის აგვისტოში, AGL-ის კონსულტანტმა ჩაატარა თევზების დამატებითი კვლევა

¹³⁷ მომჩივნეებმა აღნიშნეს, რომ კალმახი და სხვა სახეობის თევზები გაუჩინარდა მდინარე ჩირუხისწყლიდან.

¹³⁸ ESIA გვ. 205.

¹³⁹ ESIA, გვ. 170.

¹⁴⁰ მდინარე ჩოროხი და მდინარე მაჭახლისწყალი მდებარეობენ ქვემო აჭარისწყლის მდინარის აუზში, თავდაპირველი ხერთვის სქემის ტერიტორიაზე, რაც საბოლოო ჯამში არ წამოწყებულა. შუახვევის სქემა, რომელზეც ეს გამოძიება ამხევილებს მთავარ ყურადღებას, მდებარეობს მდინარე აჭარისწყლის ზედა აუზში.

¹⁴¹ ESIA, გვ. 206.

¹⁴² IUCN-ის წითელი სია. იხ. მეტი ინფორმაცია აქ: <https://www.iucnredlist.org/species/135658/4172650>.

¹⁴³ ევროპის საბჭო, ოკეანეები და მეთევზეობა. იხ. დამატებითი ინფორმაცია ევროპული გველთევზის მიგრაციასთან დაკავშირებით აქ: https://oceans-and-fisheries.ec.europa.eu/ocean/marine-biodiversity/eel_en.

შუახვევის პროექტის ტერიტორიაზე. ეს არ ყოფილა ჩატარებული იმისათვის, რომ გადაეხედათ საბაზისო დონესთვის, არამედ იგი განხორციელდა თევზების პირველი წლიური მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში, მათ შორის თავდაპირველი ESIA. აღრიცხული იყო თერთმეტი თევზის სახეობა, რაც შვიდი სახეობით ნაკლები იყო 2011 წელთან შედარებით. განსხვავება 2011 წლის თევზების კვლევისგან მოიცავდა მდინარე აჭარისწყალში კოლხური ხრამულის (*Capoeta sieboldii*) დაცული სახეობების აღმოჩენას, მაგრამ მდინარე ჩირუხისწყალში მათ არ არსებობას; ჩირუხისწყლის ზედა შენაკადებში შავი ზღვის კალმახის (*S. labrax fario*) აღმოჩენას, მაგრამ შავი ზღვის ორაგულის (*Salmo labrax pallas*) არ არსებობას.¹⁴⁴

2.95 კრედიტორების კონსულტანტის მიერ 2013 წელს ჩატარებულ E&S კომპლექსურ შემოწმებაში აღნიშნული იყო, რომ თევზების საბაზისო დონე განხილულ იქნა საფუძვლიანად, რადგანაც იგი მოიცავდა საკაბინეტო გარჩევას, ობიექტის კვლევებს და მოსახლეობის გამოკითხვას. თუმცა, აღინიშნებოდა, რომ მიმდინარე მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების მეთოდები არასაკმარისად იყო წარმოდგენილი და რეკომენდებული იყო, რომ AGL-ს გაეკეთებინა დეტალური მონიტორინგის განრიგი ეკოლოგიური ზემოქმედებების შესაფასებლად და ანგარიშსაგებად. IFC-ის კომპლექსური შემოწმების დოკუმენტები ასევე იძლეოდნენ დამატებითი საბაზისო დონის კვლევების რეკომენდაციას მიგრატორ მტაცებელ ფრინველებთან და წეროებთან შეტაკების რისკის დასადგენად და იმის მხედველობაში მისაღებად, საჭირო იყო თუ არა ელექტრომომარაგების სქემის სხვა მარშრუტზე გადაყვანა ან ხელახალი დაპროექტება.¹⁴⁵

2.96 CAO ასკვნის, რომ ESIA-თვის მომზადებული ბიომრავალფეროვნების საბაზისო დონე შეზღუდული მასშტაბის იყო და შეიცავდა თევზების მხოლოდ ერთ კვლევას, 11 საკვლევ სადგურს და 20 მეთევზის გამოკითხვას პროექტის თავდაპირველი გავლენის დიდი ფართობის ტერიტორიაზე. თუ მხედველობაში მივიღებთ პროექტის მდებარეობას, საერთაშორისოდ ცნობილი ბიომრავალფეროვნების ცხელ წერტილში, ეს საბაზისო დონე არაადეკვატური იყო. შედეგად, არ შეგროვებულა საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ გასაგები ყოფილიყო სახეობების არსებობა ან მათი სპექტრი, მათ შორის მოწყვლადი და კრიტიკულად გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა, მიგრაციისა და სეზონური მოქმედებების გათვალისწინებით.

iii. პროექტის ზემოქმედების შეფასება ბიომრავალფეროვნებასა და ექოსისტემის მომსახურებაზე

2.97 IFC-ის შესრულების სტანდარტი 6-ის შესაბამისად, მომხმარებლებს მოეთხოვებათ ბიომრავალფეროვნებასა და ექოსისტემის მომსახურებებზე პროექტით გამოწვეული პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გათვალისწინება და ბუნებრივი ჰაბიტატის ტერიტორიებზე, შემამსუბუქებელი ღონისძიებების შემუშავება ბიომრავალფეროვნების სუფთა დანაკარგის გამორიცხვის მისაღწევად იქ, სადაც ეს განხორციელებადია. 2013 წელს IFC-ის

¹⁴⁴ ESIA, 2013. გვ. 214. 2011 და 2012 წლების თევზების კვლევის შედეგების მოკლე შინაარსი მოცემულია BAP-ის C2 დანართში.

¹⁴⁵ ESDD, სექტემბერი 2013წ., გვ. 54.

წინა-საინვესტიციო E&S-ის კომპლექსური შემოწმებისას AGL-ის კონსულტანტის მიერ ჩატარებულმა ESIA-მ განსაზღვრა შეთავაზებული შუახევის პროექტის მიერ გამოწვეული მნიშვნელოვანი შესაძლო ეკოლოგიური ეფექტები, რომლებიც მოიცავდნენ ორ ჯგირს წყალსატევებით მდინარეებზე აჭარისწყალსა და შხალთაზე და კაშხალს მდინარე ჩირუხისწყალზე. ეს მოსალოდნელი ზემოქმედებები მოიცავდნენ მდინარის წყლის ხარისხის შემცირებას სამშენებლო ნარჩენების ჩადინებისა და ნალექის გაშვების შედეგად, თევზების მოძრაობის და მიგრაციის დროებით შეფერხებას და ჰაბიტატის დროებით დაკარგვას.¹⁴⁶

2.98 რაც შეეხება ჩირუხისწყლის კაშხლის მშენებლობას, მომჩივნების საცხოვრებელ სახლებთან ახლოს მდინარეზე შესაძლო ზემოქმედებები ESIA-მა შეაფასა როგორც უმნიშვნელო. ეს შესაძლო ზემოქმედებები მოიცავდნენ ქვემო დინების წყლის ნაკადების დარღვევას და წყლის ხარისხის შემცირებას, ნალექების დროებით გაზრდას და ნალექის ხაფანგებს მდინარის კალაპოტსა და ნაპირებში და ასევე თევზების მოძრაობისა და მიგრაციის დროებით შეფერხებას. ჩირუხისწყლის კაშხალს ორ ჯგირთან შედარებით უფრო ნაკლები ზემოქმედება უნდა ჰქონოდა, რადგან თევზების კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ზემოქმედება არ მოხდებოდა ქვირითის დაყრის ჰაბიტატში და რომ იქ არ არსებობდა არც ერთი დაცული მიგრატორი თევზების სახეობები, გარდა შავი ზღვის კალმახისა/ყავისფერი კალმახისა,¹⁴⁷ რომელიც ქვირითს ყრიდა შედარებით მაღალ ადგილებში და არ ახორციელებდა მიგრაციას ზღვამდე.¹⁴⁸ გარდა ამისა, მიიჩნეოდა, რომ ზრდასრულ თევზებს შეეძლოთ ნალექების თავიდან აცილება, რადგან მდინარის ეკოლოგია ამ ზონაში უკვე ადაპტირებული იყო ხშირ მეწყერებს. ოპერაციების დროს, ზემოქმედების შემცირების მიზნით, ჩირუხისწყლის კაშხალი ასევე დაპროექტებული იყო თევზების გასასვლელით, რათა შესაძლებლობა მიეცა თევზების სხვადასხვა სახეობებისთვის ემოძრავათ ზედა დინებიდან ქვედა დინებისკენ და პირიქით..¹⁴⁹

2.99 შხალთას და დიდაჭარის ჯგირების შესაძლო ზემოქმედებები მშენებლობის დროს თავისი მნიშვნელობით შეფასებული იყო, როგორც უმნიშვნელოდან საშუალომდე. ისინი მოიცავდნენ მშენებლობის პერიოდში მდინარის დინების დარღვევას, რასაც შეიძლება გავლენა ჰქონოდა ქვირითის დაყრის ჰაბიტატზე და ასევე ლამების დროებით მატებას, რასაც სავარაუდოდ შეეძლო გაეთელა თევზის ქვირითები ქვედა დინებისკენ. თუმცა ESIA ვარაუდობდა, რომ ზემოქმედება შემცირდებოდა, რადგან ზრდასრული თევზები ამ ადგილებში უკვე შეგუებული იყვნენ, რომ თავიდან აეცილებინათ მყარი ნივთიერებები ხშირი მეწყერების გამო და რადგან მდინარე აჭარისწყალში არ არსებობდა განსაზღვრული ქვირითის დაყრის ჰაბიტატი. AGL-ის კონსულტანტმა დაადგინა, რომ ქვირითის დაყრის ჰაბიტატზე ზემოქმედება შეიძლება მომხდარიყო მდინარე შხალთაში, მაგრამ მან იმავე მდინარის გაყოლებაზე განსაზღვრა დამატებითი ქვირითის დაყრის ჰაბიტატები ქვედა დინების ალტერნატივების სახით.¹⁵⁰

2.100 საერთო ჯამში, მომხმარებლის მიერ წინა-საინვესტიციო კომპლექსური შემოწმების დროს IFC-

¹⁴⁶ ESIA, გვ. 220.

¹⁴⁷ CAO ვარაუდობს, რომ DD-ში მითითებული ყავისფერი კალმახი ან *Salmo trutta* გამოყენებულია შავი ზღვის კალმახის ან *Salmo labrax fario* -ს სინონიმად.

¹⁴⁸ ESIA, გვ. 228-229.

¹⁴⁹ ESIA, გვ. 229, და 274-275.

¹⁵⁰ ESIA, გვ. 229.

თვის გაზიარებულ ESIA-ში დადგენილი იყო, რომ შუახევის პროექტის კომპონენტების ერთობლივი ზემოქმედება სავარაუდოდ გავლენას იქონიებდა თევზების პოპულაციებზე, ქვირითების დაყრის ჰაბიტატებზე და წყლის დინებაზე.¹⁵¹ პროგნოზირებული ზემოქმედებები მოიცავდა ზემო დინების მიმართულებით თევზების მოძრაობის მუდმივ დაბრკოლებას საკვებ და ქვირითის დაყრის ადგილებში, და როგორც დროებითი, ასევე მუდმივი ჰაბიტატის დაკარგვას აუზების ზემოქმედების ზონის ფარგლებში. კერძოდ, პროექტის 36 მეტრის დიდაქარის ჯებირი მდინარე აჭარისწყალში სავარაუდოდ შექმნიდა მუდმივ დაბრკოლებას თევზების მოძრაობაზე ზედა დინების მიმართულებით, რადგან იგი ძალიან მაღალი იყო იმისათვის, რომ თევზებს შეძლებოდათ მასში ეფექტურად გასვლა. თუმცა ESIA-ში ნათქვამი იყო, რომ ჯებირი არ გამოიწვევდა ქვირითის დაყრის ჰაბიტატის დაკარგვას და მას არ ექნებოდა არანაირი ზემოქმედება დაცული მიგრატორი თევზების სახეობებზე, რადგან არ მომხდარა მათი იდენტიფიცირება ეკოლოგიურ ფონზე მდინარის ამ ნაწილში, რომელიც მდებარეობს მაღლა მდინარე აჭარისწყლის აუზში. ESIA-მა ასევე დაასკვნა, რომ მდინარე შხალთაში 21 მეტრიანი შხალთის ჯებირი მუდმივად დაბლოკავდა თევზების ზემო მიმართულებით მოძრაობას და რომ პროექტის მშენებლობა გამოიწვევდა ქვირითის ჰაბიტატის დროებით დაკარგვას ქვედა დინების მიმართულებით.¹⁵² ამავე დროს, AGL-ის კონსულტანტმა განსაზღვრა ქვირითის დაყრის ჰაბიტატების მნიშვნელობა მდინარე აჭარისწყლის და შხალთას, ჩირუხისწყლისა და სხვა შენაკადების გასწვრივ ჰიდროელექტროსადგურის მიერ წყლის ჰაბიტატებზე ზემოქმედებების შემცირებაში.¹⁵³ რაც შეეხება ფაუნას, წავეები განისაზღვრა როგორც პროექტის შედეგად მდინარის წყლის შემცირებული დინების (რაც გავლენას ახდენს საკვების მოპოვებაზე) და ფიზიკური ბარიერების გამო სავარაუდოდ მნიშვნელოვნად დაზარალებულ ცხოველად, რადგან ეს ბარიერები დააბრკოლებდნენ მათ ზემო-ქვემო მიმართულებით მოძრაობას. შემამსუბუქებელი ღონისძიებების გარეშე, ეს ზემოქმედებები განისაზღვრა, როგორც მნიშვნელოვნად უარყოფითი.¹⁵⁴

- 2.101 მდინარეზე ჯებირების აგების ეფექტი თევზებზე და სხვა აკვატიკურ სახეობებზე კარგად არის შესწავლილი¹⁵⁵ და მოიცავენ თევზების მიგრაციის გზების ბლოკირებას, ცვლიან ჰიდროლოგიურ და წყლის ტემპერატურის რეჟიმს და ახდენენ არხის მორფოლოგიის მოდიფიკაციას, რაც იწვევს ჰაბიტატის დანაწევრებას.¹⁵⁶ ამ შემთხვევაში, ორი ჯებირის მიერ თევზების მოძრაობის მუდმივი ბლოკირება, სავარაუდოდ გამოიწვევს ჰაბიტატის წმინდა

¹⁵¹ ESIA, გვ. 230.

¹⁵² CAO-ის მიერ ამ ანგარიშის ფაქტობრივი განხილვისა და კომენტარების გაკეთების პერიოდში, AGL-გან მიღებული კომენტარების შესაბამისად, როგორც დიდაქარის, ასევე შხალთას ჯებირები საგანგებოდ იქნა დაპროექტებული დაბალ სიმაღლეებზე, შავი ზღვის კალმახის/ყავისფერი კალმახის ქვირითის დაყრის ჰაბიტატების მნიშვნელოვანი დუბლირების თავიდან ასაცილებლად. ამის საპირისპიროდ, ჩირუხისწყლის კაშხალთან მიმართებაში, რომელიც მდებარეობს უფრო მაღლა და რომელიც აღიარებული იყო ქვირითის დაყრაზე შესაძლო ზემოქმედების უნარით, თევზების გასასვლელები შეტანილი იყო პროექტში.

¹⁵³ ESIA, 228-229.

¹⁵⁴ ESIA, გვ. 234.

¹⁵⁵ ბარბაროზა და სხვები 2020წ.; ამჟამად არსებული და მომავალში აშენებული დიდი ჯებირების ზემოქმედებები მტკნარი წყლის თევზების არეალის გეოგრაფიულ კავშირზე მთელს მსოფლიოში; ეროვნული აკადემიისა და მეცნიერებების ნაშრომები, ხელმისაწვდომია აქ: <https://doi.org/10.1073/pnas.1912776117>

¹⁵⁶ ინ ჩენი და სხვები. 2023 წ. მდინარის ჯებირების ზემოქმედება თევზების ჰაბიტატზე და შესაბამისი დაცვის ღონისძიებები. ხელმისაწვდომია: <https://doi.org/10.1029/2023RG000819>

დანაკარგს ისეთი მოწყვლადი და კრიტიკული მნიშვნელობის მქონე სახეობებისთვის, როგორიცაა შავი ზღვის ორაგული (*Salmo labrax pallas*), შავი ზღვის კალმახი (*Salmo trutta*, *Salmo labrax fario*) და ევროპული გველთევზა (*Anguilla anguilla*).¹⁵⁷ იგი ასევე შეამცირებს ქვირითის დაყრის ჰაბიტატის ხელმისაწვდომობას კოლხური ხრამულისთვის (*Capoeta sieboldii*), კოლხური ტობისათვის (*Chondrostom colchicum*) და სხვა სახეობებისთვის, რომლებიც აღნიშნული იყო საბაზისო ფონზე და რომლებიც ცნობილია მდინარეებისა და ნაკადულებისკენ მიგრაციით ქვირითის დასაყრელად და რომლებიც ასევე განისაზღვრებიან როგორც ჯებირების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები.¹⁵⁸

2.102 გარდა ამისა, საბაზისო დონის დასადგენად განხორციელებულმა თევზების შეზღუდულმა კვლევებმა სავარაუდოდ გავლენა იქონიეს ESIA-ის სიზუსტეზე. სახეობებისთვის გამოყენებული ტერმინოლოგიის პოტენციური გაუგებრობა და მორფოლოგიური მსგავსება შავის ზღვის ორაგულს, შავი ზღვის კალმახსა და სავარაუდოდ საქართველოსთვის არა მკვიდრ ყავისფერ კალმახს შორის, კიდევ უფრო მეტად ართულებს შეფასებას. ეს დაკვირვება წარმოიქმნება კომპლექსურ შემოწმებაში სხვადასხვა საერთო სახელების გამოყენების შედეგად, რომლებსაც CAO მიიჩნევს როგორც კალმახის ერთსა და იმავე სახეობებად და აგრეთვე ორიენტირები *Salmo trutta*-ზე, რომელიც წარმოადგენს არა-მკვიდრი ყავისფერი კალმახის სისტემატიზაციას, რაც თავიდან ეწოდა ადგილობრივ შავი ზღვის კალმახს მანამ, სანამ არ მოხდა მისი კლასიფიკაციის შეცვლა *Salmo labrax*-ის ექოტიპზე. ამ გამოძიების მიზნებისთვის, CAO-მა ივარაუდა, რომ *S. trutta* გამოიყენება, როგორც *S. labrax fario* -ის სინონიმი, თუმცა, AGL-სა და IFC-ის მასალებში ადგილობრივი სახეობების ნავარაუდები ლათინური სახელები იცვლება სხვადასხვა დოკუმენტებში. რადგან შავი ზღვის კალმახი (*Salmo trutta*, *Salmo labrax fario*) არ ახორციელებს ზღვაში მიგრაციას, შავი ზღვის ორაგული (*Salmo labrax pallas*) განისაზღვრა თევზების საბაზისო დონეზე და აღიარებულია IUCN-ის მიერ როგორც მიგრატორი სახეობა, რომელსაც საფრთხე ემუქრება ჯებირების გამო.¹⁵⁹ პროექტის დოკუმენტებში ორიენტირის 'ყავისფერი კალმახის' გამოყენება მეცნიერული ტერმინის მაგივრად, აღძრავს კითხვას დოკუმენტს მხედველობაში აქვს ყავისფერი კალმახი, რომელი სახეობებიც არაა საქართველოს მკვიდრი, თუ შავი ზღვის კალმახი, რომელი სახეობებიც საქართველოს მკვიდრია.

2.103 ჯებირის მშენებლობა და ექსპლუატაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მდინარის დინებაზე, მათ შორის საქართველოშიც, სადაც რამდენიმე სხვა ჯებირი უკვე ექსპლუატაციაშია გაშვებული. აქედან გამომდინარე, AGL-ის კონსულტანტმა IFC-ის ინვესტიციამდე ESIA-ის ფარგლებში შეაფასა სავარაუდო ზემოქმედებები მდინარის დინებაზე შეთავაზებული შუახევის პროექტის ოპერაციებთან დაკავშირებით. ზემოქმედების

¹⁵⁷ “ჰიდროელექტროსადგურები აბრკოლებენ ახალგაზრდა გველთევზების მიგრაციას (ზემო დინების მიმართულებით) და ზრდასრული გველთევზების (დინების ქვემო მიმართულებით) მიგრაციას მათ შიდა ჰაბიტატებსა და ოკეანის ქვირითის დაყრის ადგილებს შორის. დიდ მანძილზე მიგრაციის განმახორციელებელი სახეობები, როგორიცაა ევროპული გველთევზა, ორაგული და ზურთხი სერიოზულად ამოწურულია, ან გადაშენების საფრთხის ზღვარზე დგანან.” მდგრადი გველთევზას ჯგუფი, მიგრაციის ბარიერები და ჰაბიტატის დაკარგვა. ხელმისაწვდომია აქ: <https://www.sustainableeelgroup.org/habitat-loss-blocked-migration-2/>

¹⁵⁸ IUCN-ის წითელი სია. <https://www.iucnredlist.org/species/19026443/19222898>; და <https://www.iucnredlist.org/species/19083721/19222933>.

¹⁵⁹ IUCN-ის წითელი სია. იხ. მეტი ინფორმაცია აქ: <https://www.iucnredlist.org/species/135658/4172650>.

შეფასებაში გაკეთებულია დასკვნა, რომ მდინარის წლიური საშუალო დინება სამ დაზარალებულ მდინარეში სავარაუდოდ 90%-ით დაიწევს, რაც 10%-ით შეამცირებს ადგილობრივი ეკოლოგიის მკვებავი წყლის დინებას სქემის განხორციელებამდე არსებულ საშუალო წლიურ მონაცემთან შედარებით. თუმცა ESIA-ში აღნიშნულია, რომ დინების ამგვარი ცვლილება ტიპიურად დამახასიათებელი იყო საქართველოში არსებული სხვა ჰიდრულექტრო ჯებირებისათვის, მან ასევე დაადასტურა, შუახევის პროექტის ოპერაციებთან დაკავშირებული ფართო სპექტრის სავარაუდო ზემოქმედებები წყლის დინების საშუალო წლიურ ბურებრივ დინებასთან შედარებით მდინარის დინების 10%-ით შემცირება, მათ შორის:

- შესაძლო პირდაპირი ზემოქმედება თევზების პოპულაციებზე და არაპირდაპირი ზემოქმედება ჩიტებსა და ძუძუმწოვრებზე, როგორცაა მდინარის ჰაბიტატზე დამოკიდებული წავები
- შეზღუდვები თევზებისა და წავების მოძრაობაზე
- მდინარის წყლის ხარისხის ცვლილება, განსაკუთრებით დაბალი დინების დროს და როდესაც ნალექი გამოიყოფა ჯებირის გამორეცხვის შედეგად

2.104 გარდა ამისა, ESIA-მა გააკეთა პროგნოზი მუდმივი ჰაბიტატის დაკარგვის შესახებ პროექტის ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგად, როგორცაა ჯებირები, კაშხლები, ელექტროსადგურები და ქვესადგურები და ასევე იწინასწარმეტყველა დატბორვები, ჯებირების თავზე წყალსაცავების აგების გამო და ასევე ჰაბიტატების დეგრადაცია, რასაც იწვევს 'მკვდარი ზონა' თითოეული რეზერვუარის გარშემო.

2.105 საგრძნობლად შემცირებული მდინარის დინების ეფექტების შეფასებისას, ESIA-მა ყურადღება გაამახვილა ჯებირებისა და მდინარის ქვემო მიმართულებით დინებაზე კაშხლების ზემოქმედების შესახებ და ჰიდროელექტრო სქემის სავარაუდოდ დიდი ზემოქმედების შესახებ სამი მდინარის თევზების პოპულაციაზე და წყლის ეკოლოგიაზე ამ მონაკვეთების გასწვრივ. წყლის ჰაბიტატების საოპერაციო ზემოქმედების შეფასებისთვის, შუახევის პროექტით დაზარალებული რეგიონები დაყოფილ იქნა ათ ქვესექციად მათი ზემოქმედების დონის შესაბამისად. ESIA-მა განსაზღვრა ორივე ჯებირის, მდინარე აჭარისწყალზე 39-მეტრის დიდაჭარის ჯებირისა და 22-მეტრის მდინარე შხალთას ჯებირის ზემოქმედება, როგორც ძლიერი. თუმცა, იგი ამტკიცებდა, რომ შესაძლებელი იყო ამ ზემოქმედების შემცირება პროექტის იმგვარი სახის დაპროექტებით, რაც საშუალებას მისცემდა, რომ ზოგიერთ სეზონზე წვიმებისა და თოვლის დროს მდინარის დინება გადატანილიყო ჯებირების და კაშხლების თავზე, რაც გაზრდიდა წინასწარ განსაზღვრულ 10%-ის დინებას. ასევე შესაძლებელი იყო ამ ზემოქმედების შემცირება და დინების გაზრდა ქვედა მიმართულებით გამდინარე შენაკადების მიერ შეტანილი წვლილით.

2.106 შხალთას ჯებირთან დაკავშირებით, ESIA-მა შეაფასა, რომ მშენებლობის შემდგომი დინება იქნებოდა 28% მარტიდან მაისამდე საშუალო წლიურ დინებასთან შედარებით მაღალი ნაკადების დროს ჯებირზე გადაღვრის გამო. თუმცა, დაბალი დინების თვეებში, აგვისტოს

ჩათვლით, მდინარე არ გადააცილებდა წლიური საშუალო ეკოლოგიური დინების შეთავაზებულ 10%-ს. შეფასების შედეგად დადგენილი იქნა, რომ დაბალ დინებებს სავარაუდოდ შეეძლო გამოეწვია ცვლილებები მდინარის ჰაბიტატზე, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქვირითის დაყრის შესაფერისი ჰაბიტატი განსაზღვრულ იქნა საბაზისო დონის კვლევებში, რომლებიც ჩატარდა ჯებირის ქვედა დინებაში. ასევე მოსალოდნელი იყო, რომ მნიშვნელოვანი იქნებოდა ჰიდროლოგიური ცვლილებები და ზემოქმედება მდინარე აჭარისწყალზე, მიუხედავად ESIA-ის შეფასებისა, რომ საშუალო წლიური დინებები ამ ადგილზე იქნებოდა 19%. გარდა ამისა, CAO აღნიშნავს, რომ ეს AGL-ის კონსულტანტის მიერ მომზადებული ანალიზი ეფუძნებოდა მწირ ბიომრავალფეროვნების საბაზისო დონეს, როგორც ეს ზემოთ იყო აღწერილი.

2.107 ESIA-მა ასევე გამოავლინა დინებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ზემოქმედებები ხუთი მეტრის ჩირუხისწყლის კაშხლისგან, რომელიც მდებარეობდა მომჩივნეების დასახლებიდან ერთ კილომეტრზე ახლოს, მათ შორის, მდინარის ჰაბიტატების მუდმივი შემცირება, თევზებისთვის თავშესაფრის შეცვლა და მიგრაციისას თევზების სიკვდილიანობის რისკი. თუმცა, მან დაამატა, რომ პროექტის ამ კომპონენტს სავარაუდოდ ყველაზე ნაკლები ზემოქმედება ექნებოდა თევზებზე, რადგან კაშხლის დაპროექტებისას მასში გათვალისწინებული იყო თევზების გასასვლელი სხვადასხვა სახეობებისთვის და რადგან წლიური საშუალო 10% დინება დროდადრო გაიზრდებოდა კაშხლის წინასწარ განსაზღვრული წყალმიმღების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ESIA ამტკიცებდა, რომ ქვედა მიმართულების დამატებითი შენაკადები შეამცირებდნენ ჰიდროლოგიურ ცვლილებებს მდინარის გასწვრივ.¹⁶⁰ მდინარე ჩირუხისწყლის ზემოქმედების ანალიზის შედეგად, ESIA-მა დაასკვნა, რომ კაშხლის ზემოქმედებები უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა ქვედა დინების პირველ ორ კილომეტრში, განსაკუთრებით დაბალი დინების პერიოდებში, რომელიც მოსალოდნელი იყო წელიწადში დაახლოებით ექვსი თვე. მარტიდან მაისამდე, მოსალოდნელი იყო მდინარის 20%-ით მატება წინა საშუალო წლიურ დინებასთან შედარებით, მაღალი დინებისას კაშხლისგან გადაღვრილი წყლის გამო, რაც შეამცირებდა ზემოქმედებას წყლის მობინადრეებზე. გარდა ამისა, პროგნოზირებული იყო, რომ შემოდინებები მდინარე მოდულისწყლიდან, რომელიც მდებარეობდა კაშხლის ქვემოთ 6.5 კმ-ში, გაზრდიდა ჩირუხისწყლის დინებას და აქედან გამომდინარე, შეინარჩუნებდა თევზების ჰაბიტატს და სანაპირო მცენარეებს.¹⁶¹ თუმცა, CAO აღნიშნავს, რომ ნათელი არაა იყო თუ არა AGL-ის კონსულტანტის ეს ანალიზი ბოლომდე ინფორმირებული, თუ გავითვალისწინებთ ბიომრავალფეროვნების მწირ საბაზისო დონეს, რომელიც ზემოთაა განხილული.

2.108 იმისათვის, რომ შეეფასებინა სამი დაზარალებული მდინარის შესაბამისი ეკოლოგიური დინება, ESIA-მა ჩამოაყალიბა ორფაზიანი მიდგომა. I ფაზა იყენებდა ექოსისტემაში ამჟამად არსებული საშუალო წლიური მონაცემის მინიმუმ 10%-ის გაშვებას, რათა შეეფასებინა

¹⁶⁰ ESIA, გვ. 237.

¹⁶¹ ESIA, გვ. 238.

ჰაბიტატების მოწყვლადობა და ქვირითის დაყრის ჰაბიტატების არსებობა-არ არსებობა. საშუალო წლიური დინების 10% დადგენილ იქნა, როგორც მინიმალური, საქართველოში არსებული სხვა ჰიდროელექტრო პროექტების ისტორიული გამოყენების თვალსაზრისით და როგორც რეკომენდებულ მინიმუმს წყლის ბიოტას უმეტესობისთვის მოკლევადიანი გადარჩენის ჰაბიტატის შენარჩუნებისათვის.¹⁶² CAO აღნიშნავს, რომ ამგვარი მიდგომა, რომელიც ცნობილია, როგორც Building Block E ნაკადის მეთოდოლოგია (BBM) იყო მასშტაბურად შეზღუდული, რადგან იგი ცდილობს განსაზღვროს მიზნები დინების ერთი განსაზღვრული რეჟიმის გამოყენების საფუძველზე, (საშუალო წლიური დინების 10%), რომელიც წინასწარ იყო დადგენილი.

2.109 I ფაზაში დადგენილი 10%-ის გადაცილება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ კაშხლების/ჯებირების ადიდების შემთხვევაში სადგურის მიღების სიმძლავრიდან გამომდინარე და შეესაბამებოდა მდინარის დინებებს მშრალი წლის ზაფხულის თვეებში. თუმცა, ESIA-მა ასევე აღნიშნა, რომ სადგურის შესაძლებლობა, რომ დაარეგულიროს წყლის გაშვება ეკოლოგიური დინების დადგენისას, შეიძლება შეზღუდული იყოს პროექტის დიზაინის გამო. საშუალო წლიური დინების 10%-ის მიღებით გამოწვეული მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებები სხვადასხვა საკითხებს შორის, მოიცავდნენ ჰაბიტატის შემცირებას, ეკოლოგიური ფუნქციის დაკარგვას ან დარღვევას, ჰაბიტატის ურთიერთკავშირის დაკარგვას, წყლის ხარისხის შემცირებას და თევზების მრავალფეროვნების შემცირებას, როგორც ეს ზემოთაა დეტალურად განხილული. თუმცა, ბიომრავალფეროვნების საბაზისო დონის სიმწირის გამო, ნათელი არაა თუ როგორ დაასაბუთეს AGL-მა და მისმა კონსულტანტმა ეს დასკვნები. II ფაზის მონიტორინგი შეთავაზებული იყო, როგორც ზემოქმედებების დასაბუთების საშუალება და შემამსუბუქებელი და გასაუმჯობესებელი ზომების განსაზღვრა.

2.110 II ფაზა მოიცავდა გრძელვადიანი მონიტორინგის შემუშავებას და ადაპტაციური მართვის პროგრამას, მათ შორის, კვლევებს მდინარის დაზარალებულ მონაკვეთებში თევზების გამოსავლენად და ქვირითის დაყრის შესაფერისი ჰაბიტატების შესახებ მეტი ინფორმაციის შესაგროვებას. პირველი ეტაპი მოიცავდა მეზოჰაბიტატის რუქების შედგენას¹⁶³ AGL-ის კონსულტანტების მიერ დაბალი დინების პირობებში, დაზარალებულ მდინარეებზე ზემოქმედებებისა და შეზღუდვების გამოსავლენად. ეს სამუშაო ჩატარდა 2012 წლის აგვისტოში და მოიცავდა მდინარეების აჭარისწყლის, ჩირუხისწყლისა და შხლათას ჰაბიტატისა და ფიზიკური მონაცემების შეგროვებას. II ფაზის მეორე ეტაპი მოიცავდა I ფაზის დროს გაკეთებული ზემოქმედების შეფასების განხილვას, ჰაბიტატის რუქის შედგენაზე მუშაობის გაგრძელებას გრძელვადიანი მონიტორინგის პერიოდში და ადაპტაციური მართვის გეგმის შემუშავებას, პროექტის მთლიანი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში

¹⁶² თარმე და კინგი, 2008 წ.

¹⁶³ მეზო-ჰაბიტატის კლასების აღსაწერი ფაქტორებია წყლის სიღრმე, ზედაპირის ნიშნუმი, ზედაპირის გრადიენტი და ზედაპირის სიჩქარეები და ამ ინფორმაციის კომბინაცია გვაძლევს ათ სხვადასხვა კლასს.

ზემოქმედებების შესამსუბუქებლად და საკომპენსაციოდ, როგორც ამას მოითხოვს IFC-ის შესრულების სტანდარტი 6.¹⁶⁴

2.111 2013 წელს, თავისი წინა-საინვესტიციო კომპლექსური შემოწმების დროს, IFC-მა დაადგინა, რომ მომხმარებელს ესაჭიროებოდა დეტალური სამონიტორინგო გრაფიკის შემუშავება, ეკოლოგიური ზემოქმედებების შესაფასებლად და განაცხადა, რომ AGL-ის მონიტორინგის შეფასების და ანგარიშგების მეთოდოლოგია არასაკმარისად იყო წარმოდგენილი ESIA-ში.

2.112 CAO აღნიშნავს, რომ თუმცა AGL-ის მიდგომა საშუალო წლიური ეკოლოგიური დინების მინიმუმ 10%-ის დასადგენად ეფუძნება საზოგადოდ მიღებულ პრაქტიკას და დაპროექტების ზომას, მას არ გაუთვალისწინებია ეკოლოგიური საბაზისო დონე და თითოეული მდინარის საჭიროებების ანალიზი. თითოეული მდინარისა და შენაკადის ეკოლოგია უნიკალურია ისეთ ფაქტებთან დაკავშირებით, როგორიცაა დინება, წყლის ხარისხი, არხის მართვა, სანაპირო ზონა, მეთევზეობის საქმიანობები და ფიზიკური ბარიერების არსებობა. შესაბამისად, CAO მიიჩნევს, რომ 10% საშუალო წლიური ბუნებრივი დინების მიღებულმა შემცირებულმა დინების რეჟიმმა სავარაუდოდ მიგვიყვანა ნარჩენ ზემოქმედებებამდე, რომლებიც არ იყო ბოლომდე შეფასებული და სავარაუდოდ ზემოქმედებას ახდენდა ბუნებრივ კაპიტალზე ქვემო დინების მიმართულებით და ასევე მათ ბიომრავალფეროვნებასა და ექოსისტემის მომსახურებებზე. არ არსებობს არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ IFC-მა გაითვალისწინა წყლის მოცულობის ამგვარი შემცირება, მის ბუნებრივ კაპიტალზე ზემოქმედებასთან მიმართებაში და ის, რომ აკმაყოფილებდა თუ არა შემამსუბუქებელი ზომები PS6-ის მოთხოვნებს ბიომრავალფეროვნების სუფთა დანაკარგის გამორიცხვის მისაღწევად.¹⁶⁵ შემუშავებული Building Block E დინების მეთოდოლოგია (BBM) არ შეესაბამებოდა მაღალი გარჩევადობის შეფასებას, რასაც მდინარეების თავისებურებები მოითხოვდნენ. იგი ასევე შეზღუდული იყო მასშტაბში, რადგან ცდილობდა განესაზღვრა მიზნები დინების ერთი განსაზღვრული რეჟიმის გამოყენების საფუძველზე, (წლიური საშუალო დინების 10%) რომელიც წინასწარ იყო განსაზღვრული.¹⁶⁶ BBM შემუშავებულ იქნა 1980-იან წლებში და 2000-იანი წლებისთვის იგი გადაიქცა DRIFT¹⁶⁷ მეთოდოლოგიად, რომელიც აღიარებულია როგორც კარგი პრაქტიკა IFC-ის, World Bank-ის და სხვების მიერ. DRIFT-ი მოიცავს სცენარის გათვალისწინების ანალიზს, რაც იძლევა ზემოქმედების შეფასების საშუალებას სხვადასხვა სავარაუდო ეკოლოგიური დინებებისათვის და მოიცავს დაზარალებული ექოსისტემისა და

¹⁶⁴ ESIA, გვ. 383.

¹⁶⁵ სუფთა დანაკარგის გამორიცხვა განმარტებულია, როგორც ისეთი ამოსავალი წერტილი, როდესაც ბიომრავალფეროვნებაზე პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედებები დაბალანსებულია პროექტის ზემოქმედებების თავიდან ასაცილებლად და შესამცირებლად მიღებული ზომებით, ობიექტის აღდგენის განხორციელებით და საბოლოოდ, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანი ზემოქმედებების კომპენსირებით, ამგვარის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი გეოგრაფიული მასშტაბით (მაგ. ადგილობრივი, ლანდშაფტის დონეზე, ეროვნული, რეგიონალური) (PS1, FN9).

¹⁶⁶ ESIA, გვ. 411.

¹⁶⁷ Downstream Response to Imposed Flow Transformations (DRIFT) <https://www.drift-eflows.com/wp-content/uploads/2018/02/DRIFT-User-Manual.pdf>; და IFC-ის კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.ifc.org/en/insights-reports/2018/publications-handbook-eflows>.

მისი ბიოტას შესახებ ადგილობრივ ცოდნასა და გაგებას (როგორიცაა თევზების თვისებები).¹⁶⁸ BBM¹⁶⁹ შეფასება დამატებით შეირყა არასაკმარისი სიმკაცრის საბაზისო დონის მონაცემებით, რაც იმას ნიშნავდა, რომ IFC-ის მომხმარებლის II ფაზის მონიტორინგი და შემამსუბუქებელი ზომები ეყრდნობოდა არასაკმარის საბაზისო დონის მონაცემებს.¹⁷⁰ ასეთ შემთხვევებში, როდესაც ჰიდროელექტრო ჯებირების ეკოლოგიური დინების ანალიზში გამოყენებული თავდაპირველი შეფასება შეზღუდული იყო თავისი მოცულობით, კარგი საერთაშორისო პრაქტიკა იძლევა თავდაპირველი შეფასების განახლების რეკომენდაციას.

2.113 საერთო ჯამში, CAO აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ იმ პროექტთან დაკავშირებით, რომელზეც ESIA-მა ფართოდ აღიარა, რომ წყლის შემცირება გამოიწვევდა ბუნებრივი წყლის ჰაბიტატზე ზემოქმედებას, მისი დასკვნები ემყარებოდა ვარაუდს, რომ წყლის ადიდება და მდინარის შენაკადები შეამცირებდა ამ ზემოქმედებას რაიმე ანალიზის გაკეთების გარეშე შეთავაზებული დინების რეჟიმის კონკრეტულ სახეობებზე ზემოქმედების შესახებ, მათ შორის, ისეთი სახეობებისა, როგორიცაა მსოფლიოს ან საქართველოს წითელ წიგნებში შეტანილი სახეობები. გარდა ამისა, IFC-ის კომპლექსური შემოწმება არ ითვალისწინებდა იმას, რომ პროექტი მდებარეობდა კრიტიკული მნიშვნელობის ბუნებრივ ჰაბიტატში და არა ჩვეულებრივ ბუნებრივ ჰაბიტატში. CAO-ის თვალსაზრისით, რეგიონის მნიშვნელობას, როგორც ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილი, სახეობების მაღალი ენდემიზმით, უნდა გამოეწვია აქტიური დებატი IFC-ის კომპლექსური შემოწმების დროს, მათ შორის, მის მიერ მომხმარებლის ESIA-ის განხილვისას. შესაბამისი ეკოლოგიური დინების არასაკმარისი ანალიზი და მასთან დაკავშირებული შემამსუბუქებელი ზომები PS6-ის ბიომრავალფეროვნების სუფთა დანაკარგის გამორიცხვის მისაღწევად, ბიომრავალფეროვნების საბაზისო დონეში არსებული ხარვეზებისა და პროექტის მდებარეობის გაუთვალისწინებლობა, ყველაფერი ეს მიუთითებს IFC-ის კომპლექსურ შემოწმებაში დაშვებულ შეცდომებზე. რაც შეეხება მის ვალდებულებებს თავისი ESDD-ის შესასრულებლად, იგი შეესაბამება რისკების ხასიათსა და მასშტაბს და იმის უზრუნველყოფას, რომ პროექტი აკმაყოფილებს PS6-ის მოთხოვნებს ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებით.

2.114 საბოლოო ჯამში CAO ასკვნის, რომ IFC-მა არ დააკმაყოფილა მისი მდგრადობის წესდების ვალდებულებები E&S-ის კომპლექსურ შემოწმებაზე, რაც შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო რისკების ხასიათსა და მასშტაბთან და უზრუნველყო, რომ პროექტი აკმაყოფილებდა ბიომრავალფეროვნების დაცვის მოთხოვნებს PS6-ის შესაბამისად. კერძოდ, IFC-ის მიერ

¹⁶⁸ <https://www.drift-eflows.com/about-drift/applications/>.

¹⁶⁹ ბიომრავალფეროვნების კვლევის მეთოდოლოგია არასაკმარისი იყო ისეთი სახეობების სიზუსტის დასადგენად, როგორიცაა მიგრაციული სახეობები. აქედან გამომდინარე, მას არ დაუდგენია საბაზისო დონე, რომელთან მიმართებაშიც შესაძლებელია გაჩნდეს ადეკვატური დონის რწმენა მონაცემებისთვის, რომლებიც შემდგომში მოპოვებულ იქნა წყლის სახეობებზე პროექტის ზემოქმედებებთან დაკავშირებით, რომელთაგანაც ზოგიერთი შეტანილია მსოფლიო ან/და საქართველოს წითელ წიგნებში.

¹⁷⁰ II ფაზა, 2011 წლის აგვისტოდან მოყოლებული, შეაგროვებს მონაცემებს დაზარალებული მდინარეების მოწყვლადი მონაკვეთების გამოსავლენად, შესთავაზებს ზემოქმედებების შესამცირებელ ზომებს და მოიცავს ჰაბიტატის გაუმჯობესების ზომებს.

მიღებული ზემოქმედების შეფასება, ბოლომდე არ ითვალისწინებდა იმ ზემოქმედებებს, რომლებიც მოსდევდნენ წინასწარ განსაზღვრული საშუალო წლიური დინების 10%-ის გამოყენებას სამი დაზარალებული მდინარის სანაპირო ბუნებრივ ჰაბიტატზე და ბიომრავალფეროვნებაზე, რაც ანალიზს არასაკმარისს ხდიდა იმის საჩვენებლად, რომ პროექტს შეეძლო მიეღწია ბიომრავალფეროვნების სუფთა დანაკარგის გამორიცხვისთვის იქ, სადაც ეს განხორციელებადია PS6-ის მოთხოვნების შესაბამისად (პარაგ. 15).

2.115 IFC-ის მომხმარებლის მიერ შუახევის ჰიდროელექტრო სქემის ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედებების შეფასებაში ასევე აღიარებულია მისი შემაჯამებელი ზემოქმედება აჭარისწყლის მდინარის სისტემის ეკოლოგიასა და ბიომრავალფეროვნებაზე და ასევე მდინარის ქვემო დინების მიმართულებით, თუ მთლიანობაში გავითვალისწინებთ ამჟამად არსებულ და სხვა შეთავაზებული განვითარების პროექტებს. ამიტომ, AGL-ის ESIA-ს კონსულტანტმა აიღო ვალდებულება გაეკეთებინა ზემოქმედების შემაჯამებელი შეფასება, რომელშიც შედიოდა AGL-ის მიერ შეთავაზებული შუახევისა და კორომხეთის სქემები და მდინარის აუზში უკვე არსებული და სამომავლოდ დაგეგმილი მთელი რიგი პროექტები. ეს მოიცავდა სათხილამურო კურორტს გოდერძის უღელტეხილზე; თურქეთში, მდინარე ჩოროხზე შეთავაზებული სამი ჰიდროელექტროსადგურის დერინერის კაშხალს (კირნათი, ხელვაჩაური 1 და ხელვაჩაური 2 HPP-ები, მთლიანი მოცულობით 105.4 MW); და მდინარე აჭარისწყალზე შუახევის სქემის დინების ქვედა მიმართულებით ატსის ჰიდროელექტროსადგურის პროექტს. ატსის ჯებირი 1941 წლიდან არის შესული ექსპლუატაციაში და მას არ გააჩნია თევზების გასასვლელი მდინარის დინების ზემოთა მიმართულებით ან რაიმე ცნობილი ეკოლოგიური დინების წესი.¹⁷¹ ამ ანალიზზე დაყრდნობით, ESIA ხაზს უსვამს ამ რეგიონის ბუნებრივ ტყეებზე და სათევზაო ადგილებზე ზემოქმედებების ერთობლიობას, რაც გამომდინარეობდა წყლის ხარისხის თანდათანობით გაუარესებით და მეთევზეობის გაზრდით და ასევე მდინარის ხეობის გასწვრივ სოფლის მეურნეობის გაფართოების გამო ხე-ტყის გაჩეხვით.¹⁷² თუმცა, CAO აღნიშნავს, რომ არ არსებობდა მდინარის დანაწევრების შედეგად საერთო ზემოქმედების ანალიზი თევზის მიგრაციასთან დაკავშირებით, მდინარე აჭარისწყლის სისტემის ამჟამად არსებული და მომავალში გათვალისწინებული ჰიდროელექტრო სადგურების გამო. ამგვარ სიტუაციებში კარგი საინდუსტრიო პრაქტიკა არის მიგრაციის მიმართულებებით თევზების კორიდორის დაარსება, რაც შეიძლება მოიცავდეს მთელ რიგ გასასვლელს თევზებისათვის (როგორცაა თევზების გასასვლელები, თევზების კიბეები და გვერდის ასვლელები), რომლებიც ჩაშენებულია სხვადასხვა ფრაგმენტაციის ბარიერებზე.¹⁷³

2.116 მომხმარებლის ESIA-ში ასევე შეფასებულია პროექტის სავარაუდო ზემოქმედება ხეებზე, რომლის შესახებაც წუხილი გამოთქვს CAO-ს მომჩინებმა. AGL-ის კონსულტანტმა

¹⁷¹ ESIA, გვ. 315 და დამატებითი ინფორმაცია ATSI-ის ჰიდროელექტრო პროექტის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ აქ: <https://epggen.ge/en/hpps/%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%981234-5-3/>

¹⁷² ESIA, გვ. 271.

¹⁷³ იხილეთ ნიმუშები აქ: <https://www.fao.org/inland-fisheries/topic/detail/ru/c/1142413/> და აქ: <https://www.fao.org/inland-fisheries/tools/detail/ru/c/1147055/>

განსაზღვრა ჰაბიტატზე სავარაუდო ზემოქმედებები მშენებლობის პროცესში, მათ შორის ტყეების გაჩეხვა და ხეების მოჭრა მისასვლელი გზების ასაგებად, წყალსაცავის ფერდობების გაშიშვლება და ჰაბიტატის მუდმივი გაქრობა წყალსაცავების დატბორვისა და პროექტის ინფრასტრუქტურის და მათ შორის სამუშაო ნაერთების შედეგად. ყველაზე მთავარი დაზარალებული ჰაბიტატი იყო მდინარისპირა საძოვრები და ტერასები, რომლებიც ადგილ-ადგილ დაფარული იყო მდინარისპირა ტყეებით და ბუჩქნარით, სადაც ჭარბობდა მურყანის ხეები. ზომიერი ზემოქმედება განიცადა აგრეთვე ფოთლოვანმა ნაძვის ტყეებმა.¹⁷⁴ პროექტის მშენებლობისთვის ხეების გაჩეხვის საქმიანობების შედეგად, მდინარე ჩირუხისწყალთან, ადგილ-ადგილ დარჩა დეგრადირებული ნაძვის ტყეები, რომლებიც მდებარეობდნენ მომჩივნების სახლებთან ახლოს, რათაბის დასახლებაში.¹⁷⁵

2.117 ESIA-ის გამასწორებელი ღონისძიებები მოიცავდნენ დაზარალებული ტყეების ჰაბიტატის მოცილებისა და აღდგენის გეგმას. დაგეგმილ სამუშაოებში შედიოდა დაზარალებული სახეობების წინა-სამშენებლო კვლევები, ხელახალი განაშენიანებისათვის ადგილობრივი სახეობების გამოყენებას და ყველა მოჭრილი ხის სახეობის აღრიცხვას, მათი აჭარის ეკოლოგიური და ბუნებრივი რესურსების დირექციისათვის გასაზიარებლად.¹⁷⁶ ამის მხარდასაჭერად, ESDD-მა აღიარა ბუნებრივ ტყეებზე შესაძლო ზემოქმედებები და თავის მომხმარებელს რეკომენდაცია მისცა შეემუშავებინა ჰაბიტატის მართვისა და აღდგენის გეგმა.¹⁷⁷

2.118 თუმცა, ESIA არ შეიცავს იმ ხეების განსაზღვრისა და ზემოქმედების შეფასებას, რომლებიც მდებარეობენ პროექტით დაზარალებული მდინარეების გასწვრივ და კომპლექსური შემოწმებისას IFC-ს არ განუხილავს ამ შეფასების უკმარისობა თავის მომხმარებელთან. გარდა ამისა, CAO აღნიშნავს, რომ არ არსებობდა ხეებზე ეკოლოგიური დინების შემცირებით გამოწვეული სავარაუდო ზემოქმედებების არავითარი შეფასება მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში.¹⁷⁸ ნაკადის დინების ქრონიკული შემცირებით შესაძლოა დაზარალდეს ხეები ჭალასა და სანაპირო ზონებში და მიწისქვეშა წყლებიც ასევე შესაძლებელია დაზარალდნენ დინების აღმავალი მიმართულებით კალაპოტის შეცვლითა და ჰიდროელექტრო გამომუშავების მიზნით მისი დარეგულირებით. CAO ასევე აღნიშნავს, რომ მდინარისპირა და ჭალის ხეების სახეობები ძირითადად გვხვდება მესიკურ ჰაბიტატებში¹⁷⁹ და დიდად არიან დამოკიდებულები წყლის სანდო წყაროებზე, მათ შორის, ნაკადულის ზედაპირის წყლებზე, ნიადაგის ტენიანობასა და მეჩხერ მიწისქვეშა წყლებზე.¹⁸⁰ გარდა ამისა,

¹⁷⁴ IFC, ESRS, გვ. 8.

¹⁷⁵ BAP, გვ. 32. წარმოდგენილია შემდეგი ხის სახეობები: *Picea orientalis*, *Carpinus caucasica*, *Alnus barbata*, *Salix caprea*. ბალახოვანი მცენარეები მოიცავს *Pteridium tauricum*-ს.

¹⁷⁶ BAP, გვ. 69.

¹⁷⁷ ESDD, გვ. 35.

¹⁷⁸ BAP, გვ. 30.

¹⁷⁹ მესიკური ჰაბიტატი მიაწინებს მცენარეების ზრდის სეზონზე ტენიანობით კარგად დაბალანსებულ ნიადაგზე, როგორცაა ნაკადულის ნაპირები, სველი მდელოები, წყაროს წყლები და წყლით გაჟღენთილი ნიადაგები, მორწყული მიდვრები და ამაღლებული ჰაბიტატები. See more here: <https://www.wfw.org/water-is-life/#:~:text=What%20is%20Mesic%20Habitat%3F,fields%20and%20high%20Delevation%20habitats>.

¹⁸⁰ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კოლხური ტროპიკული ტყეები და ჭაობები შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში, ისინი მდებარეობენ მტრალას ეროვნულ პარკში, კინტრისის დაცულ ზონებში, ქობულეთის

სანაპირო ხეები წარმოადგენენ ჯანსაღი წყლის ჰაბიტატების მთავარ ელემენტს. ყველა ამ გარემოებების გათვალისწინებით, CAO ხაზს უსვამს იმაზე, რომ ESIA-ს არ გაუთვალისწინებია თუ როგორ შეეძლო სანაპირო ხეების დაკარგვას მდინარის ჰაბიტატზე უარყოფითი ზემოქმედება, პროექტით გამოწვეული ეკოლოგიური დინების შემცირების შედეგად.¹⁸¹

2.119 CAO ასევე აღნიშნავს, რომ გვალვამ და მდინარეებში ანტროპოგენურად შეცვლილმა ჰიდროლოგიურმა პირობებმა შეიძლება იქონიონ სტრესით გამოწვეული რეაქციები ხეებში, მათ შორის, ადაპტაციური ბალდახის გათხელება და ტოტების მსხვერპლშეწირვა წყლის საჭიროების შესამცირებლად. ექსტრემალური ნესტიანობის დეფიციტმა შეიძლება საბოლოოდ მათი სიკვდილიანობაც გამოიწვიოს. როდესაც მიწისქვეშა წყლები დაიწევს იმაზე მეტად, ვიდრე ეს საჭიროა მდინარისპირა და ჭაობის ხეების ფესვებისათვის, საიმედო წყლის რესურსებზე წვდომა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ამ სახეობებს გადაურჩნენ მშრალი ზედაპირის გარემოს, ნაკლებ სავარაუდო ხდება.

2.120 CAO-თვის წარდგენილი საჩივარი ასევე ამტკიცებდა უარყოფით ზემოქმედებებს საყოფაცხოვრებო მეთევზეობაზე, რაც წარმოადგენდა ადგილობრივი ეკოლოგიური სისტემის მომსახურებას. IFC-ის მომხმარებელმა განიხილა ეს ექსპერტის მომსახურება ESIA-ში და დაასკვნა, რომ თევზების პოპულაციები აჭარის რეგიონში მრავალფეროვანია, მაგრამ ნაკლები სიუხვით,¹⁸² სადაც არც ერთი სახეობა არ არის მიჩნეული იმდენად უხვად, რომ მათ ჰქონდეთ კომერციული მეთევზეობის მნიშვნელობა. თუმცა, შეფასებაში აღიარებულია, რომ საარსებო წყაროს მიზნით თევზაობა პოპულარული იყო და მოსახლეობის მიერ დიდად დაფასებული “რადგან ადგილობრივი სამოყვარულო თევზაობა ხორციელდებოდა აჭარისწყლის დაბლობებში.” მიუხედავად იმისა, რომ ESIA-ის კონსულტანტმა მეთევზეობა აღიარა, როგორც მდინარე აჭარისწყალთან დაკავშირებული ერთადერთი აღსანიშნავი რეკრეაციული მომსახურება,¹⁸³ მან მაინც დაასკვნა, რომ პროექტის ზემოქმედება მეთევზეობაზე იქნებოდა უმნიშვნელო, გარდა დაჭერილი სახეობების შესაძლებელი ცვლილებებისა – იმგვარი სახეობებიდან, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ მჩქეფარე წყალს, იმგვარ სახეობებზე, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ დაგუბებულ წყალს, როგორიცაა, მაგალითად ტბები და წყალსაცავები. მშენებლობის საქმიანობით გამოწვეულ ზემოქმედებებზე და ჰიდროლოგიის ძირფესვიანი ცვლილებების საპასუხოდ, ESIA-ს დაემატა ისეთი შემამსუბუქებელი და საკომპენსაციო ზომები, როგორიცაა მხოლოდ ჯებირზე თევზების გასასვლელის დამატება, ექსპერტის მომსახურებების კვლევების შემუშავება და თევზების მონიტორინგი BAP-ის შესაბამისად, წყალსაცავების გარშემო ახალი რეკრეაციული სათევზაო ზონების დაარსება და წყალსაცავებისა და მდინარეების ადგილობრივი სახეობების თევზების მარაგის აღდგენა.

დაცულ ზონებში და კოლხეთის ეროვნულ პარკში, რომლებიც არ მდებარეობენ შუახევის პროექტის ზონაში. იხილეთ დამატებითი ინფორმაცია აქ: <https://www.wfcaucasus.org/?5209791/Colchic-Rainforests-and-Wetlands-of-Georgia-are-inscribed-on-UNESCOs-World-Heritage-List>, და <https://whc.unesco.org/en/list/1616/>. იხილეთ კოლხეთის ტროპიკული ტყეებისა და ჭაობების ადგილ-მდებარეობა აქ: <https://whc.unesco.org/document/188957>.

¹⁸¹ რივასი და სხვები. ‘მდინარის რეგულირების ეფექტების შემცირება მდინარისპირა მცენარეებზე ჩამორეცხვის დინების რეჟიმის გამოყენებით’; ეკოლოგიური საინჟინრო საქმიანობები [Volume 81](#), აგვისტო 2015 წ., გვერდები 428-438.

¹⁸² ESIA, გვ. 2010.

¹⁸³ ESIA, გვ. 270.

- 2.121 გარდა ამისა, ESIA-ში განსაზღვრულია მეთევზეობა და ადგილობრივი წყლის გამოყენება, როგორც მოსახლეობის მიერ გამოყენებული ორი სერვისის უზრუნველყოფა, რომლებზეც პროექტმა შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს, წყლის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გამო.¹⁸⁴ ESIA-ში ასევე ნათქვამი იყო, რომ თევზაობა, როგორც მომსახურების უზრუნველყოფა შესაძლოა გაზრდილიყო მშენებლობის პერიოდში იმისათვის, რომ მოსახლეობას გამოეკვება მშენებლები. ეს დანახული იყო ეკონომიური სარგებლობის კუთხით, რაც ამავე დროს, სავარაუდო ზემოქმედებას ახდენდა თევზების პოპულაციებზე.¹⁸⁵
- 2.122 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, CAO ასკვნის, რომ IFC-ის E&S კომპლექსურმა შემოწმებამ სწორად განსაზღვრა თევზაობა, როგორც ექსისტენტის მომსახურება, გაითვალისწინა ზემოქმედებები მშენებლობის პერიოდში და მდინარის ჰიდროლოგიის ძირფესვიანი ცვლილებები და დაადგინა შემამსუბუქებელი და საკომპენსაციო ზომები იმის შესაბამისად, რაც მოეთხოვებოდა მომხმარებელს PS6-ის შესაბამისად.

iv. პროექტის შემამსუბუქებელი ზომები ბიომრავალფეროვნებაზე სავარაუდო ზემოქმედებებთან დაკავშირებით

- 2.123 დიდი მასშტაბის ჰიდროელექტრო სქემის მიერ სავარაუდო ფართო-მასშტაბიანი ზემოქმედებების აღიარებასთან ერთად, თავის ESIA-ში IFC-ის მომხმარებელი ამტკიცებდა, რომ ზემოქმედებები ბიომრავალფეროვნებისა და ექსისტენტის მომსახურებებზე, განსაკუთრებით დაბალი დინების პირობებში, შემცირდებოდა შეთავაზებული შემამსუბუქებელი ზომების მეშვეობით.
- 2.124 ეს შემამსუბუქებელი ზომები განისაზღვრა თავდაპირველ ESIA-ში 2012 წლის მარტში, პროექტის მორიგი E&S-ის მართვის გეგმა (ESMP) დასრულდა 2012 წლის ოქტომბერში და შეთანხმებული იყო IFC-სა და 2013 წელს დასრულებულ ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმასთან. ყველა ეს შეფასებები და გეგმები AGL-თვის ვალდებულების სახით იყო აღებული მისი საერთაშორისო კონსულტანტის, Mott MacDonald-ის მიერ. ისინი მოიცავდნენ:
- ორფაზიანი მიდგომის შემუშავებას შემცირებული ეკოლოგიური დინებების ზემოქმედებაზე საპასუხოდ. I ფაზა (აგვისტო 2011 წ.) დააწესებდა ეკოლოგიურ დინებას წლიური საშუალო დინების 10%-ის სახით, რაც შეესაბამებოდა საქართველოში მიღებულ ზოგად პრაქტიკას. II ფაზა (2011 წლის აგვისტოდან შემდეგ) შეაგროვებდა მონაცემებს დაზარალებული მდინარეების მოწყვლადი მონაკვეთების განსაზღვრის მიზნით, შესთავაზებდა ამ ზემოქმედებების შესამცირებელ ზომებს და მოიცავდა ჰაბიტატის გაუმჯობესების ზომებს.¹⁸⁶

¹⁸⁴ ESIA, გვ. 268.

¹⁸⁵ ESIA, გვ. 269.

¹⁸⁶ II ფაზა შექმნილი იყო მეზო-ჰაბიტატის მეთოდის გამოყენებით, რომელიც მოახდენდა მდინარის კლასიფიკაციას მორფოლოგიური კლასების მონაკვეთებში, როგორიცაა წყლის სიღრმე, ზედაპირის თავისებურებები, ზედაპირის გრადიენტი და ზედაპირის სიჩქარე ვიზუალური დაკვირვებით. ეს შესაძლებელს გახდიდა ჰაბიტატის მრავალფეროვნებაზე თვალ-ყურის დევნას სხვადასხვა დინების პირობებში და თევზებისათვის ისეთ მნიშვნელოვან ადგილებში სავარაუდო დანაკარგის განსაზღვრას, როგორიცაა ქვირითის დაყრის, კვებისა და თავშესაფრის ადგილები. ESIA, გვ. 390.

- ისეთი დაზარალებული მუშუმწოვრებისა და ქვეწარმავლების სახეობების გამოყვანას, განსახლებას და მათთვის საჭირო ჰაბიტატის შექმნას, როგორიცაა ყავისფერი დათვი, ევროპული ფოცხვერი, ღამურები, კლარკის ხვლიკი, კავკასიური გველგესლა და კავკასიური სალამანდრა
- კაშხალთან თევზების გასასვლელების აგება დინების ზედა მიმართულებით თევზების გასასვლელად და ქვედა დინების მიმართულებით თევზების უსაფრთხო ზომების გათვალისწინებით
- ფრინველებისა და ღამურებისთვის ასი ცალი ჩიტის სახლის აგება, დაკარგული ბუდეების საკომპენსაციოდ
- წყალსაცავების ირგვლივ ახალი რეკრეაციული სათევზაო ადგილების შექმნა და წყალსაცავებისა და მდინარეების ადგილობრივი სახეობების თევზების მარაგის აღდგენა.

2.125 ეკოლოგიურ დინებასთან დაკავშირებით, ESIA-მა აღწერა სამი დაზარალებული მდინარის გასწვრივ, დაბლითა მიმართულებით დინების შემცირება, როგორც პროექტის გავლენის ზონაში ეკოლოგიაზე და ბიომრავალფეროვნებაზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რომელიც გავლენას ახდენს თევზების პოპულაციებზე და სხვა სახეობებზე, როგორიცაა ევრაზიული წავი.¹⁸⁷

2.126 ამ ზემოქმედებასთან დაკავშირებით, IFC-ის მომხმარებლის შემამსუბუქებელი ზომა ყურადღებას ამახვილებდა ორფაზიან მიდგომაზე მდინარეებში წყლის დინების სამართავად, რაც დეტალურად იყო ზემოთ აღწერილი. I ფაზას უნდა შეემუშავებინა მინიმალური ეკოლოგიური დინების გაშვება წლიური საშუალო დონის დინების 10%-ის რაოდენობით – ბუნებრივი დინების შესაბამისად, რაც შეეფარდება მშრალი წლის ზაფხულის თვეებს– ყველა დროში მდინარეებში აჭარისწყალი, შხალთა და ჩირუხისწყლი და ამ მაჩვენებელს გადააჭარბებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდებოდა კაშხლის/ჯებირების ადიდება, თუ წყლის დონე აღემატებოდა მისი მიღების მოცულობას.¹⁸⁸ CAO-მა ვერ მოიძია ვერანაირი მტკიცებულება იმისა, რომ არჩეული 10% საბაზისო ეკოლოგიური დინება მხედველობაში იღებდა მთავარი სახეობების, მათ შორის, საფრთხის ქვეშ არსებული, მოწყვლადი, ან ენდემური სახეობების კონკრეტულ საჭიროებებს, რაც განსაზღვრულია ბიოლოგიური საბაზისო დონის კვლევაში. ამის მაგივრად, ESIA-მა აღიარა, რომ თუ ამგვარი მასშტაბის დინება შენარჩუნებული იქნება მთელი წლის განმავლობაში და მომდევნო წლებშიც, ეს მოახდენს მნიშვნელოვან ცვლილებებს ეკოლოგიურ პირობებზე და საბოლოო ჯამში მას ექნება დიდი უარყოფითი ზემოქმედება ეკოლოგიურ რეცეპტორებზე.¹⁸⁹

2.127 II ფაზის ეკოლოგიური დინების შემსუბუქებამ AGL-ს დააკისრა გრძელვადიანი და ობიექტისათვის სპეციფიკური ანალიზის გამოყენების ვალდებულება ადაპტაციური მართვის¹⁹⁰ გეგმის შესაქმნელად, პროექტის მიმდინარეობის მთელ პერიოდში, მდინარის

¹⁸⁷ ESIA, გვ. 244.

¹⁸⁸ ESIA, გვ. 388.

¹⁸⁹ ESIA, გვ. 388.

¹⁹⁰ ადაპტაციური მართვა მოიცავს სტრუქტურულ მონიტორინგს, რათა გაკეთდეს სისტემატური შესწორებები, რაც საჭიროა დაცვისა და ეკოლოგიური მიზნების მისაღწევად. იხ: ადაპტაციური მართვის გამოყენება დაცვის მიზნების შესასრულებლად. ტომას მ. ფრანკლინი, აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი, ფერმის მომსახურების სააგენტო; https://www.fsa.usda.gov › FSA_File › chap_7.

ჰაბიტატების წყლის თვისებებსა და მათთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ზემოქმედებების შესამსუბუქებლად და საკომპენსაციოდ. II ფაზის მიზანს, როგორც ეს აღნიშნული იყო ESIA-ის მიერ, წარმოადგენდა “შემამსუბუქებელი ზომების დამოწმება, რომელიც დაიცავდა აჭარის მდინარეებში არსებულ თევზებს და მხედველობაში მიიღებდა თევზების მთავარი სახეობების სასიცოცხლო ციკლს და გარემოს მოთხოვნებს და ასევე, მხედველობაში მიიღებდა სხვა მომხმარებელთა საჭიროებებს.”¹⁹¹

2.128 თუ გავითვალისწინებთ რეგიონის ეკოლოგიურ მოწყვლადობას და ბიომრავალფეროვნებაზე პროექტის განსაზღვრულ სავარაუდო უარყოფით ზემოქმედებებს, ESIA ასევე მოითხოვდა, რომ IFC-ის მომხმარებელს შეექმნა ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა (BAP) შემდეგი ჰაბიტატებისა და სახეობების კონკრეტული დაცვის სამუშაოების გათვალისწინებით:

- დაცვის მაღალი ღირებულების მქონე ბუნებრივი ტყის ჰაბიტატები
- მდინარისპირა/წყლის ჰაბიტატები
- დაცული და აღსანიშნავი მცენარეული სახეობები
- დაცული და საფრთხის ქვეშ არსებული ძუძუმწოვრები, მათ შორის, ყველანაირი ღამურები, წავეები და ხორცის მჭამელი ძუძუმწოვრები
- დაცული ფრინველები და დაცვის მაღალი ღირებულების მქონე ფრინველები
- დაცული და საფრთხის ქვეშ არსებული სახეობები, მათ შორის, შავი ზღვის ორაგული, შავი ზღვის კალმახი/ყავისფერი კალმახი, ევროპული გველთევზა და კოლხური ხრამული.¹⁹²

2.129 AGL-ის კონსულტანტმა შეიმუშავა ეს ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა (BAP) 2013 წლის ივლისში, IFC-თან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან (NGOs), სხვა კრედიტორებთან, მთავრობის სააგენტოებთან და ექსპერტ-კონსულტანტებთან კონსულტაციის საფუძველზე. გეგმის მიზანი იყო დაგეგმილი დაცვისა და სუფთა დანაკარგის გამორიცხვის შემამსუბუქებელი ზომების შემუშავების უზრუნველყოფა.¹⁹³ BAP-მა დაამოწმა, რომ პროექტის ზონა უზრუნველყოფს სხვადასხვა დაცული წყლის სახეობების ჰაბიტატს, მათ შორის, ყავისფერი კალმახის, შავი ზღვის ორაგულისა და ევროპული გველთევზას ჰაბიტატებს და დაასკვნა, რომ ზემოქმედება მდინარის ჰაბიტატებზე და სახეობებზე სავარაუდოდ იქნებოდა საშუალოდ მნიშვნელოვანი, მდინარის დინების შემცირების გამო.¹⁹⁴

2.130 ზემოთ მოკლედ შეჯამებულ ბიომრავალფეროვნების საბაზისო დონეზე დაყრდნობით, BAP-ი მოიცავდა კრიტიკული მნიშვნელობის ჰაბიტატის შეფასებას (CHA), რომელიც ძირითად ყურადღებას ამახვილებდა შუახევისა და კორომხეთის სქემებზე იმის დასადგენად, თუ IFC-ის

¹⁹¹ ESIA, გვ. 384 და BAP გვ. 79. II ფაზის მონაცემების შეგროვება განსაზღვრავს დაზარალებული მდინარეების მოწყვლად მონაკვეთებს და დაადგენს მდინარეთა სისტემების ჰიდროლოგიურ პირობებს და ეკოლოგიურ მოთხოვნებს, რომლებსაც კრიტიკული მნიშვნელობა აქვთ მდინარის ჰაბიტატებზე და მათთან დაკავშირებულ სახეობებზე პროექტის ზემოქმედების შესამცირებლად.

¹⁹² CAO აღნიშნავს, რომ პროექტის სხვადასხვა დოკუმენტებში გამოყენებული იყო მრავალი საერთო დასახელებები ერთი და იმავე სახეობებისთვის, ხოლო ეს სახეობა სავარაუდოდ არის *Salmo labrax fario*. თუმცა, არსებობს ეჭვები იმასთან დაკავშირებით, ფაქტიურად ყოველთვის არის თუ არა იგი მითითებული სახეობა. ამის მსგავსად, სამეცნიერო სახელები, რაც სავარაუდოდ წარმოადგენს ერთსა და იმავე სახეობას განსხვავდება პროექტის სხვადასხვა დოკუმენტებში. არსებობს კრიტიკული მნიშვნელობის ტექნიკური და ეკოლოგიური შედეგები სახეობების დასახელების არათანმიმდევრული გამოყენებისათვის.

¹⁹³ ESIA, გვ. 193.

¹⁹⁴ BAP, ივლისი 2013 წ., გვ. 76.

შესრულების სტანდარტი 6-ით განსაზღვრული დაცვის რომელი მოთხოვნები ვრცელდებოდა პროექტზე. ამ შეფასების შედეგად დადგინდა, რომ PS6-ით განსაზღვრული კრიტიკული მნიშვნელობის ჰაბიტატის ბარიერი არ ყოფილა მიღწეული და აქედან გამომდინარე, ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა ყურადღებას ამახვილებდა კონკრეტული შემამსუბუქებელი ზომების შემუშავებაზე, რათა მიეღწია ბუნებრივი ჰაბიტატით კლასიფიცირებულ წმინდა დანაკარგის თავიდან აცილება.¹⁹⁵ თუმცა, CAO აღნიშნავს, რომ არ არსებობს არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ BAP-მა თავის ანალიზში გაითვალისწინა არსებული და მომავალი ჰიდრო პროექტების შემაჯამებელი ზემოქმედებები მდინარეებზე.

2.131 BAP-ში მითითებული შემამსუბუქებელი ზომები მოიცავდნენ შემდეგს:

- სადგურის ოპერატორის AGL-ის მიერ მდინარის ჰაბიტატისა და ბიოტას წლიური მონიტორინგის შემუშავება, II ფაზის შესაბამისად, 2012 წლიდან სანამ დაიწყებოდა მშენებლობა მისი დამთავრებიდან 10 წლის განმავლობაში¹⁹⁶
- მდინარე აჭარისწყლის აუზის მართვის გეგმის მომზადება და შემუშავება, წყლის ხარისხის გასაუმჯობესებლად და მონაცემების შესაგროვებლად წყალშემკრების ფარგლებში
- ადგილობრივ მოსახლეობაში შემეცნების ამაღლება საფრთხის ქვეშ არსებული სახეობების შენარჩუნების მნიშვნელობის შესახებ და ადგილობრივი თევზის ფერმერების მხარდაჭერა მდგრადი თევზის მეურნეობის გასავითარებლად.¹⁹⁷

2.132 თუმცა, ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა მოიცავდა შემამსუბუქებელ ზომებს ბიომრავალფეროვნებაზე მრავალრიცხოვანი ზემოქმედების რეაგირების მიზნით, CAO ასკვნის, რომ არსებობდა ხარვეზები იმასთან დაკავშირებით, რომ პროექტმა არ უზრუნველყო უარყოფითი ზემოქმედებები ენდემურ, საფრთხის ქვეშ არსებულ, ან მოწყვლად სახეობებზე. ყველაზე თვალსაჩინოა ის ფაქტი, რომ არც ESIA-ში და არც and BAP-ში არ არსებობდა საფრთხის ქვეშ არსებულ ან ისეთ მოწყვლად სახეობებთან დაკავშირებით შეთავაზებული შემამსუბუქებელი ზომების ადეკვატურობის ან ეფექტურობის ანალიზი, როგორცაა ევროპული გველთევზა (*Anguilla anguilla*), შავი ზღვის კალმახი (*Salmo labrax pallas*) და ევროპული წავი (*Lutra lutra*), სხვა სახეობებს შორის. IFC-ის მომხმარებლის კონსულტანტს არ გაუკეთებია რაიმე შეფასება იმასთან დაკავშირებით იყო თუ არა წლიური საშუალო ეკოლოგიური დინების 10% საბაზისო დონე საკმარისი ამ სახეობების პოპულაციების დასაცავად. მას ასევე არ შეუთავაზებია მაღლივ ჯებირებზე წყლის ჰაბიტატის კონტაქტის საგრძნობი დანაკარგის შედეგად გამოწვეული ზემოქმედებების მნიშვნელოვანი შემამსუბუქებელი ან საკომპენსაციო ზომები.

2.133 რაც შეეხება ექოსისტემის მომსახურებებს, BAP-ში აღნიშნულია, რომ პროექტის ზონაში

¹⁹⁵ BAP, ივლისი 2013 წ., გვ. 56.

¹⁹⁶ BAP-ში ასევე აღნიშნული იყო, რომ წლიური მონიტორინგი შეიძლებოდა გაგრძელებულიყო 10-წლიანი პერიოდის შემდეგაც, თუ დაფიქსირდებოდა პროექტის ოპერაციებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ცვლილებები. წავების, მაკრო უხერხემლოებსა და კავკასიურ სალამანდრას (საფრთხის ქვეშაა გლობალურად და საქართველოშიც) მონიტორინგის შემთხვევაში, ეს ასევე იქნება აღებული ვალდებულების ქვეშ ყოველწლიური განხორციელებისათვის მშენებლობის დაწყებამდე ან მისი დაწყების შემდეგ 10 წლის განმავლობაში იმისათვის, რომ გამოვლენილ იქნეს ნებისმიერი პროექტის მიერ მიყენებული ზემოქმედებები და დადგინდეს შემამსუბუქებელი ზომების მოთხოვნები. BAP, გვ. 80.

¹⁹⁷ BAP, ივლისი 2013, გვ. 82.

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და შეფასების პროგრამამ (BMEP) უნდა მოიცვას ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოყენებული ექოსისტემის მომსახურებები, მოსახლეობასთან, E&S სპეციალისტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ. ამ მონიტორინგმა უნდა გადაწყვიტოს შემოსავლის ცვლილებები და იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ექოსისტემების მომსახურებებით უზრუნველყოფაზე.¹⁹⁸ ექოსისტემის მომსახურებების კვლევა უნდა დაწყებულიყო 2014 წელს და განმეორებულიყო ყოველ სამ წელიწადში ერთხელ 2026 წლამდე.¹⁹⁹ CAO თვლის, რომ ამგვარი ჩართულობა მოსახლეობასთან და დაინტერესებულ მხარეებთან წარმოადგენს დადებით შემამსუბუქებელ ზომას, მაგრამ CAO-ს მიერ ზედამხედველობის დოკუმენტების განხილვის შედეგად გამოვლენილ იქნა მხოლოდ კვლევები თხილის მოყვანასთან, მეფუტკრეობასთან, მესაქონლეობასთან, მიწის შესყიდვასთან და საარსებო წყაროს აღდგენასთან დაკავშირებით.

2.134 რაც შეეხება მომხმარებლის მიერ შემუშავებულ ეკოლოგიური დინების შეფასების მეთოდოლოგიას და მის მიერ შეთავაზებულ ადაპტაციური მართვის გეგმას და მასთან დაკავშირებულ შემამსუბუქებელ ზომებს, CAO-ს მიაჩნია, რომ PS6-ის თანახმად, IFC-ის მომხმარებელს უნდა ეჩვენებინა, რომ გონივრულად შესაძლებელი იყო წყლის სახეობების სუფთა დანაკარგის გამორიცხვის მიღწევა, შეთავაზებული შემამსუბუქებელი ზომების ჰიერარქიის გამოყენების საშუალებით, რისი წარმატება-წარუმატებლობა შემდგომში დადასტურდებოდა ზედამხედველობის პერიოდში. ალტერნატივის სახით, AGL-ს შეეძლო ახალი ადაპტაციური მართვის ზომების ან/და, მაგალითად, კომპენსაციების შეთავაზება და განხორციელება, PS6-ის შესაბამისად. ამის მაგივრად, CAO მიიჩნევს, რომ AGL-სა და მისი მომხმარებლის მიერ შეთავაზებული და გამოყენებული ზომები არ ახდენენ იმის დემონსტრირებას, რომ ამ პროექტისათვის მიღწეულ იქნა ბიომრავალფეროვნების სუფთა დანაკარგის მიღწევის გამორიცხვა ან რომ მომავალში შესაძლებელი იქნება ამის განხორციელება.

2.135 CAO თვლის, რომ ამგვარი მასშტაბის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი, ბიომრავალფეროვნების ესოდენ გლობალური მნიშვნელობის ზონაში იმსახურებდა უფრო მკაცრ მიდგომას ბუნებრივი დინების შემცირების ზემოქმედების შეფასებაზე. კონკრეტულად, უფრო უპირანი იქნებოდა ისეთი მაღალი რეზოლუციის მეთოდის გამოყენება, რომელიც განიხილავს ალტერნატიულ სცენარებს, როგორიცაა DRIFT მეთოდოლოგია.²⁰⁰ ამის შედეგად მოხერხდებოდა უფრო დეტალური ანალიზის გაკეთება შემდეგი სახის ზემოქმედებებზე: ინდივიდუალური სახეობების არსებობასა და სიუხვეზე, მათ შორის ყველა სახეობებზე, რომლებიც საჭიროებენ შენარჩუნებას; ნალექის შემცირებაზე; პიკური სიმძლავრის გათავისუფლების ეფექტზე; და სხვა მდინარესთან და პროექტთან დაკავშირებულ ცვლადებზე, მათ შორის, მმართველი რგოლის ინტერვენციებზე. რადგანაც პროექტის ზემოქმედებები განლაგებულია ბუნებრივ ჰაბიტატში და იმისათვის, რომ მომხმარებელმა

¹⁹⁸ II ფაზის მონაცემების შეგროვებისგან განსხვავებით, BMEP-ი განსაზღვრული იყო მდინარე აჭარისწყლის აუზის ჰაბიტატების ბუნების, ზომის, ხარისხისა და კონფიგურაციის მონიტორინგისთვის პროექტის ზემოქმედებასთან და ადამიანის საქმიანობებთან დაკავშირებით. BMEP-ის თავდაპირველად მომზადებისას დაგეგმილი იყო მისი 13 წლის მანძილზე შემუშავება, 2013 წლიდან 2026 წლამდე. BAP, გვ. 102-103.

¹⁹⁹ BAP, გვ. 106.

²⁰⁰ DRIFT. ხელმისაწვდომია აქ: <https://www.drift-eflows.com/about-drift/>.

უჩვენოს სუფთა დანაკარგის გამორიცხვა, CAO თვლის, რომ ESIA-სა და BAP-ის მიერ შეთავაზებულ შემამსუბუქებელ ზომებს სავარაუდოდ უნდა დამატებოდა კომპენსაცია და სავარაუდოდ აგრეთვე ბუნებრივი დინების შესწორებები.

2.136 ხეებთან დაკავშირებით, შეთავაზებული შემამსუბუქებელი ზომები შემოიფარგლებოდა სამშენებლო და საოპერაციო სამუშაოების გამო 52,000 მ² ბუნებრივი ტყის ჰაბიტატის დაკარგვაზე რეაგირებით.²⁰¹ CAO აღნიშნავს, რომ შედეგად მიღებული ტყის აღდგენითი სამუშაოები არ პასუხობენ არანაირ ზემოქმედებას ან მდინარის პირას ხეების სავარაუდო დაკარგვას, მათ შორის იმგვარი სახეობებისა, რომლებიც განისაზღვებიან როგორც საფრთხის ქვეშ არსებული ან მოწყვლადი სახეობები.²⁰²

v. IFC-ის წინა-საინვესტიციო კომპლექსური შემოწმება: CAO დასკვნების მოკლე შინაარსი

2.137 CAO აცნობიერებს, რომ თუ რამხელა ყურადღება დაუთმო IFC-მა მდინარის ბიომრავალფეროვნებას თავის წინა-საინვესტიციო კომპლექსურ შემოწმებაში, მათ შორის პროექტის მშენებლობამდე თევზის საბაზისო დონის დადგენას მდინარე აჭარისწყალსა და მის შენაკადებზე; წყლის ჰაბიტატებზე ზემოქმედებების განსაზღვრას და რეკრეაციული თევზაობის აღიარებას, როგორც ექოსისტემის ასევე კულტურული მომსახურების თვალსაზრისით.

2.138 თუმცა, ამ შესაბამისობის გამოძიების შედეგად, CAO ასკვნის, რომ:

- თევზების დასრულებულ საბაზისო დონეს ჰქონდა ხარვეზები, თუ გავითვალისწინებთ a). პროექტის დიზაინის შეცვლას და ზემოქმედების ზონას, b). კვლევების ჩატარების სიხშირეს, c). შეზღუდვებს წლიური ნიმუშების აღებასთან დაკავშირებით და d). ყურადღების მოდუნებას მოწყვლად და კრიტიკული საფრთხის ქვეშ არსებულ სახეობებთან დაკავშირებით. ამან შედეგად გამოიღო საბაზისო დონის ინფორმაციის არ არსებობა, ჰიდროელექტრო პროექტის ხასიათთან და მასშტაბთან შეფარდებით იმ ზონაში, რომელიც ცნობილია მისი ბიომრავალფეროვნებით და ენდემური სახეობებით, მდგრადობის წესდების დარღვევით.
- რეკრეაციულ თევზაობასთან დაკავშირებით, CAO აღნიშნავს, რომ IFC-ის E&S-მა კომპლექსური შემოწმების შედეგად სწორად განისაზღვრა ის, როგორც ექოსისტემის მომსახურება, გაითვალისწინა მშენებლობის შედეგები და მდინარის ჰიდროლოგიის ძირფესვიანი ცვლილებები და შესთავაზა შემამსუბუქებელი და საკომპენსაციო ზომები PS6-ის შესაბამისად.
- IFC-ის E&S კომპლექსურ შემოწმებაში არ ყოფილა დასახელებული ESIA-სა და BAP-ში არსებული ხარვეზები შემამსუბუქებელ ზომებთან დაკავშირებით და საშუალო წლიური დინების 10%-ით დადგენილი ეკოლოგიური დინება, მიუხედავად ამ რეგიონის ბიოლოგიური მნიშვნელობისა, ფლორასა და ფაუნის გადაშენების პირას არსებული და მოწყვლადი სახეობების არსებობისა და იმ ზეწოლისა, რომელსაც ეს სახეობები განიცდიან. მომხმარებელი და მისი კონსულტანტი ძირითადად დაეყრდნენ წყლის ადიდებას და შენაკადებს იმისათვის, რომ მინიმუმადე დაეყვანათ წყლის

²⁰¹ ESIA გვ. 273.

²⁰² ESIA, გვ. 274.

ჰაბიტატზე შესაძლო ზემოქმედება და მათ დეტალურად არ გაუანალიზებიათ, თუ რა სახეობები დაზარალდებოდნენ წყლის დინების 90% პროცენტით შემცირების შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ მათ გამოავლინეს ამ ზონაში არსებული დაცული სახეობები.

2.139 საბოლოო ჯამში, ბიომრავალფეროვნების საბაზისო დონეში არსებული ხარვეზები, სათანადო ეკოლოგიური დინების არასაკმარისი ანალიზი, სათანადო შემამსუბუქებელი ზომები სუფთა დანაკარგის გამორიცხვის მისაღწევად და პროექტის ბუნებრივ ჰაბიტატში, ან კრიტიკული მნიშვნელობის ბუნებრივ ჰაბიტატში მდებარეობაზე ყურადღების გაუმახვილებლობა, ეს ყველაფერი მიუთითებს IFC-ის ESDD-ის მნიშვნელოვან ხარვეზებზე.

2.140 ამის შედეგად, CAO ასკვნის, რომ IFC-ის წინა-საინვესტიციო E&S კომპლექსურმა შემოწმებამ სათანადოდ არ უზრუნველყო, რომ მომხმარებელს განესაზღვრა და შეეფასებინა ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზემოქმედებები ეკოლოგიურ და სოციალურ რისკებთან და ზემოქმედებებთან თანაზომიერებაში, როგორც ამას მოითხოვს შესრულების სტანდარტი 1 (პარაგ. 7) და 6 (პარაგ. 6, 7, და 15), სუფთა დანაკარგის გამორიცხვის მისაღწევად და შეთავაზებული პროექტის ბუნებისა და მასშტაბის გათვალისწინებით, მდგრადობის წესდების (პარაგ. 7, 26, და 28) შესაბამისად. ამის საპირისპიროდ, CAO ასკვნის, რომ ზემოქმედების შეფასებამ გამოავლინა რეკრეაციული თევზაობა, როგორც ექოსისტემის მომსახურება და შესთავაზა შემამსუბუქებელი და საკომპენსაციო ზომები, რაც შეესაბამება PS6-ს (პარაგ. 7 და 25).²⁰³

e. IFC-ის ზედამხედველობა: IFC-ის მოქმედებები და CAO-ს ანალიზი

i. ზედამხედველობა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგზე

2.141 IFC-ის მიერ შუახევის ჰიდროელექტროსადგურის ეკოლოგიური და სოციალური ზედამხედველობა მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში ძირითად ყურადღებას ამახვილებდა ორ საკითხზე: მომხმარებლის ვალდებულებებზე, რომ განეხორციელებინა თევზების მონიტორინგი დაზარალებულ მდინარეებში და შეთანხმებული ეკოლოგიური დინების სტრატეგიის შემუშავებაზე.


2.142 თევზების მონიტორინგი განხორციელდა წელიწადში ერთხელ 2012 წ. და 2013 წ., წელიწადში ოთხჯერ 2014 წლიდან დღემდე –იანვარ-თებერვალში, მარტ-აპრილში, ივლის-აგვისტოში და ოქტომბერ-ნოემბერში.²⁰⁴ AGL-ის მიერ დაქირავებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა

²⁰³ IFC-ის მომხმარებელს ევალება სისტემატური განხილვის ჩატარება პრიორიტეტული ექოსისტემის გამოსავლენად, რომლებიც წარმოადგენენ: (i) იმ მომსახურებებს, რომლებზეც პროექტის ოპერაციები სავარაუდოდ ახდენენ ყველაზე მეტ ზემოქმედებას და ამიტომ, რომელსაც შედეგად მოჰყვება დაზარალებულ მოსახლეობაზე უარყოფითი ზემოქმედებები; ან/და (ii) იმ მომსახურებებს, რომლებსაც პროექტი უშუალოდ ეყრდნობა მისი ოპერაციების განსახორციელებლად (მაგ. წყალი). როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ მოსახლეობა სავარაუდოდ დაზარალდება, მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ პრიორიტეტული ექოსისტემის მომსახურებების გადაწყვეტაში, როგორც ეს განსაზღვრულია დაინტერესებული მხარის ჩართულობის პროცესში და განსაზღვრულია შესრულების სტანდარტში 1.

²⁰⁴ CAO-ს ჰქონდა წვდომა დაუმუშავებლ მონაცემებზე, რომლებიც ჩაწერილ იქნა 2014 წლიდან 2020 წლამდე, პროექტის მშენებლობისას.

ჩაატარეს მონიტორინგი და ანგარიში ჩააბარეს IFC-ის მომხმარებელს, რომელმაც, თავის მხრივ, ანგარიში ჩააბარა საერთაშორისო კონსულტანტს (IESC), რომელიც მუშაობდა პროექტის კრედიტორებთან, მათ შორის IFC-თან.²⁰⁵ თუმცა, თევზების კვლევის ნიმუშების ობიექტების ადგილ-მდებარეობები არათანმიმდევრული იყო და იცვლებოდა 2012 წლიდან 2014 წლამდე და 2015 წლიდან მომდევნო წლებში. მდინარე ჩირუხისწყალზე მთლიანად შენარჩუნებულ იქნა ორი სადგური, ერთი კაშხლის დინების ზედა მიმართულებით და ერთი ქვედა მიმართულებით.

გამოსახულება 7. თევზების კვლევის ობიექტის ადგილ-მდებარეობები



წყარო: AGL, დაბალი დინების შემამსუბუქებელი სტრატეგიის ანგარიში. სექტემბერი 2017წ.

2.143 2012 წლიდან 2016 წლამდე,²⁰⁶ მდინარე აჭარისწყალში მონიტორინგის პროგრამით გამოვლენილ იქნა 15 სახეობა, თუმცა, თითოეულ ჯერზე დაფიქსირებული იყო არაუმეტეს 10 სახეობისა. გამოვლენილი კონსერვაციული მნიშვნელობის სახეობები მოიცავდნენ: *Capoeta sieboldii* და *Chondrostoma colchicum*-ს. კალმახი (*Salmo labrax fario*) დაფიქსირებული იყო მხოლოდ 2016 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე. მდინარე შხალთაში მონიტორინგის პერიოდში დაფიქსირდა ათი სახეობა – სამი 2012 წელს, ექვსი 2013 წელს და ოთხი 2014 წელს, მათ შორის, *Luciobarbus escherichii* და *Rutilus rutilus*. ამის შემდეგ, მდინარე შხალთას

²⁰⁵ შავის ზღვის ასოციაცია მონიტორინგს ახორციელებდა 2012-2014 წლებიდან, ფლორა და ფაუნა მონიტორინგს ახორციელებდა 2015-2018 წლებიდან და Nekton Consulting-ი 2019-2021 წლებიდან.

²⁰⁶ თევზებზე სინჯების აღება განხორციელდა თებერვალში, აპრილში, აგვისტოსა და ოქტომბერში სეზონური განსხვავებების დასაფიქსირებლად.

ბიომრავალფეროვნებაში დაფიქსირდა მკვეთრი შემცირება და 2015 და 2016 წლებში აღმოჩენილ იქნა მხოლოდ კალმახი (*Salmo labrax fario*) და კავკასიური ქაშაპი (*Squalius cephalus orientalis*) და თითოეულ წელს ფიქსირდებოდა მხოლოდ ერთი სახეობა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ასევე დააფიქსირეს ცვლილებები ობიექტის მახასიათებლებში, როგორცაა მდინარის კალაპოტისა და ნაპირის მოდიფიკაცია და მოზოჰაბიტატების შევიწროება.²⁰⁷ 2012-2016 წლებში მდინარე ჩირუხისწყალში მონიტორინგის პროგრამით გამოვლენილ იქნა ექვსი თევზის სახეობა, მაგრამ მხოლოდ ორი სახეობა 2012, 2013, და 2014 წლებში და ისიც მცირე რაოდენობით. კოლხური წვერა (*Luciobarbus escherichii*), და კალმახი (*Salmo labrax fario*) წარმოადგენდნენ ორ ყველაზე ხშირად გამოვლენილ სახეობებს. 2015 წელს, აღმოჩენილი სახეობების რაოდენობა გაიზარდა ოთხამდე და 2016 წელს კი ხუთამდე.

2.144 CAO აღნიშნავს თევზების მონიტორინგის პროგრამის ორ პრობლემურ ასპექტს, რომლებიც მნიშვნელოვანია ამ გამოძიებისთვის. პირველი, მშენებლობის დაწყებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემები იყო დაუმუშავებელი და არ მომხდარა მისი გაანალიზება 2017 წლამდე. აქედან გამომდინარე, AGL-მა და IESC-მა არ იცოდნენ შესაბამისი ტენდენციების შესახებ და არ გაუთვალისწინებიათ ისინი თევზების პოპულაციებში პროექტის მშენებლობისას, ხოლო შემდგომში არ შეუტანიათ არანაირი ცვლილებები თევზების გასასვლელებისა და მდინარეთა ურთიერთკავშირის მხარდასაჭერად. მეორე, როგორც ჩანს, მონიტორინგი ძირითად ყურადღებას ამახვილებდა შერჩევითი თევზების სახეობებზე და არ შეუგროვებია მონაცემები პროექტის ზემოქმედებასთან დაკავშირებით ისეთ მოწყვლად სახეობებზე, როგორცაა: შავი ზღვის ორაგული, ევროპული გველთევზა და მდინარის სხვა მოწყვლადი სახეობები, მაგალითად, ევროპული წავი. შავი ზღვის ორაგული და ევროპული გველთევზა თავდაპირველად გამოვლენილ იქნა საბაზისო დონის კვლევებისას მდინარე ჩოროხსა და მდინარე მაჭახისწყალში, რომლებიც მდებარეობენ ქვემო დინების მიმართულებით მდინარე აჭარისწყლის წყალშემკრებში, შუახევის სქემის ზემოქმედების ზონის გარეთ. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ CAO-ს მიერ აღნიშნულ საბაზისო დონის და ადრეული მონიტორინგის ხარვეზებს და ამასთან ერთად, IUCN-ისა და Sustainable Eel Group-ის მიერ ფართო რეგიონში კაშხლების განსაზღვრას, როგორც საფრთხეს შავი ზღვის ორაგულისა და ევროპული გველთევზასთვის, CAO-ს აღელვებს პროექტის დონეზე არსებული მწირი ინფორმაცია ამ მოწყვლად სახეობებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, CAO-ის მიერ განხილული სამონიტორინგო დოკუმენტაცია არ ამართლებს არანაირ დასკვნებს, რომ შემამსუბუქებელი და საკომპენსაციო ზომები ეფექტური ან საკმარისი იყო პროექტის PS 6-თან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2.145 IFC-ის 2016 წლის ზედამხედველობის დოკუმენტები აღნიშნავენ მეთოდოლოგიურ განსხვავებებს საბაზისო კვლევასა და მეზოჰაბიტატების შემდგომ მონიტორინგს შორის და რომ შეგროვებული მონაცემები შესატყვისი არ იყო, რადგან თევზების კვლევის ადგილები წლების განმავლობაში იცვლებოდა. IFC-მა ასევე დაადასტურა, რომ მეზოჰაბიტატები სამუდამოდ დაიკარგებოდა დიდაჭარის ჯგირისა და წყალსაცავის მშენებლობის გამო და ამავე დროს აღნიშნა, რომ არ იქნებოდა დაკარგული არანაირი მნიშვნელოვანი ჰაბიტატები,

²⁰⁷ ეკონომიკური საბაზისო დონის ანგარიში, 2016წ., გვ. 43-50.

რომლებიც უკვე გვხვდებიან მდინარე აჭარისწყლის სისტემის სხვა ადგილებში.²⁰⁸ CAO აღნიშნავს, რომ მსგავსი ჰაბიტატების არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ სამუდამოდ დაკარგული ჰაბიტატები არ უნდა იქნენ კომპენსირებული ან აღდგენილი იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს სუფთა დანაკარგის გამორიცხვა IFC-ის შესაბამისობის სტანდარტი 6-ის შესაბამისად.

2.146 ამ ანგარიშის შექმნისას, ზედამხედველობის დოკუმენტებსა და IFC-ის კონსულტანტის მიერ ხშირად იყო გამოთქმული წუხილი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდებოდა შეგროვებული ბიომრავალფეროვნების მონაცემების ანგარიშგება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვეულებისამებრ არ ყოფილა წარმოდგენილი არავითარი ანალიზი, ხოლო დაუმუშავებელი ინფორმაციის ანალიზი ძნელი იყო კონტროლირებული სახეობების დროის ფარგლებისა და ადგილებისთვის. 2015 წელს, AGL-ის კონსულტანტმა AGL-სა და მის ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას მისცა რჩევა საჭირო გაუმჯობესებების შესახებ და უზრუნველყო ისინი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ანგარიშგების გასაუმჯობესებელი ზომებით. 2016 წელს, AGL-ის კონსულტანტმა საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებთან ჩაატარა ანგარიშის წერითი სემინარი. 2017 წელს, IFC-ის ზედამხედველობის მასალები მოიცავდა დადებით განცხადებებს მისი მომხმარებლის მიერ პროექტის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის (BAP) შემუშავების შესახებ. თუმცა, იმავე წელს, სოფლის მოსახლეობამ გამოთქვა წუხილი მდინარის დაბინძურების შემთხვევების შესახებ, რაც უკავშირდებოდა დაზიანებული გვირაბების სარემონტო სამუშაოებს და რის შედეგადაც იკლო თევზების სახეობებმა.²⁰⁹ 2018 წლისათვის, ზედამხედველობის დოკუმენტებში ვლინდებოდა სულ უფრო მეტი პრობლემები ბიომრავალფეროვნების ანგარიშგებასთან დაკავშირებით, ანგარიშგების ხარისხისა და მონაცემების პრეზენტაციის მხრივ და ასევე ტენდენციების სტატისტიკურ ანალიზთან დაკავშირებით. 2019 წელს, IFC-ის კონსულტანტმა ხელახლა აღნიშნა, რომ ჰიდროელექტრო პროექტი შესაბამისობაში არ ყოფილა რამდენიმე წლის განმავლობაში, იმის გამო, AGL-მა ვერ შემოიკრიბა პროექტის ზემოქმედება ბიომრავალფეროვნების საბაზისო დონეზე და სხვა შესაბამისი ადაპტაციური მართვის ზომებზე. ამის საპასუხოდ, IFC-მა და სხვა კრედიტორებმა AGL-ს სთხოვეს წარედგინა მათთვის მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა (CAP), რათა მიეღოთ ზომები ბიომრავალფეროვნების მონიტორინგში ხარვეზების გამოსასწორებლად, მათ შორის, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხორციელდებოდა მონაცემების ანგარიშგება და ანალიზი, რადგან მონიტორინგის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი დაუმუშავებელი მონაცემები აძნელებდა მათ ინტერპრეტაციას. CAP-ი ძირითადად ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, თუ როგორ უნდა გამოსწორებულიყო ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ანგარიშის ხარისხი და სიზუსტე მანამ, სანამ ჩატარდებოდა კვლევები 2019 წელს, რათა შესაბამისობაში ყოფილიყო PS6-ის მოთხოვნებთან. ეს გეგმა მოიცავდა სემინარებს, ალტერნატიული ანგარიშის ფორმატებს, სტატისტიკური განხილვის ტენდენციებს და გარე კონსულტანტის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების თევზების მონიტორინგის ანგარიშების უწყვეტ განხილვას.


2.147 2020 წელს, პროექტის მშენებლობის პერიოდში, 2014-2020 წლებში განხორციელებული თევზების მონიტორინგის სტატისტიკური ტენდენციის ანალიზი მოიცავდა გვირაბის

²⁰⁸ ეკოლოგიური საბაზისო დონის ანგარიში, 2016წ., გვ. 38.

²⁰⁹ CAO-ს ინტერვიუ ხალხთან სოფელ მახალაკიძეებში 2022 წლის 29 მაისი.

სარემონტო სამუშაოებს 2018-2020 წლებში იმის გასარკვევად, მოიმატა თუ იკლო თევზების რაოდენობამ. ამ ანალიზმა უჩვენა, რომ მდინარე ჩირუხისწყალში დაჭერილი სახეობების რაოდენობამ განიცადა კლება, მაგრამ ეს ტენდენციები იყო დაუზუსტებელი და თევზაობა, როგორც საარსებო წყარო და ასევე თევზების ბუნებრივი მოძრაობები დასახელებული იყო როგორც ამგვარი კლების სავარაუდო ფაქტორები. CAO-ს მიერ მოპოვებული პროექტის მონიტორინგის მონაცემებიდან მიღებული გამოსახულება 8 უჩვენებს დროთა განმავლობაში თევზების სიუხვის კლებას, რაც დაფიქსირებულ იქნა ჩირუხისწყლის კაშხლის მონიტორინგის სადგურებზე. იგი ასევე მიაწოდებს, რომ კოლხური ხრამული (*Capoeta sieboldii*) და კოლხური ტობი (*Chondrostoma colchicum*) არ ყოფილა გამოვლენილი 2014 წლიდან 2020 წლამდე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გამოვლენილ იქნა თევზების ნიმუშად აღების ობიექტებზე და გამოკითხული მეთევზეების მიერ, რომ ისინი არსებობდნენ მდინარე ჩირუხისწყალში იმ დროს, როდესაც დადგენილ იქნა საბაზისო დონე. ეს განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან კოლხური ხრამული საქართველოს წითელ სიაში შეტანილი იყო როგორც *მოწყვლადი*. გარდა ამისა, თევზების საბაზისო დონის შედეგები მონიტორინგის დროს სახეობების არ არსებობასთან შედარებით ართულებს იმის დადგენას, a) იყო თუ არა უზუსტო საბაზისო დონე, b) ჰქონდა თუ არა პროექტს უარყოფითი ზემოქმედებები ამ ორ სახეობაზე, ან c) არსებობდა თუ არა სხვა რაიმე მიზეზი, რამაც გამოიწვია მისი გაქრობა. მიუხედავად ამისა, CAO აღნიშნავს, რომ IFC-ს არ დაუსახელებია ამ სახეობების არ არსებობა მღელვარების მიზეზად მისი ზედამხედველობის ან პროექტის მშენებლობის პერიოდში და თევზების მონიტორინგის პროგრამაში. უფრო მეტიც, თევზების არსებობის შესახებ დაუმუშავებელი მონაცემების გაანალიზების რამოდენიმე წლით დაყოვნება ნიშნავდა იმას, რომ AGL-ს დროულად არ შეუმუშავებია ადაპტაციური მართვის გეგმა ბიომრავალფეროვნების სუფთა დანაკარგის გამორიცხვის მიღწევის უზრუნველსაყოფად, მისი II ფაზის ვალდებულებებისა და PS6-ის მოთხოვნების შესაბამისად.

გამოსახულება 8. ჩირუხისწყლის კაშხლის თევზების მონიტორინგი, 2014-2020წწ.



წყარო: CAO-ს მიერ გაკეთებული გრაფა, პროექტის მონაცემების გამოყენებით

2.148 როგორც ეს ზემოთ იყო დეტალურად განხილული 2012 წლის პროექტის ESIA-ისა და E&S-ის მართვის გეგმა (ESMP) ვალდებულებას აკისრებდა AGL-ს გაეტარებინა ორფაზიანი შემამსუბუქებელი ზომები, რათა გადაეჭრა ბიომრავალფეროვნებაზე პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედება მდინარის დინებების კლების შედეგად. II ფაზის შესაბამისად, IFC-ის მომხმარებელს ევალებოდა I ფაზაში გაკეთებული ზემოქმედების შეფასების განხილვა ჰაბიტატის რუქის შექმნით გრძელ-ვადიანი მონიტორინგის პერიოდში და ადაპტაციური მართვის გეგმის დადგენა ზემოქმედებების შემსუბუქების ან კომპენსირების მიზნით. თუმცა, CAO-ს მიერ IFC-ის ზედამხედველობის ანგარიშების განხილვის შედეგად არ ყოფილა აღმოჩენილი არც AGL-ის და არც IFC-ის მიერ მშენებლობის პერიოდში შეგროვილი თევზების მონიტორინგის მონაცემებზე გაკეთებული ანალიზის არანაირი მასალა, რომელმაც მოგვიანებით დაადასტურა რამოდენიმე თევზის სახეობის კლება. ასევე არ ყოფილა მიღებული არანაირი დამატებითი კონკრეტული ქმედებები ან დროული ადაპტაციური მართვის ზომები ჰაბიტატის ზემოქმედებების შესამსუბუქებლად ან საკომპენსაციოდ. ამიტომ CAO ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ AGL-ი პერიოდულად აგროვებდა თევზების მონიტორინგის მონაცემებს, IFC-მა ვერ უზრუნველყო, რომ მის მომხმარებელს გაეანალიზებია ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანი მონაცემები მშენებლობის პერიოდში. ამგვარმა გაუმართაობამ შედეგად გამოიღო ის, რომ არ არსებობს ადაპტაციური მართვის გეგმა, როგორც ეს გათვალისწინებულია II ფაზის ქვეშ, რომელიც გადაჭრიდა თევზების კლების პრობლემას მშენებლობის პერიოდში 2014 წლიდან 2020 წლამდე. ამის მაგივრად, AGL-ი გადაჭარბებულად დაეყრდნო ერთი სახეობის, ყავისფერი კალმახის მარაგის აღდგენას,

როგორც ჰაბიტატზე ზემოქმედების შემსუბუქების გამოსავალს.

- 2.149 2021 წლის მარტში, AGL-მა სამივე დაზარალებულ მდინარეში ჩაატარა თევზების მარაგის შევსების პირველი ციკლი 10,000 ახალგაზრდა მტკნარი წყლის კალმახით, როგორც ამას მოითხოვდა საქართველოს მთავრობის მიერ გაცემული პროექტის ეკოლოგიური ლიცენზია.²¹⁰ 2020 წელს შერჩეულმა თევზის მეურნეობამ მომზადების დროს მიიღო ნებართვა რომ დაეჭირა და ამოეყვანა 180 ცალი რეპროდუქციის უნარის მქონე კალმახი და გადაეტანა ისინი ინკუბატორში. მასზე მონიტორინგს ახორციელებდა ბუნების დაცვის სამინისტრო.²¹¹ 2013 წლის მარტში გაშვებულ იქნა 10,000 ცალი კალმახის მეორე წყება, რამაც მთლიანობაში შეადგინა 20,000-ზე მეტი კალმახი და AGL-მა გააგრძელა ინკუბატორის კონტრაქტი 2024 წლამდე.²¹²
- 2.150 CAO თვლის, რომ IFC-ის მომხმარებლის მიერ დიდი რაოდენობის *Salmo trutta*-ს მდინარეში გაშვება შემამსუბუქებელი ზომის სახით ამაღელვებელია, თუ გავითვალისწინებთ შავი ზღვის კალმახისა და ზემოთ აღწერილი საქართველოსთვის არამკვიდრი ყავისფერი კალმახის სავარაუდოდ ერთმანეთში აღრევას.²¹³ CAO-მა ივარაუდა, რომ *S. trutta* გამოყენებულია, როგორც *S. labrax fario*-ს სინონიმი, პროექტების დოკუმენტებში ადგილობრივი შავი ზღვის კალმახის აღსაწერად, მაგრამ დარწმუნებული არაა, რომ ეს ნამდვილად ასეა. გარდა ამისა, გაურკვეველია განახორციელა თუ არა AGL-მა მარაგის შევსება სხვა, არა სალმონიდური თევზის სახეობებით, რომლებიც საჭიროებენ შენარჩუნებას, როგორც ეს განსაზღვრულია დაბალი დინების შემამსუბუქებელ სტრატეგიაში (LFMS) და საოპერაციო ფაზის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმაში (OBAP).²¹⁴ მხოლოდ ერთი სახეობის მარაგით შევსება (კალმახით) კიდევ უფრო მეტ რისკებთან არის დაკავშირებული, ამ ზონის წყლის ჰაბიტატისა და ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით.
- 2.151 2022 წლის მაისში, ობიექტზე ვიზიტისას, CAO-მა შეიტყო, რომ 2020 და 2021 წლებში მომჩივნების სახლებთან ახლოს, ჩირუხისწყლის კაშხალში თევზების გასასვლელის მონიტორინგის მიზნით, AGL-მა დაიქირავა კონსულტანტი და დაგეგმილი ჰქონდა, რომ ხელახლა ჩატარებინა მსგავსი მონიტორინგი 2022 წლის ოქტომბერში. იმგვარი მეთოდის გამოყენებით, როდესაც ქვედა დინების მიმართულებით თევზებს უკეთებდნენ ნიშნულს, ხოლო დინების ზედა მიმართულებით მათ ხელახლა იჭერდნენ, კონსულტანტმა დაადგინა,

²¹⁰ OBAP, აპრილი 2021, გვ. 123.

²¹¹ AGL-ის მონიტორინგი, ივლისი-დეკემბერი 2020წ., გვ. 17.

²¹² Arup-ის მონიტორინგი, თებერვალი 2024წ., გვ. 31.

²¹³ DD-ში გამოყენებული არათანმიმდევრული ნომენკლატურა ბადებს კითხვებს იმასთან დაკავშირებით, თუ სინამდვილეში რა სახის თევზებზე ხდებოდა ანგარიშგება მონიტორინგსა და შეფასებაში. იმ დროისათვის, როგორც ჩანს, გამოიყენებოდა ერთ-ერთი ალტერნატიული დასახელება (ყავისფერი კალმახი, კალმახი, მტკნარი წყლის კალმახი, *Salmo trutta*, შავი ზღვის კალმახი და ა.შ.). CAO ამაში დარწმუნებული ვერ იქნება, რადგან სამეცნიერო სახელები თანმიმდევრულად არ იყო გამოყენებული, მაგრამ ივარაუდა, რომ ეს იქნებოდა *Salmo labrax fario*-ს მტკნარი წყლის ექოტიპი. ეს შეუსაბამოა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ გამოძიება არ იყო მკაცრად ჩატარებული, რაზეც ასევე მიანიშნებს წყლის სახეობების კვლევა და მონიტორინგი.

²¹⁴ OBAP, გვ. 47.

რომ თევზების გასასვლელი ყავისფერ კალმახთან (*Salmo trutta*, *Salmo labrax fario*) მიმართებაში ეფექტურად მუშაობდა და რომ ყველაზე ნელა მოძრავ თევზებსაც კი შეეძლოთ მისი გადაკვეთა. CAO-ც ასევე ადასტურებს, რომ AGL-ი აგრძელებდა სამი დაზარალებული მდინარის ეკოლოგიური დინების შემოწმებას იმისათვის, რომ უზურნველყო მდინარის საშუალო წლიური ბუნებრივი დინების 10%-ის შენარჩუნება, როგორც ამას მოითხოვდა ბუნების დაცვის სამინისტრო. AGL-მა კონტრაქტი გააფორმა სახელმწიფო ორგანიზაციასთან, რომ ამ უკანასკნელს მონიტორინგი გაეწია ჩირუხისწყლის კაშხალზე, შხალთასა და დიდაჭარის ჯებირებზე, რათა უზურნველყო წლიური საშუალო ეკოლოგიური დინების უწყვეტი 10%-ის შენარჩუნება და ყოველდღიური მონაცემების კვარტალური ანგარიშები გაეგზავნა ბუნებისდაცვის სამინისტროსათვის.

2.152 AGL-ის E&S-ის ვალდებულებები და IFC-ის ზედამხედველობა ასევე შეიცავდნენ რეკრეაციულ თევზაობას, როგორც ექოსისტემის მომსახურების მონიტორინგს, როგორც ეს განსაზღვრულია პროექტის ESIA-ში. CAO აღნიშნავს, რომ 2013 წლის ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმაში დადგენილი ექოსისტემის მომსახურებების შემამსუბუქებელი ზომები მოიცავდნენ სამი წლის კვლევებს 2014 წლიდან 2026 წლამდე. თუმცა, CAO-ის მიერ განხილული ზედამხედველობის დოკუმენტებში აღმოჩენილ იქნა მხოლოდ კვლევები თხილის წარმოების, მეფუტკრეობის, მესაქონლეობის და პროექტის მიერ მიწის შესყიდვასა და საარსებო საშუალების აღდგენის გეგმისა და (LALRP) საარსებო საშუალების აღდგენის დეტალური გეგმის (DLRP) მოთხოვნებზე. IFC-ის მასალებს არ წარმოუდენიათ არავითარი მტკიცებულება იმისა, ხორციელდებოდა თუ არა მონიტორინგი რეკრეაციულ თევზაობაზე, ექოსისტემის მომსახურებების კითხვარების ფარგლებში, როგორც ეს ნათქვამი იყო BAP-ში და CAO-ს არ აღმოუჩენია არანაირი მონიტორინგის მონაცემები იმასთან დაკავშირებით, მოხდა თუ არა ზემოქმედება რეკრეაციულ თევზაობაზე პროექტის ობიექტების ახლოს და თუ კი, რა სახის ზემოქმედებაზე იყო საუბარი. მეთევზეობაზე ზემოქმედების შესამცირებელი დამატებითი შემამსუბუქებელი და საკომპენსაციო ზომები მოიცავდა ჩირუხისწყლის ჯებირზე თევზების გასასვლელის დაყენებას და ადგილობრივი თევზების მარაგით შევსებას, რომლებიც განხორციელებულ იქნა. CAO ადასტურებს, რომ თევზის გასასვლელი ინტეგრირებულ იქნა, ხოლო მისი ეფექტურობა კი შემოწმებული. ამასთან, შავი ზღვის კალმახის/ყავისფერი კალმახის მარაგით შევსების ძალისხმევა მიმდინარეობდა 2021 წლიდან. თუმცა, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ 2014 წლიდან 2020 წლამდე, ჩირუხისწყლის კაშხლის დაბლივ დინებაზე თევზის სახეობების მრავალფეროვნებისა და სიუხვის კლებამ უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა რეკრეაციულ მეთევზეობაზე ამ ზონაში. გარდა ამისა, CAO დღემდე დარწმუნებული არაა თევზების მარაგის შევსების წარმატებაში წლიური საშუალო დინების 10%-ით ნაკლები ეკოლოგიური დინების პირობების ქვეშ.

ii. ეკოლოგიური დინების ზედამხედველობა

2.153 AGL-ის მიერ აღებული ვალდებულების ფარგლებში, რომ ჩაეტარებინა II ფაზის ეკოლოგიური დინების მონიტორინგი, მან განიხილა მშენებლობის პერიოდში შეგროვებული წყლის ეკოლოგიური მონიტორინგის მონაცემები დაბალი დინების შემამსუბუქებელი სტრატეგიის

(LFMS) შესახებ ინფორმაციის მისაწდებლად. 2017 წლის მაისში, IFC-მა მომხმარებელს მოსთხოვა მიეწოდებინა მისთვის უფრო მკაფიო განსაზღვრება, ინდივიდუალური თევზების სახეობებსა და მათ ჰაბიტატებზე პროექტის მოსალოდნელი ზემოქმედებების შესახებ, მათ შორის, რაოდენობრივი საბაზისო დონის განმარტებები თითოეული თევზის სახეობისათვის თევზების სიჭარბის მომავალი მონიტორინგის ფონზე. 2017 სექტემბერში, ცოტა ხნით ადრე, სანამ პროექტი პირველად გაიშვებოდა ექსპლუატაციაში, LFMS დასრულებულ იქნა თანმხლები ეკოლოგიური საბაზისო დონის განხილვის ანგარიშთან (EBR) ერთად.²¹⁵

2.154 LFMS-ი დაგეგმილი იყო პროექტის გამო შემცირებული წყლის ნაკადის მდინარის ეკოლოგიაზე და მტკნარი წყლის ეკოლოგიურ რეცეპტორებზე ზემოქმედების შესამსუბუქებლად. იგი მოითხოვდა უწყვეტი მონიტორინგის ჩატარებას კაშხლის ექსპლუატაციაში გაშვების დროს, იმის გასარკვევად, ახდენდა თუ არა ქვემო დინება ზემოქმედებას დინების ცლილებაზე, განსაკუთრებით როდესაც ხდებოდა მნიშვნელოვანი გადაღვრები ან ტარდებოდა ნალექის გამორეცხვის სამუშაოები. ჩირუხისწყლის კაშხალთან დაკავშირებით, ეს სტრატეგია გამახვილებული იყო იმის უზრუნველყოფაზე, რომ თევზების გასასვლელები სიცოცხლისუნარიანი ყოფილიყო დინების ქვედა მიმართულების ჰაბიტატისთვის იმისათვის, რომ შენარჩუნებული ყოფილიყო მთლიანი ჰიდრაულიკური კავშირი. AGL-მა კონტრაქტი გააფორმა გარემოს დაცვის საკონსულტაციო ფირმასთან და ადგილობრივ თევზის სპეციალისტთან იმისათვის, რომ მათ აეღოთ თავზე LFMS-ის კვლევითი სამუშაოები, რომლებსაც ზედამხედველობას უწევდა სხვა კონსულტანტი ERM-ი, რომელიც განიხილავდა მათ საქმიანობებს. AGL-ის გარემოსდაცვის საკონსულტაციო ფირმამ ჩაატარა კვლევები 2017 წელს, რომლის დროსაც იგი მონიტორინგს უწევდა კაშხალსა და ჯებირებს ქვედა დინების გამზომი სადგურების საშუალებით, როგორც ბუნებრივი, ასევე ეკოლოგიური დინებების პირობებში. ამ მონიტორინგით დადგინდა, რომ მდინარის დინება და ჰაბიტატის ურთიერთკავშირი შენარჩუნებული იყო საშუალო წლიური დინების 10%-იანი ეკოლოგიური პირობების ქვეშ, რაც შეესატყვისებოდა პროექტის ვალდებულებებს. გარემოსდაცვის საკონსულტაციო ფირმამ 2019 წლის დეკემბერში გაიმეორა დაბალი დინების მონიტორინგის კვლევები განახლებული საბაზისო დონის უზრუნველსაყოფად და ეკოლოგიური დინების ზემოქმედებების ნებისმიერი ცვლილებების ხელახლა შესამოწმებლად. ჩირუხისწყლის კაშხლის ქვედა დინების კვლევებს თვალ-ყურს ადევნებდა IFC-ის ზედამხედველობის კონსულტანტი ეკოლოგი. არანაირი შემამფოთებელი მიზეზი არ ყოფილა გამოვლენილი და ეკოლოგიური დინება გაშვებულ იქნა თევზების გასასვლელებში, როგორც ამას საჭიროება მოითხოვდა.²¹⁶

2.155 2020 წელს, IFC-ის ზედამხედველობის მასალებში აღნიშნული იყო, რომ სანამ ხორციელდებოდა LFMS-ის ძირითადი სტრატეგია ექსპლუატაციის ეტაპზე, გამოცდილი მესამე მხარის მიერ უნდა ჩატარებულიყო თევზების ჰაბიტატების რუქის შექმნასთან და ნალექის ნიმუშებთან დაკავშირებული რამდენიმე დამატებითი დაბალი დინების

²¹⁵ დაბალი დინების შესამსუბუქებელი სტრატეგია (სექტემბერი 2017წ.) და ეკოლოგიური საბაზისო დონის განხილვა (ივლისი 2017წ.), ხელმისაწვდომია აქ: <https://agl.com.ge/storage/media/other/2024-01-10/37da57f0-afaa-11ee-85ae-b394bcb1e6ec.pdf>.

²¹⁶ თევზის გასასვლელის გარდა, AGL-ის გარემოსდაცვის საკონსულტაციო კომპანია ასევე ახორციელებდა მდინარეში გაშვების სიღრმის მონიტორინგს და დინების ვარგისიანობას კაშხლიდან ქვემო დინების მიმართულებით დაახლოებით 150 მეტრში.

შემამსუბუქებელი კვლევები. 2021 წლის თებერვალში, IFC-ის მასალებით დადგინდა, რომ ექსპლუატაციის პერიოდში, LFMS-ი სათანადოდ ხორციელდებოდა და რომ ერთადერთი მატერიალური საკითხი ჩირუხისწყლის კაშხლის თევზების გასასვლელთან დაკავშირებით გადაჭრილი იყო. LFMS-ის სტრატეგია ოპერაციის პერიოდში მოითხოვდა, რომ დასრულებულიყო გეომორფოლოგიური კვლევები, ნალექების გამორეცხვისა და ექსტრემალური წყალდიდობის მოვლენების შემდეგ. ეს კვლევები შექმნილია იმისათვის, რომ შეაფასოს წყლის ჰაბიტატების ცვლილებები და კავშირები მათ შორის და გააკეთოს მოხსენება ადაპტაციური მართვის მოთხოვნასთან დაკავშირებით. LFMS-ის სტრატეგიას ასევე უნდა გაეწია მონიტორინგი მდინარის უწყვეტობაზე, არხის მორფოლოგიაზე, ჰიდროლოგიაზე, მდინარის ნაპირებზე და ასევე, ისეთ რისკებთან დაკავშირებით, როგორიცაა მდინარის უწყვეტობა მეწყერების გამო, ან მდინარის ნაპირის ჩამოშლა, ნალექი და წყლის ხარისხი. თუმცა, ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ არ ჩატარებულა LFMS-ის არავითარი მონიტორინგი COVID-19 პანდემიის გამო. ამის სანაცვლოდ, ჩირუხისწყლის კაშხალზე თევზების გასასვლელის მონიტორინგი განხორციელდა ადგილობრივი საკონსულტაციო ფირმის მიერ, რომელიც დაქირავებული იყო ქვეკონტრაქტით მანუალური ვიზუალური შემოქმედების ჩასატარებლად.

2.156 მას შემდეგ, რაც ჩატარდა გვირაბის სარემონტო სამუშაოები და ამუშავდა ჰიდროელექტროსადგური, AGL-მა შეიმუშავა ადაპტაციური ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა, რომ მოეცვა საოპერაციო ფაზა 2021 წლის სექტემბრიდან.²¹⁷ ამ შესწორებულ BAP-ში ნათქვამი იყო, რომ გამორეცხვა ჩატარდებოდა სამივე მდინარეზე წელიწადში ორჯერ და რომ თევზების მონიტორინგი განხორციელდებოდა 15 სადგურზე წელიწადში ოთხჯერ სულ მცირე სამი წლის განმავლობაში.²¹⁸ ნალექის მართვის გეგმაში დამატებული იყო, რომ ჩარეცხვის ჩატარება სექტემბრიდან მარტამდე ოპტიმალური იქნებოდა ბიომრავალფეროვნებისთვის. ამის მაგივრად, დიდაჭარის წყალსაცავში ჩარეცხვა განხორციელდა შუა აპრილში, თევზების ქვირითის დაყრის განსაზღვრულ სეზონზე.²¹⁹ 2022 წელს, IFC-ის ზედამხედველობის დოკუმენტებში აღნიშნული იყო შეუსაბამოება თევზების ქვირითის დაყრის სეზონს, BAP-ში თევზების მარაგის შევსებასა და ნალექის მონიტორინგის გეგმას შორის. ამის შედეგად, მასში აღნიშნული იყო, რომ ჰაბიტატების შეფასება, წყლის ეკოლოგიური საბაზისო დონე და სახეობების ქვირითის დაყრის სეზონები საჭიროებენ დამატებით განხილვას. გარდა ამისა, CAO აღნიშნავს, რომ მდინარე ჩირუხისწყლის სანაპიროს მონიტორინგი 2022 წელს, ძირითადად ყურადღებას ამახვილებდა ორ ობიექტზე, იმ ადგილზე, სადაც იყო მეწყერების რისკი და აღწერდა თუ როგორ გაიზარდა სანაპიროს ფართობი ერთ ადგილას ჩარეცხვითი საქმიანობის შედეგად. თუმცა, მონიტორინგის მასალებს დეტალურად არ აღუწერიათ ჩარეცხვის შესაძლო ზემოქმედებები სანაპიროს ეროზიაზე ან მისი ზემოქმედება მდინარის გასწვრივ არსებულ ხეებზე, მიუხედავად იმისა, რომ აცხადებდა, რომ მდინარე ჩირუხისწყლის ორივე მხარეს ნაპირები არის ციცაბო და ტყით დაფარული.

²¹⁷ ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა საოპერაციო ფაზისათვის, სექტემბერი 2021წ., ხელმისაწვდომია აქ: <chrome-extension://efaidnbmnnnnbpccajpcgiclfefndmkaj/https://agl.com.ge/storage/media/other/2024-01-10/4ca79f30-af90-11ee-bc2c-89d0c87d1ae1.pdf>.

²¹⁸ თევზების მონიტორინგი ჩატარდება წელიწადში ორჯერ, შემდეგ თვეებში: იანვარ-მარტში; აპრილ-ივნისში; ივლის-სექტემბერში; ოქტომბერ-დეკემბერში.

²¹⁹ აპრილი და მაისი განსაზღვრა, როგორც ქვირითის დაყრის სეზონები მთელი რიგი თევზების სახეობებისათვის.

2.157 განსაზღვრული ქვირითის დაყრის პერიოდებში განხორციელებული ჩარეცხვის ღონისძიებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედებები მოახდინოს წყალში ქვირითის დაყრის ჰაბიტატებსა და წყლის ორგანიზმებზე და მისი მნიშვნელობა ჯერ კიდევ დაუდგენელია. IFC-მა რეკომენდაცია მისცა AGL-ს, რომ:

- განახორციელოს მონაცემების სრული განხილვა ქვირითის დაყრის სეზონებზე და ჩადინებით დაბინძურებულ თითოეულ მდინარეში დაფიქსირებული ჰაბიტატები და სახეობები, რათა უზრუნველყოს თანმიმდევრულობა ქვირითის დაყრის სეზონებთან დაკავშირებით
- განახორციელოს წყლის ჰაბიტატებსა და სახეობებზე შესაძლო ზემოქმედებების შეფასება წლის სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილებში თითოეული წყალსაცავიდან ქვედა დინების მიმართულებით
- დაასაბუთოს და დაადასტუროს თვითური/სეზონური 'ფანჯრები' რომლის დროსაც უნდა, ან არ უნდა განხორციელდეს ჩარეცხვები
- განსაზღვროს და დანიშნოს დამატებითი მონიტორინგი საჭიროებისდა მიხედვით
- დაადგინოს ადაპტაციური მართვის და გეგმის გააქტიურების ზღვრის ზომების შემუშავება ზღვრის შელახვის შემთხვევაში
- განაახლოს ნალექის მართვის გეგმა და BAP-ი.

2.158 2023 წლის აპრილში, AGL-ის გარემოსდაცვის საკონსულტაციო ფირმამ აიღო სამი დაზარალებული მდინარის, აჭარისწყლის, შხალთასა და ჩირუხისწყლის ჰიდრო-მორფოლოგიური მონიტორინგის ვალდებულება და განუწვეტლივ აწყდებოდა მდინარის უწყვეტობის წლიური საშუალო ეკოლოგიური დინების 10%-ის მქონე დაბალ პირობებს, პროექტით დაზარალებული ქვედა დინების გაყოლების მთელ სიგრძეზე სამივე მდინარეში. კონსულტანტებმაც ასევე დაასკვნეს, რომ წყლის სიღრმეები თევზებისათვის შესაფერისი იყო, თუმცა IFC-ის ზედამხედველობის დოკუმენტებში დაკონკრეტებული არ ყოფილა, თუ თევზების რომელი სახეობები იყო განსაზღვრული, როგორც შესაფერისი და რომ არსებული პირობები ხელსაყრელი იყო მდინარის ექოსისტემის ფუნქციონირებისათვის. განსაზღვრული არ ყოფილა არანაირი ადაპტაციური შემსუბუქება, როგორც აუცილებელი. თუმცა, CAO აღნიშნავს, რომ რადგან თევზების გასასვლელები არ ყოფილა აგებული ჯებირებისათვის, არამედ მხოლოდ კაშხლებისათვის, მდინარეების ურთიერთკავშირი აუცილებლად დაზარალებოდა. ბარიერების ზემოქმედება თევზების ორივე მიმართულებით მიგრაციულ მოძრაობაზე და წყლის ჰაბიტატის შემდგომი ფრაგმენტაცია წარმოადგენს მდინარის ბუნებრივ ჰაბიტატზე მნიშვნელოვან ნარჩენ ზემოქმედებას.

2.159 2022 წელს, AGL-ის გარემოსდაცვის კონსულტანტებმა, გასული სამი წლის განმავლობაში თანმიმდევრულად მესამეჯერ დაადგინეს, რომ ჩირუხისწყლის კაშხლის თევზების გასასვლელი ეფექტურად მუშაობდა, ქვედა და ზედა დინების მიმართულებით თევზების დაჭერის და მონიშვნის მეთოდის გამოყენების საფუძველზე.²²⁰ წავების მონიტორინგისათვის, კონსულტანტმა გამოიყენა კამერის ხაფანგები და განახორციელა მდინარის ნაპირების და

²²⁰ აღრიცხულ იქნა შვიდი თევზის არსებობა, მათგან ოთხი განისაზღვრა ქვირითის დაყრის მიგრაციის მიზნით თევზების გასასვლელის მეშვეობით მდინარის ზემო დინების მიმართულებით. ამ ოთხიდან გამოვლენილ იქნა შავი ზღვის კალმახი/ყავისფერი კალმახი.

წყალსაცავების კვლევა მათი კვალის მისაგნებად. ჩირუხისწყლის მდინარის გასწვრივ არ ყოფილა აღმოჩენილი არანაირი კვალი, მაგრამ ისინი ნახეს მაღლივი დინების შენაკადის ახლოს.

2.160 რაც შეეხება ეკოლოგიური დინების მონიტორინგს, ანგარიშები ქვეყნდება AGL-ის ვებსაიტზე ყოველთვიურად.²²¹ საჯაროდ ხელმისაწვდომ ეკოლოგიური დინების მონიტორინგის ანგარიშებში, CAO აღნიშნავს, რომ დიდაჭარის ჯებირი შეიცავს ანგარიშებს მდინარე აჭარისწყალზე 2017 წლის სექტემბრიდან 2024 წლის აპრილამდე, ჩირუხისწყლის კაშხალი შეიცავს ანგარიშებს მდინარე ჩირუხისწყალზე 2019 წლის დეკემბრიდან 2024 წლის აპრილამდე და შხალთას ჯებირი შეიცავს ანგარიშებს მდინარე შხალთაზე 2020 წლის იანვრიდან 2024 წლის აპრილამდე. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, CAO აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეკოლოგიური დინება თითოეულ მდინარეზე იშვიათად იწევდა საშუალო წლიური დინების 10%-ზე დაბლა, სავარაუდოდ, დაბალი დინების გამო, ყველაზე მეტად დაზარალებულ იქნა მდინარე ჩირუხისწყალი. კერძოდ, მაშინ, როდესაც ჯებირებისათვის ეკოლოგიურმა დინებამ მხოლოდ ერთხელ დაიწია 10%-ზე დაბლა - 2020 წლის მაისში დიდაჭარასთან და 2020 წლის თებერვალში შხალთასთან მიმართებაში - CAO აღნიშნავს, რომ ჩირუხისწყლის კაშხალთან მიმართებაში ეკოლოგიური დინება რამდენჯერმე დაეცა დადგენილი საშუალო წლიური დინების 10%-ზე დაბლა 2020 წლის მაისში, 2022 წლის აგვისტოში და 2023 წლის ივლისიდან 2024 წლის თებერვლამდე.²²²

iii. IFC-ის ზედამხედველობა: CAO-ს დასკვნების მოკლე შინაარსი

2.161 CAO ასკვნის, რომ ზედამხედველობის ათი წლის განმავლობაში დღემდე, IFC-ი პერიოდულად ამოწმებდა მომხმარებლის მიერ ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და შემამსუბუქებელი ზომების შემუშავებას და მომხმარებლისაგან მოითხოვდა რამოდენიმე მაკორექტირებელი სამუშაოები. CAO ცნობს IFC-ის მიერ გაწეული ზედამხედველობის ძალისხმევას თევზების მონიტორინგის გასაუმჯობესებლად, კაშხალში თევზების გასასვლელს და აჭარისწყლის, შხალთასა და ჩირუხისწყლის მდინარეებში ეკოლოგიური დინების მონიტორინგს, როგორც ამას მოითხოვდა 2017 წლის დაბალი დინების შემსუბუქების სტრატეგია.

2.162 თუმცა, CAO-ის შესაბამისობის გამოძიებამ დაადგინა, რომ შემდეგი მოსაზრებები მიუთითებს IFC-ის ზედამხედველობის მნიშვნელოვან ხარვეზებზე, რომ ემუშავა თავის მომხმარებელთან რათა უზრუნველყო, რომ დაეკმაყოფილებინა PS6-ის მოთხოვნები სუფთა დანაკარგის თავიდან აცილების მიზნით:

- მონიტორინგის ანგარიშებში გამოვლენილი წყლის ჰაბიტატების დაკარგვა კლასიფიცირებულია, როგორც დაბალი მნიშვნელობის მქონე, ამგვარი დასკვნის

²²¹ 2017 წლის შემდეგ გამოცემული ეკოლოგიური დინების მონიტორინგის ანგარიშების ხილვა შესაძლებელია AGL-ის ვებსაიტზე აქ: <https://agl.com.ge/en/dokumentebi>

²²² დინების ამგვარ კლებას, დადგენილი 10%-ის ქვემოთ ძირითადად ადგილი აქვს ზაფხულში, ხოლო ეს კი ის დროა, როდესაც მდინარის ეკოლოგიური დინება ყველაზე კრიტიკული ხდება. ასევე მოსალოდნელია ქვედა დინების შენაკადების შემცირებაც, რის შედეგადაც იგი ვერ მოახდენს მდინარე ჩირუხისწყალში შემცირებული დინების კომპენსირებას.

გამამყარებელი ანალიზის გარეშე. თუმცა, ამ ჰაბიტატების დაკარგვა მიანიშნებს ბიომრავალფეროვნების სავარაუდო სუფთა დანაკარგზე, მიუხედავად მსგავსი ჰაბიტატების არსებობისა ჯებირების ქვედა მიმართულებით. თუმცა, არ არსებობს არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ მდინარის ჰაბიტატებზე გამოვლენილი ეს ზემოქმედებები შესაბამისად იყო შემსუბუქებული ან კომპენსირებული PS6-ის შესაბამისად.

- CAO-თვის ხელმისაწვდომი მონაცემებისა და 2020 წელს ჩატარებული ტენდენციის ანალიზის შესაბამისად, თევზების სახეობების მრავალფეროვნების კლება გამოვლენილ იქნა პროექტის მშენებლობისას, მაგრამ არ განხორციელებულა მონაცემების შეგროვება ამ სახეობების სიჭარბესთან დაკავშირებით.
- მეთევზეობაზე ზემოქმედების შემცირების შემამსუბუქებელი და საკომპენსაციო ზომები მოიცავდა ჩირუხისწყლის კაშხალში თევზების გასასვლელის აგებას და ადგილობრივი თევზების მარაგით შევსებას, რაც განხორციელებულ იქნა. თევზების გასასვლელი ინტეგრირებული იქნა და დაწესდა მონიტორინგი მის ეფექტურობაზე, ხოლო შავი ზღვის კალმახის/ყავისფერი კალმახის თევზების მარაგის შევსების ძალისხმევა მიმდინარეობს 2021 წლის შემდეგ. თუმცა, თევზების სახეობების მრავალფეროვნებისა და სიჭარბის შემცირებამ ჩირუხისწყლის კაშხლის ქვედა დინების მიმართულებით 2014 წლიდან 2020 წლამდე ასევე უარყოფითი ზემოქმედება იქონია ამ ზონაში რეკრეაციულ თევზაობაზე. გარდა ამისა, CAO დღემდე დარწმუნებული არაა თევზების მარაგის შევსების წარმატებაში ეკოლოგიური დინების საშუალო წლიური 10%-ით შემცირების პირობებში.
- დაზარალებული თევზების სახეობების მარაგის შევსება შემოიფარგლებოდა *Salmo labrax fario*-ით და იგი არ გავრცელებულა კალმახის გარდა სხვა სახეობებზე, მიუხედავად იმისა, რომ პროექტის კონსულტანტებმა თავდაპირველად გასცეს რეკომენდაცია ამასთან დაკავშირებით. IFC-ის მომხმარებლის მიერ შემუშავებულმა ამგვარმა მიდგომამ სავარაუდოდ იმოქმედა წყლის ჰაბიტატის ეკოლოგიურ ბალანსზე. AGL-ს და მის კონსულტანტებს არ წარმოუდგენიათ არავითარი ანალიზი იმ სავარაუდო ზემოქმედებების შესახებ, რაც შეიძლებოდა გამოეწვია ერთი სახეობის დიდი რაოდენობის თევზების გაშვებას წყლის სხვა სახეობებთან შედარებით, რომლებთანაც ისინი კონკურენციაში იქნებოდნენ რესურსებთან დაკავშირებით ისეთ ჰაბიტატში, რომელიც ზონაში 90%-ით იყო შემცირებული.
- საბაზისო დონის შეზღუდული სფერო (ნიმუშის ადების ძალზე მცირე ადგილები და მონიტორინგის არასაკმარისი სიხშირე) თევზების მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემდგომ ცვლილებებთან ერთად (ნიმუშის ადების ადგილების ცვლა და წლიურიდან კვარტალურ მონიტორინგზე გადასვლა) წარმოადგენს მნიშვნელოვან ხარვეზებს, რაც ხელს უშლის პროექტის წყალზე ზემოქმედების ზუსტი შეფასების გაკეთებას.
- 2015-დან 2019 წლამდე, IFC-ის ზედამხედველობის ანგარიშები სულ აღნიშნავდნენ ხარვეზებს მომხმარებლის ბიომრავალფეროვნების ანგარიშებში, თუმცა პროექტის მშენებლობის პერიოდში IFC-მა ვერ უზრუნველყო დროული შესაბამისობა. ამის ნაცვლად, მომხმარებელი სულ უგულვებელყოფდა არსებული ხარვეზების გამოსწორებას და არ უჩვენებია პროექტის ზემოქმედება ბიომრავალფეროვნების საბაზისო დონეზე, ან თუ როგორ ხდებოდა ადაპტაციური მართვის შემუშავება.
- პროექტის ეკოლოგიური დინების მეთოდოლოგია დაპროექტებული იყო მდინარის

სისტემების ჰიდროლოგიური პირობებისა და ეკოლოგიური მოთხოვნების გადასაწყვეტად და იმისათვის, რომ აღერიცხა და შეემცირებინა პროექტის ზემოქმედებები მდინარის სახეობებსა და ჰაბიტატზე. თუმცა, CAO აღნიშნავს, რომ ეს არ ყოფილა დემონსტრირებული დინების რეჟიმის შემუშავებისას, რადგან ქვირითის დაყრის ჰაბიტატები, რომლებიც აღინიშნებოდა მდინარის მონაკვეთებში დაკარგული ან დეგრადირებული იყო პროექტის მიერ ქვირითის ობიექტების წვდომაზე ზემოქმედების შედეგად და აგრეთვე წყალსაცავის დატბორვის შედეგად ქვირითის დაყრის ჰაბიტატის დაკარგვით.²²³ ჯებირებმა მოახდინეს მდინარის სისტემების ბალანსის შეცვლა, ხოლო ახალი ბალანსი იქნება ჰაბიტატზე შემცირებული წვდომა, ქვირითის დაყრის ჰაბიტატის ჩათვლით. წყლის ჰაბიტატებსა და სახეობებზე ამგვარი ზემოქმედების მასშტაბი სავარაუდოდ შესაძლებელია შემსუბუქებულ იქნეს სხვადასხვა ხარისხით სხვადასხვა სცენარების გამოყენების ბაზაზე, რაც გაზრდის ეკოლოგიურ დინებას 20-30-40%-ით, DRIFT-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად. თუმცა, ეკოლოგიურ დინებაზე რაიმე შეთავაზებული შესწორების არ არსებობის საფუძველზე, PS6-ი მოითხოვს კომპენსაციას ნარჩენი ზემოქმედებების აღსადგენად.

- CAO-მ ვერ მოიძია ვერანაირი მტკიცებულება იმისა, რომ IFC-ის მომხმარებელმა განახორციელა ეკოლოგიური დინების ანალიზი ბუნებრივი ჰაბიტატის საჭიროებებზე პირდაპირი მითითებით იმისათვის, რომ შეძლებისდაგვარად თავიდან აეცილებინა ბიომრავალფეროვნების სუფთა დანაკარგი, როგორც ამას მოითხოვს PS6 (პარაგ.15). კერძოდ, არ არსებობს იმის დასადგენი ინფორმაცია, ადეკვატურია თუ არა ჰიდროელექტრო სქემისათვის საჭირო შემცირებული ეკოლოგიური დინება ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებების შესამსუბუქებლად, მათ შორის, მაღალი კონსერვაციის ღირებულების მქონე ისეთ ენდემურ სახეობებთან დაკავშირებით, როგორიცაა შავი ზღვის ორაგული (*Salmo labrax pallas*), ევროპული გველთევზა (*Anguilla anguilla*), კოლხური ხრამული, კოლხური ტობი, კავკასიური ღორჯო და ევრაზიული წავი (*Lutra lutra*).

2.163 აქედან გამომდინარე, CAO ასკვნის, რომ IFC-მა ვერ შეასრულა თავისი მდგრადობის წესდების ვალდებულებები (პარაგ. 7 და 45), რომ ზედამხედველობა გაეწია თავისი მომხმარებლისთვის, რათა ამ უკანასკნელს შეემუშავებინა შესაბამისი შემამსუბუქებელი ან საკომპენსაციო ზომები, შესაძლებლობისდაგვარად წმინდა დანარკის თავიდან ასაცილებლად შესაბამისობის სტანდარტი 6-ის (პარაგ. 15) შესაბამისად. IFC-მა ვერ უზრუნველყო, რომ პროექტს მიეღწია ბიომრავალფეროვნების წმინდა დანაკარგის თავიდან აცილება, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება ისეთ ენდემურ, საფრთხის წინაშე არსებულ და მოწყვლად სახეობებზე ზემოქმედების თავიდან აცილებას, როგორიცაა შავის ზღვის ორაგული, ევროპული გველთევზა და ევრაზიული წავი, როგორც ამას მოითხოვს PS6.

²²³ OBAP, გვ. 63 და 135.

III. ზიანის შეფასება

A. IFC-ის შესაბამისობის დასკვნების მოთხოვნები და შესაბამისი ზიანი

- 3.1 CAO-ის შესაბამისობის გამოძიება მოიცავს IFC-ის შეუსრულებლობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ზიანს. ზიანი განისაზღვრება, როგორც “ნებისმიერი მატერიალურად უარყოფითი ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედება ადამიანებზე ან გარემოზე, რომელიც პირდაპირ, ან არაპირდაპირ გამოწვეულია პროექტით ან ქვეპროექტით. ზიანი შეიძლება იყოს რეალური ან მომავალში გონივრულად განხორციელებადი.”²²⁴
- 3.2 ზიანის შესახებ დასკვნების განხილვისას და იმის დასადგენად, უკავშირდება თუ არა ნებისმიერი ზიანი IFC-ის და MIGA-ს შეუსრულებლობას, CAO ახორციელებს IFC-ის მიერ თავისი E&S-ის მოთხოვნების განხილვისა და ზედამხედველობის შეფასებას პროექტის დონეზე. ამ შემთხვევაში, CAO-ის გამოძიებამ გაითვალისწინა E&S-ის შესრულება პროექტის დონეზე შემდეგი შესრულების სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებით:
- შესრულების სტანდარტი 1 (PS1): მართვის სისტემების სოციალური და ეკოლოგიური შეფასება
 - შესრულების სტანდარტი 6 (PS6): ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა.
- 3.3 IFC-ისა და MIGA-ს E&S წესდებები ადგენენ პასუხისმგებლობებს, რომლებიც შესრულებულ უნდა იქნეს როგორც მათ მიერ, ასევე, მათი მომხმარებლების მიერ, რომ მოაგროვონ ან დოკუმენტურად ასახონ ინფორმაცია პროექტის E&S-ის შესრულებაზე.²²⁵ CAO-ს წესდება მოითხოვს, რომ “ზიანის შესახებ დასკვნების გამოტანისას და აგრეთვე, არის თუ არა რაიმე ზიანი დაკავშირებული IFC/MIGA-ს მიერ თავისი E&S-ის წესდების შესრულებასთან, CAO შეაფასებს IFC/MIGA-ს მიერ მისი E&S-ის მოთხოვნების განხილვას და ზედამხედველობას პროექტის ან ქვე-პროექტის დონეზე და გაითვალისწინებს ეკოლოგიურ ან სოციალურ შესრულებებს პროექტის ან ქვე-პროექტის დონეზე.”²²⁶ როდესაც CAO შეაფასებს არსებობს თუ არა შესაბამისობის დასკვნასთან დაკავშირებული რაიმე ზიანი, იგი გაითვალისწინებს შეიტანა თუ არა IFC-ის შესაბამისობამ წვლილი იმ მონაცემების ან ინფორმაციის არ არსებობაში, რაც საჭიროა მომჩივნების მიერ ზიანის შესახებ გაკეთებული მტკიცებულების დასადასტურებლად. ამგვარ ვითარებებში, CAO-მა შეიძლება დაასკვნას, რომ არსებობს “ზიანთან დაკავშირებული ნიშნები,” როდესაც გონივრულად დასაშვებია, რომ მომჩივნების მიერ გაცხადებული ზიანი მოხდა ან შესაძლოა მოხდეს მომავალში.
- 3.4 ამ გამოძიების ფარგლებში, მომჩივნების მიერ ძირითადი ზიანის შესახებ გაკეთებული განცხადება ეხება წყაროს წყლებზე ზემოქმედებებს, რომლებსაც ისინი იყენებენ საყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის და სოფლის მეურნეობის საარსებო წყაროდ და

²²⁴ CAO წესდება, ლექსიკონი.

²²⁵ იხ. მაგალითად, 2012 წ. მდგრადობის წესდება, პარაგ. 28 და 45, 2012 PS1, პარაგ. 7, 14, 23, 24, 30, და 34.

²²⁶ CAO წესდება, პარაგ. 114.

ბიომრავალფეროვნების ზემოქმედებას რეკრეაციულ მეთევზეობაზე.

B. მიწისქვეშა და წყაროს წყლებთან დაკავშირებული ზიანი

a. CAO-ს დასკვნები წყაროს წყლების ზიანთან დაკავშირებით

3.5 CAO აღნიშნავს, რომ 2022 წელს შესაბამისობის გამოძიების მიზნით, მის მიერ ობიექტზე განხორციელებული ვიზიტის პერიოდში, პროექტის მიერ წყაროს წყლებზე ზემოქმედება რჩებოდა მომჩივნების მთავარ პრობლემად. CAO-ში საჩივრის შეტანიდან ოთხი წლის შემდეგ, მახალაკიმების რაბათის დასახლებაში მცხოვრებმა ამ მოსახლეებმა ხელახლა გაიმეორეს, რომ ისინი დამოკიდებულნი არიან წყაროს წყალზე საყოფაცხოვრებო მოხმარებისა და საარსებო სოფლის მოურნეობისთვის. მათ განაცხადეს, რომ ადგილობრივი წყაროს წყლები, რომლებზეც ისინი დამოკიდებულნი იყვნენ, სადგურის მშენებლობის შემდეგ აღარ აღმდგარა და რომ ისინი არ მიიჩნევენ მდინარის წყალს მსგავსი სასმელი მარაგის ალტერნატივად მისი მაღალი სიმღვრივისა და მათი სახლებიდან სიშორის გამო. 2024 წლის აპრილში მათ CAO-ს შეატყობინეს, რომ ჯერ კიდევ არ აქვთ წვდომა სუფთა სასმელ წყალზე და იძულებულები არიან მოიხმარონ მდინარის ტალახიანი წყალი. როგორც ეს ზემოთ იყო განმარტებული, მომხმარებელი ამ მტკიცებებს აპროტესტებს და აცხადებს, რომ გვირაბის მშენებლობას არ მოუხდენია ზემოქმედება წყაროს წყლებზე.

3.6 როგორც ზემოთ იყო აღწერილი ანალიზისა და დასკვნების ნაწილში, CAO-მა აღმოაჩინა ხარვეზები IFC-ის ზედამხედველობაში და მომხმარებლის მიერ შემამსუბუქებელი ზომების შემუშავებაში,²²⁷ რომლებიც განსაზღვრული იყო პროექტის მშენებლობის პერიოდში წყაროს წყლებზე ზემოქმედებების თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, CAO-მა აღნიშნა, რომ IFC-მა მიიღო ანგარიშები ჭარბი შემავალი წყლის შესახებ გვირაბის მშენებლობის პერიოდში და არ მიუღია რაიმე გარანტიები გვირაბის წინასწარ ჩაყრასთან დაკავშირებით.²²⁸ 2013 წელს, მომხმარებელმა დაუკვეთა შემაჯამებელი შეფასება, რომელიც აფრთხილებდა, რომ გვირაბის მშენებლობის პერიოდში ჭარბმა შემავალმა წყალმა შეიძლება იმოქმედოს მიწისქვეშა წყლების დონეზე, მაგრამ განაცხადა, რომ წინასწარი შევსება ამას თავიდან ააცილებდა. პროექტის E&S-ის ზემოქმედების შეფასება (ESIA), რომელიც დასრულდა IFC-ის წინა-საინვესტიციო კომპლექსური შემოწმების დროს, ადასტურებდა შესაძლო ზემოქმედებას მოსახლეობის მიერ გამოყენებულ წყაროებზე. თუმცა, ზედამხედველობა გვირაბის წინასწარ ჩაყრაზე და წყლის მარაგის მიწოდებაზე არ იყო შეტანილი შემამსუბუქებელი ზომის სახით პროექტის E&S-ის სამოქმედო გეგმაში, რომელზეც IFC-ი მოგვიანებით დაეთანხმა AGL-ს. ამის შედეგად, IFC-ის E&S-ის ზედამხედველობა არ გავრცელებულა ამ მნიშვნელოვან საკითხებზე და IFC-ს არ ჩაურთავს AGL-ი, რომ ამ უკანასკნელს შეეფასებინა ახდენდა თუ არა ჭარბი შემავალი წყალი სავარაუდო ზემოქმედებას ადგილობრივ წყაროებზე, როგორც ამას ამტკიცებდა მოსახლეობის

²²⁷ იხ. დასკვნები ESIA-თან დაკავშირებით და 2013 წლის შემაჯამებელი ანგარიში მიწისქვეშა წყლებთან დაკავშირებით ანალიზისა და დასკვნების ნაწილში.

²²⁸ IFC, BTO ანგარიში. ჰიდროგეოლოგიისა და წყაროს წყლების შეფასება. 6 აპრილი, 2023 წ.

საჩივრები.

- 3.7 წყაროს წყლების დონეების მონიტორინგთან დაკავშირებით, CAO-ს გამოძიებამ დაასკვნა, რომ გვირაბის მშენებლობის პერიოდში AGL-ის მიერ შეგროვებული მონიტორინგის ინფორმაცია საბოლოო ჯამში არ გაანალიზებულა მშენებლობის მსვლელობის პერიოდში პროექტის მუშაობის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად. IFC-ის ზედამხედველობის ანგარიშებშიც ასევე აღნიშნული იყო წყაროს წყლების მონიტორინგის მონაცემებში არსებული ხარვეზები და მისი გამოყენება, თუმცა, მონიტორინგის ამგვარი მიდგომა არ გაუმჯობესებულა. ამის შედეგად, IFC-ი ვერ გამოიყენებდა არასწორ მონაცემებს, რომ შეეფასებინა და დაემოწმებინა მომხმარებლის გარანტიები, რომ ადგილობრივ წყაროს წყლებზე არ ხდებოდა არანაირი ზემოქმედება გვირაბის მშენებლობისას.²²⁹
- 3.8 2022 წელს, CAO-მა ობიექტზე ვიზიტის პერიოდში მოინახულა ერთ-ერთი წყარო რაბათის დასახლების ახლოს. CAO-მა შენიშნა, რომ როგორც წყაროს წყალი, ასევე მილსადენი, რომელიც გამოიყენებოდა მოსახლეობისათვის წყლის მისაწოდებლად, მშრალი იყო. თუმცა, CAO-ს არ ჰქონდა საკმარისი ინფორმაცია დაედგინა ფუნქციონირებდა თუ არა ეს წყარო პროექტის მშენებლობამდე, თუ წყაროს წყლის გაქრობა გამოწვეული იყო სეზონური ცვლილებებით ან სხვა ფაქტორებით.
- 3.9 გარდა ამისა, ორივე ESIA და პროექტის E&S მართვის პროგრამა (ESMP) ავალდებულებდა მომხმარებელს, უზრუნველყო ალტერნატიული წყლით მომარაგება სავარაუდოდ დაზარალებული მოსახლეობისათვის და აცხადებდა, რომ განხორციელდებოდა მუდმივი ალტერნატიული წყლით მომარაგება სასმელი წყლის რესურსების დაკარგვის ასანაზღაურებლად გრძელვადიანი პერიოდით.²³⁰ IFC-ის მორიგ 2023 წლის ჰიდროგეოლოგიისა და წყაროების შეფასებაში ნათქვამი იყო, რომ გვირაბის მშენებლობის პერიოდში, ადგილობრივ წყაროს წყლებზე ნებისმიერი სავარაუდო ზემოქმედება შემსუბუქდებოდა მომხმარებლის მიერ ალტერნატიული წყლით მომარაგებისათვის გატარებული ზომებით.²³¹ თუმცა, მან აღიარა, რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამყარება სამშენებლო სამუშაოებსა და წყაროს წყლების ზემოქმედებაზე შეუძლებელი იყო, რადგან არ არსებობდა მოსახლეობის მიერ მიწისქვეშა წყლების გამოყენების საბაზისო დონე.
- 3.10 CAO აცნობიერებს, რომ გვირაბის მშენებლობის პერიოდში მომხმარებელი მხარს უჭერდა ალტერნატიული წყლით მომარაგების ინიციატივებს რამდენიმე ადგილობრივი მოსახლეობისთვის მისი კორპორაციულ სოციალური ინიციატივის ფარგლებში, მათ შორის, სოფელ მახალაკიძეებისათვის. თუმცა, CAO-მა აღმოაჩინა ხარვეზები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდებოდა მიწოდების შემუშავება და მასზე ზედამხედველობა, რადგან IFC-ის მომხმარებლის მიერ მომზადებული მონიტორინგის ანგარიშები არ იძლევიან ინფორმაციას

²²⁹ იხ "ზედამხედველობა წყაროს წყლის მონიტორინგზე" ნაწილი მიწისქვეშა წყლის ანალიზიდან და დასკვნებიდან.

²³⁰ როდესაც შეიქმნა სასმელი წყლის რესურსები. ESIA, გვ. 368-369; ESMP, გვ. 7 და 14; და ESRS.

²³¹ IFC, BTO ანგარიში. ჰიდროგეოლოგიისა და წყაროს წყლების შეფასება. 6 აპრილი, 2023 წ.

მიწოდებული წყლის რაოდენობისა და ხარისხის შესახებ ან არ შეიცავენ რეგულარულად განახლებულ ინფორმაციას ინდივიდუალური პროექტების შემუშავების თაობაზე.²³² ობიექტზე ვიზიტისას, CAO-მა ასევე შეიტყო, რომ ეს პროექტი თავიდან არ მოიცავდა რაბათის დასახლებას და რომ დამონტაჟებული სისტემა არასაკმარისი და არასაიმედო იყო წყალზე წვდომის პრობლემების გადასაჭრელად, რაც აწუხებდა მომჩივნებს. CAO-თვის გასაგებია, რომ მომხმარებელი და ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ურთიერთთანამშრომლობენ ამ ზონაში წყლის მიწოდების გასაუმჯობესებლად. თუმცა, სუფთა წყალზე სანდო წვდომის არ არსებობა საყოფაცხოვრებო მოხმარებისა და საარსებო მეურნეობისათვის ძირითადი საჭიროების პრობლემად რჩება, რაც ზემოქმედებას ახდენს მომჩივნებსა და მათ საზოგადოებაზე. სულ ახლახანს, 2024 წლის აპრილში, მომჩივნებმა, CAO-ს შეატყობინეს, რომ მათ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ წყალზე საკმარისი წვდომა და რომ მარაგი, რომელიც მათ მიაწოდეს, ნაღევით იყო დაბინძურებული. რადგან ეს მარაგი მათ მდინარიდან მიეწოდებოდა, ისინი სამართლიანად წუხან ამ გაუსუფთავებელი, დაბინძურებული წყლის მათ ჯანმრთელობაზე გავლენასთან დაკავშირებით.

გამოსახულებები 9 და 10. ონკანის წყალი მომჩივნის სახლიდან (მარცხნივ) და მომჩივნების მიერ გამოყენებული წყალი მიმწოდებელი ავზიდან (მარჯვნივ)



წყარო: მომჩივნების მიერ გაზიარებული ფოტოსურათები, აგვისტო 2024წ.

3.11 CAO ასკვნის, რომ მომხმარებლის მიერ შემუშავებისას დაშვებული ეს ხარვეზები და IFC-ის ზედამხედველობა შემამსუბუქებელ ზომებზე, მიწისქვეშა წყლის გამოყენებაზე სავარაუდო ზემოქმედებების გამოსასწორებლად, მათ შორის, ალტერნატიული წყლის მარაგით უზრუნველყოფამ გამოიწვია სუფთა წყალზე არასანდო წვდომა და წარმოადგენს მომჩივნებზე მიყენებულ ზიანს.

²³² იხ. “მოსახლეობის წყლის მარაგით უზრუნველყოფა” ნაწილი მიწისქვეშა წყლებზე ზედამხედველობის ანალიზი და დასკვნები.

b. CAO-ს დასკვნები წყაროს წყლების ზიანთან დაკავშირებით

3.12 რაც შეეხება ადგილობრივ წყაროს წყლებზე სავარაუდო ზიანს, CAO-ის ექსპერტ კონსულტანტმა სამონიტორინგო დოკუმენტებში დაფიქსირებული ადგილ-მდებარეობის ინფორმაციის გამოყენებით, რუქაზე დაიტანა მშრალი წყაროების შესაბამისი გვირაბის განივი კვეთები, რომლებსაც ადრე იყენებდა მახალაკიძეების მოსახლეობა. ეს რუქები უჩვენებენ, რომ ყველა შესაბამისი წყაროს წყლები განლაგებულ იყო გვირაბის თავზე, დაახლოებით 400 მეტრის მოშორებით. CAO-ს ექსპერტმა დაადგინა, რომ გვირაბის აფეთქებას შესაძლოა გამოეწვია წყაროების დაცლა ამ მანძილზე, გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ კლდის მტვრევა. კონსულტანტმა ასევე აღნიშნა, რომ ძალიან რთულია ბზარების ფენებში წყლის მოძრაობის დაფიქსირება, ხოლო გვირაბის გაყვანას შეუძლია დააწვეს ამ ბზარებს და დაბალ მიწისქვეშა დონეებს დიდ მანძილზე იქ, სადაც განლაგებულია წყაროს წყლები. თუნდაც მიწისქვეშა წყლების რამდენიმე სანტიმეტრით დაწვეა შეიძლება საკმარისი გახდეს იმისათვის, რომ შემცირდეს ან მთლიანად გაჩერდეს ბუნებრივი დინება შესაბამისი წყაროებში. CAO-ს ექსპერტის შესაბამისად, ამგვარი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის წყაროებსა და გვირაბს შორის საკმაოდ დიდი მანძილის გამო, მაგრამ მისი აზრით, ამის გამორიცხვაც შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის მიერ გამოყენებული ადგილობრივი წყაროები პროექტის დაწყებამდე სავარაუდოდ შეიძლება განიცდიდნენ დაბალ დინებას და შესაძლებელია, რომ მათზე ზემოქმედება მოეხდინა ამ ბოლო წლებში მკაცრი ამინდის პირობებს, მაგრამ CAO-ს ექსპერტის დასკვნით, საბაზისო დონის არ არსებობამ ხელი შეუშალა სიტუაციის მკაფიოდ წარმოსახვას. წყაროები ამ ზონაში მყიფეა და ზემოქმედების შემთხვევაში, მათი აღდგენა ნაკლებად სავარაუდოა, როგორც ეს ნათლად აჩვენა მახალაკიძეების გარშემო ამჟამინდელმა წყაროს წყლის დინებამ, რომელიც ძალზე დაბალია და აღარ წარმოადგენს წყლის სანდო წყაროს რაბათის მოსახლეობისათვის.

3.13 ამ მიდამების გეოლოგიის სირთულე, სანდო ინფორმაციის არ არსებობასთან ერთად, ამნელებს იმის დადგენას, რომ გვირაბის მშენებლობამ ზემოქმედება მოახდინა წყაროს წყლებზე, რომლებსაც იყენებდნენ მომჩივნეები საყოფაცხოვრებო მოხმარებისა და საარსებო მეურნეობისათვის. ამავე დროს, ის ფაქტი, რომ ESIA-ი არ მოიცავდა არსებული წყაროს წყლების საბაზისო ინფორმაციას პროექტის მიერ დაზარალებული მოსახლეობის ახლოს, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა მყარი მტკიცებულება მოსახლეობის მიერ ამ წყლების გამოყენებაზე, როგორც პირადი მიზნებისთვის, ასევე საარსებო საშუალებად, ამნელებს იმის დადგენას, რომ გვირაბის მშენებლობას ზემოქმედება არ მოუხდენია ამ წყაროებზე. აქედან გამომდინარე, CAO ასკვნის, რომ ეს სავარაუდო ზიანი არ შეიძლება გამორიცხულ იქნეს.

c. წყლის ჰაბიტატებსა და რეკრეაციულ მეთევზეობასთან დაკავშირებული ზიანი

3.14 მომჩივნეების მეორე მთავარი სადარდებელი საკითხი, ჰიდროელექტრო კომპლექსის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით, მოიცავს თევზის პოპულაციებს, რომლებსაც იჭერენ ამ რეგიონის მაცხოვრებლები რეკრეაციული მეთევზეობის მიზნით. IFC-

ისა და IFC-ის მომხმარებლის მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ ზემოთ მოცემული ანალიზის საფუძველზე, CAO ასკვნის, რომ არსებობს პროექტის მიერ გამოწვეული ნარჩენი ზემოქმედებები წყლისა და სანაპირო ექოსისტემებზე, რომლებიც შეუმსუბუქებელი რჩება. მდინარის წლიური საშუალო 10%-ით დინების დადგენა მუდმივი ნორმის სახით, პროექტის მშენებლობის შედეგად თევზების მიერ ქვირითების დაყრის ჰაბიტატზე ზემოქმედება და მდინარეებს შორის ურთიერთკავშირის დაკარგვა დიდაჭარისა და შხალთას ჯებირებზე თევზების გასასვლელების არ არსებობის გამო, წარმოადგენს წყლის ჰაბიტატზე ზიანის მიყენების მნიშვნელოვან ალბათობას აჭარისწყლის, შხალთასა და ჩირუხისწყლის მდინარეებში. გარდა ამისა, AGL-ი და IFC-ი არ უზრუნველყოფენ არანაირ ინფორმაციას იმის დასადგენად, საკმარისი აღმოჩნდა თუ არა არსებული ეკოლოგიური დინებები ბიომრავალფეროვნებაზე პროექტის ზემოქმედების შესამსუბუქებლად, მათ შორის, მაღალი კონსერვაციის ღირებულების მქონე ისეთი სახეობებისთვის, როგორიცაა შავი ზღვის ორაგული, შავი ზღვის კალმახი, ევროპული გველთევზა, კოლხური ხრამული, კოლხური ტობი, კოლხური ღორჯო და ევრაზიული წავი PS6-ის მოთხოვნების შესაბამისად.

3.15 ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით, CAO ასკვნის, რომ წყლის ჰაბიტატების შემთხვევაში, არ არსებობს საკმარისი შესაბამისი მტკიცებულება ზიანის დაბეჯითებით დასადგენად. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ წყლის ჰაბიტატზე ზიანის მნიშვნელოვან ალბათობას, პროექტს წაადგებოდა ეკოლოგიური დინების ხელახალი შეფასება და დამატებითი ზომების შეტანა, რათა უზრუნველყო, რომ ბიომრავალფეროვნების უარყოფითი ზემოქმედებები ადეკვატურად ყოფილიყო შემსუბუქებული ან, შემსუბუქებული თუ არა, კომპენსირებული იმისათვის, რომ ბიომრავალფეროვნების წმინდა დანაკარგი თავიდან ყოფილიყო აცილებული, ჰიდროელექტრო პროექტების ეკოლოგიურ დინებებზე IFC-ის კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოს 45-ე პარაგრაფის შესაბამისად (2018).²³³

3.16 რაც შეეხება რეკრეაციულ მეთევზეობაზე სავარაუდოდ მიყენებულ ზიანს, AGL-ის ანგარიშები და კრედიტორების დამოუკიდებელი E&S-ის ექსპერტ-კონსულტანტი აღწერენ პროექტის მშენებლობისას, პროექტის ზონაში თევზების სახეობებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებებს. ამ პერიოდში განხორციელებულმა მონიტორინგმა უჩვენა ამ ზონაში არსებული თევზების რაოდენობის საგრძნობი კლება. იმის გამო, რომ დროულად არ ჩატარებულა მონიტორინგის მონაცემების განხილვა, გართულდა მშენებლობის პერიოდში თევზების კლების და რეკრეაციულ თევზაობაზე შესაბამისი სავარაუდო ზიანის შეფასება და შემსუბუქება. ამასთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ ESIA-მა გამოავლინა მეთევზეობა, როგორც რეკრეაციული საქმიანობა პროექტის ზონაში და დაადგინა შემამსუბუქებელი და საკომპენსაციო ზომები რეკრეაციულ მეთევზეობაზე, როგორც ექოსისტემის სერვისზე, არ ყოფილა დაწესებული მონიტორინგი. ამიტომ, არსებობს ძალიან მწირი ინფორმაცია რეკრეაციული მეთევზეობის მნიშვნელოვან ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ამ ზიანის მნიშვნელობა. თუმცა, მომჩივნების ჩვენებები, რომლებიც ხელახლა იქნა გაჟღერებული 2022 წელს CAO-ის მიერ

²³³ IFC-ის კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოში ნათქვამია:

“როდესაც მასპინძელი ქვეყანა გასცემს ეკოლოგიურ ლიცენზიას ეკოლოგიური დინების შეფასებამდე ან ეკოლოგიური დინების მართვის გეგმის (EFMP) შედგენამდე, ამ შემთხვევაში პროექტის გეგმა და ეკოლოგიური დინების გადაწყვეტილებები ხელახლა უნდა იყოს განხილული.” ხელმისაწვდომია აქ: <https://www.ifc.org/en/insights-reports/2018/publications-handbook-eflows>.

ობიექტზე ვიზიტისას, აღწერენ თუ როგორ იმოქმედა თევზების კლებამ მათ შესაძლებლობაზე, რომ გაეგრძელებიათ თევზაობა რეკრეაციული და საკვები მიზნებით და ასევე მცირე შემოსავლის მიღების მიზნით.

- 3.17 IFC-ის მიერ ზედამხედველობაში დაშვებულმა ხარვეზებმა ასევე წვლილი შეიტანეს ამ მონაცემების არ არსებობაში, რეკრეაციულ თევზაობაზე პროექტის ზემოქმედებასთან დაკავშირებით და შექმნეს სირთულეები სხვა მოწყვლად და საფრთხის ქვეშ არსებული სახეობების ზემოქმედებების შეფასებისა და შემსუბუქებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს საკმარისი შესაბამისი მტკიცებულება რეკრეაციულ თევზაობაზე ზიანის დაბეჭდვით დასადგენად, **CAO შესაძლებლად მიიჩნევს, რომ მომჩივნების მიერ აღწერილი ზემოქმედებები რეკრეაციულ თევზაობაზე პროექტის მშენებლობის პერიოდში შესაძლებელია მომხდარიყო და ასკვნის, რომ შეუძლებელია სავარაუდო ზიანის გამორიცხვა.**

IV. რეკომენდაციები IFC/MIGA-ს მართვის სამოქმედო გეგმისთვის

- 4.1 რაც შეეხება CAO-ს შესაბამისობის გამოძიებების შედეგს, CAO-ს წესდება განსაზღვრავს, რომ: როდესაც CAO აღმოაჩენს შეუსაბამობას და მასთან დაკავშირებულ ზიანს, CAO გასცემს IFC/MIGA-ის მიერ მართვის სამოქმედო გეგმის (MAP) შემუშავებისას გასათვალისწინებელ რეკომენდაციებს. რეკომენდაციები შეიძლება ეხებოდეს რეაბილიტაციას პროექტის - [...] დონეზე დაშვებულ შეუსაბამოებებსა და მათთან დაკავშირებულ ზიანს, ან/და მომავალში შეუსაბამოების თავიდან ასაცილებელ საჭირო ნაბიჯებს, როგორც ამას სიტუაცია მოითხოვს.²³⁴
- 4.2 რაც შეეხება საქართველოში AGL-ის ჰიდროელექტრო პროექტს, CAO გასცემს ქვემოთ მოცემულ რეკომენდაციებს IFC-ისა და MIGA-ს მიერ გასათვალისწინებლად, შეუსაბამოებების და მათგან გამომავალი, ზემოთ აღწერილი ზიანის სარეაბილიტაციოდ.
- 4.3 IFC-ის მიერ პროექტში განხორციელებული ინვესტიცია და MIGA-ს გარანტია მოქმედია და IFC-ი აგრძელებს AGL-ის რეგულარულ ზედამხედველობას. CAO ხაზს უსვამს, რომ პროექტის ამგვარი აქტიური სტატუსი წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას IFC-სა და MIGA-თვის, რომ ითანამშრომლონ თავიანთ მომხმარებლებთან შეუსაბამოებების და მათთან დაკავშირებული სავარაუდო ზიანის გადასაწყვეტად, რაც ემუქრება მომჩივნებსა და ადგილობრივ მოსახლეობას. CAO აღნიშნავს, რომ მისი რეკომენდაციები იზღუდება მის მიერ აღმოჩენილი ზიანით, რაც უკავშირდება დადგენილ შეუსაბამოებებს.
- 4.4 მომჩივნებთან განხორციელებული ბოლო საუბრისას ნათელი გახდა, რომ მათი ძირითადი საზრუნავი ისევ ისე რჩება მეწყერთან დაკავშირებული რისკები და აქედან გამომდინარე სახიფათო და არასტაბილური საცხოვრებელი პირობები, ასევე მათ მიერ მიწისქვეშა წყლებზე წვდომის დაკარგვა და სუფთა, საკმარისი რაოდენობის წყლის უქონლობა. CAO აღნიშნავს, რომ სოფელ მახალაკიძეებსა და AGL-ს შორის ათი წლის წინ გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი (MOU), 2014 წლის მაისში, რომელიც შეიცავდა მოსახლეობის სხვა ადგილას განსახლების მხარდაჭერას, თუ პროექტი ზემოქმედებას მოახდენდა წყლის რესურსებზე.²³⁵
- 4.5 ქვემოთ მოცემულ CAO-ს რეკომენდაციებში გათვალისწინებულია IFC-ისა და MIGA-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობა ამ ზომების განსახორციელებლად.

A. რეკომენდაციები პროექტის დონეზე

- 4.6 წყლის მიწოდება:** ალტერნატიული წყლის მარაგის მიწოდების თაობაზე პროექტის ESIA-სა და ESMP-ში ზოგადად განხილული შემამსუბუქებელი ზომების შესაბამისად, IFC-მა უნდა

²³⁴ CAO წესდება, პარაგ. 113. ამის მსგავსად, CAO წესდების 120-ე პარაგრაფი ადგენს, რომ შესაბამისობის გამოძიების ანგარიში ადგენს "რეკომენდაციებს IFC/MIGA-თვის MAP-ის შემუშავების დროს მათი გათვალისწინების მიზნით, რომელიც დაკავშირებულია პროექტის ან ქვე-პროექტის შეუსაბამოებების რეაბილიტაციასთან და მათთან დაკავშირებულ ზიანთან, ან/და მომავალი შეუსაბამოების თავიდან ასაცილებელ საჭირო ნაბიჯებს, როგორც ამას გარემოება მოითხოვს."

²³⁵ აჭარის მთავრობის A.R., Adjariatsqali Georgia LLC-სა და სოფელ მახალაკიძეების მოსახლეობას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, თარიღი: 1 მაისი, 2014წ., გვ. 5 და 6, ნაწილი 2.6.

ითანამშრომლოს თავის მომხმარებელთან, რათა განაგრძოს მუნიციპალიტეტის ძალისხმევის მხარდაჭერა სოფელ მახალაკიძეებისა და რაბათის დასახლებაში გრძელვადიანი, სანდო წყლის მარაგის მისაწოდებლად, რომელიც იქნება სათანადო ხარისხის და საკმარისი რაოდენობის დააკმაყოფილებს მათ საარსებო და საყოფაცხოვრებო მოხმარების მოთხოვნებს. ეს დამატებითი ძალისხმევები უნდა განხორციელდეს გონივრული დროის ფარგლებში. თუმცა სისტემის გაუმჯობესებები ამუშავებულია, CAO რეკომენდაციას იძლევა, რომ IFC-მა ითანამშრომლოს თავის მომხმარებელთან, რათა გააუმჯობესოს მომჩივნებისათვის მიწოდებული მიმდინარე ალტერნატიული წყლის მარაგი და უზრუნველყოს მისი საკმარისი რაოდენობა და ხარისხი მათი საყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის. ეს მოქმედება კლასიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც PS1-ის პროექტის შემამსუბუქებელი ან საკომპენსაციო ზომა, რომელიც ჩატარდება IFC-ის ზედამხედველობის ქვეშ. ამ კუთხით, CAO რეკომენდაციას იძლევა, რომ IFC-მა თავისი ზედამხედველობის ძალისხმევით ფარგლებში, გამოიკვლიოს მომხმარებლის მიერ წყლის მიწოდების საქმიანობა, რათა დაადგინოს, რომ იგი აკმაყოფილებს წყლის ხარისხის სტანდარტს და საკმარისია მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. თუ პროექტის ზონის რეალობიდან გამომდინარე გამწვანდება იმის უზრუნველყოფა, რომ მომჩივნებს მიეცეთ სუფთა და საკმარისი რაოდენობის წყალზე წვდომის შესაძლებლობა, IFC-მა უნდა ითანამშრომლოს თავის მომხმარებელთან, რათა გამოიკვლიოს სხვა ალტერნატიული ვარიანტები, როგორიცაა სხვა ადგილას განსახლების მხარდაჭერა.

4.7 ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება: იქიდან გამომდინარე, რომ ბიომრავალფეროვნების საბაზისო დონესა და მონიტორინგში აღმოჩენილ იქნა ხარვეზები, CAO რეკომენდაციას იძლევა, რომ მსოფლიო ბანკის ჯგუფის კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოს შესაბამისად, IFC-მა ითანამშრომლოს თავის მომხმარებელთან, რომ:

- განაახლოს თევზების საბაზისო დონე, რათა გამოავლინოს თევზების სახეობების მრავალფეროვნება შუახევის სქემის კორექტირებული კვლევის ზონაში, სხვადასხვა სეზონზე და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ენდემურ, საფრთხის ქვეშ არსებულ და მოწყვლად სახეობებს, რომლებიც დამოკიდებულნი არიან წყლის ექოსისტემებზე, მათ შორის, მაგრამ არამარტო თევზის სახეობებს.
- განახლებული საბაზისო დონის შედეგებიდან გამომდინარე, განსაზღვროს ჰაბიტატის მოთხოვნები თითოეული სახეობისთვის და ხელახლა განიხილოს პროექტის ეკოლოგიური დინებების შეფასება. ამაში უნდა შედიოდეს განახლებული ეკოლოგიური დინების ანალიზი, მაღალი რეზოლუციის მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც შეაფასებს ეკოლოგიური დინების სცენარების ფართო სპექტრს, რათა განსაზღვროს ზემოქმედება გამოვლენილი თევზების სახეობებსა სხვა სახეობებზე, რომლებიც დამოკიდებულნი არიან მტკნარი წყლის ჰაბიტატზე. ამ ხელახალი შეფასების შედეგად უნდა განისაზღვროს ზომები, რომ განხორციელდეს ბიომრავალფეროვნებაზე ნარჩენი უარყოფითი ზემოქმედებების სათანადოდ შემსუბუქება ან კომპენსირება და უჩვენოს, რომ მიღწეულ

- იქნა სუფთა დანაკარგის გამორიცხვა.²³⁶
- IFC-მა უნდა ითანამშრომლოს თავის მომხმარებელთან, რათა ჩართოს საერთაშორისოდ ცნობილი ექსპერტები ეკოლოგიური დინების ანალიზის განსახილველად, განახლოს BAP-ი, რათა უზრუნველყოს, რომ მიღებული შემამსუბუქებელი ან საკომპენსაციო ზომები შესაფერისი იყოს ბიომრავალფეროვნების სუფთა დანაკარგის გამორიცხვის უზრუნველსაყოფად.
 - საბოლოო ჯამში, იმისათვის, რომ სათანადოდ იქნეს შეფასებული პროექტის ზემოქმედებები წყლის ბიომრავალფეროვნებაზე დაზარალებულ მდინარეებსა და წყალსაცავებში, CAO რეკომენდაციას იძლევა, რომ IFC-მა ითანამშრომლოს მომხმარებელთან თევზების პოპულაციებსა და მოწყვლად სახეობებზე მონიტორინგის გასაგრძელებლად პროექტის მთელი ხანგრძლივობის მანძილზე. საერთაშორისო ექსპერტებმა უნდა ასევე განიხილონ მონიტორინგის პროგრამა, რათა უზრუნველყონ, რომ იგი სათანადოდ გამოავლენს და მონიშნავს ნებისმიერ მნიშვნელოვან ცვლილებებს სახეობების მრავალფეროვნებასა და პოპულაციებში. ამან უნდა უზრუნველყოს ინფორმირება პერიოდული განახლებისა და შემამსუბუქებელი ან/და საკომპენსაციო ზომების შესახებ.

V. დასკვნა და მორიგი ნაბიჯები

- 5.1 ამ CAO-ს შესაბამისობის გამოძიებამ დოკუმენტურად ასახა ის მხარეები, სადაც IFC-მა წარმატებით ითანამშრომლა AGL-თან, რათა მხარი დაეჭირა მისთვის მომხმარებლის E&S ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. თუმცა, IFC/MIGA-ის მიერ კომპლექსურ შემოწმებასა და შუახვევის ჰიდროელექტრო სადგურის ზედამხედველობაში დაშვებულმა შეცდომებმა პროექტს შეუქმნა სიძნელეები. ამის შედეგად, IFC/MIGA-მა ვერ უზრუნველყო, რომ “ეკონომიური განვითარების ხარჯები არაპროპორციულად არ დასწოლოდა ღირებებსა და უმწეოებს და რომ ამ პროცესში არ მომხდარიყო გარემოს დეგრადირება,” რაც ეწინააღმდეგება მდგრადობის წესდებაში გაწერილ მის ვალდებულებას.
- 5.2 ეს ანგარიში მოიცავს ზემოხსენებულ რეკომენდაციებს IFC/MIGA-თვის, თუ როგორ უნდა აღმოფხვრას CAO-ის შეუსაბამობის დასკვნები და მასთან დაკავშირებული ზიანი პროექტის დონეზე მიღებული მაკორექტირებელი ზომებით, რამაც შეიძლება უზრუნველყოს გარკვეული კომპენსაცია დაზარალებული ადგილობრივი მოსახლეობისათვის.
- 5.3 ამ შესაბამისობის გამოძიების ანგარიშის პასუხად, AGL-თან და მომჩივნებთან კონსულტაციის შემდეგ, IFC/MIGA-ი მოამზადებს მართვის მოქმედების გეგმას საბჭოს მიერ დასამტკიცებლად. CAO მონიტორინგს გაუწევს მართვის მოქმედების გეგმის ეფექტურ განხორციელებას.

²³⁶ სავარაუდო საკომპენსაციო ზომების მაგალითებში შედის: ურთიერთკავშირის აღდგენა ბარიერების (ჯებირების, კაშლების) მოცილებით რეგიონის იმ ადგილებში, სადაც ისინი აღარ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას; პროექტის გარეთ, ბარიერებთან თევზების გასასვლელების დადგმა იმ ადგილებში, სადაც ისინი არ არსებობენ; ან/და ახლო-მახლო წყლის აუზებში დაცული ადგილების შექმნა ჯებირების გარეშე და მართვის გეგმის მომზადებისა და შემუშავების დაფინანსება.

დანართი A: პროექტის ვადები

წინა-საინვესტიციო მასალების ვადები

წელი	თვე	წინა-საინვესტიციო მასალები
2012 წ.	მარტი	ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების შეფასების (ESIA) მონახაზი, მომზადებულ იქნა მოტ მაკდონალდისა და Gamma Scientific-ის მიერ
	ოქტომბერი	ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმა (ESMP) მომზადებულ იქნა მოტ მაკდონალდის მიერ
	ნოემბერი	მშენებლობის ეკოლოგიური მართვის გეგმა (CEMP) მომზადებულ იქნა მოტ მაკდონალდის მიერ
2013 წ.		ეკოლოგიური ზემოქმედების შეფასება (EIA) მომზადებულ იქნა საქართველოს ხელისუფლების მიერ
	ივლისი	ბიომრავალფეროვნების მოქმედების გეგმა (BAP) მომზადებულ იქნა მოტ მაკდონალდის მიერ
	სექტემბერი	ეკოლოგიური და სოციალური კომპლექსური შემოწმების (ESDD) ანგარიში და ეკოლოგიური და სოციალური მოქმედების გეგმა (ESAP) მომზადდა Arup-ის მიერ
	სექტემბერი	საბოლოო ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების შეფასება (ESIA) მომზადებულ იქნა მოტ მაკდონალდისა და Gamma Scientific-ის მიერ (2012-2013წლებში)
	სექტემბერი	დაინტერესებული პირების ჩართულობის გეგმა (SEP) გამჟღავნებული
	ოქტომბერი	IFC-ის ეკოლოგიური და სოციალური განხილვის მოკლე შინაარსი (ESRS) გამჟღავნებული

ზედამხედველობის მასალებისა და მოქმედებების ვადები

წელი	ზედამხედველობის თარიღები	ზედამხედველობის მასალები და დოკუმენტების თარიღი
2014 წ.	აგვისტო 2014 წ.	IESC-ის ვიზიტი ობიექტზე
	ოქტომბერი 2014 წ.	IESC-ის მონიტორინგის ანგარიში
	ივნისიდან დეკემბრამდე 2014 წ.	AGL-ის ნახევარწლიური ეკოლოგიური და სოციალური მონიტორინგის ანგარიში (თარიღი: აპრილი 2015 წ.)
2015 წ.	მაისი 2015 წ.	IESC-ის ობიექტზე ვიზიტი
	მაისი 2015 წ.	IFC-ის ობიექტზე ვიზიტი ზედამხედველობის მიზნით (თარიღი: მარტი 2016 წ.)
	ივლისი 2015 წ.	IESC-ის მონიტორინგის ანგარიში
	იანვრიდან ივნისამდე 2015 წ.	AGL-ის ნახევარწლიური ეკოლოგიური და სოციალური მონიტორინგის ანგარიში (დაუთარიღებელი)
	ივლისიდან დეკემბრამდე 2015 წ.	AGL-ის ნახევარწლიური ეკოლოგიური და სოციალური მონიტორინგის ანგარიში (თარიღი მარტი 2016 წ.)

	ნოემბერი 2015 წ.	IESC-ის ობიექტზე ვიზიტი
2016 წ.	მაისი 2016 წ.	IESC-ის ობიექტზე ვიზიტი
	Q1 2016 წ.	IESC-ის შუალედური ეკოლოგიური და სოციალური მონიტორინგის ანგარიში (თარიღი: აპრილი 2016 წ.)
	იანვრიდან ივნისამდე 2016 წ.	AGL-ის ნახევარწლიური ეკოლოგიური და სოციალური მონიტორინგის ანგარიში (თარიღი: ოქტომბერი 2016 წ.)
	Q2 2016 წ.	IESC-ის ეკოლოგიური და სოციალური მონიტორინგის ანგარიში (თარიღი: ნოემბერი 2016 წ.)
	Q3 2016 წ.	IESC-ის შუალედური ეკოლოგიური და სოციალური მონიტორინგის ანგარიში (თარიღი: დეკემბერი 2016 წ.)
	ნოემბერი 2016 წ.	IESC-ის ობიექტზე ვიზიტი
	ივლისიდან დეკემბრამდე 2016 წ.	AGL-ის ნახევარწლიური E&S-ის მონიტორინგის ანგარიში (თარიღი: აპრილი 2017 წ.)
	Q4 2016 წ.	IESC-ის E&S მონიტორინგის ანგარიში (თარიღი: მარტი 2017 წ.)
	2016 წ.	IFC-ის წლიური მონიტორინგის ანგარიში (თარიღი: ივლისი 2017 წ.)
2017 წ.	Q1 2017 წ.	IESC-ის შუალედური E&S მონიტორინგის ანგარიში (მაისი 2017 წ.)
	თებერვალი 2017 წ.	IFC-ის და MIGA-ს ობიექტზე ვიზიტი ზედამხედველობის ფარგლებში
	იანვრიდან ივნისამდე 2017 წ.	AGL-ის ნახევარწლიური E&S მონიტორინგის ანგარიში (ოქტომბერი 2017 წ.)
	სექტემბერი 2017 წ.	IESC-ის ობიექტზე ვიზიტი
	სექტემბერი 2017 წ.	IFC-ის ობიექტზე ვიზიტი ზედამხედველობის ფარგლებში
	ივლისი	ეკოლოგიური და სოციალური მოქმედების გეგმა (ESAP)
	ივლისიდან დეკემბრამდე 2017 წ.	AGL-ის ნახევარწლიური E&S მონიტორინგის ანგარიში
	დეკემბერი 2017 წ.	IESC-ის E&S მონიტორინგის ანგარიში ოპერაციებისთვის #1
2018 წ.	იანვრიდან ივნისამდე 2018 წ.	AGL-ის ნახევარწლიური E&S მონიტორინგის ანგარიში (თარიღი: ნოემბერი 2020 წ.)
	ნოემბერი 2018 წ.	IESC-ის ობიექტზე ვიზიტი
	ნოემბერი 2018 წ.	IFC-ის ობიექტზე ვიზიტი ზედამხედველობის ფარგლებში (ანგარიში დათარიღებულია: მარტი 2019 წ.)
	ნოემბერი 2018 წ. ობიექტზე ვიზიტი	IESC-ის E&S მონიტორინგის ანგარიში (თარიღით: იანვარი 2019 წ.)
	ივლისიდან დეკემბრამდე 2018 წ.	AGL-ის ნახევარწლიური E&S მონიტორინგის ანგარიში (თარიღი: დეკემბერი 2019 წ.)
2019 წ.	იანვრიდან ივნისამდე 2019 წ.	AGL-ის ნახევარწლიური E&S მონიტორინგის ანგარიში (თარიღი: ივნისი 2019 წ.)
	ივნისი 2019 წ.	IESC-ის ობიექტზე ვიზიტი
	ივნისი 2019 წ. ობიექტზე ვიზიტი	IESC-ის E&S მონიტორინგის ანგარიში (თარიღი: ოქტომბერი 2019 წ.)

	ივლისიდან დეკემბრამდე 2019 წ.	AGL-ის ნახევარწლიური E&S მონიტორინგის ანგარიში (თარიღი: დეკემბერი 2019 წ.)
	დეკემბერი 2019 წ.	IESC-ის და IFC-ის ობიექტზე ვიზიტი
	დეკემბერი 2019 წ. ობიექტზე ვიზიტი	IESC-ის E&S მონიტორინგის ანგარიში (თარიღი: თებერვალი 2020 წ.)
	2019 წ.	IFC-ის წლიური მონიტორინგის ანგარიში (თარიღი: ივნისი 2020 წ.)
2020 წ.	იანვარი 2020 წ.	დაინტერესებული პირების ჩართულობის გეგმა
	იანვრიდან ივნისამდე 2020 წ.	AGL-ის ნახევარწლიური E&S მონიტორინგის ანგარიში (თარიღი: ოქტომბერი 2020 წ.)
	სექტემბერი 2020 წ.	IESC-ის ვირტუალური ზედამხედველობის ვიზიტი (ანგარიში დათარიღებულია: ნოემბერი 2020 წ.)
	სექტემბერი 2020 წ.	IFC-ის ზედამხედველობის ობიექტზე ვიზიტი (ანგარიში დათარიღებულია: ნოემბერი 2020 წ.)
	სექტემბერი 2020 წ.	IESC-ის E&S მონიტორინგის ანგარიში (თარიღი: თებერვალი 2021 წ.)
	ივლისიდან დეკემბრამდე 2020 წ.	AGL-ის ნახევარწლიური E&S მონიტორინგის ანგარიში
2021 წ.	თებერვალი 2021 წ.	PDS-ის ცვლილება (პროექტის მონაცემების ფურცელი გადაცემის შემდეგ)
	აპრილი 2021 წ.	ბიომრავალფეროვნების მოქმედების გეგმა საოპერაციო ფაზისთვის
	ნოემბრიდან დეკემბრამდე 2021წ.	IESC-ის E&S მონიტორინგის ანგარიში (ანგარიში თარიღით თებერვალი 2022 წ.)
2022 წ.	სექტემბერი 2022 წ.	IFC-ის ობიექტზე ვიზიტი ზედამხედველობის ფარგლებში
	2022 წლის სექტემბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე	IESC-ის სოციალური მონიტორინგის ანგარიში (თარიღი: თებერვალი 2024 წ.)
	2022 წლის სექტემბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე	IESC-ის ეკოლოგიური მონიტორინგის ანგარიში (თარიღი: თებერვალი 2024 წ.)
2023 წ.	ოქტომბერი 2023 წ.	IFC-ის ობიექტზე ვიზიტი ზედამხედველობის ფარგლებში ოფისში დაბრუნების შემდეგ გაკეთებული ანგარიში

დანართი B: CAO-ს გამოძიების პროცესის მიმოხილვა

“CAO-ს შესაბამისობის ფუნქციის მიზანია განიხილოს IFC/MIGA-ს შესაბამისობა E&S [ეკოლოგიურ და სოციალურ] წესდებებთან მიმართებაში, შეაფასოს მასთან დაკავშირებული ზიანი და საჭიროებისამებრ გასცეს რეკომენდაციები აღდგენით სამუშაოებზე.”²³⁷ შესაბამისობის ფუნქცია არ აფასებს E&S წესდებების ადეკვატურობას ან შესაფერისობას და არ გამოაქვს დასკვნები პროექტის, ქვე-პროექტის, მომხმარებლის, ან ქვე-მომხმარებლის მიერ IFC/MIGA-ის შესრულების სტანდრტებთან შესაბამისობაზე. თუმცა, თავისი როლის შესრულებისას, CAO-ს შესაბამისობის ფუნქცია შეაფასებს IFC/MIGA-ის მიერ მათი E&S განხილვისა და ზედამხედველობის მოთხოვნებს პროექტის, ან ქვე-პროექტის დონეზე და ითვალისწინებს პროექტის ან ქვე-პროექტის ეკოლოგიური და სოციალური შესრულების დონეს.²³⁸

აღსანიშნავია, რომ CAO-ს არ გააჩნია არავითარი უფლება-მოსილება სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით. იგი არ წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს, სამართლებრივი აღსრულების მექანიზმს და არ შეუძლია გასწიოს საერთაშორისო სასამართლო სისტემების, ან მასპინძელი ქვეყნების სასამართლო სისტემების მაგივრობა.

2021 წელს, CAO-ს წესდების პროცესის ფარგლებში შეთანხმებული გარდამავალი ღონისძიებების შესაბამისად,²³⁹ ეს შესაბამისობის გამოძიების ანგარიში მომზადებულ იქნა CAO-ის წესდების დაცვით. ყველა ადრე ჩატარებული სამუშაოები, მათ შორის შესაბამისობის შეფასება მომზადებულ იქნა CAO-ს 2013 წლის საოპერაციო სახელმძღვანელო პრინციპების დაცვით.

გამოძიება

CAO-ს შესაბამისობის გამოძიება ძირითად ყურადღებას ამახვილებს IFC/MIGA-ზე და იმაზე, თუ როგორ უზრუნველყო ამ უკანასკნელმა პროექტის E&S-ის შესრულება. შესაბამისობის გამოძიების მიზანია დაადგინოს:

- (1) შესაბამისობაშია თუ არა IFC/MIGA თავისი E&S-ის წესდებებთან; და
- (2) არსებობს თუ არა IFC/MIGA-ს შეუსაბამობასთან დაკავშირებული რაიმე ზიანი, ან შესაძლო ზიანი.²⁴⁰

E&S-ის შესრულების შეფასებისას, ხშირად აუცილებელია, რომ CAO-მა განიხილოს IFC/MIGA-ის მომხმარებლის მოქმედებები და დაადასტუროს E&S-ის შედეგები ობიექტზე.

სამუშაოს მოცულობა და მეთოდოლოგიური მიდგომა²⁴¹

საჩივრის საფუძველზე შესაბამისობის გამოძიების ფარგლებში განსაზღვრულია გამოძიების ტექნიკურ დავალებაში, რომელიც დაიბეჭდა CAO-ს შეფასების ანგარიშში. იგი დაფუძნებულია იმ ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია CAO-თვის დოკუმენტებიდან, ინტერვიუებიდან, განცხადებებიდან, ანგარიშებიდან, მიმოწერებიდან, CAO-ს მიერ მოქმედებებსა და პირობებზე დაკვირვებებიდან და სხვა წყაროებიდან, რომელსაც CAO თვლის საჭიროდ. CAO-ს გამოძიების ანგარიშში შეტანილი იქნება

²³⁷ CAO-ს წესდება, პარაგ. 76.

²³⁸ Ibid., პარაგ. 77.

²³⁹ CAO-ს საქმეების გარდამავალი ღონისძიებები. ხელმისაწვდომია CAO-ს ვებგვერდზე: <https://officecao.org/Transition>.

²⁴⁰ CAO-ს წესდება, პარაგ. 112.

²⁴¹ Ibid., პარაგ. 115, 117, და 118.

გამოძიების დასკვნები შესაბამისობასთან დაკავშირებით და მისგან წარმოშობილ სხვა ზიანთან დაკავშირებით. ანგარიშში ასევე შევა კონტექსტი, მტკიცებულება და მსჯელობა CAO-ის დასკვნების მხარდასაჭერად და ასევე დასკვნები იმ მიზეზებთან დაკავშირებით, რომლებიც საფუძვლად უდევს ნებისმიერ გამოვლენილ შეუსაბამობას.²⁴²

საჭიროა საკმარისი, სათანადო ინფორმაცია CAO-ს მიერ შესაბამისობაზე გამოტანილი დასკვნებისათვის გონივრული საფუძვლის შესაქმნელად.²⁴³ CAO არ გამოიტანს დასკვნებს წარსულის სასარგებლოდ დღევანდელი გადასახედიდან. არამედ, CAO შეაფასებს არსებობს თუ არა მტკიცებულება იმისა, რომ IFC/MIGA-მ გამოიყენა შესაბამისი E&S მოთხოვნები იმ დროს ხელთარსებული საინფორმაციო წყაროების მასალებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების გამოტანისას.²⁴⁴ უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ CAO-მ გამოძიების პროცესში შესაძლებელია მოითხოვოს განმარტებები, იგი არ დაეთანხმება იმ ფარგლების გაფართოებას, რომელიც განსაზღვრულია TOR-ით. თუ გამოძიების პროცესში წამოიჭრება დამატებითი პრობლემები ან საზრუნავი, ისინი დაექვემდებარებიან ცალკე შეფასებას CAO-ს გენერალური დირექტორის შეხედულებისამებრ.

IFC/MIGA-ის შეუსაბამობასთან დაკავშირებული რაიმე ზიანის აღმოჩენის შემთხვევაში, CAO გასცემს IFC/MIGA-თვის მართვის მოქმედების გეგმის (MAP) მომზადებისას გასათვალისწინებელ რეკომენდაციებს, რომლებიც უკავშირდება პროექტის ან ქვე-პროექტის დონის შეუსაბამობებთან დაკავშირებული ზიანის აღმოსაფხვრელად საჭირო აღდგენით სამუშაოებს, ან/და მომავალში შეუსაბამოების თავიდან ასაცილებელ შემდგომ ნაბიჯებს, როგორც ამას მოითხოვს არსებული გარემოება. ეს რეკომენდაციები მხედველობაში მიიღებენ IFC/MIGA-ის გასვლის შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ შედეგებს.²⁴⁵

გამოძიების ანგარიშის დასრულება

IFC/MIGA-გან და მომჩივნებისგან გამოძიების ანგარიშის მონახაზზე კომენტარების მიღების შემდეგ, CAO დაასრულებს თავისი გამოძიების ანგარიშს. როგორც კი საბოლოო გამოძიების ანგარიში ოფიციალურად იქნება წარდგენილი IFC/MIGA-ის უფროსი მმართველი რგოლისთვის და დაურიგდება საბჭოს წევრებს, CAO თავის ვებსაიტზე გააკეთებს საჯარო შეტყობინებას გამოძიების დასრულების შესახებ.²⁴⁶

მას შემდეგ, რაც CAO ოფიციალურად წარუდგენს IFC/MIGA-ს შესაბამისობის გამოძიების ანგარიშს, IFC/MIGA-ს მმართველებს მიეცემათ 50 სამუშაო დღე, რომ საბჭოს გაუგზავნონ მართვის ანგარიში მათ მიერ მხედველობაში მისაღებად. მართვის ანგარიში უნდა მოიცავდეს მართვის მოქმედების გეგმას (MAP) საბჭოს მიერ დასამტკიცებლად. MAP-ში ჩამოთვლილია ის მოქმედებები, რომლებსაც IFC/MIGA შესთავაზებს CAO-ს გამოძიების დასკვნების პასუხად. IFC/MIGA-ს ევალება მომჩივნებთან და მომხმარებელთან კონსულტაციის გავლა მათ მიერ MAP-ის პრეზენტაციის პროცესში.²⁴⁷

IFC/MIGA-ის მიერ MAP-ის საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენის პარალელურად, CAO წარუდგენს საბჭოს შეთავაზებული MAP-ის კომენტარებს. მას შემდეგ, რაც საბჭო დაამტკიცებს MAP-ს, შესაბამისობის გამოძიების ანგარიში, მართვის ანგარიში და MAP-ი გამოქვეყნდება CAO-ს ვებსაიტზე.²⁴⁸

²⁴² Ibid., პარაგ. 120(b).

²⁴³ Ibid., პარაგ. 117.

²⁴⁴ Ibid., პარაგ. 116.

²⁴⁵ Ibid., პარაგ. 120(c).

²⁴⁶ Ibid., პარაგ. 128.

²⁴⁷ Ibid., პარაგ. 130–131, და 134.

²⁴⁸ Ibid., პარაგ. 135 და 138.

დანართი C: CAO-ს შესაბამისობის დასკვნები, მასთან დაკავშირებული ზიანი და რეკომენდაციები

CAO-ს წესდების შესაბამისად, IFC-ის მმართველებს ევალებათ მართვის ანგარიშის მომზადება შესაბამისობის გამოძიების პასუხად.²⁴⁹ შესაბამისობასა და მასთან დაკავშირებული ზიანის შესახებ, CAO-ს მიერ გამოტანილი დასკვნების გადასაჭრელად, ამგვარის არსებობის შემთხვევაში, მართვის ანგარიში უნდა შეიცავდეს საბჭოს მიერ დასამტკიცებელ მართვის სამოქმედო გეგმას (MAP), რომელშიც შეტანილი იქნება მმართველი რგოლის მიერ შეთავაზებული, დროში შეზღუდული გამასწორებელი ქმედებები.²⁵⁰ ალტერნატივის სახით, მართვის ანგარიში უნდა შეიცავდეს დასაბუთებულ პასუხებს CAO-ს დასკვნებზე ან რეკომენდაციებზე შეუსაბამობის ან მასთან დაკავშირებული ზიანის შესახებ, რომელთა გადაჭრაც შეუძლებელია IFC-თვის MAP-ის ფარგლებში.²⁵¹ საბჭოს მიერ MAP-ის დამტკიცების შემთხვევაში, CAO-ს მონიტორინგი დააზუსტებს მასში შეტანილი მოქმედებების ეფექტურ განხორციელებას.²⁵² CAO-ს შესაბამისობის მონიტორინგი მხედველობაში არ მიიღებს იმ შესაბამისობის დასკვნებს, რომლებთან დაკავშირებითაც MAP-ი არ შეიცავს გამასწორებელ ქმედებებს.²⁵³

B.1 ცხრილში, პირველი სვეტის ქვეშ მოცემულია CAO-ს შესაბამისობის დასკვნები და მასთან დაკავშირებული ზიანის შეფასება. CAO დაასრულებს მეორე სვეტს ამ საქმესთან დაკავშირებით თავისი შესაბამისობის მონიტორინგის პერიოდში IFC-ის საბჭოს მიერ დამტკიცებული MAP-ის საფუძველზე.

B.2 ცხრილში, CAO-ს წესდების შესაბამისად,²⁵⁴ CAO გასცემს IFC-ის მიერ მართვის მოქმედების გეგმის შემუშავებისას გასათვალისწინებელ რეკომენდაციებს შესაბამისობასთან და მასთან დაკავშირებული ზიანის შესახებ, CAO-ის მიერ გამოტანილი დასკვნების გადასაჭრელად. ეს რეკომენდაციები უკავშირდება პროექტის დონეზე არსებული შეუსაბამობის და მასთან დაკავშირებული ზიანის აღმოფხვრას და ასევე იმ საჭირო ნაბიჯებს, რომლებიც თავიდან ააცილებენ მომავალში შეუსაბამობის დაშვებას.

²⁴⁹ CAO-ს წესდება, პარაგ. 130.

²⁵⁰ Ibid., პარაგ. 131.

²⁵¹ Ibid., პარაგ. 132.

²⁵² Ibid., პარაგ. 140.

²⁵³ Ibid., პარაგ. 141.

²⁵⁴ Ibid., პარაგ. 113.

B.1. ცხრილი CAO-ს დასკვნები შეუსაბამობასთან და მასთან დაკავშირებული ზიანის შესახებ

CAO-ს დასკვნები შეუსაბამობასთან და მასთან დაკავშირებული ზიანის შესახებ
საჩივრის საკითხი 1. მიწისქვეშა წყლები
IFC/MIGA-ს წინა-საინვესტიციო E&S კომპლექსური შემოწმება მიწისქვეშა წყლების საბაზისო დონე: CAO ასკვნის, რომ IFC-ის ESDD-ს არ გამოუვლენია ან გადაუჭრია მომხმარებლის მიერ შესრულებაში დაშვებული ხარვეზი PS1-თან (პარაგ. 7) და PS6-თან (პარაგ. 24) დაკავშირებით, რომელსაც შედეგად მოჰქვია საბაზისო დონის ინფორმაციის არ არსებობა იმ მიწისქვეშა წყლების გამოყენებაზე და მათ მოცულობასა და ხარისხზე, რომლებიც უზრუნველყოფილი იყო კონკრეტული წყაროს წყლებით და რომლებიც აწვდიდა წყალს მათზე დამოკიდებულ მოსახლეობას, რაც ეწინააღმდეგებოდა მისი მდგრადობის წესდების ვალდებულებებს (პარაგ. 7, 26, და 28). მიწისქვეშა წყლებზე სავარაუდო ზემოქმედების შემამსუბუქებელი ზომები: CAO ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ IFC-ის წინა-საინვესტიციო განხილვა შეესაბამებოდა ამ რისკებს, IFC-ს არ დაუკმაყოფილებია მდგრადობის წესდების მოთხოვნები, რათა “მისი კომპლექსური შემოწმების, მონიტორინგისა და ზედამხედველობის ძალისხმევის მეშვეობით უზრუნველყო, რომ მის მიერ დაფინანსებული ბიზნეს საქმიანობები შემუშავებულიყო შესრულების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,” როდესაც საქმე ეხებოდა მიწისქვეშა რესურსებზე პროექტის ზემოქმედებების მართვას და შესაბამის რისკებს.²⁵⁵ PS1 (პარაგ. 13) მოითხოვს, რომ IFC-ის მომხმარებელმა ჩამოაყალიბოს მართვის პროგრამები, რომლებიც შეიცავენ შემამსუბუქებელ ზომებს და პასუხობენ ყველა გამოვლენილ პროექტის E&S რისკებსა და ზემოქმედებებს, დეტალებისა და სირთულის იმ დონის გათვალისწინებით, რაც თანაზომიერია ამგვარ რისკებთან და ზემოქმედებებთან (პარაგ. 15). მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედებებისა და მართვის ESIA-ის მიერ გამოვლენილი მთავარი შემამსუბუქებელი ზომები არ იყო შეტანილი, პროექტის ESAP-ში, CEMP-ში, ან სხვა E&S რისკის შემამსუბუქებელ პროექტის დოკუმენტებში. ამის შედეგად, დაირღვა IFC-ის მიერ AGL-ში განხორციელებულ ინვესტიციებზე ზედამხედველობა მომხმარებლის მიერ გვირაბის ამოვსების ზომების შემუშავებასთან და დაზარალებული მოსახლეობისათვის ალტერნატიული წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავდა, რომ ასევე დარღვეულ იქნა IFC-ის მდგრადობის წესდების ვალდებულება მომხმარებლის მიერ PS1 და PS6-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებასთან დაკავშირებით.
IFC-ის ზედამხედველობა

²⁵⁵ მდგრადობის წესდება, პარაგ. 7.

წყაროს წყლების მონიტორინგი:

CAO ასკვნის, რომ გვირაბის მშენებლობისას, IFC-ს სათანადო ზედამხედველობა არ გაუწევია მონიტორინგის შემუშავებაზე წყაროს წყლებთან დაკავშირებით, როგორც დადგენილი შემამსუბუქებელი ზომა, მოსახლეობისათვის მიწისქვეშა წყლებსა და შესაბამის ექსისტემის მომსახურებებზე ზემოქმედებების თავიდან ასაცილებლად. პროექტის დოკუმენტები გვაფიქრებინებს, რომ IFC-ს ხელი არ მიუწვდა და არ გაუანალიზებია წყაროს წყლების მონიტორინგის მონაცემები იმის შესაფასებლად, ახდენდა თუ არა ზემოქმედებას საგვირაბო სამუშაოები ადგილობრივ წყაროებზე. ამის მსგავსად, ზედამხედველობის პერიოდში IFC-ს თავისი მომხმარებლისგან არ მოუთხოვია, რომ ამ უკანასკნელს გამოეყენებინა წყაროს მონიტორინგის მონაცემები პროექტის შემუშავებაზე ინფორმაციის მისაწოდებლად.

PS1 მოითხოვს, რომ მომხმარებელმა დანერგოს და შეიმუშაოს შემამსუბუქებელი ზომები მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ზემოქმედებების მართვის მიზნით, როგორცაა ზემოქმედება მიწისქვეშა წყლებზე და შესაბამის წყაროს წყლებზე; ხოლო მდგრადობის წესდება (პარაგ. 7, 45) მოითხოვს, რომ IFC-მა ზედამხედველობა გაუწიოს თავის მომხმარებელს PS-თან შესაბამისობაში. ამ შემთხვევაში, CAO ასკვნის, რომ გვირაბის მშენებლობისას, IFC-ს ზედამხედველობა არ გაუწევია წყაროს წყლების მონიტორინგის შემუშავებაზე, იმის დასადგენად, რომ AGL-ის მიერ გამოყენებული შემამსუბუქებელი ზომები ეფექტური იყო ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოყენებულ მიწისქვეშა წყლებსა და წყაროს წყლებზე ზემოქმედებების თავიდან ასაცილებლად. ამის შედეგად, IFC-მა ვერ უზრუნველყო მისი მომხმარებლის PS1-ის სათანადო დებულებებთან შესაბამისობა.

გვირაბის ამოვსება და მოპირკეთება:

CAO ასკვნის, რომ IFC-მა ვერ გაამართლა მის მიერ მდგრადობის წესდების ვალდებულებათა შესრულების მოლოდინი (პარაგ. 7, 45), რომ ზედამხედველობა გაეწია AGL-თვის, რათა ამ უკანასკნელს შეემუშავებინა სათანადო შემამსუბუქებელი ზომები ჰიდროელექტრო სქემის მშენებლობისას PS1-ის შესაბამისად, შემდეგი მიზეზების გამო:

IFC-ის ESDD-მა დაასკვნა, რომ პროექტი დააკმაყოფილებდა PS1-ის მოთხოვნებს იმ პირობით, რომ გვირაბის მშენებლობისას მისი ამოვსება და მოპირკეთება თავიდან ააცილებდა მოქარბებულ შემავალ წყალს და რომ სამუშაოები ვერ გაგრძელდებოდა მოქარბებული დონის შემავალი წყლის შემთხვევაში. ეს თვალსაზრისი ეფუძნებოდა ESIA-სა და ESMP-ის და 2013 წლის ჰიდროლოგიურ საკაბინეტო განხილვას, რომელიც ამოქმედებულ იქნა AGL-ის მიერ და თითოეული მათგანი კიდევ უფრო მეტად ამყარებდა გვირაბის ამოვსებისა და მოპირკეთების მნიშვნელობას, ადგილობრივ მიწისქვეშა წყლებსა და წყაროებზე უარყოფითი სამშენებლო ზემოქმედებების თავიდან ასაცილებლად. თუმცა, პროექტის ESAP-ს არ გადაუჭრია გვირაბის ამოვსება და მოპირკეთება, ხოლო IFC-ს არ მიუღია არანაირი ზომები ამ საკითხების გადასაჭრელად მშენებლობის ფაზაში E&S-ის ზედამხედველობის ფარგლებში.

IFC-ის უმოქმედოება გრძელდებოდა დამოუკიდებელი ინჟინრის მიერ გამოცემული სამშენებლო ანგარიშების მიუხედავად, რომელიც აღწერდა მშენებლობის პერიოდში მოჭარბებულ შემავალ წყალს, არასათანადო ამოვსებასა და მოპირკეთებას და გვირაბის სამუშაოების გაგრძელებას მოჭარბებული შემავალი წყლის დონის მიუხედავად.

მოსახლეობის წყლით მომარაგება:

CAO ასკვნის, რომ IFC-ს არ შეუსრულებია მდგრადობის წესდებით დაკისრებული მოვალეობა (პარაგ. 7, 9, და 45)

ზედამხედველობის პერიოდში, შემდეგი მიზეზების გამო:

IFC-მა არ უზრუნველყო, რომ პროექტის წყლით მომარაგების ინიციატივა შესაბამისობაში ყოფილიყო პროექტის E&S მართვის გეგმაში აღწერილ მიზნებთან, სუფთა და საკმარისი მოცულობის წყლის საიმედო მიწოდებასთან დაკავშირებით.

IFC-ი საქმის ყურში იყო, რომ წყლის მიწოდების პროექტი სუბ-ოპტიმალური იყო და მომხმარებელს არ დაავალა, რომ პროექტით დაზარალებული მოსახლეობისთვის მიეწოდებინა სუფთა წყლის საიმედო და სათანადო მარაგი.

IFC-ს არ უმუშავია თავის მომხმარებელთან იმისათვის, რომ ამასთან დაკავშირებით გაეუმჯობესებინა პროექტის შესრულება.

შესაბამისად, CAO ასკვნის, რომ IFC-ის არ უზრუნველუყვია, რომ მომხმარებელს შეემუშავებინა აუცილებელი ზომები წყლის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, E&S-ში გამოვლენილი რისკებისა და ზემოქმედებების აღმოსაფხვრელად, როგორც ეს მოცემულია ESIA-ში, რამაც შედეგად გამოიღო მომხმარებლის მიერ PS1-თან შესაბამისობის (პარაგ. 13, 15, და 16) უზრუნველყოფის უუნარობა.

მიწისქვეშა წყლებსა და წყაროებზე მიყენებული ზიანი:

CAO ასკვნის, რომ მიწისქვეშა წყლების გამოყენებასთან დაკავშირებული სავარაუდო ზემოქმედებების აღმოსაფხვრელად რეკომენდირებული შემამსუბუქებელი ზომების შემუშავებასა და ზედამხედველობაში დაშვებული ხარვეზების, მათ შორის, ალტერნატიული წყლით მომარაგების უზრუნველყოფაში დაშვებული ხარვეზების შედეგად წარმოიშვა არასანდო წვდომა სუფთა წყალზე და ეს წარმოადგენს მომჩივნებისთვის მიყენებულ ზიანს.

ამ ზონის გეოლოგიურ სირთულეზე დამატებული მყარი ინფორმაციის არ არსებობა ართულებს იმის დადგენის შესაძლებლობას, რომ გვირაბის მშენებლობამ მოახდინა ზემოქმედება მომჩივნების მიერ საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის და საარსებო მეურნეობისთვის გამოყენებულ წყაროებზე. ამავე დროს, ESIA-ის უუნარობამ, რომ წარმოედგინა პროექტით დაზარალებული

მოსახლეობის მახლობლად არსებული წყაროების საბაზისო დონე, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა პირადი და საარსებო მიზნებით მოსახლეობის წყაროზე დამოკიდებულების მყარი მტკიცებულება, ართულებს იმის დადგენის შესაძლებლობას, რომ გვირგის მშენებლობას არ მოუხდენია ზემოქმედება ამ წყაროებზე. შესაბამისად, CAO ასკვნის, რომ ეს სავარაუდო ზიანი ვერ გამოირიცხება.

საჩივრის საკითხი 2. ბიომრავალფეროვნება

IFC/MIGA-ს წინა-საინვესტიციო E&S კომპლექსური შემოწმება

რაც შეეხება ბიომრავალფეროვნების საბაზისო დონეს, პროექტის ზემოქმედების შეფასებას ბიომრავალფეროვნებასა და ექოსისტემის მომსახურებებზე და პროექტის შემამსუბუქებელ ზომებს, CAO ასკვნის, რომ:

- ჩატარებულმა თევზების საბაზისო დონემ გამოავლია ხარვეზები შემდეგი მიზეზების გამო: a) პროექტის დიზაინის შეცვლა და გავლენის ზონა, b) ჩატარებული კვლევების სიხშირე, c) წლიური ნიმუშების აღების შეზღუდვები და d) მოწვლად და კრიტიკული საფრთხის ქვეშ არსებული სახეობებისადმი გამოვლენილი ყურადღება. ამან გამოიწვია საბაზისო ინფორმაციის არ არსებობა ჰიდროელექტრო პროექტის ხასიათსა და მასშტაბთან თანაზომიერებაში, იმ ზონაში, რომელიც ცნობილია თავისი ბიომრავალფეროვნებით და ენდემური სახეობებით.
- IFC-ის E&S კომპლექსურ შემოწმებას არ გამოუვლენია ხარვეზები პროექტის ESIA-სა და BAP-ში, შემამსუბუქებელ ზომებთან და დადგენილ წლიურ საშუალო ეკოლოგიურ დინებასთან დაკავშირებით, მიუხედავად ამ ზონის ბიოლოგიური მნიშვნელობისა, საფრთხის ქვეშ არსებული და მოწყვლადი ფაუნისა და ფლორის სახეობებისა და იმ ზეწოლისა, რომელსაც მათი პოპულაციები განიცდიან. პროექტი ძირითადად ეყრდნობოდა ადიდებისა და შენაკადებისაგან მიღებულ დახმარებას, წყლის ჰაბიტატზე მინიმალური ზემოქმედების მისაღწევად და დეტალურად არ გაუანალიზებია თუ რომელი სახეობები დაზარალდებოდნენ წყლის დინების 90%-ის შემცირებით, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ გამოვლენილი იყო დაცული სახეობები ამ ზონაში.

საბოლოო ჯამში, ბიომრავალფეროვნების საბაზისო დონეზე დაშვებული ხარვეზები, შესაბამისი ეკოლოგიური დინების არასაკმარისი ანალიზი და შესაბამისი შემამსუბუქებელი ზომები სუფთა დანაკარგის თავიდან აცილების მიზნით და ასევე ბუნებრივ ან კრიტიკულ ბუნებრივ ჰაბიტატში პროექტის მდებარეობის უგულვებელყოფა, ეს ყველაფერი მიუთითებს IFC-ის წინა-საინვესტიციო E&S კომპლექსური შეფასებაში დაშვებულ მნიშვნელოვან ხარვეზებზე.

აქედან გამომდინარე, CAO-მ დაასკვნა, რომ IFC-ის ESDD-მა სათანადოდ ვერ უზრუნველყო, რომ მომხმარებელს გამოევლინა და შეეფასებინა ბიომრავალფეროვნებაზე სავარაუდო ზემოქმედებები, როგორც ამას მოითხოვს შესრულების სტანდარტი 1 (პარაგ. 7) და 6 (პარაგ. 6, 7, და 15) სუფთა დანაკარგის თავიდან ასაცილებლად ეკოლოგიური და სოციალური რისკების დონესთან და

შეთავაზებული პროექტის ხასიათსა და მასშტაბთან თანაზომიერებაში მდგრადობის წესდების (პარაგ. 7, 26 და 28) შესაბამისად.

IFC-ის ზედამხედველობა

რაც შეეხება IFC-ის ზედამხედველობას პროექტის ზემოქმედებაზე ბიომრავალფეროვნებასა და ეკოლოგიურ დინებასთან დაკავშირებით, CAO-მ დაადგინა, რომ:

- მონიტორინგის ანგარიშში გამოვლენილი წყლის ჰაბიტატების დაკარგვა კლასიფიცირებულია, როგორც დაბალი მნიშვნელობის, დასკვნის განმამტკიცებელი ანალიზის წარმოდგენის გარეშე. თუმცა, ამ ჰაბიტატების დაკარგვა მნიშვნელოვნად ბიომრავალფეროვნების სავალდებულო სუფთა დანაკარგზე, მიუხედავად ჯებირების ქვედა დინების მიმართულებით მსგავსი ჰაბიტატების არსებობისა. თუმცა არ არსებობს არავითარი მტკიცებულება, რომ მდინარის ჰაბიტატებზე გამოვლენილი ამგვარი ზემოქმედებები სათანადოდ იყო შემსუბუქებული ან კომპენსირებული PS6-ის შესაბამისად.
- CAO-თვის ხელმისაწვდომი მონაცემებიდან და 2020 წელს ჩატარებული ტენდენციის ანალიზიდან მშენებლობის პერიოდში გამოვლენილ იქნა თევზების სახეობების მრავალფეროვნების შემცირება. გარდა ამისა, მონაცემები ამ სახეობების სიუხვის შესახებ შეგროვებული არ ყოფილა.
- შემამსუბუქებელი და საკომპენსაციო ზომები მეთევზეობაზე ზემოქმედების შესამცირებლად მოიცავდა ჩირუხისწყლის კაშხალზე თევზების გასასვლელის დადგმას და ადგილობრივი თევზების მარაგის შევსებას, რაც განხორციელდა. თევზების გასასვლელები ინტეგრირებულ იქნა და დაწესდა მასზე მონიტორინგი ეფექტურობის გამოვლენის მიზნით და შავი ზღვის კალმახის/ყავისფერი კალმახის თევზების მარაგის შევსების ძალისხმევა 2021 წლის შემდეგ გრძელდება. თუმცა, თევზების სახეობების მრავალფეროვნების და სიუხვის შემცირებამ ჩირუხისწყლის კაშხლის დაბლივი მიმართულებით 2014-დან 2020 წლამდე, უარყოფითად იმოქმედა რეკრეაციულ მეთევზეობაზე ამ ზონაში. გარდა ამისა, CAO დღემდე დარწმუნებული არაა თევზების მარაგის შევსების ძალისხმევის წარმატებაში წლიური საშუალო ეკოლოგიური დინების 10%-ის პირობებში.
- დაზარალებული თევზების მარაგის შევსება შემოიფარგლებოდა *Salmo labrax fario-თი* და არ გავრცელებულა კალმახის გარდა სხვა სახეობებზე, რაზეც თავდაპირველად რეკომენდაციას იძლეოდნენ პროექტის კონსულტანტები. გარდა ამისა, ეს ქმედება უეჭველ ზემოქმედებას მოახდენდა წყლის ჰაბიტატის ეკოლოგიურ ბალანსზე. წარმოდგენილი არ ყოფილა არავითარი ანალიზი ერთი სახეობის (*Salmo larax f.*) დიდი რაოდენობით გაშვების შედეგად წყლის სხვა სახეობებზე სავალდებულო ზემოქმედების შესახებ, რომლებთანაც ისინი რესურსების გამო კონკურენციაში უნდა ყოფილიყვნენ 90%-ით შემცირებულ ჰაბიტატში.
- საბაზისო დონის შეზღუდული მოცულობა (ძალიან მცირე ნიმუშის აღების ადგილები და მონიტორინგის არასაკმარისი სიხშირე) შემდგომში თევზების მონიტორინგის მეთოდოლოგიის შეცვლასთან ერთად, (ნიმუშის აღების ადგილების ცვლა და წლიური მონიტორინგიდან კვარტალურ მონიტორინგზე გადასვლა) წარმოადგენს მნიშვნელოვან ხარვეზებს,

რომლებიც ხელს უშლიან პროექტის მიერ წყალზე ზემოქმედების ზუსტ შეფასებას.

- მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლიდან 2019 წლამდე IFC-ის ზედამხედველობის ანგარიშები გამუდმებით აღნიშნავდნენ ხარვეზებს მომხმარებლის მიერ წარდგენილ ბიომრავალფეროვნების ანგარიშებში, IFC-მა არ უზრუნველყო დროული შესაბამისობა პროექტის მშენებლობის პერიოდში. არამედ, მომხმარებელი მუდმივად უგულვებელყოფდა არსებული ხარვეზების აღმოფხვრას და არ გამოუვლენია პროექტის ზემოქმედება ბიომრავალფეროვნების საბაზისო დონეზე, ან ის, თუ როგორ ხდებოდა ადაპტაციური მართვის შემუშავება.
- პროექტის ეკოლოგიური დინების მეთოდოლოგია შექმნილი იყო ჰიდროლოგიური პირობებისა და მდინარის სისტემის ეკოლოგიური მოთხოვნების დასადგენად და პროექტის მიერ მდინარის სახეობებზე და ჰაბიტატზე ზემოქმედების აღსარიცხავად და შესამცირებლად. თუმცა, CAO აღნიშნავს, რომ განხორციელებასთან დაკავშირებით ეს არ ყოფილა გამოვლენილი, რადგან მდინარის მონაკვეთებში არსებული ქვირითის დაყრის ჰაბიტატები მიჩნეული იყო, როგორც დაკარგული ან დეგრადირებული, ქვირითის დაყრის ადგილების წვდომაზე პროექტის ზემოქმედების გამო და ქვირითის დაყრის ჰაბიტატების დაკარგვაზე წყალსაცავების დატბორვის გამო.²⁵⁶ ჯებირებმა შეცვალეს მდინარის ბალანსი, ხოლო ახალი ბალანსი შეიქმნება შემცირებული ჰაბიტატის, მათ შორის ქვირითის დაყრის ჰაბიტატების ხელმისაწვდომობასთან ერთად. წყლის ჰაბიტატებზე და სახეობებზე ზემოქმედების მასშტაბი შესაძლებელია სავარაუდოდ სხვადასხვა ხარისხით იქნეს შემსუბუქებული, სხვადასხვა ვარიანტების საფუძველზე, რომელიც ზრდის ეკოლოგიურ დინებას 20-30-40%-ით, DRIFT-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად. თუმცა, ეკოლოგიურ დინებაში რაიმე ცვლილების შეთავაზების გარეშე, PS6-ი მოითხოვს კომპენსაციას ამ ნარჩენი ზემოქმედებების გამო.
- CAO-ს არ აღმოუჩენია არავითარი მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩატარებულ იქნა ეკოლოგიური დინების ანალიზი ბუნებრივი ჰაბიტატის მოთხოვნების კონკრეტული მითითებით, სუფთა დანაკარგის თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, არ არსებობს არანაირი ინფორმაცია იმის დასადგენად, ადეკვატურია თუ არა ბუნებრივი დინებები პროექტის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებების შესამსუბუქებლად, მათ შორის, ისეთი მაღალი კონსერვაციის ღირებულების მქონე ენდემურ სახეობებთან დაკავშირებით, როგორიცაა შავი ზღვის ორაგული (*Salmo labrax pallas*), ევროპული გველთევზა (*Anguilla anguilla*), კოლხური ხრამული, კოლხური ტობი და კავკასიური ღორჯო და ევრაზიული წავი (*Lutra lutra*), PS6-ის შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, CAO ასკვნის, რომ IFC-მა ვერ გაამართლა თავისი ვალდებულებების შესრულების მოლოდინი მდგრადობის წესდების (პარაგ. 7 და 45) შესაბამისად, რომ ზედამხედველობა გაეწია მის მომხმარებელზე, რათა ამ უკანასკნელს PS6-ის (პარაგ. 15) შესაბამისად შეემუშავებინა შესაბამისი შემამსუბუქებელი ან საკომპენსაციო ზომები სუფთა დანაკარგის თავიდან ასაცილებლად. IFC-მა ვერ უზრუნველყო, რომ პროექტს თავიდან აეცილებინა სუფთა დანაკარგი და განსაკუთრებით, არ დაეშვა

²⁵⁶ OBAP, გვ. 63 და 135.

ზემოქმედებები ისეთ ენდემურ, საფრთხის ქვეშ არსებულ და მოწყვლად სახეობებზე, როგორცაა შავი ზღვის ორაგული, ევროპული გველთევზა და ევრაზიული წავი, როგორც ამას მოითხოვს PS6-ი.

წყლის ჰაბიტატებსა და რეკრეაციულ მეთევზეობასთან დაკავშირებულ ზიანი

არსებული ინფორმაციის ბაზაზე, CAO ასკვნის, რომ წყლის ჰაბიტატების საკითხთან დაკავშირებით, ზიანის დაბეჯითებით დასადგენად არ არსებობს საკმარისი შესაბამისი მტკიცებულება. თუმცა, წყლის ჰაბიტატზე ზიანის მნიშვნელოვანი ალბათობიდან გამომდინარე, პროექტისთვის სასარგებლო იქნებოდა ეკოლოგიური დინების ხელახალი შეფასება და დამატებითი ზომების გამოყენება იმის უზრუნველსაყოფად, რომ სათანადოდ ყოფილიყო შემსუბუქებული ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედებები, ან თუ ეს ვერ მოხერხდებოდა, კომპენსაციის გათვალისწინება, სუფთა დანაკარგის თავიდან ასაცილებლად, რაც შეესაბამება ჰიდროელექტრო პროექტების ეკოლოგიური დინების შესახებ IFC-ის კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოს. 45-ე პარაგ. (2018).²⁵⁷

გარდა ამისა, ზედამხედველობაში დაშვებულმა ხარვეზებმა, რომელსაც შედეგად მოჰყვა რეკრეაციულ მეთევზეობასთან დაკავშირებით პროექტის ზემოქმედებაზე მონაცემების არ არსებობა, ასევე გამოწვევების ქვეშ დააყენა სხვა მოწყვლად და საფრთხის ქვეშ არსებულ სახეობებზე ზემოქმედებების შეფასება და შემსუბუქება. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს საკმარისი სათანადო მტკიცებულება მშენებლობის პერიოდში რეკრეაციულ თევზაობაზე მიყენებული ზიანის დაბეჯითებით დასამტკიცებლად, CAO ადგენს, რომ პროექტის მშენებლობის პერიოდში, მომჩივნების მიერ აღწერილი ზემოქმედებები რეკრეაციულ თევზაობაზე შესაძლებელია მომხდარიყო და ასკვნის, რომ სავარაუდო ზიანის გამორიცხვა შეუძლებელია.

²⁵⁷ IFC-ის კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოში ნათქვამია:

“როდესაც მასპინძელი ქვეყანა გასცემს ეკოლოგიურ ლიცენზიას ეკოლოგიური დინების შეფასებამდე ან ეკოლოგიური დინების მართვის გეგმის (EFMP) შედგენამდე, ამ შემთხვევაში პროექტის გეგმა და ეკოლოგიური დინების გადაწყვეტილებები ხელახლა უნდა იყოს განხილული.” ხელმისაწვდომია აქ: <https://www.ifc.org/en/insights-reports/2018/publications-handbook-eflows>.

ცხრილი B.2. CAO-ს რეკომენდაციები პროექტის დონეზე

რეკომენდაციები პროექტის დონეზე
საჩივრის საკითხი 1. მიწისქვეშა წყლები ალტერნატიული წყლის მიწოდების შესახებ პროექტის ESIA-სა და ESMP-ში მოცემული შემამსუბუქებელი ზომების შესაბამისად, IFC-მა უნდა ითანამშრომლოს თავის მომხმარებელთან, რათა განაგრძოს მუნიციპალიტეტის ძალისხმევის მხარდაჭერა, სოფელ მახალაკიძეებსა და რაბათის დასახლებაში საკმარისი მოცულობისა და ხარისხის სანდო წყლის მიწოდება გრძელვადიან პერიოდში, რაც დააკმაყოფილებს მოსახლეობის საარსებო და საყოფაცხოვრებო მოთხოვნებს. ეს დამატებითი ძალისხმევები უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში. მიუხედავად იმისა, რომ სისტემის გაუმჯობესებები დაწყებულია, CAO რეკომენდაციას იძლევა, რომ IFC-მა ითანამშრომლოს თავის მომხმარებელთან, რათა გააუმჯობესოს ალტერნატიული უწყვეტი წყლის მიწოდება მომჩივნებისთვის და უზრუნველყოს, რომ მისი მოცულობა და ხარისხი შეესაბამება მათ საყოფაცხოვრებო მოთხოვნებს. ეს მოქმედება კატეგორიზებული უნდა იქნეს, როგორც PS1-ის²⁵⁸ პროექტის შემამსუბუქებელი ან საკომპენსაციო ზომა, რომელიც ხორციელდება IFC-ის ზედამხედველობის ქვეშ.²⁵⁹ ამ კუთხით, CAO რეკომენდაციას იძლევა, რომ IFC-მა, თავისი ზედამხედველობის ფარგლებში, გამოიკვლიოს მომხმარებლის მიერ წყლის მიწოდების სამუშაო, რათა დაადგინოს, რომ იგი აკმაყოფილებს წყლის ხარისხის სტანდარტებს და საკმარისია მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. თუ პროექტის მდებარეობის რეალობიდან გამომდინარე, გაძნელება იმის უზრუნველყოფა, რომ მომჩივნებს ჰქონდეთ წვდომა საკმარისი მოცულობის სუფთა წყალზე, IFC-მა უნდა იმუშაოს თავის მომხმარებელთან, რომ გამოიკვლიოს სხვა ალტერნატივები, როგორიცაა სხვა ადგილას განსახლებაში მხარდაჭერა.
საჩივრის საკითხი 2. ბიომრავალფეროვნება თუ მხედველობაში მივიღებთ ბიომრავალფეროვნების საბაზისო დონესა და მონიტორინგში აღმოჩენილ ხარვეზებს, CAO რეკომენდაციას იძლევა, რომ მსოფლიო ბანკის ჯგუფის კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოს²⁶⁰ შესაბამისად, IFC-მა იმუშაოს თავის

²⁵⁸ PS1 ადგენს, რომ შემამსუბუქებელი ზომების იერარქია, გამოვლენილი რისკებისა და ზემოქმედებების აღმოსაფხვრელად, უპირატესობას ანიჭებს ზემოქმედების თავიდან აცილებას მის მინიმიზაციასთან შედარებით და ნარჩენი ზემოქმედებების შემთხვევაში, კომპენსაციას ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე. PS1-ის ერთ-ერთი მიზანია შემამსუბუქებელი ზომების იერარქიის შემუშავება, რაც გამოიხატება წინასწარ მზადყოფნასა და თავიდან აცილებაში, ან, თუ თავიდან აცილება შეუძლებელია, მინიმიზაციაში, ხოლო ნარჩენი ზემოქმედებების შემთხვევაში, პროექტის ზემოქმედებების კომპენსაციაში.

²⁵⁹ როგორც ეს დადგენილ იქნა ESIA-სა და ESMP-ში.

²⁶⁰ "როდესაც მასპინძელი ქვეყანა გასცემს ეკოლოგიურ ლიცენზიას ეკოლოგიური დინების შეფასებამდე ან ეკოლოგიური დინების მართვის გეგმის (EFMP) შედგენამდე, ამ შემთხვევაში პროექტის გეგმა და ეკოლოგიური დინების გადაწყვეტილებები ხელახლა უნდა იყოს განხილული." კარგი პრაქტიკის

მომხმარებელთან, რათა:

- განაახლოს თევზების საბაზისო დონე, შუახევის სქემის კორექტირებული კვლევის ტერიტორიაზე თევზების სახეობების მრავალფეროვნების გამოსავლენად სხვადასხვა სეზონზე და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ენდემურ, საფრთხის ქვეშ მყოფ და მოწყვლად სახეობებს, რომლებიც დამოკიდებულნი არიან წყლის ექოსისტემებზე, მათ შორის, მაგრამ არამარტო, თევზების სახეობებს.
- განახლებული საბაზისო დონის შედეგების ბაზაზე გამოავლინოს ჰაბიტატის მოთხოვნები თითოეული სახეობისათვის და ხელახლა განიხილოს პროექტის ეკოლოგიური დინების შეფასება. ამაში უნდა შედიოდეს განახლებული ეკოლოგიური დინების ანალიზი, მაღალი-რეზოლუციის მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც ახდენს სხვადასხვა ეკოლოგიური დინების ვარიანტების შეფასებას, გამოვლენილ თევზებსა და სხვა სახეობებზე ზემოქმედების შესაფასებლად მტკნარი წყლის ჰაბიტატიდან გამომდინარე. ეს ხელახალი შეფასება უფრო ეფექტურ ინფორმირებას გაუწევს ზომების გამოვლენას, რათა უფრო უკეთესად იქნეს შემსუბუქებული ან კომპენსირებული ბიომრავალფეროვნებაზე ნარჩენი უარყოფითი ზემოქმედებები და სუფთა დანაკარგის თავიდან აცილება კი დასაბუთებული.²⁶¹
- IFC-მა უნდა იმუშაოს თავის თავის მომხმარებელთან, რათა ამ უკანასკნელმა ჩართოს საერთაშორისოდ ცნობილი ექსპერტები ეკოლოგიური დინების ანალიზის განსახილველად, განაახლოს BAP-ი, იმის უზრუნველსაყოფად, რომ გამოყენებული შემამსუბუქებელი ან/და საკომპენსაციო ზომები შესაბამისია სუფთა დანაკარგის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად.
- საბოლოოდ, იმისათვის, რომ უფრო სათანადოდ იქნეს შეფასებული პროექტის ზემოქმედებები ბიომრავალფეროვნებაზე დაზარალებულ მდინარეებსა და წყალსაცავებში, CAO რეკომენდაციას იძლევა, რომ IFC-მა მოსთხოვოს AGL-ს გააგრძელოს თევზების პოპულაციებისა და მოწყვლადი სახეობების მონიტორინგი პროექტის არსებობის მანძილზე. საერთაშორისო ექსპერტებმაც ასევე უნდა განიხილონ მონიტორინგის პროგრამა რათა უზრუნველყონ, რომ ის სათანადოდ გამოავლენს და მონიშნავს ნებისმიერ მნიშვნელოვან ცვლილებებს სახეობების მრავალფეროვნებასა და პოპულაციებში. ეს უნდა ასახავდეს შემსუბუქების ან/და საკომპენსაციო ზომების პერიოდულ განახლებას.

სახელმძღვანელო, ეკოლოგიური დინებები ჰიდროელექტროსადგურის პროექტების გზამკვლევი კერძო სექტორებისათვის ახლად აღმოცენებულ ბაზრებზე (გვ.45 WBG, 2018წ.).

²⁶¹ სავარაუდო კომპენსაციის მაგალითები მოიცავს: ურთიერთკავშირის აღდგენას მდინარეებზე ბარიერების მოცილებით (ჯებირები, კაშხლები) იმ რეგიონში, სადაც ისინი აღარ ასრულებენ თავიანთ ფუნქციას; პროექტის გარეთ, ბარიერებზე თევზების გასასვლელის დადგმას იქ, სადაც ისინი არ არსებობენ; ან/და დაცული ადგილების შექმნას ახლომახლო წყლის აუზებში ჯებირების გარეშე და მართვის გეგმის მომზადება და შემუშავება.